

8 (05)
ა - 80

საქართველო

თავისუფალი ქუჩისაღი

წელიწადი მეცხრე

№ III

მარტი, 1902

Handwritten signature

თფილისი

საქართველოს სახელმწიფო მისიონერული გამყარების კომიტეტი

1902

მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ა ჟ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეცხრე

№ III

მ ა რ ტ ი, 1902

ც ფ ი ლ ი ს ი

საქართველოს მწიგნობრობის განყოფილება

1902

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Апрѣля 1902 г.

შინაარსი

I—დიდი-ღვდა მარიაში და ხატაურა.—მოთხრობა შ. ანა-გვისპარქიასა	ბმ. 1
II—უხვართ ერთმანეთი? — (ეტიუდი) ჭ-ბ. ა. გერბიციკისა, თარგმანი ნანოსი	20
III—დაძირული ზარი.—დრამა ხუთ მოქმედებად გერგატიჰაუპტმანისა თარგმანი ინ-ანისა	49
IV—ვახუშტი და მისი შრომა.—მ. ჯანაშვილისა	1
V—დიდებული მესხეთი.—ა. ფრანკელისა	21
VI—უცხოეთის მიმოხილვა.—1. კიდევ საერთაშორისო კითხვებზე: ორთა კავშირი და სამთა კავშირი.—2. ამერიკელი მრეწველი	50
და მ ა ტ ე ბ ა.—საგერმანიის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა	33—48



დიდი-დედა მარიამი და ხატაურა

მოთხრობა

I

— დიდიდედ ე ვერანა ხატაურა რას ჩამოგცივბია? კი არ ამოგიკამოს?! — ღიმილით მიჰმართა ოცდა სამი, ოფხი წლის გლეხის ბიჭმა მოფუსფუსე დიდი-დედა მარიამს და კატას დაუტია:

— აცხა, შე სამგლევე! — და აქეთ-იქით მიხედვის დროს რომ ვერა ნახა-რასასროლველად, ფეხები დაუბარტყუნა.

მაგრამ ხატაურა, თითქოს არა გაუგონია-რაო, უფრო გაეგლასუნა დიდი-დედა მარიამის ძველ კაბას და კული შემოუქნია.

დიდი-დედა მარიამა კი შესდგა, შეეშინდა მიტრუას სიტყვებისა და გაშტერებით მზერა დაუწყო.

დიდი-დედა მარიამი აგერ ხუთი წელიწადია, რაც სრულებით მარტოკა დარჩა და ამის ქოხში იმისა და ხატაურას მეტი აღარავინ ჰსუნთქავენ. გაბეზრებული ხატაურას კნავილით კოველ დღე ერთსა და იმავეს გაიძახის: „კატავ, დაჩუმდი, თორემ, დაგკარგავ“, მაგრამ მაინც ვერ დაკარგა...

— ბიჭო, რას ამბობ?.. — შემკრთალი დაეკითხა დიდი-დედა-მარიამი.

— ემაგრე დაჟინებით რო შემოგკნავის, ამოგიკამს მარა?! ხესაც რო შეჰკნაოდეს, გაახმობს, და შენ ხომ ადამიანი ხარ. — რწმენით უთხრა მიტრუამ და კატას კიდევ ფეხები დაუბარტყუნა.

კატა მაინც თავისას არ იშლიდა: კნაოდა და ხან კუდს გაუსვამდა მოხუცებულს ფეხებზე და ხან კიდევ თითონ გაეხახუნებოდა.

— ეს გულ-მკვდარი, აგერ რამდენი ხანია მინდა დავკარგო და ვერ მომიხერხებია!—და ისე ძლიერად ჰკრა ფეხი, რომ კინალამ თითონვე გაგორდა.

კატა კი რამდენჯერმე გადაკოტრიალდა და, როცა ფეხზე წამოდგა, ისე ლმობიერებით შეჰხედა მოხუცს, თითქოს ემუდარებოდა: „მითხარ, რა დაგიშავე, რომ მაგრე უდივრად მომექეციო?“ მაგრამ მოხუცმა ვერ ამოიკითხა მის თვალეში კატის ეს კითხვა. იგი უფრო განრისხდა კატის ამ საქციელით. წამს მოხუცმა თავის სულთა-მხუთავად იცნო იგი და თვალის დაკვესებით სასტიკად დაუქსაქსაქა: „აცხა, შე სამგლევ!“

ხატაურამ უფრო ლმობიერად მიაშტერა თავისი თვალე-ბი მოხუცს და გულის საკლავად შეჰკნავლა.

მოხუცებულს გულს ლახვრად მოჰხვდა მისი კნავილი, ყველით სავსე თეფში, რომელიც ხელში ეჭირა, ესროლა და მიადახა: „შენი თავი ამოიქამე, შე ვერანავ!“

კატა უეცრივ სადღაც გაქრა. დიდი-დედა მარიამის ასეთი საქციელი მიტრუას გაუკვირდა, და ამის ნიშნად კბილები გამოეყარა. დიდი-დედამ კი, ცოტა მოფიქრების შემდეგ, ყველის ნაქრები მიწურ იატაკიდან აკრიფა, თეფშის ნამტვრევებიც შეაგროვა. ცალ ხელში თეფშის ნამტვრევები ეჭირა, მეორეში კიდევ ყველის ნაქრებო. მივიდა განჯინასთან. განჯინის თავზედ მდებარე თეფშზე თეფშის ნამტვრევები დააწყო; გამოტრიალდა, კარებთან მივიდა და ყველის ნაქრები გარედ სტყორცნა.

მიტრუა თვალ-ყურს ადევნებდა დიდი-დედა მარიამის ჩუმ მოძრაობას და კბილებს უფრო გარედ ჰყრიდა. დიდი-დედა მარიამი ჩუმადვე სახე-შეკმუხვნით გატრიალდა კარებიდან განჯინისკენ, ორი ჰური და თეფში მიტრუას წინ გაშლილ ლურჯ სუფრაზე დააწყო და იმას პირდაპირ ჩამოუჯდა.

— ჯამე, შვილო, ნამგზავრი ხარ და გზად მისდიხარ, მოგშიოდა!— ტკბილად მიჰმართა დიდი-დედა-მარიამამ და, პირჯვრის გადაწერის შემდეგ, პური გატეხა.

მიტრუა უეცრივ წამოდგა, შეკავებულ სიცილით სწრაფად უთხრა:

— ცოტა მოიცა, დიდიდედ, ეხლავე მოვალ!— და სწრაფად ფრუტუნით გარედ გავარდა...

მიტრუას ძალიან უყვარდა დიდი-დედა; ჩამოვლახედ თუ ავლახედ უეჭველად შევიდოდა ხოლმე, რაც უნდა ჰჩქარებოდა. ბევრჯელ, ქალაქისაკენ გასასყიდად შეშა რომ მიჰქონდა თავის სოფლელებთან ერთად, ყოველთვის შეიბრუნდა დიდი-დედა მარიამთან და ერთი-ორი წუთით მაინც მიესალმებოდა და კალათით რაიმე ხილს, ან კიდევ სხვა რამე სანოვაგეს მიუტანდა. ამოვლით კიდევ კალათის წასაღებად შევიდოდა და უფრო დიდის ხნობით დიდი-დედასთან ერთად პურსა სჭამდა. პურს, ყველს და, თუ კიდევ რამ ჰქონდა მოხუცებულს, ყველაფერს წინ გადუშლიდა. მიტრუა კი უეჭველად ნახევარ ჩარეკა ღვინოს მოიტანდა ღუქნიდან და ტკბილად, სიამოვნებით შეექცეოდნენ მწირ სადილს, და იმის თანამგზავრი კი ღუქანში ყელთამდის იჭყიპებოდნენ.

მიტრუას უფრო მეტად შეუყვარდა დიდი-დედა მარიამი, როდესაც იმან უკანასკნელი შვილის-შვილი დამარბხა და სრულეებით მარტოდ-მარტო დარჩა. მაშინ სულ თვრამეტის წლისა იყო. დასაფლავებაზე დაესწრო თავის დედით და დედას კიდევაც უთხრა: „დედი, ეხლა დიდი-დედა მარტო დარჩა... ჩვენ აქ დავრჩეთ, ან არა და ჩვენთან წავიყვანოთო“, მაგრამ დედა დარჩენაზე არ დასთანხმდა და დიდი-დედა კიდევ— წასვლას. როდესაც მიტრუამ თავის განზრახვა უთხრა დიდი-დედას, იმან გარდაწყვეტით უპასუხა: „არა, შვილო, სირცხვილია ჩემი ქმრის კერა გავაცოცხოვო“, და როდესაც ამის საწინააღმდეგოდ მიტრუამ უპასუხა: „როცა მოჰკვდები, მაშინ ხომ გაცივდებაო“, დიდი-დედა მარიამმა სწრაფად სიტყვა მოუჭრა: „შვილო, მე

ჩემ მოვალეობას შევასრულებ და ჩემ შემდეგ რაც მოხდება, ეგ შე აღარ მეკითხებაო!..“

ამის შემდეგ მიტრუამ ხმა აღარ ამოიღო და დედით თავის სოფლისკენ გაემგზავრა...

აგერ ხუთი წელიწადი გავიდა ამის შემდეგ და მიტრუას სიყვარული დიდი-დედისადმი უფრო ცხოველდებოდა, თორემ კი არ აკლდებოდა.

თითქმის ყოველგვარი სანოვაგე მოჰქონდა მიტრუას დიდიდედა მარიამისთვის, თუმცა იმას რამდენიმე გროში ებადა და სიმშლით არ მოკვდებოდა. „ენაცვალოს დიდი-დედა მიტრუას, ჩემი მანუგეშებელი ეგ არისო!“—თითქმის ყოველ დღე ამბობდა და ღმერთს ევედრებოდა, რომ მიტრუას დღეგრძელობა მიჰნიჭებოდა...

მიტრუა ჩქარა დაბრუნდა. შემოიტანა თან ხელადით ღვინო და ქალაქში გახვეული ყველის, დოშის და ზურგიელის ნაჭრები და სუფრაზე დააღაგა.

დიდი-დედა მარიამი მიტრუას მოსვლისას ისევ-ისე იჯდა, როგორც წასვლისას, და გადატეხილი პური ისევ ხელში ეჭირა...

— შეილო, ყველი რაღად გინდოდა, აი, აქ არ არის?!— სთქვა დიდი-დედამ და თეთვის ნამტვრევებს ხელი წაავლო, მაგრამ იგი შეკრთა.

მიტრუამ ხარხარი დაიწყო. ცოტა განცვიფრების შემდეგ იმანაც ხარხარი დაიწყო, რაკი თავის შეცდომა მოაგონდა...

— უი, მოგიკვდეს, შეილო, დიდი-დედა, თეთვის ნამტვრევები მომიტანია!.. სიცილით იმეორებდა მოხუცი: ი წყეულმა კატამ...

— მიაუუუ!..— კარებს უკანიდან გამოჰკნაველა ხატაურამ და წყვილი თვალი შეაბრიალა.

სწრაფად შეეცვალა დიდი-დედა მარიამს სახის გამომეტყველება. ხარხარი უეცრივ შესწყვიტა, რამაც მიტრუასაც შეაწყვეტინა, და წამს კანკალმა აიტანა...

— დიდი-დედა, მა კატას ყელზე ქვას შევაბამდო, შენც რო ვიყო, და წყალში გადავადგებდი. რა, შენი ქირიმე, მდინარე აქ არ არის! ერთ მხარეს არაგვი ჩამოგიდის და მეორეს კიდევ მტკვარო. რომელშიაც გინდა გადავადო, ორივე დააღრჩობს.

— მიტრო, რას ამბობ?!— განცვიფრებით დაეკითხა დიდი-დედა.

— შენ რო ამოგიქამოს, კარგი იქმნება?!— უთხრა მიტრუამ და ერთი კაი ლუკმა პირში ჩაიღო.

კატა ამ დროს კარებს უკანიდან გამოვიდა და ზმორებით და კნავილით თანდათან უახლოვდებოდა დიდი-დედა მარიამს, რომელიც გაშტურებით თვალ-ყურს ადევნებდა და ყოველი კატის ნაბიჯს, მისი ნაზი რხევა ეკლად ესმოდა გულს.

— აცხა!..— უეცრივ იკივლა, ფეხიდან ჩუსტი წაიძრო და ესროლა.

კატა უეცრივ გარედ გავარდა.

— არა, დიდი-დედა, შენ მაგრე ვერ მოიშორებ. ისა სჯობია, ჩემს რჩევას მიიღო.

— რას ამბობ, შვილო, საიქიოს ამ ჯანის პატრონს სად შემიძლიან ცხრა საყდარი ავაშენო? *)

— თუ შენ გეშინიან, მე მომანდე.

— შვილო, რას ამბობ, ხომ მე მოგანდობ და მაინც მე მომეკითხება მაგის სიკვდილი.

— ეწლა რაც გინდა, ის ჩაიღინე! ე ხატაურა კი ისე შემოგყნავის, რო ამოგიქამს.

— იცი, შვილო, რას გეტყვი, — კატა ჩაფიქრების შემდეგ მიჰმარტა მოხუცმა:— მა კატას კალათაში ჩაგისვამ და პირს გადავაკრამ, თან წაიყვანე და ქალაზე რო აიარო, გაუშვი.

*) არაგვის ხეობაში ხალხი იმ რწმენისაა, რომ კატის მომკვლელს საიქიოს ცხრა საყდარს ააშენებინებენ მოსახანნიებლად, და თუ ვერ ააშენა, ჯოჯოხეთში თავდაყირა ჩააგდებენო.

გაგარეულდება, საზღოს თითონ იშოვის და მეც აღარ მომეკითხება.

— როგორც გინდა?..

— მიაუუუ!..— კარის ზღურბლს ერთი ფეხი შემოდგა და ღმობიერად შემოიკნავლა.

კატა გონს ვერ მოსულიყო, თუ მისი მოხუცი პატრონი მაგრე არა ჩვეულებრივ სასტიკად რად მოექცა. კატას გულის მეტი არა სტკენია რა მოხუცის გაჯავრებით და ამისთვის უფრო დაჟინებით დაუწყო მოხუცს კნავილი, რომ გაეგო რაიმე მიზეზი...

რაკი დიდი-დედა მარიამმა საშუალება მოიგონა თავის სულთა-მხუთავის დაკარგვისა, გამხიარულდა და მისი კნავილი აღარად მიიმჩნევა. გამხიარულდა, კიდევაც მიეაღერსა ხატაურას და ჩვეულებრივ ალერსით სუფრაზე მიიპატიჟა:

— მოდი, ჩემო ფისო... ფისო.. ჩემო!..

კატა მთლად დადნა, რომ თავის პატრონის ალერსიანი ხმა კვლავ გაიგონა და გრეხა-კლაკენით და კნავილით მიუახლოვდა თავის მფარველს, თუმცა მისი თვალები უკვე უნდობლად იყურებოდნენ...

როცა იატაკზე დოშის ნაჭერი გადმოვარდა, მაშინ ხატაურა მთლად გამხიარულდა და კრუტუნით ჭამას შეუდგა...

გამხიარულდა დიდი-დედაც. მიტრუამ და იმან თანაბრად გამოცალეს ხელადა. ორივე შექიკვიკდა. ხატაურაც ხანდისხან უერთებდა თავის კნავილს მათ ქიკვიკს. ეკლად აღარ ესმოდა ხატაურას კნავილი. დარწმუნებული იყო, რომ მოიშორებს თავის სულთამხუთავს მწვადისა და შამფურის დაუწვევლად...

— მიტრო, ჩემი სული და ეს კატა!— თითქმის მუტაში სული ჩაუბერა, როდესაც პირგადაკრული კალათა სადილ შემდეგ ხელში მისცა და გამომშვიდობებისას ჩაჰკოცნა:— ჭალაში გაუშვი!

— ნურა გეფიქრება-რა, დიდი-დედო!— ღიმილით უთხრა მიტრუამ და სახრეს ხელი წამოავლო.

დიდი-დედა მარიამა, როცა მიტრუა გარედ გავიდა, დაბნევით აქეთ-იქით მიიხედა, მიათვალ-მოათვალიერა და ტახტზე მუთაქა გაასწორა. ჩქარა გულიანი ხვრინვა ამოუშვა.

II

მზე კარგად გადახრილიყო, როცა დიდი-დედას გამოვლვიდა. გამოვლიძებისას რამდენჯერმე დაამოქნარა, ყოველ დამთქნარებისას პირჯვარი გადიწერა და ბოლოს წამოილაპარაკა:

— ქა, ი პირ-შავმა, რანაირად გამომათრო?!

გადმოცურდა ტახტიდან, ლიტრიდან ცალ მუქზე წყალი დაისხა და ჩამომხმარ ლოყებზე შეიშხაპუნა...

მთელ საღამოს გარედ დადიოდა დიდი-დედა მარიამი. ხან ერთ მეზობლის კარს მივიდა, ხან მეორისას; მაგრამ ერთი წუთის მეტს არც ერთგან არ დამდგარა. მისალმებას ვერ მოასწრობდა, რომ მაშინვე წამოიძახებდა: — „უი, ქა, სახლი კარგამოკეტილი მაქვს!“ და გამოტრიალდებოდა; მივიდოდა თავის სახლში, მიიხედ-მოიხედავდა ეზოში, კარებს შეაღებდა, იქაც მიტრიალდ-მოტრიალდებოდა, თითქოს დაეძებს რასმეო, საჩქაროდ უკანვე გამობრუნდებოდა, გამოიკეტდა კარებს და ეზოში ქვაზე ჩამომჯდარი წამს მატყლის წინდების ქსოვას დაიწყებდა. არც ეს ართობდა დიდი-დედა მარიამას. საჩქაროდ წამოდგებოდა და ისევ მეზობლებისკენ ვაემგზავრებოდა; თან აქეთ-იქით მოუსვენრად იხედებოდა...

დიდი ხანია ნახირი მოვიდა. ძროხები დაწველეს, დაბინავეს და თითქმის ბევრი კიდევაც დაწვა. სოფელში ხმაურობა მისწყდა და მხოლოდ ძალღი თუ-ლა წამოიყეფდა და ორ დიდი მდინარის განუწყვეტელ ერთ გვარ ხმაურობას შეუერთებდა, ან კიდევ ძუძუ-მწოვარა ბავშვი წამს დაიკვილებდა, დაიწყებდა ჩხავილს, რასაც აკვნის აჩქარებული რწევა და ქალის „სუუუ“ და „ნანა, ნაანანა“! მოსდევდა, თორემ სხვა არა არღვევდა-რა სოფლის მყუდროებას...

დიდი-დედა მარიამი ჯერ ისევ თავის ეზოში დაფრტუ-
ნებდა და ხან ერთ მხარეს შესდგებოდა და სმენად გადიქცეო-
და, თითქოს უნდოდა გაეგონა რამ, მაგრამ, დრო გამოშვებითი
ძაღვების ყეფისა და ბავშვების ჩხაილის მეტი არა მოისმოდა-რა;
არაგვი და მტკვარი კიდევ ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ...

„არა, არა!... ღმერთო!... არა, არა!“—ბუტბუტებდა მო-
ხუცი და სულ ერთსა და იმასვე გარძახოდა, დაეძებდა რაღა-
საც და თითონაც ვერ გაეგო—რას; ვერ გაეგო, თუ რა უნდო-
და. ძაღლი დაიყეფებდა, თუ ბავშვი დაჩხავლებდა, ყველაზე
„არას“ ამბობდა; არაგვის ღრიალს ხომ აღარც კი ამჩნევდა.

მოხუცი მოელოდა რილასიც გაგონებას, რაღაც ნაცნობი
ხმისა, გული უკვნესდა, რომ არ ესმოდა, სახლშიაც ვეღარ
დგებოდა, რამდენჯერმე შეიკეტა კარი, გაშლილ ლოგინში
ჩაწვა, ერთი ორჯერ კიდევაც გაიხადა ტანს, მაგრამ ისევ ჩა-
იცვა და გარედ გამოვიდა. სახლში გული არ უდგებოდა,
სუნთქვა ეხუთებოდა და არ ეძინებოდა; ეზოშიაც ასე მრ-
უსვენრად დადიოდა და იმედო ჰქონდა დამშვიდებისა, მაგრამ
აგერ მამალმაც იყივლა, რომ მაინც ვერა დავერ დამშვიდდა.
გული ისევ უკვნესდა. ისევ რილასიც გაგონებას მოელოდა.
რისას?...

რომ სცოდნოდა, ხომ ამდენს აღარ იწუხებდა, ან კიდევ
სხვა რასმეს მოიფიქრებდა იმის შესახებ. ისა ჰკლავდა მოხუცს,
რომ არ იცოდა, მისი გული მოუსვენრობდა, თორემ რომ
ჰსცოდნოდა, რა უშავდა. ლოგინში მაინც ჩაწვებოდა და იქ
იფიქრებდა, თორემ აგერ პირველმა მამალმაც იყივლა და ეს
კი ხან ეზოში და ხან კიდევ ეზოს გარედ ფეხ-აკრებით ქურდსავით
ხან იქ გაჩერდებოდა და ხმარობაზე ყურებს ჰსცქვეტს, და ხან კი-
დევ აქ...

— ღმერთო, ხომ არ ვვიუღებო!..—სასოწარკვეთილებით
წამოიძახა დიდი-დედა მარიამმა და იქავე ეზოს კარებთან დაჩ-
ჩოქა...

— მიაუუუ!..—მაწანწალა კატამ იქავე ეზოს გარედ მო-
ხუცის ხმაზე წაიკნაველა და სწრაფ შესდგა.

— ჰაა?! — წამოიკვილა მოხუცმა და ეზოს კარი კანკალით გააღო.

— ფისო, ფისო!.. — მაშინვე დაიწყო ხმის კანკალით სიყვარულით ძახილი მოხუცმა და ხელებიც კი წაატანა კატას, რომ აღტაცებით გულში ჩაეკრა, მაგრამ კატამ ეჭვით შეხედა, წამს კუდი გააცანცარა და ფიცხლაჭ გაჰკურცხლა.

მოხუცებულს მოსახვევენად გაწვდილი ხელები ისე დაჰრჩა. გულის ჩქროლვა სწრაფ შეუდგა. ეხლა აღარას ეძებდა; მოუსვენრობა, თითქოს წისქვილის წყალი გადუგდესო, ჩამოეცალა. მიჰხვდა, რომ ამოდენა მოუსვენრობა, ძებნა მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ თავის ხატურას კნავილო აღარ მოესმოდა; მისწყდა მისი კნავილი...

ხუთი წლის განმავლობაში, რაც მარტოდ-მარტო დარჩა, მის სახლში მხოლოდ კატის კნავილი, მის ხატურას კნავილი გაისმოდა; შეეჩვია მის კნავილს, არად აგდებდა მის კნავილს და მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ხატურას კნავილი მისი სიცოცხლის ნაწილს შეადგენდა, რის დაკარგვაც მხოლოდ ეხლა ემწვავა, საგრძნობიერი გახდა...

ცხადად დაინახა მოხუცებულმა, რომ ვიღაცის ჰრელით კატა სიბნელეში ჩაინთქა, რომ იგი მისი ხატურა, ყომრალი, გრძელ ბალნიანი არ იყო, და გაწვდილი ხელები ჩამოუცვივდნენ.

ბარბაციო თავის ქოხში შევიდა და კარი-მიჯახუნებით ჩარაზა..

მოუსვენრობა, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინ აღრჩობდა, სრულებით ჩამოეცალა, და მოქანცული თვალებით მიაპყრო, ეგონა გარედგან სანუგეშო რამ შემოიქყეტლა, მაგრამ მის თვალებს სარკმლის მინების მაგივრად გამქვარტლული ქალღმერთის მეტი არა მოეჩვენა-რა. მიიხედ-მოიხედა და მღრჩილავ ლამპრის შუქზე კვამლით შემქვარტლული, ეამთა ვითარებისგან დაღმეკილი, როგორც მისი სხეული წაეჩხირა თვალებში. სუყველა კედლებიც და ოთახის მორთულობაც, თუკი მორთულობას შეადგენდა ტახტი და განჯინა, ისევ ძველ-

ბურად გამოიციკირებოდნენ და კი არას ამბობდნენ. ბევრს რამეს ეუბნებოდნენ მოხუცს, მაგრამ უსიტყვოდ, მუნჯად; ხმას არც ერთი მათგანი არ იღებდა.

უეცრივ სიჩუმემ ყურებში ჩაჰჩურჩულა და სხეულის ყოველ ნაწილში გაუბრინა.

მოხუცებული შეჟრჟოლდა, შეეშინა მარტოობისა და მუხლ-მოდრეკილი ხმა-მალღივ ღმერთს შეევედრა: „თაგვები მაინც აამოძრავეო“, რომ თავის ხმით ქოხი აეხმაურებინა და ყურები ცქვიტა, თითქოს თავის ვედრების შესრულებას მოელოდა; მაგრამ ხატაურას კნავილით გაფანტული თაგვები მაგრე სწრაფად არ დაუბრუნდებოდნენ...

ისევ სიჩუმე გამოეხმაურა. კიდევ გაჟრჟოლდა, საჩქაროდ ლოგინში თრთოლით ჩაწვა; საბანი თავ-პირზე წაიხურა და თვალეზე ყურებში ცერა თითების დაცმით მიიჭირა. ჰფიქრობდა, ამ საშუალებით გავდეინი სიჩუმესაო, მაგრამ ცერა თითების ქვეშ, ყურის სიღრმეში უჩურჩულებდა, თითქოს უეცრივ დაცმით იქ ჩაჯუჭკვილიყო სიჩუმე. მაგრამ ამავე დროს თვალეზ წინ წყვდიადით მოცული სივრცე გადექიმა, რომელშიაც მბრქყვინავი წერტილები გზა-დაბნელსავით დასრიალობდნენ, დაცურავდნენ. მოხუცს ბრქყვიალა წერტილების სრიალ-ცურვა თითქოს მოეწონა, რომ ყურებიდან ცერა-თითები გამოიძრო, რის შემდეგ უშილი დაუწყა ყურებში, თითქოს მდინარე უშისო, და თვალეებიდან კი თითები არ მოიშორა...

წამს გაიტაცა ამ წერტილების მოძრაობამ და სრულებით აღარა ეყურება-რა. ჰხედავს მოხუცი, როგორ ამოჩნდება წერტილი სადღაც შორს, ჯერ ოდნავ გაარღვევს თავის მბჟუტავი შუქით წყვდიადს, ჩქარა სხვა წერტილებსავით დაიწყებს ბრქყვიალს; ჯერ ოდნავ ამოძრავდება, ოდნავ მოცურავს, არღვევს წყვდიადს, გზაში მაგრევე ამოძრავებული წერტილი ჰხვდება, ნელად, უჩუმრად წყვილდებიან, უჩინრადვე ერთდებიან; მოხუცი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს. ეხლა უშილიც კი აღარ ესმის. მხოლოდ ამ სურათმა ჩანთქა მისი გო-

ნება. წერტილი თან-და-თან უმატებს სიჩქარეს. მოხუცი ხან ზევით სწევს თავს და ხან ქვევით, იმის მიხედვით, თუ ბრქვევია-ლა წერტილი ქვევით მიცურავს, თუ ზევით. წერტილი უეცრივ ეღვაზედ უმაღლ უეცრივ მოსწყდებოდა, გასრიალდებოდა და ისევ უეცრივ შესდგებოდა იქ, სადაც მრავალი იმისთანა წერტილები ჯგუფათ ოდნავის მოძრაობით ირეოდნენ. აქ კი მოხუცი სხვა წერტილებში ვეღარ არჩევდა ახლად შეერთებულს.

მოხუცებულისთვის რომ ამ წამს თვალი გედევნებინათ, უეჭველად, შეამჩნევდით, თუ იგი როგორ უძრავად იწვა, თითქმის სუნთქვასაც ვერ შეამჩნევდით, მხოლოდ მის შუბლის წარბებიდგან დაწყობილი კუნთების მოძრაობით-ლა იგრძნობდით, რომ იგი ცოცხალია. წერტილის მოძრაობას ასდევდნენ მისი შუბლის კუნთების მოძრაობაც. კუნთებიც აგრეთვე სწრაფად, როგორც წერტილები, ხან ზევით აიქმუქნებოდნენ და ხან კიდევ ქვევით...

როცა ერთ წერტილს მიიყვანდა საზოგადო ბანაკამდის და აპრევდა ბანაკში მოძრავ წერტილებში, ახლა სხვა წერტილი აბჟუტდებოდა, იმასაც კიდევ მიიყვანდა ან ზევით, ან კიდევ ქვევით ბანაკში და ხელ-მეორედ დაუწყებდა ახლად აბჟუტებულ წერტილს დევნას.

აგერ სადღაც, შორს, წყვილიადის კიდეს ოდნავ აბჟუტდა წერტილი. სწრაფ მისი თვალის მხედველობა იმ წერტილს ჩააშტერდა. ამოძრავდა სხვა წერტილებსავეით. შორი გზა ჰქონდა ამ წერტილს ბანაკამდის, გზა და გზა ბევრი სხვა წერტილები აბჟუტდნენ, უერდებოდნენ; დიდდებოდა. თან და თან წერტილის სახე დაჰკარგა და ბრქვევიალა ბურთს დაემსგავსა. მოძრაობა მაინც არ მოჰმატებია. ბურთი სხვა წერტილებს შეჰხვდა, გაგრძელდა, ყურებსავეითაც მიასხდა წერტილები; იმან სახე იცვალა და... ღმერთო, ეს რა არის?! მოხუცებულმა სული გაკმინდა, სუნთქვა შეაყენა. ეშინოდა, ოდნავის მოძრაობითაც არ შეეჩერებინა ამ სანახავის თანდათანობითი ცვლილება...

მმოძრავი წერტილები თავისას არ იშლიდნენ, სწრაფად უერთებოდნენ ერთმანეთს და... ღმერთო, ღმერთო, ეს ხომ ხატურაა?! აგერ არც კი მოცურავს! მოდის თავისებურად: ზნექით და ქნევით... სიარულს აუჩქარა, პირიც დააღო, უნდა დაიკნაველოს... ბალანი აიბურძენა, თვალები უფრო დააქყიტა და მოსწყდა ადგილიდან... წერტილებსავით ისაც უეცრივ ისარსავით გამოსრიალდა და პირდაპირ თავპირში შეებნა...

— ღმერთო, ღმერთო!.. — მადლობა შესწირა ლოგინში წამომჯდარმა მოხუცმა, რომ მშვიდობით გადაჰჩა და სული არ ამოჰხდა.

გული ჯერ ისევ აჩქარებით უცემდა. თვალი მიაგლ-მოაგვლო გარეშემოს და ისევ ის სურათი წარმოუდგა. მღრჩოლავ ლამპრის შუქზე...

— იმ პირ-შავმა, როგორ გამაბრწყვა, — წაიბუტბუტა კოტა ჩაფიქრების შემდეგ: კატა რაზე დამალუპვინა?! — და საცვლების ამარა გარედ გავიდა ოთახში გული აღარ უდგებოდა...

ალიონს უკვე ისარი ეკრა ცისათვის. მედიდური მთებზე მედგრად გამოკვეთილიყვნენ და, თბიქოს ქვეყანას მედგრად ამცნევდნენ: ჩვენ... ჩვენ არა შეგვაშინებს-რა; ბევრო ქარბუქი დაგვტეხია თავს, აი ეს არაგვი და მტკვარი ხომ დღემუდამ დაგვჩხავიან და ნელ-ნელა ცდილობენ ძირი გამოგვი-თხარონ, მაგრამ ვერა და ვერ, ვერას დაგვაკლებენ; ჩვენ ვიცნობთ ჩვენ ფესვებს; წარღვნაც რომ მოვიდეს და ჩვენ წავვლევოს, ჩვენი ფესვები მაინც აღრე თუ გვიან აღმოაცენენ ჩვენს მგზავსსო!..“

მოხუცებულმა მითარ-მოთარა ეზო, რამდენჯერმე ყურები ცქვრტა; მაგრამ სასუველი ხმა ვერ გაიგო, კარებთან მოწყვეტით ჩაიჩოქა და მხურვალედ შევედრა ღმერთს, რომ დაემშვიდებინა: წამს კიდევაც უნდოდა წმინდა სანთლები წაეღო და საყდრის კარებთან აენთო, მაგრამ სახლში შესვლისა ეშინოდა. ისევ აქ ლოცვა ირჩივა.

მხურვალე ლოცვის შემდეგ ვადასწყვიტა: „ხვალ გამრავლებულ ოჯახს ვსთხოვ, ერთი ხმის გამცემი პატარა ბავშვი ჩემსას დააწინოს. ხომ კატა თავის კნავილით და კრუტუნით მაქნევებდა და ასეთი გამოყრუება, მარტოობა არ მიგრძენია, როგორც დღესაო“ და თითქმის სულ დამშვიდებული, თუმცა სახლში შესვლა კიდევ ვერ შეებდა, კარებთან ჩაჯდა, თავი ზღურბლზე მიდო და მოქანცულს საჩქაროდ თვალები მიელოლა...

მოხუცებულის გახურებულ სხეულს განთიადის გრილზე უფრო ცივი ნიავი წყლულის გამომშვეებ. ნესტრად მოჰხვდა და სულ მიბნადა, სასიამოვნოდ მოაუძლოურა და მიაძინა. იმის მოფიქრებაც აღარ დააცადა, რომ იგი საცვლების ამარა იყო, და, განთიადს რომ თავისი სხივები მიეყენებინა, ყველა გამვლელ-გამომვლელი დაინახავდა.



დიდი-დედა მარიამი წამოხტა. თვალებ-ანთებული შინ წმევარდა, გაფაციცებით ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო და თან ბუტბუტებდა: „ღმერთო, ღმერთო, შენ მაპატიე!.. უნებური შემცოდავი გავხდი ამ სიბერის დროს!..“

როგორც იყო, კაბა ჩაიცვა, თავშალი მოიგდო და თავშალით და თავის ჯოხით კარი მაგრად გამოირაზა...

სოფელი ამოძრავებულ-ახმაურებულიყო: იქ ხბო ბლალდა და ყელზე წაბმულ თოკს ებრძოდა, რომ კისერი გაენთავისუფლებინა, იმაზე არა ნაკლებად მბლავან ძროხას, თავის მშობელს ძუძულებში ჰძგერებოდა და თავი ცმუკვით ებრაგუნებინა დედის ცურისთვის; აქ კიდევ მოისმოდა კარის ქრიალი, საწველის გამორეცხის ხმაურობა, მამლის რუკ-რუკი, დედლის კრიახი და ლორების თავის გოჭებით ღრუტუნ-ჭყვიტინი; აგერ, რამდენიმე მანდილოსანი და გოგოები მხარხედ კოკებით წყლისკენ მიდიან და წყნარად, ტკბილად მილაპარაკობენ; შენახირე, მეხბორეც ორიოდ გამხმარ პურით გულა წამო-

კიდებულები ბრანძით შემოსილები სანახირე-სახბოროსკენ მიეშურებიან...

დიდი-დედა მარიამს არა ეყურებოდა-რა. თავის ეზო გამოვლო თუარა, წინ ჩაფარი ორი ცხენით შეეფეთა, რომელსაც წყლისკენ მიუდიოდა ცხენები. სხვა დროს ყოველთვის ცნობილობდა ბოქაულის ცხენს, ჩაფარს, რომელიც ყოველთვის სალამს აძლევდა ხოლმე და კიდევაც ხუმრობით გამოელაპარაკებოდა.

ეხლა კი მოხუცებულმა ვერც კი შეამჩნია ჩაფარი ბოქაულის ცხენით, არც იმის სალამზე პასუხი გასცა; არ შეუმჩნევია არც გზირი და მამასახლისი, რომლებიც ხელ-გადახვეულები და თვალეზ-ჩასისხლიანებულები სმისა და უძილობის გამო მობარბაცებდნენ; არ შეუმჩნევია დიდი-დედა მარიამს არც მონაზონი, რომელიც ერთ მასწავლებელ ქალთან ერთად ყოველ ნაბიჯზე მოწიწებით პირჯვრისწერით მოდიოდნენ ცისკრის მოსასმენად; „გულ-წრფელია მათი მოწიწება და პირ-ჯვრისწერა, თუ არა“? — ყოველთვის ეკითხებოდა დიდი-დედა მარიამი, როდესაც მათ დაინახავდა, და ჩაფიქრდებოდა ხოლმე...

მაგრამ დღეს არავინ შეუმჩნევია, თუმცა ყველამ სალამი უძღვნა და ყველამ გაკვირვებით თვალი გააყოლა, რაკი სამაგიერო არ მიიღო. დიდი-დედა მარიამი კი გამალებით, რა სისწრაფითაც მოხუცებულებს შეუძლიანთ სიარული, და ჯოხის ბარტყუნით მიეშურებოდა და გონებიდან არ ჰშორდებოდა სიზმარში ნანახი სურათი. აგერ ეხლაც მის გონებას გადაეშალა სიზმარში ნანახი სურათი: იგი არაგვის დიდ-შორევის ძირას წაწოლილა, მისი ხატაურა ფეხებს ფარჩხავს, ოთხივე ფეხებით ყელს იკაწრავს; რომ ყელზე შებმული ბაწარი მოიშოროს, მაგრამ ამარდ; ყოველივე ამის მოწმედ მნახველად ეს არის; უნდა მიეშველოს, მაგრამ ხელები, სხეული არ ემორჩილებიან...

— ღმერთო, ღმერთო, ნუ წამწყემდ!.. — პირჯვრის წერით წამოიძახა ეხლაც, როგორც პირველ გამოღვიძებაზე, და სიარულს უფრო აუჩქარა...

გასცდა დიდი-ღვდა მარიამი ბებრის ციხეს; სიარულს არ უკლებდა. მისი სურვილი იყო, ჩქარა მიტრუა ენახა და თავის ხატაურას ამბავი ეკითხა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი შეეცყო...

სჯეროდა, რომ მიტრუა მის თხოვნას შეასრულებდა, მაგრამ ეს სიზმარი რაღა იყო?!

„ნუ თუ იმ პირ-შავმა ჩემი თხოვნა არ შეასრულა და დამღუპა?!“—ყოველ პირველ აზრს ეს საეჭვო კითხვა გაუელვებდა ხოლმე თავში, სხეული სულ ეწვოდა ამ კითხვაზე და სიარულს კიდევ უფრო უმატებდა.

ეხლა მისი სურვილი იყო, დროით ასულიყო მიტრუასთან და ყოველიფერი გაეგო; სხვა აღარა ახსოვდა-რა. ერთ წამსაც არ მოჰგონებია თავისი სასოწარკვეთილება და შიში სიჩუმის წინაშე, თავისი მოუთმენლობა. ეხლა მხოლოდ საიქიო აშინებდა ხატაურას ხვედრის გამო...

კოდა ხეცს რომ მოუახლოვდა, გული ყელში მოებჯინა ჩქარი სიარულის გამო და სუნთქვის მოსაბრუნებლად იქვე ბოჯირის ყურეს მიესვენა. მეტი მოძრაობა აღარ შეეძლო, ისე შეეხუთა სუნთქვა...

სხვა დროს რომ აქ შემდგარიყო დიდი-ღვდა მარიამი, უეჭველად ყურადღებას მიაქცევდა არაგვის ხმაურობას, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავდა, დაინახავდა ზედაძნის მთას, ჯვარ-პატიოსანს, აუცილებლივ პირჯვარს გამოისახავდა და გულ მხურვალედ შეავედრებდა თავის ეულ სულს; მაგრამ ეხლა აღარას ამჩნევდა; თვალ-წინ მხოლოდ ყელზე ქვა-შებმული და ფეხებ მფარჩხავი ხატაურა უდგას და ტანში ჟრუანტელი უვლის...

აგერ, ამ წამსაც მის გონების თვალ წინ გაიხლავდა ხატაურა, მისი სხეულიც შეიკუმშა და მწვავედ...

— მიაუუუ!—ამ დროს შემოესმა ნაცნობი ხმა, ხატაურას კნავილი და სხეული მწვავედ კი არა, სიხარულით, სიამოვნებით გაეშალა და იქით გადიხნიქა, საიდანაც კნავილი მოესმა.

თავის თავს არ დაუჯერა დიდი-ღვდა მარიამმა. მის გონების თვალ-წინ კი არა, ნამდვილის თვალის წინ, გზა-ტყე-

ცილის პირას ხატაურა, მისი ხატაურა ზურგ აკუხული იდგა და კულის ოდნავ ქნევით ღმობიერად შეჰსცქეროდა იმას...

— ფისო, ფისო!.. ჩემო მშვენიერო!.. — აღტაცებით გაიძახდა დიდი-დედა მარიაში და ორივე ხელებს წინ მოსახვევად იწვდიდა.

— მიაუუ, მიაუუ!.. — მოკრძალებით კნაოდა ხატაურა და მთელი სხეულის ხლაკვნით თან და თან ოდნავის მოძრაობით იწევდა აღზნებულ დიდი-დედა მარიაშისკენ, რომელსაც მთრთოლვარე მკლავები მისკენ გაეპყრო და მთრთოლვარედვე ოდნავის ნაბიჯით, რომ კატა არ დაეფთხო, მისკენ მიდიოდა...

17

დიდი-დედა მარიაში ისე მედიდურად მოდიოდა შინისკენ, რომ ჯოხსაც არ იბჯენდა. არც ჩვეულებრივ მუხლების ღონებას ჰგრძნობდა. გაბრწყინვებულის სახით გამვლელ-გამომვლელს საღაშს აძლევდა და თან ხატაურას გულში იკრავდა. ხატაურაც ეხუტვოდა გულში და ალერსით ხან კუდს გაუხახუნებდა პირზედ და ხან კიდევ მთლად თავის თავს მოისრესდა მის ჩამომხმარ ლოყებზე, ცხვირ-პირზე, შუბლზე. ხატაურას ამგვარი მოქმედება სიხარულით ავსებდა მოხუცებულის ჩამომხმარ სხეულს და, სიყვარულით აღზნებული, თითქოს თავის პირმშოს, გაგიჟებით ჰკოცნიდა ხატაურას..

კარი მხიარულად შეაღო და მაშინვე განჯინიდან გამოულაგა ყველის ნაჭრები, დოშის და ზურგიელისა..

ხატაურა გაგიჟებით ეძგერა ნაჭრებს და ერთს მეორეზე ჰგლეჯავდა.

მოხუცებული კი აწვდიდა ნაჭრებს და თან მხიარულად ეჩურჩულებოდა:

— ჯამე, ჯამე, ჩემო ლამაზო, მშვენიერო, ჩემო მხსნელო, მოგშიოდა!.. ჰოო?! ჰო, აი კიდევ, კიდევ ჯამე! რატომ თავი

მალლა აიღე?!. აღარ გინდა, ჩემო კეკლუცო?.. ჰო, ჰო, ვიცი, რაც გინდა!

ამ სიტყვებით ჯამზე წყალი დაუსხა და წინ დაუდგა.

— დალიე, მშვენიერო!.. აი, მოგიკედეს დიდიდედა, რომ ასე გაგწირა და მთელი ღღე და ღამე მშიერ-მწყურვალი დაგტოვა!..

კატამ კი ნაზად ცალი ფეხი ჯამის პირზე შესდგა და კუდის ოდნავის ქნევით წყალს ენით სლაპა დაუწყო. დრო გამოშვებით თავს მალლა იღებდა, ოდნავ წაიფრუტუნებდა და ისევ წყალს დაუწყობდა სლაპას...

ამის შემდეგ ხატაურა და დიდი-დედა მარიამი განუშორებლები იყვნენ. სადაც უნდა წასულიყო დიდი-დედა მარიამი, ხატაურა უეჭველად თან მიჰყვანდა. ბავშვსავით გულზე მიიკრავდა და ისე დაიარებოდა. ღამე კიდევ თავისთან იწვენდა. ეხლა სრულებით აღარ ეშინოდა მარტოობისა, სიჩუმისა. თვალს გაახეღდა თუარა ღამე, ხატაურას ხრუტუნის ესმოდა. სიჩუმე უფრო აღარ ეჩურჩულებოდა. გადუსვამდა ხელს, აკოცებდა თავში, რის პასუხად ხატაურა უფრო წაიკრუტუნებდა, ზარმაკად ოდნავ გაიზმორებოდა, და ორივე ისევ ძილს აძლევდნენ თავს...

ეხლა სოფელში დიდი-დედა მარიამს ვინც დაინახავდა, ყველა იმას გაიძახოდა: „აგერ, დიდი-დედა მარიამი თავის ხატაურათი მოდისო.“ ვინც ხატაურას ახსენებდა, უეჭველად, დიდი-დედა მარიამიც გაახსენდებოდა და, თუ დიდი-დედა მარიამს ახსენებდნენ, ხატაურაც უეჭველად მის მკერდზე გამოეხატებოდათ, ისე შეეჩვივნენ სოფლელები ორივეს ერთად ყოფნას.

კვირა უქმე ღღეს წირვა-ლოცვის. დროს მისი მეზობლები საყდარში მიდიოდნენ, უფრო მოხუცებული მანდილოვნები, ისაც მისდევდა იმათ; ყველანი საყდარში შედიოდნენ, ის კი საყდრის კარებთან ასანთით ყვითელ სანთელს აანათებდა და იქავე მიაკრავდა. წირვისა, თუ ლოცვის გამოსვლამდის კარებთან იდგა და გულ-მხურვალედ ლოცულობდა.

თან კიდევ ღმობიერად ხელს უსვამდა ხატაურას, რომელიც სიამოვნებით, თითქმის, სულ დნებოდა. ყველა ჰხედავდა, რომ დიდი-დედა მარიამი საყდარში ვერ შედის, მხოლოდ კარებთან დგება და იქ ლოცულობს; თან ხატაურას თავს არ ანებებს. ამ გარემოებამ სოფელში კუდიანობის ხმა დაუგდო...

„რატომ საყდარში არ შედის, თუ კუდიანი არ არისო?!“ — იმეორებდნენ სოფლის დედაკაცები და დრო გამოშვებით მამაკაცებიც. მოზარდნი ხომ იალბუზის მთაზედაც მიაჭენებდნენ ხატაურაზე შემჯდარ დიდი-დედა მარიამს და მის დანახვაზე შორს გარბოდნენ: ეგონათ, რაიმეს წასცხებდა და გააკუდიანებდა იმათაც.

მღვდელმაც კი მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება. მივიდა და შორიდან დაუწყო ლაპარაკი, მერე ხატაურაზე გადავიდა და უთხრა: „ვინც პირუტყვს მეტყველზე უმეტესს შეიყვარებს, იგი წასწყმდებისო, და რომ შენ წაწყმედის გზას დასდგომიხარ.“ — დაუმატა მოძღვარმა: „ამას ისაც ამტკიცებს, რათა შენ ეკკლესიაში შემოსვლა ვეღარ შემოგიბედნია“...

— მამაო, — გულ-უბყვრილოდ უპასუხა დიდი-დედა მარიამმა: — პირუტყვის შემოყვანა აღკრძალულია საყდარში და ამისთვის ვერ შემოვდივარ!

— განა, არ შეგიძლიან კატა სახლში დასტოვო და ისე მოხვიდე საყდარში სალოცავად?!

— არა, მამაო, მეშინიან არა მოუვიდეს ჩემ ხატაურას!

ხატაურამ, თითქოს მადლობის გადახდის ნიშნად, თავისი ტუჩები შეახო მოხუცებულის ცხვირს და ღმობიერად შეჰყინავლა...

— შენ იცი, დიდი-დედა მარიამ! — ჩაფიქრებით უთხრა მოძღვარმა და ზურგი უბრუნა.

რა მოძღვარი?! მიტრუას ყურამდისაც კი მიაღწიეს ამ ხმებმა და გული შეეცვალა იმის შემდეგ, როდესაც, ამ ხმებით გაბრაზებულმა, ერთ ამოვლახე დიდი-დედა მარიამთან შევიდა, ხატაურა დაინახა და ყელში სწვდა.

საბრალო ხატაურამ თვალები გადმოითეთრა და სხეული სულ დაირგვალა. დიდი-დედა მარიამმა თვალი მოჰკრა ამას, ისე გააფთრებით ჰსწვდა ყანყრატოში და ისეთის ხმით უკივლა: „გაუშვი, შე იულის კერძო“, რომ სწრაფათ ხატაურა გაანთავისუფლა და ხმის ამოუღებლივ, წელ-მოწყვეტით გარედ გავიდა. ამის შემდეგ მიტრუს ალარ გაუვლია დიდი-დედისკენ. ისე ერიდებოდა, როგორც ლომისის მონა ღორის ხორცს...

სოფელში სამეზობლოდ აღარავინ მიდიოდა დიდი-დედა მარიამთან. მოლოზნებმაც კი ზურგი უჩვენეს, თუმცა წინად იგინი მოგალედ სთვლიდნენ თავიანთ თავს წირვისა თუ ლოცვის შემდეგ ერთი წუთით მაინც შესულიყვნენ იმასთან.

როცა კი თითონ დიდი-დედა მარიაში თავის ხატაურით მივიდოდა მეზობლებთან და დაუწყებდა ლაპარაკს, თუმცა არ უნდოდათ პასუხის გაცემა, მაგრამ რას იქმოდნენ, რომ არ გამოჰლაპარაკებოდნენ, როდესაც ეშინოდათ იმისი.

მოწიწებით უპასუხებდნენ, თუმცა გულში ნატრობდნენ: „ერთი ჩქარა გაგვშორდესო“, და ცდილობდნენ არ შეემჩნევინებინათ ეს თავიანთი გულის პასუხი...

მ. შავსაძე

(დასასრული რქნება)

უყვართ ერთმანეთი?

(ეტიუდი)

ქ-ბ. ა. ვერბიცკისა

I

ანა ნიკოლაენა ფანჯარასთან იდგა და აღელვებული გაიციქირებოდა. აგერ შორს მარხილიც გამოჩნდა. ქალი შეკრთა და გასურებული პირისახე გაყინულ მიხას მიაყრდნო.

ათი წუთიც, და ძვირფასი სტუმარი უკვე მაგიდასთან იჯდა. ანა ნიკოლაენა გაწითლებული და გაყმაწვილებული ჩაის უკეთებდა მის საკუთარ ჭიქაში... ეს ჩაი საკუთრივ იმისათვის ჰქონდა შენახული; თვითონ კი ორჯელ დაბალ-ფასიანს ჩაის ხმარობდა. რაც რამ მოიპოვებოდა მაგიდაზედ—სტუმრის საყვარელი საუზმეები, სასმელები—ყველაფერში ქალის სიყვარული გამოიხატებოდა. ყმაწვილი ამას კარგა ჰგრძნობდა და ულვაშ ქვეშ ილიმებოდა.

— რამსიშორეთა სდგებართ...—სთქვა ყმაწვილმა და თან გაყინულ ხელებს იფშენეტდა.—საშინელი სუსხია...

— დალიეთ მალე!

ქალმა არაყი დაუსხა და საუზმე ახლო მიუდგა.

„დღეს შეიძლება მეტიც დავხარჯო, რადგანაც ჯამაგირი გუშინ მივიღე“—გაურბინა ქალს თავში.

— საუცხოვო რამ არის!—გაიხუმრა ყმაწვილმა,—იცოცხლეთ, ძვირფასო ანა ნიკოლაენა!

ქალმა ჩუმად დაუკრა თავი და შეყვარებული თვალები ყმაწვილის ხელს გააყოლა. სმის ღროს ყმაწვილმა თავი უკან გადაიწია და მოკლე წვერ-ქვეშ სპეტაკი ყელი გამოუჩნდა. ქალს ჟრუანტელმა დაუარა ტანში. იმან ანგარიშმიუცემლად ხელები ერთმანეთს გადააქდინა და კინალამ თითები არ მოიმტვრია. „ღმერთო! რა ბედნიერებაა ასე ახლო დგომა ამასთან და ყურება, ყურება განუწყვეტლივ!..“

ყმაწვილმა ეს მღელვარებაც შენიშნა. იმისი გული მოღობა, ქალთან მიიწია და თამამად ხელზედ აკოცა.

— ძვირფასო!.. ბედნიერებაა თქვენთან ყოფნა...

ქალს ხელები უთრთოდა, სახე ანთებული ჰქონდა, ცდილობდა გაენთავისუფლებინა ხელი ყმაწვილის ხელიდან, მაგრამ ის უფრო მაგრა უჭერდა ხელს. ქალი მოდუნებული, უღონოდ დაეშვა სკამზედ და თავისუფალი ხელი სახეზედ დაიფარა.

რამდენიმე წუთი ყმაწვილი ქალს დასცქეროდა და გამარჯვებულის ღიმილი ტუჩებზედ უთამაშებდა.

ამას ქალი არ უყვარდა, არა!.. ის არც კი აღელვებდა მას თავისი სიახლოვით. აგრე ადვილად როდი შეიძლება შეყვარება!

როცა ჯერ ისევ კონსერვატორიაში სწავლობდა, კონცერტებზედ მხოლოდ ნაზ-ცქრიალა-არისტოკრატებს ადევნებდა თვალს. იგი ოცნებობდა იმისთანა ქალის სიყვარულზედ, — კობტა, ნაზი, ზეციური არსება, — რომელსაც თავის სიცოცხლეში არც სიღარბე, არც რაიმე დარდი არ ენახოს... რამდენიმე კურსისტკაც გაიცნო; ისინი, სტუდენტებთან ერთად, მალეა გაჰკიოდნენ „ვაშას“, როდესაც ვასილიევმა კონცერტებზედ სკრიპკაზედ დაკრა იწყო. ლაპარაკის ღროს ამხანაგურად ელაზღანდარავებოდნენ, რათა ეგრძნობინებინათ იმისთვის, რომ იგი ისეთივე უბრალო ადამიანია, როგორც სხვები. ყოველივე ეს მალე მოსწყინდა ვასილიევს და იმის თავმოყვარეობას სრულიადაც არ აკმაყოფილებდა.

ეხლა იმის წინ სულ სხვა არსება იყო. ანნა ნიკოლაევნა იყო უფროსი მასწავლებელი სამოქალაქო სკოლისა. ის თავის

თავზედ ცოტას ლაპარაკობდა; დაულაღავი და დაუფასებელი მუშაკი იყო. ვასილიევს სხვებისგან ჰქონდა გაგონილი, რომ ანა ნიკოლაევნა, ღედა რო ისევ ცოცხალი ჰყავდა, ჯამაგირს გარდა, საკერძო გაკვეთილებით ათ-თუმნამდე იღებდა. ქალის ლაპარაკიდან მიჰხვდა, რომ იმას სიყმაწვილეში არავინ ჰყვარებია; ვასილიევმა უამისოდაც კარგად იცოდა, რომ ამ გარეგნობით მიუკარებელ, ქალს იგი გაგიჟებით უყვარს.

ღეე, იყოს ულამაზო, თუნდა არც ახალგაზდა!.. რა საქმე აქვს ვასილიევს ამეებთან!? ეს ქალი იმისათვის საჭიროა...

ამისთანა სიყვარულზედ დიდი ხანია ოცნებობდა ვასილიევი. მშვიდად და ტკბილად გაატარებს სიცოცხლეს ამისთანა ცოლთან. ამ გვარ ქალს მხოლოდ ერთხელ შეუყვარდებოდა. იქნება მოტყუვდეს კიდევ, იქნება ბევრი იმედებიც გაუცრუვდეს, მაგრამ იმას მაინც არ უღალატებს, ვისაც ცოლად გაჰყვა... არა-განებივრებული თაყვანისმცემლებისაგან, ის დააფასებს ამ ბედნიერებას, რომელმაც ასე გვიან გაუღიმა, და თავის ქმარს გააღმერთებს...

დიდი ხანია, რაც ვასილიევმა გადასწყვიტა გამოეცხადებინა წინადადება ანა ნიკოლაევნასათვის და აი დღეს კი გაათავებს. ეს სრულიადაც არ აღელვებს მას. ან კი რა საჭიროა?! არჩევანი ჩინებულია: ანა ნიკოლაევნა როდი იქმნება ქმრის ბორკილი, ნიჭის გაფართოვებასაც არამც თუ დაუშლის; არამედ ხელსაც მოუშართავს. ქალი იმის სახელის ჩრდილში დაიშალება, როგორც ეხლა, როდესაც თავის როიალით იმის ჯკრიპკას ჰშველის. არც ის არის საჭირო, რომ ყმაწვილს თვითონ უყვარდეს, თვითონ არ არის მსხვერპლი?!... რა საჭიროა!.. ისევ სხვას უყვარდეს... ისევ სხვა იტანჯებოდეს... სხვას ავიწყდებოდეს თავისი თავი ამის ტრფიალში!... ოჰ!... ეს უფრო ადვილიც არის და შესაძლებელიც.

თბილმა ოთახმა და საზოგადოდ სუყველაფერმა, რაც კი ყმაწვილის მოსაწონად იყო გაკეთებული, ვასილიევი მოარბილეს, სითბო დაიტრიალეს იმის სხეულში და ის გულიც, ცივი, კლდე-გული, გაათბეს. და ამ დროს, როდესაც ქალს ბედ-

ნიერებისაგან თავ-ბრუ ესხმოდა, ყმაწვილი მოწყალე თვალით დასცქეროდა და თან ფიქრობდა: „რა უჭირს... არაფერი... ძალიან ეშხიანია...“

მზარეულმა დაარღვია ოცნება.

— თევეზი მოგართვათ ეხლავე?

ქალი გამოერკვია.

— ჰო მოიტანე, მალე...

ყმაწვილს შემწვარი ახლო მიუდგა.

— მიირთვით, მანამ გაცივდება...

ყმაწვილმა მადიანად დაიწყო ჭამა, როგორც დაღალულ-დამშეულმა.

— ახალი ამბავი ხომ არა არის-რატქვენს სკოლაში?— და-ეკითხა ყმაწვილი.

— როგორ არა... სასიამოვნოც... მკურნალი ქალი და-გვინიშნეს... დღეს უკვე იყო სკოლაში...

— მომილოცნია!— დაცინვით სთქვა ყმაწვილმა...— ეხლა, უეჭველია, ბედნიერი იქნებით?

— არა... იცით, მე სულ სხვას მოველოდდი... თუმცა ეგეც კარგია...

— რის იმედი გქონდათ?

— მე მეგონა, წამალსაც სახელმწიფოთ გამოუწერენ ავად-მყოფებს-მეთქი...: თქვენ ხომ კარგათ იცით ჩვენი შეგირდების შეძლება... სადა აქვთ წამლის ფული...

ამას გარდა, აი დღეს ზოგიერთ სისხლ-ნაკლებ შეგირდებს ურჩია მომეტებული რძე სვითო, ხორცი სჭამეთო...

მე იქავე ვიდექი, გულმა არ მომისვენა, უთხარი, მაგათ უქმე დღეშიაც ენატრებათ-მეთქი ხორცი... ბევრჯელ უფეს-საცულობის გამო სამ-სამი თვე სკოლაში ვერ დადიან-მეთქი...

— რა პასუხი მოგცათ შავაზედ?

— რას მეტყოდა?... მარტო მხრები აიწია... იმის საქმე მხოლოდ ბავშვების გაშინჯვა და წამლის გამოწერაა... კვირაში ერთხელ უნდა გაშინჯოს შეგირდები... სხვაფრივ იმას არაფერი არ ეკითხება. თუ შეგირდი თავის სახლში ავად გახდა,

იმის მოვალეობა როდია წავიდეს, მიჰხედოს. მართალია, ეგეც კი კარგია, რომ თვალი ადევნოს შეგირდს—ავადმყოფობა არა შეეპაროს-რა, მაგრამ, თუ ავადმყოფობა უკვე დაბუდებულია სხეულში?... სურავანდიანებს თევზის ქონი გამოუწერა. ეგ თითქმის დაცინვასა ჰგავს,—განა შეძლება აქვთ, თევზის ქონი იყიდონ?.. თქვენ ხომ კარგად იცით, რაჯა ღირს?..

—მე არ გეუბნებოდით,—გაიცინა ყმაწვილმა,—თქვენ ყველაფერში მხოლოდ სანახევროდ გიწყობენ ხელს.

—მართალია!.. მაგრამ, მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს, წამალიც სახელმწიფო გვექნება... მომეტებული ყურადღება ბავშვების სადგურებს და საქმელს უნდა მივაქციოთ. ოცდა-ოთხი საათიდან მარტო ექვსი საათი არიან სკოლაში, დანარჩენი—სახლში... აბა რას გააწყობს აქ ექიმი?..

—ბევრსა ნდომულობთ, ანნა ნიკოლაევნა... თუ კი ჯერ ინტელაგენციასაც ვერ შეუგნია სადგურების და საქმლის მნიშვნელობა, დაბალ ხალხს რაღა მოეთხოვება?!..

ყმაწვილმა გაიცინა, ქალმა მწარედ ამოიოხრა.

—მაგალითად ჩვენი ახალგაზდობა ავილოთ. რა პირობებში სცხოვრობენ!

ვასილიევი დაწვრილებით მოუყვა სასტუმროში თავის ცხოვრების ამბავს.

—ჯერ საქმელი ავილოთ! განა გასაოცარი არ არის, რატომ აქამდის რაიმე კუჭის სენი არ გადავიკიდე, ან სისხლნაკლებობა? მეორეც ესა. ვინ იცის, რა სატკივრიანი წევს შენს მეზობლად. ამასწინად სახადიანი იწვა. კიდევ კარგი, დროზედ შევიტყე და მალლა სართულში გადაველ... (ქალმა თავი მალლა აილო და სმენად გადიქცა).

ახლა ის ალიაქოთი,—სტუმრის მიღებ-გასტუმრება,—რომელიც გამუდმებულია სასტუმროებში!?. იქ ძალიან ადვილად გადაიკიდებ რაიმე გადამდებ სენს... ყვავილი... მე კი ისე არაფრისა არ მეშინიან, როგორც ავადმყოფობისა... ამას გარდა, მთელი დღე ხმაურობაა: ერთ კუთხეში სკრიპკას აწრიპინებენ, მეორეში —ერთსა და იმავე გამმას ათასჯერ იმეორებენ

ერთისა და იმავე შეცდომებით... კონალამ ჭკუაზე არ შევი-
შლები ხოლმე!... ოთახში სისუფთავის დასაცველად რამოდენ-
ა ფული იხარჯება... უბრალო ფეხის გადადგმისთვის თუ არ
დააჯილდოვე მოსამსახურე, მეორედ ზედაც არ შემოგხედავს...
მუშაობა ხომ ყოვლად შეუძლებელია: ხან ერთი შემოვა, ხან
მეორე; ერთ წუთს მოსვენება არა გაქვს. ერთი ფულსა
გთხოვს, —(დარწმუნებული კი უნდა იყო, თავის დღეში არ
ჩაგაბარებს),—მეორე—ტყუილ უბრალოდ ყბედობს... ერთი
არ იფიქრებს იმას,—რომ მეც იქნებ მარტო ყოფნა მსურს—
დასვენება, მთელი დღის მუშაობის შემდეგ.

ქალი მაგიდაზე დაყრდნობილი ყურს უგდებდა. ჩაი გა-
ციებული იდგა,—ქალს ჩაისა არა სცხელოდა.

— ცალკე დაიჭირეთ სახლი.

— ქვეცა ვცადე... მაგასაც თავისი უხერხულობა აქვს:
შოსამსახურე ირყვნება, რადგან მთელი დღე სახლი უპატრო-
ნოდ არის. მოუვლელობისაგან სახლში ჩრჩილი ჩნდება... სამ-
ზარეულოში მთელი დღე ვიღაც-ვიღაცეები სხედან: ეს ჩემი
ძმა არისო,—ეს დედა—ეს და... ვინ მოსთვლის. კიდევ კარგი,
თუ ისეთი სვინილისიანი მოსამსახურე შეგხვდა, რომ მთლად
არ გაზიდა ერთ დღეს შენი სარჩო-საბადებელი... სადილის
დროს სადილი არ არის... შემწვრის მაგივრად დახრუკულ
ხორცს მოგართმევენ... შეშას ხომ გაუფრთხილებლად სწვა-
ვენ... რასაც ისინი ტულს იპარავენ, იმას თქმაც აღარ უნდა...
წარმოიდგინეთ, ერთხანად მე თითონ დავდიოდი ყოველ დღე
სასყიდლად...

— თქვენ?!

— დიად, მე... განა რა არის აქ საკვირველი? ნუ თუ
თქვენ კი არ მოგხდომიათ?

— არც როდის...

— მიკვირს, ღმერთმანი! ზოგმა მზარეულმა, იმას გარდა,
რომ ფასები არ იცის, ბევრჯელ ზუთხს ტარაღანადან ვერც კი
გაარჩევს. არიან იმათშიაც სვინილისიანები, სანდო,—ისინი კი-
დეც სახლს ვერ უვლიან რიგიანად...

ქალს შერცხვა და აღელვებულმა სუფრის ფოჩებს წიწკვნა დაუწყო. ლოყები წამოუწითლდა: არც ამან იცოდა ზუთხისა და ტარალანას განსხვავება.

— კიდევ კარგი, თუ მოსამსახურე ლოთი არ შეგხვდა... თორემ მთვრალს არ გაუჭირდება მთელი სახლი გადაგიბუგოს. ერთხელ დანიშნულ დროზე ადრე დავბრუნდი შინ: არ შემეძლო რაღაც... მთელი ერთი საათი ქუჩაში ვიკანკალე. ჩემ მზვრეულს რაღაც წერილი მოსვლოდა, თურმე ვიღაც უკვდებოდა... და გაენებებინა თავი დაკეტილ სახლისათვის.

— მერე?

ქალი დააშტერდა თვალებში.

— დავითხოვე, მაშინვე დავითხოვე, სანაძლეოს დავდებ, რომ განგებ მოიგონა ვიღაცის სულთ-ბრძოლა: დარწმუნებული ვარ, სადმე დუქანში იჯდებოდა ამხანაგთაგან... ამ შემთხვევის შემდეგ, სასტუმროში ცხოვრება ვირჩიე... არა, ცოლი უნდა შევიერთო! აი რა!

ეს ასე მოულოდნელად მოხდა, რომ ქალი ვერც კი მიხვდა, რას ნიშნავდა ყმაწვილის დასკვნა.

— ცოლი აქ რა შუაშია?

ყმაწვილმა კმაყოფილებით გაიღიმა. ეს ხშირად ფიქრობდა იმაზე, როგორ გაუმედავნებდა ქალს თავის საიდუმლოს და ყოველთვის ქალის გაცეხული და ტანჯული სახე წარმოუდგებოდა ხოლმე თვალ-წინ, აი, როგორც ეხლა.

— დრო არის, ანა ნიკოლაეფნა... დროა... მომბეზრდა მარტობა, უსახლკაროდ ყიალი.

ქალი ყურს არ უგდებდა... ისეთნაირად იყო დაფიქრებული, რომ ყმაწვილის სიტყვებმა მისთვის ამაოდ ჩაიარა.

— ძალიან გემრიელი საქმელი იცის თქვენმა მზარეულმა რას აძლევთ თვეში?

მხოლოდ ეხლა გამოფხიზლდა ქალი.

— მე ჩემის მხრით ხუთს... სკოლა—სამს...

— რვა მანეთი კარგი ფულია... მაგრამ სამოვარი რომ გასაწმენდი გახლავთ?

ქალმა სამოვარს გადაავლო თვალი: მართლა გასაწმენდი იყო; რატომ თვითონ არ შეამჩნია წინად? სახეზედ აღმა აჰკრა.

— მე ცუდი დიასახლისი ვარ, ნიკოლაი მოდესტოვიჩი— არც თუ დაცინვით, არც თუ რალაც მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა—ანისიას კიდევ ბევრი საქმე აქვს.

— მე მგონი, ლოთობაც უნდა უყვარდეს...—შენიშნა ყმაწვილმა და ღვინის ჭიქას წმენდა დაუწყო. ქალს არც ეს შეუმჩნევია.

— მოხდება ხოლმე...

— რატომ არ დაითხოვთ... მერე მაგისთანა ჯამაგირით...

ქალმა შუბლი შეიკრა.

— დაუფასებელი ადამიანია ჩემი ანისია... თუ ხანდახან გადაჰკრავს ხოლმე, მაგასაც თავის მიზეზი აქვს... ქმარი აუდ-მყოფობის გამო სამსახურიდან დაითხოვეს... მაგათთვის კარგი დასაკლისია სამი თუმანი თვეში... ქალი საზიზღარ გზას დაადგა... განა ყველა შესძლებს მაგისთანა უბედურების ატანას?... ძნელია მაგის შემაგრება ეხლა...

— ქმარი სადღა ჰყავს ეხლა? საავადმყოფოში?

— არა, ჩემ სამხარეულოში წვეს...

— როგორ, თავისთანა ჰყავს?..

ქალი პატარა ხანს პასუხს არ აძლევდა; იგი დაცინვით უყურებდა ყმაწვილის გაოცებულ სახეს.

— დიახ, თავისთანა ჰყავს... როგორცა ვხედავ, თქვენ ეს ძალიან გაკვირვებთ.

— სწორეთ გითხრათ, ძალიან... თქვენი ჯამაგირი განა თქვენ კი გყოფნით?

— მყოფნის, მე ბევრი როდი მინდებდა...

— იცით, რა მოგახსენოთ, როგორცა ვხედავ, თქვენ დაზოგვა სრულებით არა გკოდნიათ... ესეც კი უნდა გახსოვდეთ—არ დააფასებენ თქვენ სიკეთეს...

— მე მაგას როდი დავეძებ...

ეხლა კი ყმაწვილი მოთმინებიდგან გამოვიდა. „რა მოუვიდა ამ ქალს? რა კილოთი მელაპარაკება?“

კარი გაიღო და მზვრეულმა თევზი შემოიტანა. თევზები და ბლუდი სხვადასხვა ჯურისა იყო. ბლუდს ნაპირი მომტვრეული ჰქონდა. ვასილიევმა შეამჩნია და თვალი გაუშტერა. ქალს ეს კი აღარ გამოეპარა.

— უკაცრავად, — დაილაპარაკა ქალმა ძალდატანებული ღიმილით, — მე „სერვიროვკა“ არა მაქვს...

— ამის მიზეზი თქვენი პრინციპი ხომ არ არის? — გაიხუმრა ყმაწვილმა. — ღვინო კი საუცხოვოა... სადა ჰყიდულობთ?

— არ ვიცი... ანისია! ვის გამოართვი?... არა ეგ პრინციპის ბრალი არ არის: „სასერვიროვკო“ ფული არა მაქვს...

„ანისიას ქმრის შესანახი ხომ გაქვს...“ — გაურბინა ყმაწვილს თავში.

— მე მაგ წვრილმანებს ყურს არ უგდებ. მე ნამდვილი სტუდენტი ვარ.

ქალმა მარტო ეხლა შენიშნა გაყინული ჩაი და სმა დაუწყო.

— ძალიან სცდებით, ანნა ნიკოლაევნა, მაგაში; ქალს ქალობა უნდა ეტყობოდეს.

— როგორ?

ქალმა ჩაის თავი დაანება, ეხლა ერთ წვეთსაც ველარ დაჰლევდა... ამისათვის ეს უბრალო ლაპარაკი და მთელი სალამოც დიდ-მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ქალი ამას კარგად ჰგრძნობდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! თქვენ თითქო არ გესმით ჩემი ლაპარაკი... ჩვენ — ქალები გვინდა და არა მუშაკნი... თევზი მიბოძეთ...

ქალმა გაჯავრებით დაიწყო:

— მე კი მგონი, ნიკოლაი მოდესტოვიჩ, ქალი ჯერ ადამიანი უნდა იყოს, ნამდვილი ადამიანი, მგრძნობიარე, განვითარებული...

ყმაწვილს ქალის უყურადღებობა ვერაფრად იამა: გაწვდილი ხელი უკან წამოიღო, თვითონ მიიღვა ბლუდი და თევზი აიღო.

— მაგვეარი ლაპარაკი „ქალთა კითხვაზედ“ მხოლოდ დამ-
 ჟავებულ ქალებს შეჰფერით, და ჩვენც მხოლოდ იქამდის
 მოგვეწონს, ვიდრე უცოლონი ვართ... ცოლს რომ შევირთავთ,
 ჩვენთვის ის არის უპირველესი, რომ ცოლმა ოჯახის მოვლა
 იცოდეს, კარგი დიასახლისი იყოს, ქმრის ჯიბეს გაუფრთხილ-
 დეს... დღეს ასეთი უგემური საწები რათ მოჰსვლია? წარსულ
 კვირას, ხუთშაბათს, უკეთესი იყო... თქვენ კი არ იცით მზა-
 რეულობა, ანნა ნიკოლაეფნა?

— წარმოიდგინეთ, არა!.. არაფერიც არ ვიცი: არც თევ-
 ზის გარჩევა, არც სხვა და სხვა ტკბილეულობის მომზადება...
 არაფერი!.. კიდევ კარგი, არავის არ მოუვა აზრად ჩემი შერ-
 თვა...

ქალმა რალაცნაირად გადიხარხარა: სიცილში ტირილი
 ისმოდა. ყმაწვილმა გაოცებით დაუწყაო ცქერა. „რა მოსდის
 დღეს? იქნება ჰგონია, მე სხვის შერთვას ვაპირებ? საწყალი.
 რანაირადა ჰღელავს!.. როგორ უხდება ანთებული ლოყე-
 ბი...“

— რა გგონიათ, კარგს იზამდით, ანისიასაგან მზარეუ-
 ლობა რო გესწავლათ,—ვითომ გაიხუმრა ყმაწვილმა, მაგრამ
 ნათქვამს ხუმრობის კილო არ ეტყობოდა.—ანისია ყოჩაღია
 მაგაში...

ქალმა სიტყვა გააწყვეტინა.

— მართლა, მოუკვდა ვინმე მაშინ, თუ ყველაფერი ტყუ-
 ილი გამოდგა?

— სადა? ვინ მოკვდა?—გაკვირვებით იკითხა ყმაწვილმა.

— აი, თქვენ მზარეულს, მაშინ!..

ვასილიეფმა უნებურად გაიცინა.

— რა უცნაური რამა ხართ!.. ეგ რა საკითხავია?! არ
 ვიცი, ღმერთმანი... მე იმის გამოძიებას როდი შევუდექ.

— უეჭველად უნდა გამოგეძიებინათ: იქნება მართლა
 უკვდებოდა ვინმე, და თქვენ კი ისე შეუბრალებლად იმ გა-
 ჰკირვების დროს დაითხოვეთ!—ქალის ხმაში შეკავებული ბრაზი
 ისმოდა.

— უკაცრავად, მე ეგ ფიქრადაც არ მომსვლია... დაღლულ-დაქანცული დავბრუნდი შინ, არ შემოდლო კიდევ... მთელი საათი ქუჩაში გავიყინე... განა თავის თავზე ზრუნვა ცოდვაა?—არ ვიცოდი!—სთქვა ყმაწვილმა გესლიანად.—მე მოსამსახურეების სიცრუვე ბევრჯელ შემიმჩნევია, მაშინაც, უეჭველია, განგებ თავის გასამართლებლად იყო მოგონილი ყველაფერი... და თუ მართლა უკვდებოდა ვინმე, ან მოუკვდა კიდევ, მე აქ რა ბრალი მაქვს... ბოდიშს ვიხდი, ანა ნიკოლაევნა, იმაში, რომ მე კარგად მესმის რათაცა ვლირვარ საზოგადოებისათვის... მაშინ შეიძლებოდა გავციებულიყავ, ავად გავმხდარიყავ... მოვმკვდარიყავ კიდევ... რა არ მოხდება...

— მართლა, ეგ კი დამავიწყდა: ხელოვნება ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ.—ქალის კილოში იმდენი ზიზლი და დაცინვა ისმოდა, რომ ყმაწვილს ჭამის მადაც კი დაეკარგა. ეს არ იყო ჩვეული ხელოვნებაზედ ასეთ შეურაცხყოფის მოსმენას და ანა ნიკოლაევნასაგან ხომ არას დროს არ მოელოდა ამას. თეთში იქით მიდგა, ცდილობდა მოთმინებიდან არ გამოსულიყო, თავს იკავებდა.

— თქვენ, უეჭველია, რაცა ბრძანეთ ხელოვნებაზე, ნამდვილის გულითა ბრძანეთ?—დაეკითხა ყმაწვილი წყნარის ხმით.

— არა, ბატონო, დაცინვით მოგახსენეთ!.. ჩემთვის ხელოვნებაზე მაღლა კიდევ სხვა რამ არის...

ქალი შიგ თვალეებში უყურებდა ყმაწვილს, თითქო ლაპარაკში უნდა გამოეწვია...

ყმაწვილს მღელვარებისაგან ტუჩებმა თრთოლა დაუწყეს.

— რა არის, აბა ბრძანეთ?

— ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, თქვენ, სულ-ერთია, არ დამთანხმდებით.

ქალმა ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ წინაღ სხვა აზრისა იყავით!..

— რაზედ? ხელოვნებაზედ? მე და თქვენ განა როდესმე „ქვიანურ“ რაზედმე გვილაპარაკნია?.. თქვენ ოსტატურად

იციო მხრის აქცევა და სიტყვის ბანზედ შეგდება, როდესაც ასეთი ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე.—ქალმა ძალდატანებით გაიცინა.—მე სუყოველთვის ამ აზრისა ვიყავ... არც ეხლა შევიცვლი... გვიანლა არის! ჩემი გადაკეთება ეხლა ძნელია... ყმაწვილი როდი ვარ...

„სულელობს!“ გადასწყვიტა ყმაწვილმა თავის დასამშვიდებლად. „როგორცა ვხედავ, ყველა ქალი გიჟია...“

რაკი ქალი სტუმარს არ აქცევდა ყურადღებას, იმან თითონ დაუმატა ცხელი წყალი გაციებულ ჩაის, ქადა ახლო მიიღვა და მადიანად შეექცეოდა.

III

ქალი მეორე ოთახში გავიდა. როიანოზედ სკრიპკას თვალი მოჰკრა. ამან ცოტა დაამშვიდა.

—ახალი დასაკრავი არა მოგიტანიათ-რა?—მეორე ოთახიდან დაეკითხა ქალი.

—მოგიტანე; პალტოს ჯიბეში ძევს... გინდათ ერთად დაუეკრავთ?... მომავალ კონცერტისათვის ვამზადებ.

—მერე, მერე დაუკრათ... როდესაც ააღაგებს ყველაფერს ანისია.. როდესაც აღარაზენ დაგვიშლის...

ქალმა სიარული კვლავ იწყო ოთახში, მღელვარებისაგან კინალამ თითებს არ იმტვრევდა.

ყმაწვილი თვალს ადევნებდა.

—ანნა ნიკოლაევნა, დღეს რატომ გუნებოზედ არა ბრძანდებით? ქალი ხმას არ იღებდა... თითქო არც კი ესმოდა ყმაწვილის სიტყვები, რაღაც ღრმა ფიქრს შეეპყრო მთელი მისი არსება.

როდესაც ყმაწვილს დაუპირდაპირდა, ვასილიევმა თავის ჯვერდით სკამზედ მიუთითა.

--- დაბრძანდით, ქალო... მე განა იმისათვის მოვედი, რომ მთელი საღამო ჩუმად ვიყო... მე თქვენთან ერთ საგანზედ მინდა ვილაპარაკო...

„დაიწყო... მე მაგას მოველოდი.“ ქალს ფერმა გადაჰკრა. მაინც მივიდა და სკამზედ ჩამოჯდა.

ყმაწვილმა ტუჩები მოიწმინდა, წვერზედ ხელი გადაისო, ქალთან ახლო მიიწია და ხელი დაუჭირა...

— მოითმინეთ... რათ მართმევთ ხელს? იჯექით წყნარად, ჰო, მაგრე... ყური მიგდეთ, ძვირფასო ანნა ნიკოლაეენა. მე სასტუმროში ცხოვრება მეტად მომბეზრდა... ტყუილადა ჰგონია ზოგს, რომ ჩვენთვის ასეთი ცხოვრება საჭიროა... მინდა სახლი დავიჭირო, გავაწყო ოჯახით და... ყურს მიგდებთ, ქალო?

— დიახ! განაგრძეთ...

— უნდა ცოლი შევიერთო...

ყმაწვილმა კინალამ ხელი არ მოამტვრია ქალს და თვალეში დაამტერდა. ქალი ქვის ქანდაკებას წააგვანდა, ისეთნაირად იყო უძრავი იმისი სახე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

— მოგწონთ ჩემი გადაწყვეტილება?

— მომწონს...

ისეთი კილოთი იყო ეს ნათქვამი, თითქო ყმაწვილის გადაწყვეტილებას იმისათვის არავეითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

— იცით, ქალო, ჩვენ, არტისტები, მოკლე დღისანი ვართ. ამის მიზეზი ჯერ ჩვენი მოუსვენარი ცხოვრებაა; ღამეების ტეხა, ვახშამ-სადილები, ვაი-ვაგლახი;—იქნება ჰგონიათ, ჩვენთვის ყველა ეს ისეა საჭირო, როგორადაც ჰაერი!.. ჩვენ, არტისტებისთვის—კინალამ არ წამოსცდა „დიდებულებისათვის“—ისევე საჭიროა ცოლი, როგორადაც უბრალო ადამიანებისათვის.

ყმაწვილი ქალს დააცქერდა: უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილება მოახდინეს იმისმა სიტყვებმა, — ქალმა წარბიც არ შეიხარა.

— ახლა შეძლებაზედ გადავიდეთ. თქვენ უკვე იცით ჩემი შეძლება... საკმარისია არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი

ცოლისათვისაც... მზითევს როდი ვეძებ... ასე სჯობია: ცოლისაგან არ ვიქმნები დამოკიდებული...

— უმჯობესი არ იქნება ცოლი მონა იყოს ქმრისა?— მოთმინებიდან გამოსულმა ქალმა, ყმაწვილს ხელი გამოჰგლიჯა.

— ასე სჯობია... მერე მე ახალგაზდას არ შევირთავ, მაგალითად, ოცი წლისას... ისინი ჯერ ქარაფშუტები არიან... ჩემი ცოლი დამჯდარი ქალი უნდა იყოს, რომელსაც უშიშრად ჩავაბარო ჩემი ბედნიერება... მე ღრმა გრძნობას ვეძებ...

— და მზარეულობის ღრმა ცოდნას...

— დიახ, მაგასაც, რასაკვირველია... მაგას უსათუოდ— სთქვა ყმაწვილმა ისეთნაირად, თითქო ვერც კი იგრძნო ქალის კილო.— ცოლი დიასახლისი უნდა იყოს. მე, როგორც ჰხედავთ, შრომის განაწილება მაქვს მხედველობაში. მთელი ოჯახი ცოლის ანაბარად უნდა იყოს. ქმარი მხოლოდ ფულს მიიტანს ოჯახში. ჩვენ, ქმრები, უმეტესად ქმრები— არტისტები, როდი უნდა ჩამოვდიოდეთ საყოველღეო წვრილმანამდე... ეგ ცოლების საქმეა... ნამდვილი „ქალთა კითხვაა“,— გაიხუმრა ყმაწვილმა.— დიასახლისობის შესწავლაც ძნელი არ არის, ოღონდ სურვილი ჰქონდეს ქალს...

შემდეგ, ჩემ ცოლს მუზიკაც უნდა უყვარდეს.

ქალმა უეცრად სახეზე ხელი მიიფარა და საზარლად გადაიხარხარა.

— რა იყო?

— არაფერი... არაფერი... ხა!... ხა!... ხა!..

ერთ წუთს მოაშორა ხელი სახეს; ყმაწვილმა შეამჩნია, რომ თვალები ცრემლიანი ჰქონდა.

— განაგრძეთ... თქვენი სიტყვები ცნობისმოყვარეობას მიღვიძებენ!.. ხა!.. ხა!.. ხა!..

— მე არ მესმის, ღმერთმანი, რა გაცინებთ?!..

— თითქო წამალს აზავებდეთ: ამდენი-და, ამდენი ეს, ამდენი-და-ამდენი ის... ხა!... ხა!.. ხა!..

ყმაწვილმა დააშტერა თვალები იმის მიმქრალ თვალებს და შეეცოდა: „საწყალი! ვერა ჰგრძნობს, რა დასკვნა მოსდევს ჩემს ლაპარაკს!“.

— თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემი ამნაირი მოსაზრება გაკვირვებთ?.. ისიც იფიქრეთ, ქალო, ქორწინება ადვილი საქმე როდია... ნებას მაძლევთ მოვიწიო?.. მე ყველაფერი ავწონ-დავწონე... მართალია, ბევრი ერთი წუთით გატაცებული ირთავს ცოლს... მაგრამ მთელი სიცოცხლე ნანობს... მე მაგისტანა სისულელეს ვერ ჩავიდენ... მე მაგრე ვერ გამიტაცებს ჩემი გრძნობა...

— ბედნიერი ყოფილხართ!..—მწარეთ წარმოსთქვა ქალმა.

— ჩემ ცოლის შერთვაში გრძნობას პატარა ადგილი ეჭირება... ჩემის მხრით მე ცოლს სახელს მივცემ, იმ სახელს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, დაუვიწყარი იქნება... განცხრომილ ცხოვრებას და ყველა ამასთან—გულს, რომელსაც შეუძლიან ღრმა სიყვარული... ვგონებ, ეს ყველა ცოტა არ არის... მე რაღასა ვთხოვლობ ცოლისაგან?!..

— შემდეგ...—აჩქარებდა ქალი და სუფურის ფოჩებს სწიწნიდა.

— იცით, ვინა ჰლუბავს ჩვენ დიდებულებს, არტისტებს?.. ცოლები... დიად... ცოლები არ აფასებენ იმ ბედნიერებას, რომელიც მათ წილად ერგოთ... ისინი ქმრის მისწრაფებას როდი დასდებენ, არ ესმით ქმრების მოთხოვნილება... ერთი სიტყვით, არ შეუძლიანთ ქმრების სიმაღლემდე აიწიონ... მე იმისთანა ცოლს არ შევირთავ...

— თქვენი ცოლიც დიდებული იქნება?

— ხუმრობას თავი დაანებეთ! ჩემ ცოლს ჩემი ხელოვნება ეყვარება და კეთილადაც ემსახურება მას... ჩვენ შვილები არ გვეყოლება... მე ჩემი მხრით არა მსურს...

ქალს ზიზლით სახე შეეშალა; თითქო ეს-ეს არის ყმაწვილს შენანებს ნათქვამსაო, მაგრამ თავი შეიკავა და იქით გაბრუნდა.

ყმაწვილმა ვერ შენიშნა ქალის ზეზლი, რადგანაც დაბლა დაიყურებოდა.

— შვილები, საერთოდ, ბორკილია... ნამეტნავათ არტი-ტებისთვის...

შეძლება გულ-ახდით გელაპარაკოთ?!. ივანოვს ხომ იცნობთ, ჩემს აკომპანიატორს?.. რა საძაგლად ასრულებს თავის თანამდებობას!

— მაშინ, გახსოვთ, საუცხოვოდ რომ უკრავდა, ისა?

— დიალ, რა არის საკვირველი, რომ კარგად უკრავს?!. კონსერვატორია გაათავა... ნიჭი კი დიდი არა აქვს, ბეჯითია მხოლოდ... მაგრამ უსვენდისო კაცია... არც ისე საუცხოვოდ უკრავს, როგორც თქვენა ბრძანებთ... თქვენი დაკვრა უკეთესია...

— თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გრწამთ!..

— თქვენ უკეთესად უკრავთ, დამერწმუნეთ!... Beviot-ის კონცერტს კი ვერ შეასრულებთ ისე, როგორადაც ივანოვი... საჭიროც არ არის: იმისთანა პიესებს სკრიპაჩი ორკესტრთან ერთად უკრავს... და ადვილი პიესები კი, როგორც Mazuka და ვენიევსკის „ლეგენდა“, ერნსტის „ელეგია“—განა თქვენი შესრულება ამათი ივანოვის შესრულებას დაედრება?!..... ივანოვს აქამდე ვერ მოუწონებია, რომ ჩემი ნაამხანაგარია. ეგ, სხვებსავით, ოდესმე ოცნებობდა ქვეყანა გაეოცებინა... ეხლაც ჩემი სკრიპკის დაყრუებასა ცდილობს ხოლმე... თავის ფარგლიდან გამოდის... ავიწყდება, რომ ჩემში მოჯამაგირეა... ისიც კი იქონიეთ სახეში, დიდ ჯამაგირს ვაძლევ... ნეტა ხეირიანად მაინც ასრულებდეს თავის თანამდებობას...

— იქნება ჯანმრთელობა არ უმართავს ხელს?..

— საკვირველიც არ არის, ლოთობას მიჰყო ხელი... ახლა ცოლის შერთვაც დაუპირებია.

— იქნება ცოლმა გამოაფხიზლოს... ,

— კარგი ერთი!.. განა მაგათთანას ნება აქვს ცოლი შეირთოს?.. ლატაკი!.. რით უნდა შეინახოს ცოლი?..

— თქვენ სცდებით, ნიკოლაი მოდესტოვიჩ, ცოლი ხასა როდი არის!. თვითონ იმუშავებს...

— ოჰ! რას ამბობთ?!. ეგ მხოლოდ სიტყვებია... ცარიელი იმედები!.. ივანოვმა ლოთობის გამო გაკვეთილებიც დაჰკარგა...

მე კი ეგ როგორღაც ვერ მომდის კკუაში—იმის ცოლის შერთვა... მთლად ცოლ-შვილის ავ-კარგიანობით იქმნება შეპყრობილი მთელი მაგისი არსება... თავის თანამდებობას უგულოდ მოეკიდება... მე კი ამგვარ პირობებში კონცერტის მიცემა არაფრად მექაშნიკება.

— სამწუხაროა, რომ ისეთი მანქანაც არ გამოიგონეს, რომელსაც მაგ საქმეშიაც ადამიანის მაგივრობა გაეწია!.. მანქანა არც ცოლის შერთვას დააპირებდა და თავის ღირსების დასაცველადაც ხმას არასოდეს არ აიმაღლებდა.

— თქვენ დღეს ძალიან ცუდ-გუნებაზედ ბრძანდებით!.. ამაზედ მაინც დამთანხმდით, რომ მეც ჩემი ინტერესების დაცვის ნება მაქვს... მე და ივანოვი ერთად ვერ მოვალთ... იმის საქმე წასულია... ამ დღეებში ლაპარაკიც მოგვივიდა... მაგრამ ჯერ-ჯერობით იძულებული ვარ არ დავითხოვო... მაგიერი არა მყავს.—იმას ეს კარგად ესმის და სარგებლობს ამით... ყველა ეს ისეთნაირად მოქმედობს ჩემზე, რომ მუშაობაც კი აღარ შემიძლიან. ჩემი სონატა ერთ წერტილზეა შეჩერებული თითქმის ერთი თვეა...

ყმაწვილმა შუბლზედ ხელი გადაისო და მშვენიერ თმებს წეწვა დაუწყო, ქალი ერთ წუთს რაღაც სასოწარკვეთილებით დააცქერდა.

„ღმერთო მაგისტანა მშვენიერი მაინც არ იყო! რათა ხარ მაგრე მომხიზლავი შეხედულებისა?“

— იცით, რამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ცოლი აუცილებელივ კარგი დამკვრელი უნდა იყოს: ცოლის დახმარებით მე უივანოვოთაც არა დამაკლდება-რა. მე თუ მოვიინდომე, ყოველ დღე კონცერტებს გავმართავ... და რო-

დესაც ყველა ცხოვრების წვრილმანს თავიდან მომაშორებენ, წერვასაც დავიწყებ...

ქალმა მწარედ გაიცინა.

— საცოდავი ივანოვი!.. უნებლიეთ თქვენ გედრებათ... რაღა გარჩევია თქვენში?!.. იმისათვის ცოლი მეტი ბარგია, თქვენთვის—საჭირო საგანი... მერე იაფი საგანიც!.. ცოლი თქვენი მომვლელიც უნდა იყოს, დიასახლისიც, მზარეულიც, მშველელიც თქვენი ხელოვნებისა... კარგი აწონ-დაწონვა გცოდნიათ!.. ქალი მთლად გაფითრებული იდგა, ტუჩები მღელვარებისაგან უთრთოდნენ...

„საცაა ტირილს დაიწყებს,“—გაიფიქრა ყმაწვილმა და პაპიროზის ნამწვი გადაადგო... „დროა—აეუხსნა“... ადგა და ქალს ძალით დაუჭირა ხელი.

— ანნა ნიკოლაევნა... ანო...

ქალი შეკრთა და უკან დაიწია.

— არა! არა!.. გაჩუმდით გვეედრებით!.. მე აღარაფრის მოსმენა აღარ შემიძლიან... დაუკარით რამე!.. დაუკარით!.. ქალი როიალთან მივიდა, ყმაწვილი უკან გაჰყვა.

— იცი, ანნა ნიკოლაევნა! თავი დანებეთ მაგ სკოლას.. გირჩევთ... თქვენ თავზე დაიხედეთ... რას დაემსგავსა!.. საღ არის ის მშვიდი; დინჯი, აუჩქარებელი ქალი, რომელსაც მე ამ ერთის წლის წინად ვიცნობდი?!.. ეხლა ვედარც-კი გცნობთ...

— გაჩუმდით, გვეედრებით... განა არ მეყო წამება... ერთ წუთს მომეციოთ მოსვენება... დამაცადეთ, დავმშვიდდე...

ქალის ხმაში ცრემლები ისმოდა... როიალთან მივიდა და სკრიპკის ყუთი აჭხადა. ძვირფისი სკრიპკა ცის-ფერ საფარებით იყო დაფარული. სკრიპკის ყუთი და საფარებელი ქალის საჩუქრები იყო. ქალმა ანგარიშ-მიუცემლად სკრიპკა ტუჩებთან მიიტანა და დაეკონა.

თუმცა ვასილიევი გულ-ქვა იყო, მაგრამ ქალის ამ ნაირმა ქცევამ გული მოულობო. მივიდა და ქალს ხელი მოჰხვია წელზედ, მაგრამ ის მაშინვე გამოუხსლტა.

— აიღეთ სკრიპკა... დაუკარით!..

— არა, ანო, ერთი წუთი მოიცადეთ... ნება მაქვს ასე დაგიძახოთ? მითხარით, რა მოგივიდათ?

ყმაწვილს ეგონა ქალი თვითონ დაუწყებდა ლაპარაკს იმაზედ, რასაც ის ყელის ჩასაკოკლოზინებლად ინახავდა. ქალს წინ დაუდგა, ასე რომ როიალსა და თავის შუა მოამწყვდია. უკანასკნელმა რაღაც სასოწარკვეთილებით შეჰხედა.

— მე ჩემ სკოლას თავს არ დავანებებ... გესმით, თუ არა? არ დავანებებ თავს...

ერთ წუთს თვალი გაუშტერეს ერთმანეთს. ყმაწვილი მიჰხედა—ქალმა საიდულო უკვე გაიგო; საშინლად ეწყინა—რა უფერულად მოხდა ყველა ეს... ქალის ქცევამ თავზარი დასცა.

— თქვენ თქვენს ჯანმრთელობასა ჰლუპავთ, — მარტო ეს და მოახერხა.

— დეე! ეგ ჩემი საქმეა...

— რა თავგანწირულებაა! მადლობას ვინ გეტყვით?.. — წამოიძახა ყმაწვილმა.

— რა ვიცით, იქნებ ბევრმა მითხრას მადლობა... მაგრამ საქმე ეგ არ არის!.. ჩემთვის სკოლა ყველაფერია, გესმით!.. სხვა ოჯახი მე არცა მაქვს და არც მექნება... დეე, ჩემი საქმე დასანახავი ნუ იქნება... ჩემი ჯაფა კინკველის ჯაფას წაგავდეს... რა ვუყოთ! დიდ გემს—დიდი მოგზაურობაო!.. ზოგს ერთი ნიჭი, ზოგს—ორიო... (ქალს სული უგუბდებოდა)... ჩვენც კეთილ-სვინდისიანად ვემსახურებით ჩვენ საქმეს... გულს და სულს შიგ ჩავაკლავთ... იქნება ნაყოფი მოიტანოს... არ გაჰქრეს უნაყოფოდ... ეხლა... წავიდეთ, დაუკარით...

ქალი როიალთან დაჯდა.

IV

ვასილიევმა სკრიპკა აიღო. მისი სახე არა-ჩვეულებრივი ფიქრით იყო მოცული: თითქო ძნელ გამოცანას ებრძოდა. მაინც გულს არ იტეხდა, ქალის ამნაირ ქცევას თინიანობას

ეძახდა: „თითონ ხომ არა ჰკრავს ხელს კარზე მოსულს ბედნიერებას?!“ ის კი არ იცოდა—იმისი საქმე უკვე წაგებული იყო. სჩქაროზედ მომართა სკრიპკა.

— რა დავუკრათ?

— ერნსტის „ელეგია“...

— მართლა!.. გაიღიმა ყმაწვილმა, — როგორ ვერ მივხვდი! დაიწყეთ. სკრიპკა თითქო მღეროდა. თვალ-დახუჭილი ვერ გაარჩევდა კაცის ხმისაგან. ხმები შიგ გულში უვლიდნენ მსმენელთ... მელიოდია, როგორადაც გრძნობა, თან-და-თან იზრდებოდა... რაღაც წარმტაცი, დიდძალოვანი ხმები იყო... ტანჯვა, სევდა, სასოწარკვეთილება ისმოდა მათში... შემოდგომა... ცას ნისლ-ბურუსი გადაჰფარებია... ქარი გაშმაგებული ჰქრის... უკანასკნელ ფოთლებსაც კი არ ინანებს, დაუნანებლად აყრევენებს ხეებს და ღრბალით ატრიალებს ჰაერში... სასაფლაოსთან ვიღაც თავ-ჩაღუნული დგას... წმინდა ოცნება, ლტოლვა-სიყვარული, ახალგაზდობა, ყველაფერი გამქრალა... გულჩათხრობილი სევდა-ვარამი ისმის ხმების კვნესაში... „რა საჭიროა უარისთქმა? სასოწარკვეთილება?“ ჩასხურჩულებს ქალს. „სამარე როდილა უბრუნებს მკვდარს... დასჯერდი შენს ხვედრს... ამ სოფლად ყველა წარმავალია, მოჩვენება... გრწამდეს — საიქიოსაც არის ცხოვრება: იქნებ იქ მაინც შეიყვრნეთ...“ უეცრივ კვნესა გაისმა... კიდევ... კიდევ... გულმა ვეღარ გაუძლო ბოღმა-ფარამს, ვეღარ დაიტია ტანჯულმა გაათასკეცებული სევდა და გამოაშკარავება ირჩია... ენით გამოუთქმელი ქვითინი არღვევს ღამის მყუდრო წყვილადს... გული ვერ დაემორჩილება აზრს, ადვილად ვერ დასთმობს ნეტარ ბედნიერებას... „იქ! იმ ქვეყნა დაო! რათ გინდა იქაური ბედნიერება, როდესაც ამ ქვეყნად არ მოგეყრდნობა საყვარელი არსება მკერდზედ!?... როდესაც სამუდამოდ დაჰხუჭავ თვალებს, იმ თვალებს, რომელთაც ამ ქვეყნად არა ბედნიერება არ უნახავთ...“

სკრიპკა ჰქვითინებდა. ქალი სულ-განაბული ვერცკი ჰგრძნობდა ცოცხალი იყო, თუ მკვდარი; ოღნავ ეხებოდა თითები

როილის თვლებს... ისიც, ყმაწვილივით, ზეპირად უკრავდა და არ აშორებდა თვალს მშვენიერ მიმკრთალეზულ ყმაწვილის სახეს... იმასაც—ეტყობოდა,—არ ახსოვდა, სად იყო, ისეთნაირად გაეტაცნა მუსიკას. —

ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ორი არსება უკრავდა, თითქო ერთი და იგივე ხელის ნაწარმოებები იყო ეს ხმები... ქალი სკრიპკის ყველა მოძრაობასა ჰგრძნობდა... თითქო ყმაწვილის გულისასაც კი...

მელოდია ჰქრებოდა, როგორაც უკანასკნელი სხივი შემოდგომის მზისა... ქვითინმა იკლო... „რა საჭიროა უარი? არა, უნდა დავემორჩილო ბედს... გრწამდეს... მოითმინე...“ უკანასკნელი მომაკვდავი ხმები ათრთოლდნენ, გაჩერდნენ ჰაერში და... გაქრნენ. რამდენიმე წუთი ორივენი გაჩუმებულნი ისხდნენ, ორნივე ტანჯულნი-ბედნიერნი.

ყმაწვილი პირველი გამოერკვია, მივიდა ქალთან და ხელზედ აკოცა.

V

ქალი შეკრთა. ყმაწვილმა თავი მალლა აიღო, უნდოდა დაეკოცნა ქალი.

— ანო, ძვირფასო, რა საუცხოვოდ უკრავ!

ქალი განზედ გადგა. ყმაწვილის გრძნობით აღსავსე თვლებმა მაშინაც გამოიწვიეს გრძნობიერება.

— გამიშვით!.. გამიშვით, გესმით!..

ქალი ოთახის მეორე მხარეს გადავიდა და სავარძელში ჩაჯდა მაგიდის წინ.

— ეხლა თქვენ მარტოკამ დაუკარიით... თქვენი ნაწარმოები... უკანასკნელად.

ქალი სავარძელზედ მიესვენა და ხელები პირზედ დაიფარა.

— კარგი, ანო, ეხლა მე დავუკრავ, რასაც ჩემი გული უკრავს თავის სიღრმეში...

სკრიპკამ კვლავინდებურად ლაპარაკი მორთო... მერე რა საუცხოვო ზღაპარს ამბობდა! არც სევდა-ვარამი ისმოდა იმ ხმებში, არც გაცრუებული იმედები, არც სასოწარკვეთილება, არც უღონობის ჩივილი მძლავრ ბუნების წინაშე... — სიცოცხლის ძალა... ბუღბუღის ნაზი ხმა, ზაფხულის ღამეში ტკბილი ოცნება... გაზაფხული სიყვარულისა... ამბორება... გამარჯვების ჰიმნი... წკრიალა მოკისკისე ხმები შეყვარებულთა... და არც ერთი ცრემლი.

ყმაწვილმა გაათავა და ქალს გადაჰხედა.

მაგიდაზედ პირქვე დამხობილი ქალი ჰქვითინებდა.

ერთს წუთს ყმაწვილი უცქერდა ქალს და თავის ძალითა სტკებოდა. სახე გაუბრწყინდა. თვალეში იმ შუქმა გამოანათა, რომელიც ქალმა ვერა გზით ვერ გამოიწვია... ქალი ამას ვერა ჰხედავდა... გვიან-ლა იყო!.. ის სტიროდა ტკბილად, იტანჯებოდა კიდევ უკანასკნელ ოცნებობის მოგონებაზედ და ამავე დროს თავის სიყვარულს სამარეს აბარებდა... ეს მხოლოდ ოცნების სიზმარი იყო, ზეციური ხმებით გამოწვეული, და ამ სიზმარმა მხოლოდ წელიწადი გასტანა, ეხლა ქალი გამოფხიზლდა...

ყმაწვილი მიუახლოვდა და მხრებზედ ხელი დაადო.

— ჩემო კარგო...

ის ქალს დაეკონა მთრთოლოვარე ტუჩებით. ქალს ერუანტელმა დაუარა. თავი მალლა აიღო. რა მშვენიერი იყო ამ წუთში... თვალთაგან ნაკადულად ცრემლი სდიოდა, მაგრამ ზეციური ბედნიერებით იყვნენ იგინი სავსენი...

ყმაწვილს თავზე ხელი მოჰხვია. ის იქვე, ქალის წინ მუხლებზე დაეშო, წელზე ხელი შემოარტყა და ორნივე ერთ წუთს თავდავიწყებას მიეცნენ... ქალი ყმაწვილს დაეკონა და კოცნა დაუწყო შუბლსა და თმაში. აღზნებული ყმაწვილი ქალის მკერდზედ ჰმალავდა თავის სახეს და იმის გულის ძვარაძგურს ყურს უგდებდა. ქალმა წყნარის ხმით ლაპარაკი დაიწყო, თითქო ეშინოდა არ დაერღვია ეს ბედნიერება.

— გმადლობთ, ჩემო კარგო... გმადლობთ...

ყმაწვილმა ანთებული თვალებით შეჰხედა. ქალმა განზედ გაიწია.

— არა!... ეგ საჭირო არ არის... ადექით!.. იქით წადით...

ყმაწვილი ანგარიშ-მიუცემლად ნებას დაჰყვა.

— ყური მიგდეთ... მე რომ ლამაზი ლაპარაკი ვიცოდე, გეტყოდით—რა ნეტარებაც მაგრძნობინეთ თქვენის დაკვრით!.. და რა ტანჯვა.... არა... კმარა!.. ამგვარი ნეტარება როდისა განმეორდება; გულიც ვერ აიტანდა... ოჰ! ღიახ!.. თქვენ უსათუოდ სახელს მოიხვეჭეთ... ღმერთმა ბედნიერება მოგანიჭოთ!.. (ხმა უკანკალებდა)... ამ სანეტარო წუთებისათვის ყველა ტანჯვა მომიტევებია თქვენთვის...

ყმაწვილი ქალს მიჰვარდა.

— მაშ, გიყვარვართ...

— არა!.. არა!.. არ მომეკაროთ... არ მიყვარხართ... საჭიროც არ არის... გამოვეთხოვოთ ერთმანეთს მეგობრულად...

— რა სათქმელია ეგ!.. მე ვიცი, გიყვარვართ... გამოთხოვება რა საჭიროა? განა სადმე წასვლა დააპირეთ?

— ჰო, სოფელში... დროებით... სულის დასამშვიდებლად... სადმე მიყრუებულ სოფელში... აღარ შემიძლიან... ღონე აღარა მაქვს... ჩემთვის ღონე საჭიროა...

ყმაწვილი გაცხარებული ბოლთასა სცემდა... ეხლა, როდესაც გაიგო, რომ ქალი ხელიდან უსხლტებოდა, როდესაც, მხოლოდ პირველად, ეხლა შენიშნა ქალის მტკიცე ხასიათი და კიდევ რაღაც, რაც მისათვის გაუგებარი იყო, იმან მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ ქალი იმისათვის არამც თუ საჭირო იყო, არამედ ძვირფასიც, რომლის დათმობა მას არ ძალუძს...

— ანო, ეგ ხომ უგუნურობაა!.. წადით; დაისვენეთ სოფელში... იქიდან ჩემ საცარლოდ მოდით... სკოლას თავი დაანებეთ... იცხოვრეთ ჩემთვის...

— არა...

ყმაწვილმა ქალს ხელები დაუჭირა. ქალი კედელზედ მიეყრდნო, სახე მთლად გაფითრებული ჰქონდა, მაგრამ

უკვე დამშვიდებული. იმის გულში ბრძოლა უკვე გათავებული იყო.

— გამიგონე, ქალო, შენ ჩემთვის საჭირო ხარ!..

— თქვენ სცდებით... თქვენ მარტო თქვენი თავი გიყვართ... მე შემცდარი ვიყავ... მე თქვენში ჩემი ოცნება მიყვარდა... მე თქვენი ნიჭი შევიყვარე... ოჰ, ღმერთო! განა მაგისტანა ნიჭის პატრონს ეგ გული უნდა უცემდეს მკერდში!.. არა!.. მომიტევეთ... ნუ გაჯავრდებით... ჩვენში მტრობა ნუ ჩამოვარდება... მე კი, სულელი, თქვენი გულის გაღვიძლებას ველოდდი... ისევ მარტოობა მიჩვენიდა... რას ემგვანება ჩვენი შეუღლება, როდესაც ჩვენ შორის ასეთი უფსკრულია.

ყმაწვილს მოუთმენლობა ეტყობოდა სახეზედ. ქალმა განაგრძო:

— მოითმინეთ!.. თქვენ მითხარით: „ჩემთვის იცხოვრე“... თქვენთვის კი არა, არავის გულისათვისაც არ ვუღალატებ მე იმათ, ვისთვისაც მე მართლა საჭირო ვარ... იცით, მე რისთვის მივდივარ სოფელში!.. განა მართლა დასასვენებლად!—არა!.. მინდა უთქვენობას დავეჩვიო... მარტოკამ მოვიტირო... და ვეცადო თქვენ... დაგივიწყო... მე არ შემიძლიან—მე არ მინდა მიყვარდეს ის კაცი, რომელიც პატივისცემისა, არ შემიძლიან. მე კი... პატივის საცემს ვერაფერსა ვხედავ თქვენში...

მთლად გაფითრებული ყმაწვილი თრთოდა.

— რათა? აბა მითხარით, რათა? პასუხს ველი...—ხმამ კანკალი დაუწყო. რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა.. ქალი თავჩაქინდრული იდგა, უძრავად. ყმაწვილმა ძლივს მოიბრუნა სული. თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ.

— თქვენ პირველი ადამიანი ხართ, რომელმაც ასეთი შეურაცხყოფა მომაყენა.

ქალი გაჩუმებული ბდგა, სახეზედ ხელებ-დაფარებული. ყმაწვილმა ხმის კანკალით განაგრძო:

— მე სიყმაწვილიდანვე ჩემი თავის პატივისცემას დაჩვეული ვარ... ეს გზა, რომელზედაც ეხლა მე ვდგევარ, მე თვითონ

გავიკვლიე... არავისგანაც არა ვარ დავალებულ არაფრით, ერთი მანეთითაც კი... მე ბოროტება არავისათვის არ მიმიყენებია... მე არც ზნეობითა ვარ დაცემული... ქალაღლის თამაშობა, ღვინის სმა, გარყენილობა მე არც კი ვიცი რა არის... თქვენ შემეყვარდით-და მე, როგორც პატიოსანმა კაცმა, — მოგიძღვენით ჩემი სიყვარული... ღიახ... მე ჩემი თავი პატიოსნად მიცვნიდა და ნება მაქვს სხვისაგანაც მოვითხოვო პატივის ცემა... რაშია ჩემი დანაშაული თქვენს წინაშე?... დამისახელებეთ... მიბრძანეთ...

ქალმა თავი მალლა აიღო, ხელი გადისო ცრემლიან თვალებზედ. და დაიწყო:

— მოითმინეთ... გონება ვერ მომიკრეფია... თქვენ მართალი ხართ... არც ზნეოერივად ხართ დაცემული... თქვენ ამბობთ, ბოროტება არავისათვის არ მიქნიაო... სიკეთე ვილას უყავით?... მოიგონეთ... თუ ღმერთი გრწამთ, მოიგონეთ... რაც რამ მოსთვალეთ თქვენი პირადობის დასაცველად, ეგ ყველა არა პატივსაცემი თვისებებია... ჩემ პატივის ცემას მაგით ვერ დაიმსახურებთ... გამოტყდით, გთხოვთ, — რაც კი ძვირფასი არის აქ ქვეყნად თქვენთვის, იმის გულისათვის — ხომ არის თქვენთვის რაიმე ასეთი ძვირფასი... უნდა იყოს... გამოტყდით, რომ მე მართალი ვარ... რომ მე ჩემი უარი უფუნურობით არ მომდის... გამოტყდით, რომ სხვის ჭირ-ბოროტი თქვენ ჩალადაც არ მიგაჩნიათ... თქვენ სცდილობთ, გზა აუქციოთ სხვის ვარამს, რადგანაც თქვენ პირად სიმშვიდეს უფრო მალლა აყენებთ... დანტეს „ჯოჯოხეთში“, თუ გახსოვთ, არის ისეთი წრე, რომელიც არავის არაფერს არც არგებდა, არც ავნებდა და იმისათვის სატანჯველში იყო ჩავარდნილი. ბევრია ამნაირი ადამიანი... თქვენც იმ ადამიანთაგანი ხართ...

ყმაწვილმა მოქუშული სახით მოისმინა ესა, კარგა ხანს ხმას არ იღებდა, თითქო ქალის ნათქვამმა სიმძიმით პირზე კლიტე დაადოვო. კარგა ხანს უკან დაიწყო. იმისი კილო რაღაც გაცივ-გაკლდევებული იყო.

— ანნა ნიკოლაევნა, არის ისეთი შეურაცხყოფა, რომლის მიტევებაც შეუძლებელია... თქვენ, სჩანს, შეუძლოდა ბრძანდებით, ნერვები მოშლილი გაქვთ... როდესაც ეგ გადავივლით, მაშინ მიხვდებით მხოლოდ, რა სისულელე ჩაიდინეთ... თქვენს ბედნიერებას ბევრი ინატრებდა... მე ხომ ვილაც გზა-კვალ არეული ივანოვი არა ვარ... ათი წლის შემდეგ, როდესაც ჩემი სახელი საქვეყნო გახდება, თქვენ ამ სალამოს მოიგონებთ და ბევრს ინანებთ.

— არას დროს!.. არას დროს!.. თქვენ მართალი ხართ, მე სიკვდილამდე დაუვიწყარი მექნება თქვენი ხელოვნური დაკვრა... და ამ სალამოსაც არასოდეს არ დავივიწყებ...

მაგით დაბოლოვდა ჩემი პირადი ბედნიერება... მომავალში მე აღარაფერი აღარა მაქვს... არც საჭიროა!... ნახევრად ბედნიერება კი... არა, იმ პირობებში ბედნიერებას რა უნდა?!

ყმაწვილი გაცეცხლდა:

— თქვენ თითონ მოხვალთ ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ ჩემგან მოტევებას ნუ მოეღიბებ... მე ავადმყოფსაც ვერ მივუტევებ მაგგვარ შეურაცხყოფას...

ქალმა ხელი დაუჭირა.

— ნუ ჯავრობთ... კარგო, ძვირფასო... დამერწმუნეთ, ჩემთვის ჯერ ისევ ძვირფასი ხართ... წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ვიტანჯებოდე, რომ ჩემის ხელით გიშორებთ თავიდან?! მე არ მინდა ერთი წუთის გატაცებას მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო... არც თქვენი ცხოვრების გასაძაგლება მინდა... იმ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ჰლაპარაკობთ, მე ვერ მოგანიჭებთ... ჩემი დავიწყება თქვენთვის აღვილია... თქვენ ხომ მე არასოდეს არ გყვარებივართ... ნუ მართმევთ ხელს!... მეგობრულად განვშორდეთ... იქნება კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, როგორც მეგობრები... თქვენ ისევ ელევიას დაუკრავთ... მე ლმობიერებისაგან ცრემლად დავიცლები... ოჰ! მე ერთ კონცერტსაც არ გამოვტოვებ მო-

უსმენელს... სადმე კუთხეში მიმალოლი, თქვენის გამარჯვებით დავტკბები... დავლოცავ თქვენს ბედნიერებას... ქალმა თავი ველარ შეიმაგრა, ქვითინი ამოუშვა და ყმაწვილის ხელს დაეკონა.

ვასილიევი გააქრუოლა. ერთს წუთს ქალს შებრალებით უცქერდა.

— უგუნურო, საბრალო ქალო!..

ქალი გასწორდა.

— არა!.. საბრალო თქვენა ხართ... ღმერთო! ვერ გავაგებინე... ვერ მიჰხვდა ჩემს ლაპარაკს...

ფანჯარასთან მივიდა და ანთებული სახე გაყინულ მინას მიაყრდნო.

ყმაწვილი ნელის ნაბიჯით როიალთან მივიდა, სკრიპკა თავის ბუდეში ჩასდო, აიღო ქუდი და რალაცნაირად დატორტმანდა. ქალი ისევ ფანჯარასთან იდგა...

„ნუ თუ ყოველივე გათავდა? ასე სულელურად? უეცრივ?“ — გაურბინა ყმაწვილს თავში.

— ანნა ნიკოლაეენა, მშვიდობით...

ქალი უეცრივ გამოტრიალდა. მაგრად ჩასქიდა ხელი გამოწვილ ხელს, უსიტყვოდ უცქეროდა თვალებში, თითქო ყმაწვილის სახე სამუდამოდ უნდა შთაებეჭდნა.

— მშვიდობით, — ბოლოს წაიჩურჩულა ქალმა და პირი მოარიდა.

„არა, ეს შეუძლებელია,“ გაიფიქრა ყმაწვილმა: — „ეს რალაც საზარელი სიზმარია... საცაა გამომეღვიძება...“ ამ ორ წუთს, სანამ ყმაწვილი პალტოს იცვამდა, ქალი გაუნძრევლად იდგა, ისიც რალაც ფიქრს შეეპყრო... არც ამას სჯეროდა, რაც მოჰხდა... ყმაწვილის დამარცხება, დამცირება ცხადი იყო, მაგრამ ის მაინც იმედს არა ჰკარგავდა: კარებში ერთხელ კიდევ გამოელაპარაკა ქალს.

— ანნა ნიკოლაევნა... ეგ თქვენი უკანასკნელი სიტყვაა?..

— ჰო!.. ჰო!.. წადით, თუ ღმერთი გრწამთ!...—სასო-
წარკვეთილებით წარმოსთქვა ქალმა.

აგერ კარიც გაიღო... ფეხის ხმაც მოისმა კიბეზედ... ეს ვასილიევი ჩადიოდა წყნარის ნაბიჯით, თითქო კიდევ იმედი ჰქონდა—ქალი გონს მოვა, დამაბრუნებსო... ისიც, ქანდაკე-
ბასავით ერთ ალაგას გაშეშებული, რაღასაც მოელოდა. უკანასკნელმა გასავლის კარებმა დაიჭრიალა, მერე მოჯახუნდა... და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... წავიდა.

ეხლა კი ქალმა საშინელი ქვითინი ამოუშვა, ორივე ხელი თავში შემოიკრა და საშინელი სისწრაფით ყმაწვილს დაედევ-
ნა. ეხლა იმისათვის სულ ერთი იყო ყოველი... ის არაფერზე-
დაც არა ფიქრობდა... ის-ლა ახსოვდა, რომ ის წავიდა და არასოდეს აღარ დაბრუნდება, ველარა ჰნახავს აი აქ, თავის-
თან ახლო იმის მშვენიერ თვალებს, იმ თვალებს, რომელნიც ამ რამდენიმე წუთის წინ ისეთის ღმობიერებით და ვედრე-
ბით უყურებდნენ მას. კიბის უკანასკნელ საფეხურზე შედგა:
კარების გაყინულმა ხელმა გონს მოიყვანა, თითქო სიცივემ გულამდის უწია და გულის თქმა ჩაუქროვო. რისათვის უნ-
და დავაბრუნო? რისათვის? იმის გადაკეთება ყოვლად შეუძ-
ლებელია... იმისთანას კი, როგორიც ეხლაა, არ მიიკარებს თვითონ.

ქალი ნელ-ნელა ადიოდა კიბეზედ, ფეხებს ძლივს მიათ-
რევდა... ყველა საფეხურზე თითქმის ისვენებდა... თავის ოთახ-
თან რომ მივიდა, მთლად მოეშო...

მთვარე შუქსა ჰფენდა არე-მარეს, მხოლოდ ოთახში ბნე-
ლოდა... ქალი სკამზე დაეშო, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო...
ნუ თუ ყველაფერი უწინდებურად არის?.. თავ-თავის ალაგას...
საქმელების გემრიელი სუნნი იდგა, სამოვარი ჩამქრალიყო,
სანთელი მომაკვდავივით რდნავ ბეუტავდა... ყმაწვილის სა-

ყვარელ სუნნელების ნაზი სუნი იდგა... თითქო სკრიპკა
ისევ ჰკვენესოდა... ის აღარ არის... წავიდა... გაჰქრა ყოველი
ოცნება, როგორადაც ზაფხულის დილის უკანასკნელი სხივი...
მომავალში მხოლოდ ბინდი-ღა ელოდდა...

წინა

დაძირული ზარი

დრამა-სლაზანი 5 მოქმედებად

გერგარტ ჰუბტმანისა.

მოქმედება მეორე.

ზარების ჩამომსხმელ ჰენრიხის სახლი. უკანა კედლის ნახევარი ბუხარს უჭირავს; ჩამუმლულს ნაგებობებზე სპილენძის ქვაბი ჰკიდია. შეორე, მარჯვენა კედელში, ფანჯარაა გამოჭრილი; მახლობლად ტახტი (კრაოტი) სდგას. გვერდის კედლებს ორი კარები აქვს, ერთი სახელოსნოში გასავალი, მარცხნივ, მარჯვნივ—გარეთ. მარჯვნივ, ავანსცენაზე მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას; მაგიდაზე ქილით რძეა და ჰურის ნახევარ-ნაჭერი. ადრიანი დილაა. ხელნელა თენდება.

ქ-ნი მაკდა (ბავშვებს). უყურეთ, აბა, რამდენი ყვავილები მოგიტანეთ. ჩვენს ბაღს უკან ერთი ადგილი სულ ამ ყვავილებით არის სავსე. მამი-თქვენისათვის ესოდენ დიდებულს დღეს დიალაც რომ ღირსეულად ვიქნებით მორთულნი.

ზირველი ვაჟი. მომეცი დედი.

მეორე. მეც, მეცა, ყვავილები!

ქ-ნი მაკდა. აი, თითო-თითოს ხუთ-ხუთი ყვავილი შეგხვდებათ. იცით, მერე, რა ჰქვიან ამ ყვავილებსა?—„ცის ვასა-

*) იხილე „მოამბე“ № 2.

ლები“. ჩქარა რძე დალიეთ. თითო ნაჭერი პურიც შეატანეთ, თორემ საყდრამდის დიდი გზაა, მერე სულ აღმართი.

მეზობელი ქალი (ფანჯრიდან). ოჰ, მეზობელო, თქვენ კიდევაც ამდგარხართ?

ქ-ნი მაგდა. მაშ, რა მეკეთებინა, მთელს დამეს თვალი არ მომიხუჭნია, ძლივს თვალი მოვატყუე კურდღლურად. ვგონებ თბილი და ნათელი დღე დაგვიდგება, თქვენ რას იტყვით?

მეზობელი ქალი. უთუოდ, უთუოდ.

ქ-ნი მაგდა. რა თქმა უნდა, თქვენ უთუოდ ჩვენთან ერთად წამოხვალთ? სწორედ რომ საუცხოვო გასეირნება იქნება. თუმცა ბავშვების გადამკიდე გზაზე კარგა შეგვაგვიანდება. მე კი რომ მარტო ვყოფილიყავი, სწორედ გაფრინდებოდი. სიხარული და მოუთმენლობა როგორღაც მოსვენებას აღარ მაძლევს.

მეზობელი ქალი. როგორ, განა, თქვენი ქმარი წუხელ შინ არ დაბრუნებულა?

ქ-ნი მაგდა. ეჰ, აგრე მალე! მე იმისიცი კი მადლობელი ვიქნები, თუ მრევლის შეკრებამდის მოასწრეს და ჩამოაქიდეს როგორმე. დრო ცოტა-და დარჩათ, ყველაფერს დაშურება უნდოდა. მადლობა ღმერთს, თუ ჰენრიხმა ერთი საათით მაინც არის სადმე ბალახში თვალი მოატყუა. მაშ, აბა, ადვილი საქმე ხომ არ არის: ძნელი სამუშაო იყო; სამაგიეროდ, სასყიდელი ერთი ორად გატკბილდება. ვერ წარმოიდგენთ, რა საუცხოვოდ გუგუნებს ეს ახალი ზარი. აბა, ყუჩი დაუგდეთ, პირველადვე რა მშვენივრად დაიგუგუნებს. ნამდვილი ანგელოზთა გალობა გეგონებათ. ნუგეში, სიხარული... ყოველივე მისს წკრიალში იხატება...

მეზობელი ქალი. დიად, დიად, მაგრამ იცით რა მაკვირვებს? ჩემი დერეფნიდან მთაში ახლად აგებული საყდარი

კარგად მოჩანს, ამბობდნენ, ვითომ ზარს რომ ჩამოჰკიდებენ, თეთრს ბაირალს ააფრიალებენო; მაგრამ ბაირალი არსადა სჩანს.

ქ-ნა მაგდა აბა, კარგად გაჰხედეთ. უთუოდ იქნება.

მეზობელი ქალი. საქმეც ეს არის რომ არ მოსჩანს-და!

ქ-ნა მაგდა. მართლაც-და იქნება არ მოსჩანს? ოჰ, თქვენც რომ ჩემსავით კარგად იცოდეთ, რა დიდი შრომაა ამ საქმისათვის საჭირო! ცალკე ფიქრი, ცალკე ბრძოლა და დღე-და-ღამ მუშაობა, ყოველივე ეს ხელმძღვანის კისერზეა. მაშ, რაღა საკვირველი, რომ დანიშნულს წამს უკანასკნელი ლურსმანი-და დაჰრჩენოდეთ დაუსმელი. ახლა კი უთუოდ აფრიალებული იქნება ბაირალი.

მეზობელი ქალი. ოჰ, არა მგონია. მთელი სოფელი ახლა მხოლოდ იმას ყაყანებს, ვითომ მთაში რაღაც უბედურება მომხდარიყოს. მერე, ნიშნებიც რომ ისეთი ცუდი იყო! ქვის მკოდავს მთაში შიშველა დედაკაცი უნახავს, რომელიც სულ ცალ-ფეხზე თურმე დასკუპალაობდა. აულია და კუდიანისათვის ქვა უთავაზნია. მერე, რა მოჰსვლია, იცით: ხელი მაშინვე დაჰდამლაგებია და მოჰვარდნია. რას ჰნიშნავს, თუ იცით? რასა და იმას, რომ მთის ბორბოტ სულთ ახალი ზარი არ მოეწონათ უთუოდ და ამის გამო განრისხდნენ. მიკვირს სწორედ, რომ აქამდის თქვენ არა იცით-რა. ქალაქის მოურავი უკვე წასულა და ხალხიც წაუყვანია. ამბობენ, ვითომ.....

ქ-ნა მაგდა. რაო, რაო, რას ამბობენ? ქალაქის მოურავიც წასულა? ღვთის გულისთვის...

მეზობელი ქალი. მაგრამ ჯერ რომ ნამდვილად არა ვიცით-რა. არაფერიც არა იქნებოდა-რა. საშიში არა არის-რა. ნუ ჰღელავთ, გესმით მეზობელო! უბედურობის შესახებ ჯერ არა ისმის-რა. ამბობენ მხოლოდ, ვითომ ურემი, რომლითაც ზარი მიჰქონებიათ, გატეხილა.

და ზარსაც რაღაც დაჰმართვნია, მაგრამ რა, ეგ-კი აღარ ვიცი?!

ქ-ნი მაგდა. ახ, ნეტავი, ეგ იყოს მხოლოდ! ზარს რაც უნდა მოუვიდეს, ოღონდ ჰენრიხი იყოს ცოცხალი. მაგრამ საჭიროა უთუოდ დაწვრილებით და ნამდვილად შევიტყო ყოველივე. იცით, რასა გთხოვთ: ჩემი ბავშვები შინამდის თქვენთან იყვნენ (ბავშვებს ფანჯრიდან გადაწვდის).

მეზობელი ქალი. სიამოვნებით! ყურს ვუგდებ.

ქ-ნი მაგდა. ჰო, თქვენი ქირიმეთ, შინ წაიყვანეთ. მე-კი ახლავე იქითკენ გავექანები, მივეშველები. მეც იქ შინდა ვიყო, სადაც ჩემი ქმარია. (სახჩაროდ გადის. მეზობელი ქალი ფანჯარას მოსცილდება. სტენის იქიდგან ხაღხის ყაყანი ისმის. შემდეგ მაგდას გულ-გამგშირავი ქვითინი მოისმის. ჰასტორი აჩქარებით შემოდის, ოხრავს და თვალებს იწმენდს. აქეთ-იქით იტყობს, მერე ლოგინთან შივა, საჩქაროდ საბანს გადაჭმლის და კარებისაკენ მიეშურება, საიდგანაც მასწავლებელს, დალაქსა და სხვათსაკაცებედ დადებულნი ჰენრიხი შემოჰყავთ. ქ-ნი მაგდა შეწუხებულისა და სასოწარკვეთილის სახით მოსდევს უკან საკაცესა; მთლად მოშვებულა და მხარ-და-მხარ მოჭყვავთ. მაგდას თან შემოჭყვავება ხაღხი. ჰენრიხს ლოგინებედ მიაწვევენ).

ჰასტორი (მაგდას). დამშვიდდით! ღმერთია ნუგეში. ხელოსანს ჰენრიხს რომ საკაცებედ ვუღებდით, მკვდარი გვეგონა, მაგრამ გზაზედ მოსულიერდა. როგორც ექიმი ამბობს, იმედია, რომ მორჩება.

ქ-ნი მაგდა (სუფს ძლივს იბრუნებს). იმედია! ღმერთო მოწყალე! ისე ბედნიერი ვიყავი. რა შემართება? ეს რა მოხდა? ბავშვები სად-ღა არიან?

ჰასტორი. მოთმინება იქონიეთ, ღმერთი მოწყალეა! მოთმინებითა და მორჩილებით ყოველივე იქნება. თქვენ თითონ იცით, რომ რაც უფრო დიდი უბედურება

ეწვევა ხოლმე ადამიანს, მით უფრო ღმერთი მეტად შეჰმწეობს. თუ რომ უფალი არ ინებებს სიბრძნითა მით მიუწვთომელითა და თქვენს ქმარს ჯანმრთელობას არ მოანიჭებს ღროებით, მაშინ უნდა ჰნუგეშობდეთ მით, რომ დაიმკვიდრებს ცხოვრებასა მას ნეტარსა და სამარადისოსა.

ქნა მაგდა. თქვენ, ბ-ნო პასტორო, მხოლოდ იმასა სცდილობთ, რომ ნუგეში როგორმე მცეთ. რად მინდა, ნეტა, ეს ნუგეშის ცემა? ჰენრიხი უნდა მორჩეს, აი, ჩემი ნუგეში, და მორჩება კიდევ!

პასტორა. დიად, დიად, ჩვენც იმედი გვაქვს. არა-და, ნება უფლისა ასრულდეს? მაშასადამე, მაშასადამე, ჰენრიხ გამარჯვებული დარჩება. უზენაესს ჰმსახურებდა და ზარი ჩამოასხა. უზენაესის სამსახურში მან შელახა მთანი, რომელთა ხეობებსა და ჯურღმულებშიაც ძალნი ბნელთისანნი და მათი სამეფო იყო დამკვიდრებული. უზენაესს ჰმსახურებდა და ჯოჯოხეთის ცბიერ სულთავან იძლია, ვინაიდგან ზარმან მან შეაკრთო იგინი; ჯოჯოხეთის ძალნი შეერთდნენ მაშინ, რომ ჰენრიხი დაეღუპათ. მაგრამ იცოდეთ, ღმერთი დაჰსჯის მათ.

დალაქა. აქ, მახლობლად, ერთი სასწაულთ-მომქმედი დედაკაცო სცხოვრობს, რომელიც ლოცვითა ჰკურნავს ხალხს.

პასტორა. წადით, აბა, და მოიყვანეთ.

ქნა მაგდა. ღმერთო, ყველა ეს როგორ უბნდა, როგორ? (ბზბზს). თქვენ რაღას უყურებთ? არ მოჰშორდებით? ვიშ, ამათს ცნობის მოყვარეობას! წადით, გესმით? ნუ აწუხებთ მაგ თქვენის ცქერით. ხელსახოცი გადაათარეთ სახეზედ. თქვენ უარესადა სტანჯავთ. ვინ იცის, იქნება თვალიცა ჰკრათ. ეგრე. წადით. ოჰ, რა დაემართა, ნეტა? (ისევ ბზბზს). რაო, მუნჯები ხართ, თუ რა არის?

მასწავლებელი. მართლაც-და ძნელი ასახსნელია, საიდგან რა გამოუვარდა. იქნება ზარის დაჭერას სცდილობდა, ურემი რომ გადაბრუნდა? მაგრამ ერთს გეტყვით: თქვენ რომ ის უშველებელი ხევი დაგანახვათ, სადაც ზარი გადავარდა, მოწიწებით მუხლოს მოიდრეკით და ღმერთს მადლობას შესწირავდით, რომ თქვენი ქმარი ცოცხალი გადარჩა ეს მხოლოდ სასწაულით აიხსნება, სხვა არაფრით!

ქ.ნახი (სუსტის ხმით). წყალი... მასვით...

ქ.ნი მაგდა. წადით, ყველანი წადით!

ზასტორი. წადით, საყვარელნო შვილნო! ავადმყოფს მოსვენება უნდა. (ხალხი გადის). ქ.ნო მაგდა, თუ რომ საჭირო რისთვისმე ვიყო, ხომ იცით, სადაცა ვცხოვრობ.

დალაქა. მეც ავრეთვე.

მასწავლებელი. მე აქ დავრჩები.

ქ.ნი მაგდა. არა, არა, არავენ არ არის საჭირო. (მცირე მოლაზრაკების შემდეგ ზასტორი, მასწავლებელი და დალაქა თავის ქნევით და მსრების შმუშენით გადიან).

ქენახი ცოტა წყალი კიდევ...

ქ.ნი მაგდა (წყალს ასმევს). ავად ხარ, ჰენრიხ?

ქენახი. საშინელი წყურვილი მტანჯავს. კიდევ მასვი წყალი, გესმის?

მაგდა. ცოტა მოიხმინე, ჰენრიხ.

ქენახი. ცივს მიწაში მოთმინებას მალე მივეჩვევი (ჭსვამს). გმადლობ. აღსასრული მოახლოვებულ არს.

მაგდა. მაგას რას ამბობ, ჰენრიხ, შიშით ვილევი.

ქენახი. არა, არა, როდი უნდა გეშინოდეს, მაგდა! უჩემოდაც უნდა იცხოვრო.

მაგდა. არა, ჰენრიხ, მე უშენობთ სიცოცხლე არ მინდა, არც შემძლიან.

ქენახი. კარგი, მაგ ბავშვურის მწუხარებით მაინც ნულარა მტანჯავ. შენი მოვალეობაა, ამ უბედურებას უშიშ-

რად შეეგებო; შენ ხომ დედა ხარ, გესმის: დედა. სულის სიმტკიცე არ შეირყიო.

მაგდა. რად ამბობ მაგას... შენ მეტად სასტიკი ხარ...

ჰენრიხი. სასტიკად გეჩვენება ის, რომ შენს ბედნიერებას შეი-
ლებში ვხედავ? შენი მოვალეობაა ამ ბავშვებისა-
თვის იზრუნო და იზრომო: შენს სიცოცხლეს ეგე-
ნი შეადგენენ.

მაგდა. ღმერთმა კი მაპატიოს, მაგრამ ჰენრიხ, შენ ჩემთვის
მათზე უძვირფასესი ხარ, თვით ჩემს სიცოცხლეზე-
დაც კი ძვირფასი. ჰენრიხ, მიყვარხარ!

ჰენრიხი. ოჰ თუ მარტლა ასეა, მაშინ ვაი თქვენ, ობლებო!
და უარესი ვაი და უბედურება კიდევ მე: ჩემო პა-
ტარა ობლებო, პირიდან ლუკმას, რძეს გაცლით!
ოჰ, ვგრძნობ, გული როგორ მეწვის... მშვიდობით.
სამუდამოდ! დეე, ის იყოს თქვენი მფარველი, ვის
წინაშეც ყველა ჩვენგანი წარსდგება. სანატრელს
ნათელს ბევრი შავ-ბნელს სიკვდილში ხედავს: დეე,
მეც იგივე მიჩნდეს სინათლედ (წბილად): ხელი მო-
მეცი. სიტყვითაც და საქმითაც ბევრი ბოროტი მო-
გაყენე. თვით სიყვარულიც შენი არა ერთხელ შე-
ურაცხეყავი: მაპატიე, მაგდა! უნებლიედ შეურაცხ-
გყოფდი და შემდეგ ვნანობდი მუდამ, მაგრამ თავს
ვერ ვიმაგრებდი და კვალად გტანჯავდი. მაპატიე,
მაგდა, მაპატიე!

მაგდა. რა, ჰენრიხ, და რისთვის გაპატიო? ოჰ, თუ გი-
ყვარვარ, ნუ მეტყვი მაგას: ხომ იცი, ვიტყვებ.
სჯობს ისევ გამლანძლო, დამტუქსო. ვიცი, რომ
შენ წინ მოვალე ვარ.

ჰენრიხი (ნაღვლიანად). რა ვიცი.

მაგდა. შენ აღამიანად მაქციე. ელვა-ქუხილისაგან დამფრთ-
ხალ ჩიტივით მარტოდ და ღარიბულადა ვცხოვრობ-
დი. შენ შემიჩვიე და გულ-შემზარ სიბნელიდან
ბრწყინვალე ბედნიერებამდე აღმამაღლე. მეც ხომ

იმისთვის შეგიყვარე ისე ღრმად, ისე ძლიერად, რომ უფსკრულისაკენ გაქანებული ძლიერის ხელით ნათლისაკენ შემომამბრუნე. მაშ, რა-ღა უნდა გაპატიო? ნუ-თუ ის, რომ თითქმის მკვდარი სასიცოცხლოდ გამომამბრუნე?

ქენრახა. უცნაურია! გული გულთან ხან სულ სხვა რიგ დაიქსელება.

მაგდა (თმაზედ ნაზად ხელს უსვამს). ოჰ, ბედნიერი ვარ იმითი, რომ ხან-და-ხან მაინც დამშვიდებული იყავ ჩემთან, მოგწონდი კიდევ; არ ვიცი ამ სიკეთისათვის მაგიერი ვით გადგიხადო.

ქენრახა (შეშფოთებულად). ყური დამიგდე, მაგდა: თავი დაჰხარე... ვკვდები... ოჰ, ღიად, ვკვდები. ზეცის ნებაა, მაგრამ ორივესთვის ესა სჯობს. ნუ მეტყვი, რომ შენის კეთილის სულის აღდგენის მიზეზი მე ვარ, ან ჩემი სიყვარულია: ეს არის საქმე იმ სასწაულთმომქმედისა, რომელიც ზამთრისაგან მინდვრად დამზრალსა და დამქენარს ყვაფილებს გაზაფხულზე კვალად სულს უდგამს. აი, ხომ ჰხედავ, — მეც მოვხუცდი, დაღლილი ვიყავ: აღარ ვვარგოდი; ამიტომაც სულაც არ ვსწუხვარ, რომ ჩემი შემქმნელი ოსტატი თავისს ქმნილებას ახლა მოსპობას უპირებს. სულაც არ ვსწუხვარ, რომ მე და ჩემი ზარი ორნივე უბსკრულში გადავცვივდით: ჩემი ზარი ცუდი იყო; არ ვარგოდა, რომ იქ, მაღალს. მთებში, მისს ხმას გუგუნე გაჰქონებოდა...

მაგდა. მე შენი არა გამეგება-რა. ზარი ისე მშვენიერად იყო ჩამოსხმული, არსად რამ ნაკლი, არსად მიზეზი. ხმაც საუცხოვო ჰქონდა! როდესაც პირველად საცდელად აქ, ეზოში, ჩამოჰკიდე ხეზედა და დაუკარ, ყველა ერთხმად გაიძახოდა, რომ სერაბიმთა გალობასა ჰგავს, სასწაულგებრივი ზარი ჩამოასხა ჩვენმა ოსტატმაო.

ჭენჩახა (ადელკეხელი, შეშფოთებელი). დიად, აქ, მინდვრად, კარგად უკრავდა; მთის მწვერვალზედ-კი ხმა არა ჰქონდა.

მაგდა. არა, არ მჯერა. თვითონ გავიგე, პასტორმა რომ უთხრა კისტერსა: „ექვი არ არის, მთაში უკედ იწყებს გუგუნსაო“.

ჭენჩახა. არა, მინდვრად გუგუნებდა... მთაში კი აღარა. ეს მხოლოდ მე ვიცი. პასტორს ამისი ცოდნა არ შეეძლო... დიად, მოვკვდები და მინდა კიდევ, რომ მოვკვდე. აი, ხომ ჰხედავ: რა აზრი ექნება, აბა, თუნდაც მოვრჩე, როგორც მბობენ, თუ გამოდგომით აღარაფერში გამოვდგები? ნუ-თუ მხოლოდ-ლა მისთვის, რომ სამადლო სახლში დავლიო დღენი? დღემდის საუკეთესო და მაგარს ცხოვრების ღვინოსა ვსვამდი; ნუ-თუ დღეის შემდეგ წყალ-წყალა და მუავე უნდა ვსვა? დეე, ვისაც ჰსურს, მანვე ჰსვას, მაგრამ მე კი ღმერთმა მაშოროს, მძულს ეს ცხოვრება. მოიცა, მათქმევინე, რა უნდა მეთქვა... თუნდაც შეიძლოს ვინმემ და სრულად განმკურნოს, აღმიდგინოს კვალადცა ძალნი, მაინც, მაგდავ, დაღუპული ვარ...

მაგდა. ღმერთო, რა დაგემაართა! ზეცამან ნიჭი უხვად მოგმადლა. შენს ხელობაში უკეთესი სხვა არვინ არის, უყვარხარ ყველას, ყველა გცემს პატივს. სულ ცოტა, ასი ზარი ზღარ ჩამოგისხამს? ყველა ისინი მაღალ სამრეკლოებიდან გიძღვნიან ქებას და სოფლად ნაადრევს ყანებს და მინდვრებს, ვით ნელსაცხებელს საამურსა, თავისს ხმასა მიმოჰვინავენ. შენ მოანიჭე ერს ძვირფასი ბედნიერება: შენს ქმნილებაში იგი ისმენს ღვთიურსა ხმასა. აქ, დედამიწაზედ, სადაც ამდენი ტანჯვა და სიღარიბეა, შენ კმაყოფილად სცხოვრობ, მხიარული ხარ. თუ

შენ მოგწყინდა ეს სიცოცხლე, მე რაღას ვაქნევ-
ნეტა, ვიცოდე?

ქენკახა. ყური დამიგდე, რა გითხრა. შენი სიტყვა ღრმად
ჩამწვდა გულში; არც ერთის ჩემ მიერ ჩამოსხმულ
ზარის ხმა ესდენ ძლიერი, მკაფიო არა ყოფილა.
სულით და გულითა გმადლობ, მაგრამ, მაგდაუნდა
კარგად მიმიხვდე. ვიმეორებ: ჩემის ხელობის უკა-
ნასკნელი ნაყოფი კარგი ვერ გამოდგა. დაღვრემილი
მივსდევდი ცხენებს, როდესაც შოლტების ტყლა-
შუნით ძლივს მიათრევდნენ აღმართზედ ზარსა. და
აგერ, ამ დროს, უცბად, მოჰსხლტა ზარი და თვალ
ჩაუწვდენელ სიმაღლიდან ტბაში ჩავარდა... ახლა
იქა სძევს, ტბის ძირას, ასის საყენის სიღრმეზედ.
იქ, ჩუმსა, ბნელსა და უტყვეს წყალშია ჩამარხული
ჩემი საუკეთესო შრომა და მე კი ისევ ცოცხალი
ვარ, ნელ-ნელა ვიფერფლები... მაგრამ მოვკვდები,
მოვისპობი... ველარც ზარი და ველარც სიცოცხლე
უკან ველარ დამიბრუნდებიან, რამდენიც უნდა ვე-
ცადო და მომენატროს დამარხულის ხმის კვალადცა-
სმენა...

ვაი, მე უბედურსა! ყოველივე, რაც-კი მასულ-
დგმულეობდა, შავ-ბნელოდ, ბოროტად, გარდამექმნა,
მომეშხამა, მოვსტყუედი. ძველებურად სიცოცხლე
აღარ შემიძლიან. მშვიდობიანად, მინდვრად სიცო-
ცხლე აღარა მხიბლავს. იქ, მაღლა რომ ვიდექ, სუ-
ლი ზეცისკენ მიისწრაფვოდა, ნათელს სივრცეში
სწყუროდა ყოფნა, მთისა და ზეცის ძალთა დახმა-
რებით დიდთა ქმნილებათა შემოქმედებასა ჰლამობდა.
მაგრამ დავვუძღურდი და თუნდაც კიდევ აღვიდე
მაღლა, თავს ველარ შევიმაგრებ, დავეცემი... არა, ისევ
სიკვდილი მირჩევნია. სიცოცხლე რომ კვალად შე-
ვიძლო, მეორედ დასამწიფებელ ნაყოფისავეთ ხელ-
ახლად აღდგინება დამჭირდება, ხელ-ახლად უნდა

ვიგრძნო ძალა სულისა და ხელმაც კვლავ ღონე განიცადოს, შემოქმედებამ ძლიერად გამიტაცოს...

მაგდა. ო, ჰენრიხ, ჩემო საყვარელო, რომ ვიცოდე, სად არის ეგ ქაბუკობის მომნიჭებელი წყარო, მერწმუნე, სიხარულით მოგიპოვებდი, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამგდომოდა, ოღონდ შენთვის ახალგაზრდობა დამებრუნებინა.

ჰენრიხი (ტანჯვით, თითქმის ჭბოდავს). ოჰ, ძვირფასო... არა, არ მინდა, არა... იქ მხოლოდ სისხლს ჰპოვებ, სისხლს... გევედრები წადი... თავი დამანებე... ვკვდები... (გონებასა ჭკარგავს).

3.

შასტოარი (შემოდის). როგორ არის, ქ-ნო მაგდა?

მაგდა. ძალიან ცუდად. რაღაცა საშინლად აწუხებს; გაუგებარი სენი სტანჯავს. არ ვიცი, რის შიში მქონდეს, რისი იმედი (სახქაროდ თავ-შადს წამოისხამს). თქვენ ვილაც მკურნალი დედაკაცი მასწავლევით ვგონებ?

შასტოარი. ჰო, დიახ, მეც სწორედ მაგიტთვის დავბრუნდი. აქედგან შორს არა სცხოვრობს. რას ეძახიან... ვერ მომიგონია. აიქ, ტყის პირად, სცხოვრობს. სახელად...

მაგდა. ვიტყვიხა ჰქვიან?

შასტოარი. რას ბრძანებთ, ქ-ნო მაგდა, რას ბრძანებთ! ვიტყვი-ხა ხომ წყეულია დამიანია, ბოროტი, ეშმაკის კერძი, სიკვდილის ღირსი. ხალხი უკვე დიდად აღელვებულა ამ კულიანის წინააღმდეგ. მალე ვგონებ ქვებითა და კეტებით ჩააქვავებენ. უნდათ მთლად მოფუტკნონ ამ წყეულის ქოხი. იქნება არ იცით, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზი ის არის? არა, მე რომ მივასწავლეთ, იმას ქ-ნს ფინდეკლეს ეძახიან. პატიოსანი, ღვთისნიერი დედაკაცია, მეცხვარის ქვრივი. განსვენ-

ნებულს ქმარს უსწავლებია რაღაც სასწაულებრივი საიდუმლო წამალი. ხალხში მაინც ასე ამბობენ. ხომ წახვალთ?

მაგდა. დიახ, დიახ, ბ-ნო პასტორო!

პასტორი. მაშ, ეხლავე წადით.

(შემოდის რაუტენდლეინი, მოსამსახურე გოგას ტანსამოსით, ხელში ხილის კადათა უჭირავს).

მაგდა. რა გინდა ბავშვო? ვინა ხარ?

პასტორი. ეს ხომ მიხალას ქალია, ანნა. ნუ ეკითხებით: საბრალო მუნჯია, მაგრამ მეტად კეთილი. ეტყობა ხილი მოუტანია.

მაგდა (რაუტენდლეინს). მოდი ჩემთანა. რა უნდა მეთქვა მართლა? ჰო, აი რა: ჰხედავ, ჩემი ქმარი ავად არის. აქ იყავ, თუ გაიღვიძოს. გესმის? (პასტორს) ქ-ნი ფინდელე ჰქვიან იმ დედაკაცსა, არა? აქედან კარგა მოშორებითა ყოფილა, დიდს ხანს თავს ვერ დავანებებ. ერთს წამს წავალ. მეზობელი დარჩება აქა და ყურს უგდებს, ხომ? მეც ეხლავე დავბრუნდები. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ! (შიდის).

პასტორი. აქ დარჩი, ჩემო კარგო. ჩამოჯექი. შენ ხომ ჰკვიანი ხარ, ყური უგდე, ვინემდის საჭირო იქნები. კეთილი საქმეა. მაგიერს ღმერთი გადაგიხდის. რა ძალიან გამოცვლილხარ მას შემდეგ, რაც აღარ მინახივხარ. ჰკვიანად იყავი, კარგი ქალი იყავი. ღმერთს დიდი სილამაზე მოუცია შენთვის. მარლაცდა, რომ გაცქერდები, თითქოს ის აღარა ხარ, რაც წინად იყავი... რაღაც საზღაპრო პრინცესას დაჰმზგავსებიხარ. ვინ იფიქრებდა, აბა. დიახ, დიახ. შუბლი დაუსველე, აი, ასე. გესმის. სიცხე აქვს. (ჰენჩის). ღმერთმა განგკურნოს (შიდის).

(აქამდის მორცხვი და მშვიდი რაუტენდლეინი უცბად გამოიცვლება და კერასთან ფუს-ფუსს დაიწყებს)

რაუტენდლეინი. ნაწერწკალო, ნაპერწკალოსა
 მიჰყე, მარდად გაიშაღე,
 აგუგუნდი, ცეცხლო, ქვებსა
 ალი აჰკარ, აიშაღე.
 (ტეტხლი გადავიღება).
 ნელ ნიავებრ დაუბერავ,
 უცბად ავაგუგუნებ ცეცხლს,
 ვადუღებ სამკურნალო წვენს...

(ქვების ხუფს ასწევს).
 ბლახ-ბულახს მაისისას,
 სუნნელოვანს, წყალში ჩაყრი,
 თან სიტყვებსა სათვალთმაქცოს
 ჩავჭურჩულებ საიდუმლოს.
 განიკურვნის იმავ წამსა,
 ვინც იგემებს ამ ჩემს წამალს.

მინამდის კი ქარხალს დაფუცქენი, წყალს მოვიტახ,
 თორემ კასრში ცვარი აღარა დგას. მაგრამ არა, ჯერ
 თანჯარას გამოვადებ (ფანჯარას გამოადებს). ამინდი
 დღეს მშვენიერია, ხვალ კი უთუოდ ცოტა ქარიანი
 დღე იქნება: აგერ მთებზე უშველებელი ღრუბელი
 გადმოფენილა. დაღამდება და ისიც მრისხანედ დაი-
 ქუხებს. მთის სულნი ტყიდან აიშლებიან, მინდვრად
 ჩამოვლენ... ჩუ! გუგულმა დაიძახა? მერცხალიც
 ცელქად აელვარებს ფრთებს მზის შუქზედ. (ჭენრისი
 თვალებს გაახელს და რაუტენდლეინს დაატყურობს). ჯერ
 ქარხალს დაფუცქენი და მერე წყალზე წავალ. თუ

გოგოობა ვიკისრე, საქმეც უნდა გავაკეთო... ცეცხლო, აბა, კი არ ჩაჰქრე...

ქენჩახა (განცვიფრებული). შენ, ეი, ვინა ხარ?

რაუტენდლეინი (ჩქარა და გაბეღვით). ვინა-და რაუტენდლეინი.

ქენჩახა. რაუტენდლეინი? პირველად მესმის ეს სახელი. სად-
ღაც თითქოს მინახევხარ. მაგრამ არ მახსოვს სადა?

რაუტენდლეინი. იქ, მთებში, მნახე.

ქენჩახა. ჰო, მართლა! სიცხიანს მომეღანდე. აი, ეხლაც ხომ სიზმარში ვხედავ. ხშირად საზარელი რამ დაგვეზმანება ხოლმე. არა? აი, ჩემი სახლი. მე ლოგინში ვწევარ და ვკვდები. აგერ ფანჯარა, გარეთ მერცხლები დასრიალებენ. ბაღიდან ბუღბუღლის სტვენა მოისმის, იასამანი, ზამბახი არე-მარეს სუნსა ჰფინავენ. ყველაფერი მესმის, ყოველივესა ვხედავ, ვგრძნობ. საბნის ბეწვს, თვითოეულს კვანძს ვარჩევ. ჰო, მაგრამ ყველა ეს სიზმარია მხოლოდ, სხვა არასფერი.

რაუტენდლეინი. რატომ გგონია, რომ სიზმარია?

ქენჩახა. იმიტომ, რომ ყოველივე ეს მეზმანება.

რაუტენდლეინი. მაშ, გჯერა, რომ სიზმარია?

ქენჩახა, დიახ მაგრამ არა. არა, მჯერა. რას ვამბობ, ნეტა? სულ ერთი არ არის, განა, მჯერა თუ არა მჯერა, დეე, ასე იყოს, სიზმარია თუ ცხადი, ორივე ერთია. აგერ ახლა-კი ცოცხალსა ვხედავ... დეე, თუნდ ჩემის ოცნების ნაყოფი იყავ, მხოლოდ, ჩემო კარგო, ამის გამო ნაკლებ არ მეყვარები. ჩემთან დარჩი.

რაუტენდლეინი. ო, რასაკერელია, დავრჩები.

ქენჩახა. და ყველა ეს ხომ სიზმარია...

რაუტენდლეინი. მიტკირე, აბა: აი, ჩემი ფეხი. ჰხედავ წითელს ქუსლს? აი, ესაც კაკალი. ჰხედავ, ვიღებ და ქუსლს ვადგამ: გატყდა. როგორა გგონია, ესაც სიზმარია?

ქენჩახა. ღმერთმა იცის.

რაუტენდელიანი. მიყურე, მაშ, კიდევ. აი, შენთან მოვედი; ლოგინზედ დავჯექი შენს გვერდით და კაკლის გულს მხიარულად ვახრამუნებ. ხომ კარგადა ჰხედავ?

ქენრახი. მაინც ვინა ხარ, მითხარი? საიდგან, ან ვინ გამოგზავნა? რა გინდა ჩემგან, ჰხედავ, მთლად დამტვრეული ვწევარ და ვიტანჯები, სიკვდილს მოველი?

რაუტენდელიანი. მე შენ მომწონხარ. მაგრამ საიდგანა ვარ, ამას კი ვერ გეტყვი, არც ის ვიცი, ამას იქით რა მომელის. ბებიამ თურმე ტყეში მიპოვნა, ხავსში გახვეული. გამოზრდილი ძაღლის რძითა ვარ. ტყე, ქაობი, მთა—ყველა ჩემი სახლია. როცა ქარი ბობოქრობს და მრისხანედ ზმუის, გარეული კატასავითა, მე მაშინ მხიარულად დავპროწიალებ, ვყვირი, ვიცინი და ეს ჩემი სიცილი შორს, შორს გაისმის; ჩემთან ერთად ალ-ქაჯნი, წყლის ბერი იცინიან. ბოროტი ვარ, ვიკბინები, ვიკაწრები, როცა გამაჯავრებენ. ვაი იმას, ვინც გამაბრაზებს. ანჩხლი ვარ მეტად, თავ-ქეიფა: ხან ბოროტი ვარ, ხან კი კეთილი, ხან ასე, ხან ისე, როგორც მომესურვება. გინდა, შენთან დავრჩები. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ჩემთან წამოსულიყავი მთებში. ჰნახავ, როგორ გემსახურები და გასიამოვნებ. ვიცი, დედამიწის გულში სად იაგუნდი, ალმასი, ლალი და ზურმუხტია დაფლული. დეე, ჩემ-ნება, ზარმაცი და ცბიერი ვიყო, გაუგონარი, შენ მაინც ყოველისფერს აგისრულებ, რასაც მიბრძანებ. თვალსა და პირში გიყურებ მუდამ და ყოველს შენს სურვილს უთქმელად შევასრულებ. დეე, ბებია-ჩემმა...

ქენრახი. ამიხსენ, ჩემო ძვირფასო, ბებია-შენი ვილაა?

რაუტენდელიანი. როგორ! არც ეგ იცი ბებია-ჩემი ვინ არის?

ქენრახი. არ იცი, განა? მე ხომ აღამიანი ვარ, ბრმა.

რაუტენდლეინი. მაშ, თუ აგრეა, მალე ყოველივეს იხილავ. ვისაც კი თვალში ვაკოცებ, უხილავი მისთვის აღარა. იქნება-რა, თვით ზეცის გულიც კი ვადაეხსნება.

ქენრახი. სცადე, მაშ, აბა.

რაუტენდლეინი (თვალებში ჭკოცნის). თვალნო, აღეხვნიო?

ქენრახი. ო, მშვენიერო არსებაე! სიკვდილის მწუხარე ჟამს მომეველინე განგებ სამოთხეში მოწყვეტილო ყვავილოვანო შტოვ. ოჰ, ნორჩობავ, ახალგაზრდობავ, ძველებურად რომ კვლავ თავს ყმაწვილადა ვგრძნობდე, აღტაცებული გულში ჩაგიკრავდი. მართალია, ბრმა ვიყავ. ახლა კი კვალადა ვხედავ ნათელს. რამდენადაც მეტადა ვსტკბები შენით, ჩემო კარგო, იმდენად უკეთ ვეცნობი მაგ შენს ქვეყანას, ჩემო გამოცანავ, მშვენიერო ქმნილებაე!

რაუტენდლეინი. შენც მიცქირე და დასტკბი, რაღას აყოვნებ.

ქენრახი. ო, რა მშვენიერი ოქროს ფერი კულულებია! ოცნების ნათელი აჩრდილო, შენთან ხარონის მოქუშული და დაღვრემილი ნავიც-კი სამეფო მხიარულხომალდათ გარდიქცეოდა და იალქნებ-აშვებული ამომავალ მზისაკენ გასცურდებოდა! არა ჰგრძნობ, განა, მტრედის ფერს ზღვაში ოდნავი ნიავი ქათს ტალღიდან ტალღაზე როგორ მიაქანებს და აღმასის წინწყლებს როგორა გვტყორცნის? ჩვენ კი, ოქროსა და აბრეშუმში გამოწყობილნი, ამ წყნარს ზღვაში შორს მივცურავთ. ვერ ჰხედავ, იქ, შორს, მწვანე კუნძული რომ მოსჩანს, ვერცხლებრ მოელვარე ტალღებზედ ზურმუხტის ფერი ფოთლებიანი ტოტები როგორ გადმოხრილან; გესმის, გაზაფხულის მხიარულნი მგალობელნი როგორ გვეგებებიან?

რაუტენდლეინი. როგორ არა, მესმის...

ქენრახი. კარგი, მაშ, წავიდეთ ერთად, მზადა ვარ. გამეღვიძება და ვილცა მეტყვის: დროა, წადიო. მერე ცეცხლიც ჩაქრება. მინდვრად აცივდება, სამარისე-

ბური სიბნელე დაჰფარავს ყველას და მეც მოვკვ-
დები, როგორც ახლად თვალ-ახელილი ბრმა... მაგ-
რამ მაინც შენ ხომ გიხილე...

რაუტენდლეინი (ჩამოჯდება). ჩასთვლიმე, ჩაიძინე! გაიღვიძებ,
ჩემი იქნები. (კერასთან რაღასაც ფუსფუსებს და თან ამ-
ბობს). იღუმალს ძალას განკურნებისას დაემორჩილე,
განთავისუფლდი—ამ სენისა და ტანჯვისაგან სულით
გულით კვალად განახლდი! (ჭენრისისაკენ მიბრუნდება).
ერთი, ორი, სამი! იცოცხლე, გესმის! ბედნიერების,
სიყვარულის გულისათვისა!

ჭენრისი. რა დამემართა? გამომღვიძა? ეს რა ბრწყინვალე მზე
მინათებს თანჯრიდგან. ვიშ, ამ დილის ჰაერსა! თუ
რომ ეს ძალა, რომელსაც ამ ჟამადა ვგრძნობ, მარ-
თლა ღვთის განგებითა და ნებით მომეველინა, მზადა
ვარ მაშინ სასიცოცხლოდ კვალად აღვსდგე და გზას
ცხოვრებისას გაუღდე: ნატერას, იმედს, მისწრაფებას
გული გაუფხნა და შეეკმნა, კვალად შეეკმნა რამ!
(ქ-ნი მაგდა შემოდის). მაგდა!

მაგდა. გაიღვიძე?

ჭენრისი. დიახ, გავიღვიძე.

მაგდა. უკეთა ხარ?

ჭენრისი. კარგად, კარგად ვარ. ვგრძნობ, რომ კიდევ ვიცო-
ცხლებ.

მაგდა. (გახარებული მიჭკარდება და ეხვევა). იცოცხლებ, იცო-
ცხლებ! ოჰ, ჰენრიხ, ჩემო საყვარელო, ძვირფასო
ჰენრიხ! (რაუტენდლეინი შორი-ახლოს დგას და ორივეს
ტაცხლივით ანთებული თვალებით შეჭყურებს).

მოკვდილა მასამე.

საინულებების მახლობლად მთაში უხატრონოდ მიგდებული ქახია. მარჯვნივ კლდიდან, რომელიც იმავე დროს კედლობას ეწვევს, თიხის მილიდან წყალი გადმოჩნდება და ბუნებითს ქვის აუზში ჩადის. მარცხნივ, მეორე კედელთან, სამკედლო საკვამლე ბუნებითა და საბერელებით მოწყობილი. სცენის შუა გულიდან მთის სურათი მოჩანს: მთის მწვერვალები, დაბურული ტყე, უშველებელი ღრანტი.

I

(ქაჯი ჯერ ჩინჩსვასა და ფიჩსა ჭკრებს ქახს გარეთ. შემდეგ შიგ შუას და მოკრძალებით იხედება აქეთ-იქით, წელის ბერი აუზიდან ამოცურდება).

წელის ბერი. ბრეკეკეს! ჰ! ყურებს რაღას აბარტყუნებ და არ შემოხვალ? შემოდი.

ქაჯი. გამარჯვება, ბებერო!

წელის ბერი. ეშმაკმა-კი წაიღო თქვენი თავი, ჰა, კარგა თქვენ აგიბოლოებით და გაგიმჭვარტლიათ აქაურობა.

ქაჯი. წასულან სადმე პატრონები, თუ რა არი?

წელის ბერი. წასულან მარა, უმისოდ ქიდან ამოვიდოდით განა?

ქაჯი. ეს-კია კლდის პირად ეხლა ჯუჯა შემომხვდა.

წელის ბერი. ოხ, რა მძულან ეს ქონდრის კაცები.

ქაჯი. ხელში წერაქვი და ცული ეჭირა.

წელის ბერი. მერე, რა გითხრა?

ქაჯი. რა-და, მითხრა, რომ მოწყენით ხარ, ლამის ჭკვიდან შეიშალო: ერთთავად ყიყინებ.

წელის ბერი. არა?

ქაჯი. ჰხედავ, თავი მოგიბებრებია.

წელის ბერი. ოხ, სულელი, მე კიდევ ავიღებ და კისერს მოფუგრებ იმასაცა... და იმასთან ერთად კიდევ ერთს სხვასაც.

ქაჯი. იმასთან ხომ დროა ანგარიში გავასწორობოთ! წყეული ადამის ტომი შემოგვხიზნია აქ მთებში და იმისაგან ყურთა სმენა აღარ არის, როგორც უნდა, ისე ბატონობს. წერაქვით კლდეს ანგრევს, სპილენძსა და სხვა ლითონს იღებს, აღნობს და სკედს, ყველას უფროსობს, ყველას უბრძანებს. წყლისა და მთის სულნი ურემში შეუბამს და კარგი ცხენებივით დააქენებს. ყველაზე ლამაზი ფერია ამოურჩევია და იმასთან სცხოვრობს. ფერიაც ოქროსა და ქარვას უზიდავს, ძვირფასს თვლებს იპარავს, ჰკოცნის და ესაყვარლება; ჩვენ კი მხოლოდ ვძულვართ. ყველას-ფერს ანგრევს, არას ინანებს, ბებერს ხეებს სჭრის, ტყეს ჰკაფავს, ხეობაში ქვას ამტვრევინებს. იმის სამჭედლოდან ალი თითქმის ჩემამდე აღწევს. ჰე, ჰე, ჰე! რა დღე დაგვმართა!

წელის ბერა. ე, თუ ერთი ხელში ჩამივარდებოდა, დიდი ხანია ტბის ძირას ეგდებოდა ლეშად, იქ, სადაც მისი ზარი ძევს...

ქაჯი. მეც აგრე ვგონებ.

წელის ბერა. ან რას ინაღვლებს, თუ ჩვენ გვაწუხებს: მოწყობილა აქ ლამაზადა და დილით შუალამემდის ჩაქუჩის ცემით მოსვენება აღარა გვაქვს (თითქმის ტირილით) ფერიას ბეჭდებს საყურეებს. უკეთებს, მხრებს, ხელებს, ფეხებს უკოცნის...

ქაჯი. ამ ჩემს თხის თავს გეფიცები, სწორედ თავი მამა-ბებრევი: სულ იმ გოგოს ფიქრსა და გონებაში ხარ, თუთიყუშივით სულ იმის სახელს გაიძახი. გამოტვინებულხარ სწორედ; არ გესმის, განა, ბებერო, რომ ქირივით ეჯავრები, მუდამ დაგცინის? სასაცილო და შესაბრალისნი ხართ სწორედ, შენც და ეგ შენი

სიყვარულიც. განა, ტბაში კი ცოტა ალები არიან: ერთ-ერთს რომელსამე აიყვანდი და იმხიარულებდი; ჰნახავდი მაშინ, როგორ მალე დაივიწყებდი ფერიას. ოხერა კი არა, იქნება სიცილით გაგულდულიყავა თუნდაც შენთან ეკოცნა მისთვის.

წელის ბერა. არა, სამაგიეროს კი გადაეუხდი უთუოდ, არ ვაცოცხლებ შეჩვენებულსა.

ქაჯი. ეგ კი ვინ იცის, აბა...

წელის ბერა. ყანყრატოს გამოვჭამ.

ქაჯი. ლამაზს გოგონას კი მაინც ხელთ ვერ ჩაიგდებ. ბე-ბია ნებას არ მისცემს: არ ჰმალავს, მულამ აქეზებს. ტყულადა ჰბრაზობ, თავს იწუხებ, სჯობს მოითმინო. არ იცი, განა, რა ხალხია: უყვართ, ალერსით ექცევიან, მერე, ენახოთ, მოჰბეზრდებათ, მოეწყინებათ.

რაუტენდღეინი (სცენის უკან მდებარის).

ქია შემოჯდა ჯაგზედა,

ზუ-უ! ზუ-უ!

ქრელი აცვია ტანზედა,

ზუ-უ! ზუ-უ!

(შემოდის)

ო, სალამო მშვიდობისათ, ძვირფასო სტუმრებო! აბა, წყლის ბერო, ოქრო ბლომად გამირეცხევი? შენ კიდევ, თხის-ფეხიანო მეგობარო, ჩინჩხვარი მომიტანე? შეჰხედეთ ერთი, რა საუცხოვო და ძვირფასი რამეები მაქვს: აგერ ალმასი; ტოპრაკში კიდევ ოქროს ფხენილი მაქვს, მთისა ბროლი, მოელვარეი... აი, თაფლის პურიც... ოჰ, დღეს ძალიანა ცხელა, ძალიან.

წელის ბერა. ახლა ლამეებსაც ცხელს დაიჭერს.

რაუტენდღეინი. შეიძლება. მერე, შენ ხომ შექირხლოლი წყალი გიყვარს, ჩაიყურყუმელავე და გაგრილდი (ქაჯი ხაჩხაჩებს. წელის ბერი ჩუმად აუზში ჩაიმალება).

რაუტენდლეინა. თავს არ მომაბეზრებს ხოლმე, სანამდის მკვახე-მკვახე სიტყვებს არ ვეტყვი.

ქაჯა (ისევე ხაჩხაჩებს). აი, თქვენ-კი რა გითხრათ!..

რაუტენდლეინა. დასწყევლა, ე საწვივე რაღა ფეხსა მტკენს.

ქაჯა. მოიტა, გაგისწორებ.

რაუტენდლეინა აქედან დამეკარგე!.. გესმის, ქაჯო, სწორედ თავი შემაძულევი, სუნი გდის რაღაც, თან ბუზებსა მოელალები: აგერ ეხლაც გარს რამდენი შემოგხვევია.

ქაჯა. მერე, რა არის? ყვავილევის პეპელებს, რომლებიც მუდამ თანა გდევნენ, თმებში გიძვრებიან და ღამე კიდევ გულსა და მხრებზედ დაგაცოცავენ, მითხარ, რითი არ სჯობიან?

რაუტენდლეინა (იფინის). ეჭე, შენ! ნურც აგრე გამიკადნიერდები, თორემ.

ქაჯა. არ გესმის, ე ურმის თვალი მე მაჩუქე, სად იშოვნევი?

რაუტენდლეინა. სადაც ვიშოვნე, ეგ შენ უკეთ იცი, ვგონებ.

ქაჯა. ხა, ხა, ხა! თუ ურემი მე არ დამემტვრია, ზარი რომ მიჰქონდათ, ჰნახავდი როგორ ეღირსებოდი საყვარლის ნახვასა. მაშ, მადლობა მე უნდა მითხრა. ავიღებ ამ თვალს, გაქონილს თოკს შემოგახვევ, მოფუკიდებ და ციცაბოდან დაფუშვებ. ჰეე, იცი, მერე, რა სანახავი იქნება?!

რაუტენდლეინა. მერე, სოფლებს ხომ ცეცხლი მოედო.

ქაჯა. მოედება, გაძლიერდება, ალის ფრად აგურგურებდა!

რაუტენდლეინა. არა, ეგ არ იქნება! გამეცალე.

ქაჯა. აგრე მალე? რა მიზეზია, ნუ-თუ მოგბეზრდი! მითხარ, ხელოვანი რასა იქმს?

რაუტენდლეინა. სულ თავისს ქმნილებას ჩასცქერის.

ქაჯა. დღისით მუშაობს, ღამე-კი გკოცნის, არა? ვიცით, ჰო, ზარებს როგორ ასხმენ!..

რაუტენდლეინა. აი, შე მხეცო, თავხედო შენა! თვალებს დაგთხრი, იცოდე, თუ რომ გაჰბედავ და ჩემს სატრფოს

შეურაცხველი. ის მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ წყველა-კრულვისგან როგორმე გიხსნათ: იმიტომ არ სცხრება ღამეც-კი მისი ძლიერი ჩაქუჩი. ყოველივე ამ ქვეყნად დაწყველილია. ეს ხომ არ იცი. მამშორდი, წადი! შენ აქ ახლა უძღური ხარ. აქ ახლა ხელოსნის სულია გამეფებული.

ქაჯი. მერე, მე რა? მაშ კარგი, ქმარს სალამი მიმირთვი-ვეცდები სახელოსნოში როგორმე ვნახო მოისდოე.

(მიდის).

რაუტენდლეინი. არ ვიცი რა მომივიდა. გული როგორღაც დამეხურა. წავალ, სადმე მახლობელს საყინულეში, ცივმა ანკარამ იქნება გამაგრილოს. დღეს, შუადღისას, იქ, რუხს კლდეებში, გველი თებობდა და ფეხი დავადგი. ცოტას გასწყდა არ მიკბინა. ოხ, სული მეხუთება ... ვისი ფეხის ხმაა? ეი, ვინ არის? არ გესმის? (ქახის კარებში ზასტარნი გამჩნდება, რომელიც საც სამთო სამგზავრო ტანსაცმელი აცვია).

მასტორა. აქ უნდა იყოს... ოჰ, ძნელი იყო ამ სიმალღებედ ამოსვლა, მაგრამ ახლა არა მიშავს-რა, მაგარს ნიადგზედა ვდგევარ. სახელითა ღვთისათა თავს ვიდე საქმე ესე და ას ზომის მომეწყობის უთუოდ, თუ რომ ეს ერთი დაკარგული ცხოვარი როგორმე მოვაქციევი. წინ, მაშ, გაბედვით! (ქახში შევა). არავინ არის, ხმა მომეცით? (რაუტენდლეინს დაინახავს). ოჰო, შენა ხარ! მეც აგრე მეგონა!

რაუტენდლეინი (გაბრაზებული და გაფითრებული). მერე, რა გინდა?

მასტორა. ახლავე გეტყვი, ღმერთია მოწმე, ყოველივეს გაგაგებინებ. ჯერ ოფლი შევიწმინდო და ცოტა დავისვენო, შევიქაქანო. მინამდის კი მითხარი, შეილო, მარტო ხარ აქა?

რაუტენდლეინი. მერე, რა გინდა?

ზასტარი. აბა, ერთი შემომხედევი! ჰო, აგრე. არა უშავს-რა. კარგია, ახლა კი პირდაპირ დაგინახევი. მაშ საქმეს შევეუდგები.

რაუტენდელინი. მაგრამ ფრთხილად კი!

ზასტარი. ვერას გახდები. სული მტკიცე, გული წმინდა მაქვს. არ მეშინიან. ვინც რომ აქ; ამ თქვენს ჯოჯოხეთში, მოსვლა გამაბედვინა, უთუოდ კიდევ დამეხმარება. ტყულად ნუ სცდილობ ეშმაკობით დამაკლო რამე... მითხარ, ხომ მართალია, რომ შენ მოიტყუე ის კაცი აქა?

რაუტენდელინი. ვინ მოვიტყუე?

ზასტარი. როგორ თუ ვინა! ხელოსანი, ჩვენი ჰენრიხი! შენ მოჰხიბლევი, ჯოჯოხეთის წვენი აგემე; აიყოლიე, ძაღლისავით უკან დაგდევს. პატივცემული, ოჯახისა ერთგული მამა, სამაგალითო ყველასათვის, მორწმუნე ღვთისა ვილაც გომბიომ, ჩამოსულმა მალლა მთიდანა, მთლად გადიბირა, ბავშვისავით აიყოლია. და საიდაც უნდა, იქით უკრავს თავსა, კეთილ ქრისტეანეთა საცთუნებელად!

რაუტენდელინი. დეე, მტაცებელი ვიყო, მერე, შენ რა მოგპარე?

ზასტარი. რა მომპარე? ურცხვო ქმნილებავ! წამართვი არა მარტო მე, წაართვი ცოლ-შვილს. კაცი მოგვტაცე!

რაუტენდელინი (ეურს უგდებს და უცბად გაბრწყინდება). მოდის. ის არის! გესმის ფეხის ხმა, გაბედულად, თამამად მოდის? ნუ-თუ მაგ საცოდავს სასაყვედურო სიტყვებს სამხიარულო აღტაცებად არც ახლა შესცვლი? ნუ-თუ მის ღვთიურ თვალების ძალას ვერა ჰგრძნობ, შენ გულამდე არ მოულწევია? ყვავილები რა. არის, ისინიც კი მის წინ სიხარულით თავს იხრიან. მეფე მოდის, მეფე! და შენ კი, მათხოვარავ, არ გიხარია?

სალამი, ხელოვანიო! (შემომავალ ჰენრიხისაკენ გაქანება და ეელზედ მოეხვევა).

ჰენრიხა (საუცხოვო სამუშაო ტანისმოსშია გამაწყობილი, ხელში ჩაქუჩი უჭირავს. რაუტენდლეინისთვის ხელი ჩაუკიდნია და პასტორისაკენ მიდის).

ჰენრიხა. პატივცემულო პასტორო! თქვენა? მშვიდობა თქვენი მობრძანება!

პასტორი. ღმერთი იყო, ჰენრიხ, შენი მწყალობელი. ნუ-თუ ეს მართალია? აგერ, ჯან-სალი და ისევ წინანდებურად წარმოსადეგი სდგას ჩემ წინა და სულ დიდი ხანი-კი არ არის ლოგინად იწვა მოუძღურებული, სასიკვდილოდ გამზადებული. როგორცა ვხედავ, მადლი ღვთისა მოგვლინებია მეფე დავითით აღმდგარხართ სწეული და ღმერთს ქებასა და მადლობას სწირავთ.

ჰენრიხა. მართალია, სწორედ აგრე იყო.

პასტორი. სასწაულია სწორედ.

ჰენრიხა. ნამდვილად. მეც მასვე ვფიქრობ და ვგრძნობ (რა-უტენდლეინს). ჩემო კარგო, წადი და პატიოსანს სტუმარს ღვინო მოართვი.

პასტორი. გმადლობთ. ახლა...

ჰენრიხა. წადი, მოიტანე. მაგრამ, როგორც გნებავდეთ. გთხოვთ დაბრძანდეთ. მას შემდეგ, რაც საძაგელს სენს თავი დავაღწიევი, პირველად გხედავთ. იმედი სრულიად დაკარგული მქონდა, თუ ახლა, როცა ახალს გზას დავადექი თამამად, კიდევა გნახავდით და სალამს მოგიძღვნიდით. მაგრამ ვხედავ, ხელით ძლიერით მძიმე უღელი მოვალეობისა დაგირღვევიათ და, გარეშე ხალხის სამსახურისა, ღმერთსა ეძიებთ.

პასტორი. მადლობა ღმერთსა! რომ არ გამოცვლილხართ და ისევ ის ჰენრიხი ხართ, როგორსაც წინად გიცნობ-

ლით. იქ, ბარად-კი, ამბობდნენ, ვითომ სრულიად გამოცვლილიყავით.

ჭენახა. დიახ. იგივე ვარ, მაგრამ ცოტა სხვა(ც: ნათელს ფარდა ავხადე, რომ ღვთის მადლი და ბრწყინვალება ყველასათვის ხილული გამხდარიყო.

ზასტარა. კარგი ანდაზაა.

ჭენახა. უკეთესი მე არ ვიცი.

ზასტარა. უკეთესიც მოიპოვება. მაგრამ ესა ც კარგა.

ჭენახა. რომ ინდომებდეთ, სულსა და გულს გაგიერთებდით და როგორც მეგობარს, ჩემს განახლებულს სულს გადაგიშლიდით...

ზასტარა. სიამოვნებით. წინადაც, გახსოვთ, ხშირად მიზიარებდით ყოველივეს. ცნობითაც ხომ საკმაოდ მიცნობთ.

ჭენახა. მართალია, კარგად გიცნობთ, მაგრამ თუნდაც ვცდებოდე კიდევ და მეგობრობის მაგივრად სხვა რამ საძაგლობა იფარებოდეს აქ, მაშინაც ძნელია დაიმალოს ძვირფასი ნაპერწკალი, რომელიც სადმე, თუნდაც მთლად დაბნელებულსა და სამარცხვინო სულშიაც აკვესებდეს. აგერ ღვინოც მოვიდა. გულწრფელად გისურვებთ დღევგრძელობას თქვენცა და ამ ჩემს ძვირფასს მეგობარსაც!

ზასტარა. გმადლობთ. მე კიდევ ვიტყვი: ადღევგრძელოს განკურნებული!

ჭენახი (გადი-გამადის, შეშდეკ წინ წამოდგება). მართალია, თვითონა ვხედავ, რომ განვიკურნე და განვახლდი. ვგრძნობ, სული როგორა ჰხარობს და სტკებება, ვგრძნობ ძლიერს განახლებას, თითქოს გაზაფხულის სიო მბერავდეს. მაჯაში რკინის ძალა მაქვს: ქორივით ბრკყალებს ძლიერად ვშლი, ძლიერად ვბოჭავ. შემოქმედების სურვილათ ვარ მთლად გადაქცეული. მერწმუნეთ, ის, რაც ამ ჟამად ჩემში ჰყვავის.

და მწიფდება, ღირსია დაგვირგვინებისა. განვიზრახე დიდებული რამ შევექმნა, რის მზგავსიც ჯერედ არ შემიქმნია! მსურს ძვირფას ლითონთაგან ისე შევარჩიო ზარები, რომ თავისით იძვროდნენ და თავისითვე უკრავდნენ. როგორც კი ყურზედ ხელს მივიღებ, მაშინვე მათი მშვენიერი ხმა მესმის. საკმარისია თვალები დაეხუჭო და წამსვე ოცნებით მათი საუცხოვო სურათი წარმომიდგება. პატიოსანო მეგობარო, წარმოიდგინეთ, რომ, რასაც კი წინად ასე ვნატრობდი და გამწარებული ვეძებდი, რისთვისაც ასრე ვიტანჯებოდი, ახლა თითქოს საჩუქრად, ჯილდოდ მივიღე მოულოდნელად! თქვენ მე ბედნიერსა და რჩეულს ხელოსანს მეძახოდით და, აგერ, მართლაც ველირსე კიდევ: დიად, ხელოსანი და მასთან ბედნიერი ვარ!

ზასტარა. დიახ, ეგ ყველა კარგია, რომ ხელოსანს გეძახიან. მაგრამ თქვენი ლაპარაკი კი ცოტა უცნაურად მეჩვენება. რომელ ეკკლესიისათვის ამზადებთ მაგ თქვენს ქმნილებას!

ქენრახი. არც რომლისათვის!

ზასტარა. მაშ ვინ შემოგიკვეთათ?

ქენრახი, იმან, ვინც, აგერ, ამ ფიქვს უბრძანა ფრიალოკლდის პირად ამოდო და დამშვენდო! ის პატარა ეკკლესია, რომელიც თქვენ მთის წვერზედ ააშენეთ, მთლად ცეცხლმა შთანთქა. ამისათვის განვიზრახე მთის მწვერვალზედ, ცის ძირად, ახალს საძირკველზედ ახალი ტაძარი აემართო!

ზასტარა ნუ გაეტაცვინებით, ხელოსანო, ნუ! მაგრამ კამათს არ დაგიწყებთ. როგორღაც თითქოს ერთმანეთისა კარგად ვერა გავიგეთ-რა. მოკლედ გეტყვით: ოცნებით მართლაც მშვენიერია ეგ თქვენი ქმნილება...

ქენრიხი. დიახ, საუცხოვოა.

პასტორი. ის ზარების შერჩევა...

ქენრიხი. თუნდ შერჩევა დაარქვით, თუნდ სხვა რამ, სულ ერთია.

პასტორი. ეხლა არ იყო, თქვენ თვითონ აგრე სთქვით.

ქენრიხი. დიახ, აგრე ვუწოდე ჩემს მომავალს ქმნილებას.

პასტორი. საუცხოვოა. მაგრამ ერთი ეს მითხარით, შრომისათვის ჯილდოს ვისგან მიიღებთ?

ქენრიხი. ვისგან მივიღებ ჯილდოს? ო, პასტორო, პასტორო! ნუ-თუ კიდევ ბედნიერებისათვის ბედნიერებას, ჯილდოსათვის ჯილდოს თხულობთ?.. დიახ, აგრე, ზარების შერჩევა უწოდეთ, როგორც მე ვსთქვი. მერწმუნეთ მართლაც საუცხოვო რამ იქმნება, რის მზგავსი ზარიც ჯერ არავის არ ჩამოუსხამს. **მისი გაზაფხულის გვრგვინა-ქუხილივით ძლიერი ხმა ყველას, ყველას გამოაღვიძებს.** მთავარ-ანგელოსის საყვირით გუგუნით მოედება მოედს ქვეყანას, ყველა ზარებს ჩააჩუმებს და კაცობრიობას ახალის ნათელ ცხოვრების შესახებ დედამიწაზედ სამზიარულო ამბავს მოუცანს... ოხ, მზეო, ჩვენო ზეციურო მამათ-მთავარო! შენით ვართ ჩვენცა ზეჩენნი შვილნიც აღზრდილნი. დეე, მათ აღავლინონ ზეცად აღტაცებული ქება მომავალში. როგორც ამ გამწვანებულსა და აფხვიერებულს ყანაში, ისე ჩემშიაც, ერთნაირად დაჰბადე შენ, მზეო, წმიდა წყურვილი მსხვერპლთ-შეწირვისა და, აჰა, მზადა ვარ მული ჩემი არსება მსხვერპლად შეგწირო. ოჰ, დადგება დღეც, როდესაც ჩემ მიერ შექმნილ მარმარილოს ტაძრიდგან წმიდა ზარის ხმა გაისმის და ამდენს ხანს მძიმედ ჩამოწოლილ ღრუბლების კრეთსაბმელი. ჩამოირღვევა, დედამიწას ძვირფას თვლებს, აღმასების წვიმა დაედინება! და აგერ მრავალ-რიცხვოვანი ხალხი აღტაცებული დაე-

სევა, შემოჰკრებს სიმდიდრესა და სახლში წაიღებს. მერე აიღებენ დროშებს, რომლებიც დიდი ხანია ამ დღეს უცდიდნენ და ბრწყინვალე მზის დღესასწაულზედ დასასწრებლად გაეშურებიან. აგერ, ვხედავ, როგორ ზღვის ტალღასავით მოაწყდა ხალხი ჩემს ტაძარს, აბრწუმის დროები დიდებულად მოტრიალებენ, ჩემი ზარი კიდევ გუგუნებს და მისი საამური ხმა ხალხის გულში თანაგრძნობასა პოულობს, მათს აღტაცებას, სანეტარო ლმობიერებას ტკბილად უერთდება. მაშინ ხალხი დავიწყებულს, მშვენიერს თავისს სამშობლოს, თავისს ბავშვობის, სიყვარულის ტკბილს საგალობელს დაჰმღერს, საგალობელს სიყვარულისას, რომელიც საზღაპრო სამთავროდან ნაცნობს, აღერსიანს, მაგრამ ჯერედ ქვეყნისათვის გაუგონარს სიმღერას საიდუმლოდ გვეუბნება. და ჰა, როდესაც ბუღბუღის სტვენასავითა და გვრიტების ლულუნით მხიარულად გაისმის ეს სიმღერა, მაშინ ყველას გულზედ ყინული ჩამოაღნება, დავიწყებენ მწუხარებას, რისხვას, ნალველს, სიძულვილს და ტანჯვასა და მხურვალე ცრემლად შეეცვლებათ. (ყველა ამ სიტყვებს თავიდაგანვე თანდათან გრძნობითა და მღეფაკებით ამბობს აღტაცებული და წინ და უკან გადი-გამოდის. რაუტენდლეინი, სიუვარულითა და აღტაცებით თავბრუდარსხმული, თავაღცრემლიანი დაიჩქებს მის წინ და ხელეზზედ ჰკოცნის. მასტარი თანდათან ზარ-დაცემული და შეშინებული უგდებს უურსა. მცირე ჰაუზის შემდეგ დაიწყებს ააჰაჰაკს, ვითომ-და დამშვიდებული და აუღეფკებლივ, მაგრამ თავს ვერ იმაკრებს და კილას იცვლის).

მასტარი. მოგისმინევით, ჩემო კარგო და ესცანი, რომ მართალი უთქვამთ ჩვენებურებსა. გამოგიტყდებით, რომ ზღაპარი ამ თქვენის საუცხოვო ზარის შესახებ ძა-

ლიან მაფიქრებს და მაწუხებს. მაგრამ აქ იმისთვის როდი მოვსულვარ, რომ თქვენი სასწაულები მენახა, არა! მინდოდა ამ უბედურობაში მეშველა როგორმე თქვენთვის.

ჰენრიხი. გეშველათ ჩემთვის? რა უბედურობაში?

პასტორი. უგნურო, დაბრმავებულო, გამოფხიზლდით, ნუ-თუ ვერა ჰგრძნობთ, რომ ჰბოდაეთ?... თქვენ ამ უმად საშინელს სიზმარში ხართ და, თუ სიტყვა ღვთისა როგორმე არ გამოგაფხიზლებთ, ჰენრიხ, იცოდეთ, სამუდამოდ დაღუპული ხართ, ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამება არ აგცდებათ. მე უბრალო კაცი ვარ; ვიცი მხოლოდ ის, რომ ამ ქვეყნად სიცოცხლე მიწერია და საზენაო საგნებისა ცოტა რამ გამეგება. მაგრამ ერთი რამ-კი ძლიერ კარგად ვიცი, სახელდობრ, ის, რომ დაგვიწყებიათ რა არს მართალი, რა ტყუილი, რა ბოროტია, რა კეთილი. სწორედ მებრალეებით, მინდოდა როგორმე დაგხმარებოდით... ნუ დაივიწყებთ, ჰენრიხ, რომ ცოლ-შვილი გყავთ!

ჰენრიხი. მერე, რომ ცოლ-შვილი მყავს?

პასტორი. თაჳი დაგინებებიათ, მთაში გამოქცეულხართ, მთელის კვირაობით შინ აღარა ბრუნდებით; იქ კი მახლობელნი, ვინ იცის, რა ტანჯვით მიგელიან, შვილები საბრალო დედის მწარე ცრემლებს ჰსმენ...

ჰენრიხი. ოჰ, მამაო, რომ შემეძლოს, მზა ვარ მთლად შევსვა-ეგ ცრემლები! მაგრამ არ შემიძლიან. მათს მწუხარებას გულით თანაფუგრძობ, მაგრამ არ შემიძლიან შევემსუბუქო. ო, დიახ! მართალია; ახლა მხოლოდ სიყვარულით-და ვცოცხალვარ; ეგეც ცოტაა: თვითონ სიყვარული ვარ, იმისგანვე განახლებული. და მაინც-კი ამ სიმდიდრისაგან არ შემიძლიან ოჯახობას რაიმე ვუწილადო: ვიცი ჩემი სასმელი იმათ

შხამათ გადაექცევათ. შეჰხედე, აბა, ამ ჩემს მძლავრს ხელებს, არწივისებურ ბრჭყალებით გააღმასებულს, შემიძლიან-ლა, განა, ამ ხელებით ბავშვის ნახს ლოყას მივეალერსო? არა, მარტოდ ღმერთი-ლა იმათი შემწე!

პასტორი. მაგრამ ეგ ხომ სისულელეა. დიალ, არა წმინდა უგუნურობა. ეგ თქვენი გულქვაობა, ხელოსანო, სწორედ მაკვირვებს. უნდა გამოგიტყდეთ, ბოროტს სულს თვისი განზრახვა მართლაც შეუსრულებია. ნუ-თუ არა ჰგრძნობთ, რომ ეგ თქვენი უცხო ქმნილება, რომლის შესახებაც ამდენსა ჰბოდავთ, — კერპობის ნაყოფი და საძაგლობაა? არა, ისევე ის ურჩევნია საქრისტიანო ქვეყნას, რაც კი რამ ღვთის მარჯვენას ოდესმე რისხვა და წყევა მოუვლენია დედამიწაზედ, უცბად დაატყდეს თავსა, ვიდრე თქვენს არა-წმინდა ტაძარს ჰნახავდეს დამთავრებულს, ვაღისა, ბელზევულისა და მოლოქის სადიდებლად ამართულს! გირჩევთ ისევე ქრისტიანეთ დარჩეთ. განდევნეთ ეს საძაგელი, თვალთმაქცი, კუდიანი, ჯადოქარი, მოლაღატე გომბიო. დაივიწყეთ ეს თაფბრუ-დამსხმელი თვალთმაქცობა და მომხიბლველობა და თავს იხსნით!

ქენრახა. სწორედ მაშინ მოვიდა იგი ჩემთან, როცა სიცხიანი სიკვდილს ვებრძოდი ლოგინში და განმკურნა.

პასტორი. უკეთესი იყო მამკვდარიყავით, მაშ, და ამ ჯოჯობეთის ძალას კი არ განეკურნევით.

ქენრახა. თქვენ, რასაკვირველია, პასტორო, შეგიძლიანთ, როგორც გინდათ, ისე იფიქროთ, ნება თქვენია, მაგრამ მე კი სიკვდილამდე ვერ მოვშორდები იმას, ვინც მომაკვდავი სასიცოცხლოდ კვლავ აღმადგინა.

მასტორი. რომ ვხედავ, ხსნა აღარ არის, მაშ, ბოროტს მეტად ჩაუთრევიხართ. აღვილი შესაძლებელია აღელვებული ხალხი ველარ შევიმაგროთ და შეურაცხყოფილი და გამძვინვარებული თქვენს სახელოსნოს, ბუდეს ცოდვისა და ბოროტისას, თავს დაესხას, მთლად გაანადგუროს.

ჭენახი (მცირე სიხუმის შემდეგ დამშვიდებული). იცით, რა გითხრათ? მაგითი ვერ შემაშინებთ! მოწყურებულთან რომ თასით ცივი წყალი მიმქონდეს, მაგრამ ამან უცბად გამამტაცოს და, დაღვეის მაგივრად, დაღვაროს და მწყურვალს მოკვდეს, მითხარით, მისს უგუნურს სიკვდილში მე ვიქმნები, განა, დამნაშავე? თვითონვე ჰსწადებია, მაშ, ესა და დეე, მისი ბედიც ეს იყოს. მეც სწორედ ასრევე მიმქონდა მწყურვალ ბრბოსათვის ცხოველი წყალი აღსადგინებლად. დეე, დამეცეს ეს ბრბო და ძვირფასი თასი გასტეხოს, დეე, უგუნურობის სიბნელემ დასჩრდილოს ისევე უცხო ნათელი ზეცისა, მე მაინც სულით არ შევეკრთები, რადგანაც, ვიცი რა მწადის, რის შემძლეცა ვარ!

მასტორი. მაშ, მშვიდობით. რაც კი სათქმელი მქონდა, ჰენრიხს, ყოველივე გითხარით, მაგრამ რომ ვხედავ, მაგ ღვარძლს გულიდან ველარავინ ამოგგლეჯავსთ. დეე, ღმერთმა გაპატიოსთ! მაგრამ ერთი კიდევ მათქმევინევი: მოიგონე, რომ არის ქვეყნად სინანული. მოვა დრო და დადგება დღე, როცა იგი შენს გულსაც შეეხება; მაშინ შენ არც ცოცხალი იქნები და არც მკვდარი და გამწარებული. დასწყევლი ყოველივეს—შენს თავს, ქვეყანას, ღმერთს, შენს ქმნილებას, ყოველივეს, რაც კი ქვეყანაზეა! და მაშინ... მაშინ მომიგონევი.

ჭენახი. ყოველისავე ამ საზარლობის წარმოდგენა, პატივცემულო ბატონო, მეც შემეძლო და ცოტა უკეთაც,

ვიდრე თქვენ. მაგრამ ეგ არ მოხდება. სინანულის
ისარი ჩემს გულს ვერ შეეხება ისრევე, როგორც
ჩემი დაძირული ზარი ვერ ამოიღებს ხმას ტბაში.

პასტორი. გეუბნები, რომ ამოიღებს! და შენვე მოისმენ მისს
ხმას!

ინ-ანი.

(შემდეგი იქნება)

ვახუშტი და მისი შრომა

ვახუშტი, ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი, დაიბადა 1696 წლის ახლო ჟამს. დედა მისი, მაშინდელის მოგზაურის პეისონელის მოწმობით, იყო გლეხის ქალი. ვინ იყო მეფის ძის მასწავლებელი, არ ვიცით, ხოლო ეს კი ვიცით, რომ 16—17 წლის ქაბუკი ვახუშტი დაუახლოვდა ტფალისში მცხოვრებ კათოლიკეთა ბერებს და მათგან შეისწავლა ლათინური ენა და შეითვისა სხვა-და-სხვა სასარგებლო ცნობა შესახებ ქვეყნისა და კაცობრიობისა; გარნა ამ ბერებთანაც დიდხან არ დარჩენილა ბატონიშვილი: მამა მისს ეშინოდა, შვილი არ გამოფრანგონო და უბრძანა, შეეწყვიტა მათთან ყოველგვარი კავშირი. ვახუშტის შრომის სხვა-და-სხვა ადგილიდან გამოსჭვირს, რომ ჩვენს ავქსონს თვისი სამშობლო ენისა და ლათინურის გარდა, უნდა სცოდნოდა აგრეთვე ბერძნული, თათრული, რუსული და სომხურიც.

1717 წელს ვახუშტიმ შეირთო მარიამი, ასული გიორგი აბაშიძისა და მისგან მიეცა შვილები ალექსანდრა (+8 აპრ. 1789 წ.), ივანე (+1783), დავით (+?), დომენტი (+1737), ნიკოლოზ (+1772), ანა (+12 მაისს 1779) და მარიამი (+შემდეგ 1804).

თვით ვახუშტიმ იცხოვრა ღრმა სიბერემდე და გარდაიცვალა მოსკოვს, როდესაც თითქმის შესრულდა 78 წლისა დაბადებიდან. გვამი მისი, როგორც ჰგონებს ბროსე, დაკრძალულ იქმნა რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონების სამარ-

ხავში, ღონის მონასტერს. სიკვდილის წინა ხანებში იგი დიდს გაჭირებაში ყოფილა უსახსრობისა გამო.*)

ვახუშტის საუკუნე ქართულ მწერლობის აღორძინების ხანად ითვლება. როგორც ვიცით, მონგოლებმა და აღმოსავლეთის სხვა ბარბაროსებმა, რუსთველის საუკუნეს შემდგომ, შეაფერხეს და შეაჩერეს ზრდა ქართულის მწერლობისა, და ამ მწერლობამ ხელახლა აღორძინება იწყო იმ დროიდან, როდესაც ქართლის ტახტზე აღვიდნენ მუხრან-ბატონები; ხოლო პირველი მუხრან-ბატონი, ვახტანგ V შანაოზი დაჯდა მეფედ 1658 წელს. თითქმის ყველა დიდ-დიდი მწერლები მე-XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-XVIII საუკუნის დამდეგ წლებისა ეკუთვნოდნენ ამ სამეფო სახლს ანუ მონათესაობდნენ მას. მეისტორიენი არჩილ და პაპუნა, სიბრძნე-სიცრუის აექსონი და ლექსიკონის შემდგენელი საბა, სასულიერო რიტორი და სჯულის მცოდნე ლევანი, კათალიკოსნი დომენტი და ანტონ და სხვ. იყვნენ ვახუშტის პაპები, ბიძები და ახლო ნათესავები. ვახუშტის დროსვე ნათობდა სახელოვანი მგოსანი დავით გურამიშვილი, რომელსაც თვისი ჭკუა-გონება შეეძლო განევითარებინა მეცნიერ მუხრან-ბატონთა წრეში, იმ მუხრან-ბატონთა, რომელნიც ითვლებოდნენ მფარველად ყოველ გვარნიჭ-მადლისა.

საქართველოში მყოფობისას ვახუშტი სცხოვრობდა ტფილისში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ სამეცნიერო და სასწაულო კომისიებში, და თვით სახელმწიფო საქმეებშიაც, დრო გამოშვებით სარდლობდა კიდევ და ერთ-ხანს, ენკენისთვის 1722 წ., მამის სხვაგან ყოფნისა გამო, მართავდა სამეფოსაც. სწორედ ამ დროს მან მიიღო ტფილისის სასახლეში ტოლსტოი, გამოგზავნილი საქართველოში იმპერატორის პეტრესაგან. ვახუშტი მეტად განცვიფრდა, როდესაც ტოლსტოისაგან სცნო, პეტრე დაბრუნდა აშტარხანს სპარსე-

*) იხ. ა. ს. ხახანაშვილის შრომა „Очерки по истор. груз. словесности“ (გამოც. III, გვ. 287—292).

თის ლაშქრობიდანა, და ეს მოულოდნელი ამბავი, როგორც სწერს თვით ვახუშტი*); მაშინათვე აუწყა მეფე ვახტანგს, რომელიც თავის ჯარით იდგა ყაზახს, საცა, პაემნის ძალით, უნდა მოსულიყო პეტრეც და შეერთბამებულ რუს-ქართველთ იერიში უნდა მიეტანათ საერთო მტერზე.

თვით ვახტანგი, მამა ვახუშტისა ფრიად განათლებული კაცი იყო. პირველმა მან შემოიღო და მოაწყო ტფილისში სტამბა (1709 წ.), მანვე შემოკრიბა ერთ წიგნად ძველი ქართული კანონები და შეავსო მით თვისი სამართლის წიგნი, თარგმნა სპარსულიდან რავდენიმე 'მესანიშნავი წიგნი, დასტამბა ტფილისში მრავალი საეკლესიო წიგნები, ნაწილი დაბადებისა და აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“ თვისის განმარტებით. გარნა ბედი არ უღიმოდა ამ მეფეს. მისივე წინდაუხედაობათა და შორს განუჭვრეტელობით აირია საქართველოს საქმეებო და იმის მაგიერ, რომ აწეწილი საქმეები მოეწეს-რიგებინა და ქვეყანა დაეწყნარებინა, ადგა (1724 წ.) და ცოლშვილით და 1300-მდე თავ-კაცებით გადასახლდა რუსეთს. იგი იქ მიიღეს (მარტს 1725 წ.) დიდის ზემიითა და პატივით, მას და მისს შევიღებს კეთილად უსატყურეს, პენციები და ჯამაგირები უწყალობეს და დაუვანეს მოსკოვში, პრესნას.

ვახტანგი რომ წავიდა რუსეთს, უპატრონო ქართლს შემოესიენენ ოსმალნი, ამათ დაიპყრეს მთელი ქვეყანა, კახეთის მეფეს თავი მოსჭრეს ბეჟანბალში და ტფილისსა და ყარაღაჯში გააბატონეს ათაბაგი და მისი ძე ისაყ-ფაშა. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. გაქცეული ვახტანგ რუსის ჯარით ჩამოდგა დარუბანდს, დაკარგულ ტახტის პოვნას მცდებლობდა. გარნა ამოდ. ნადირშამ სძლია ოსმალთ, განდევნა იგინი საქართველოდგან და ქართლი მისცა თეიმურაზ II-ეს, ვახტანგ მეფისავე სიძეს, ხოლო კახეთი მის ძეს ერეკლე II-ეს. ვახტანგი მოკვდა 1737 წელს და მისს

*) ქართლის ცხოვრება, ტ 2, გვ. 82, იხ. აგრეთვე Переписка груз. царей, съ російск. государями გვ. LXXVII.

კვალში ჩადგა პაატა, ძმა ვახუშტისა. იგი რუსეთიდან ევროპაში გავიდა, იქიდან მივიდა სტამბოლს და 1751 წელს შემოვიდა საქართველოში და აქ მოაწყო დიდი შეთქმულობა წინააღმდეგ ერეკლე მეფისა. გარნა ერეკლემ შეიპყრო იგი და მისი თანამოზიარენი და ყველანი აღწყვიტა (1765 წ.).

პაატას შემდეგ რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონების უფლების დამცველად და მეძიებლად გამოჩნდნენ ბატონი-შვილი ალექსანდრეს, ძე ვახტანგის ძის ბაქარისა, და სამშობლოს მოღალატე ალექსანდრე ამილახორი, რომელთაც დიდხანს არ დაუწმინდეს წყალი ერეკლე მეფეს...

ყველა ამ შუღლსა და კრთიმლვაში მონაწილეობას არ იღებდა ვახუშტი. მოსკოვში დასახლების შემდეგ იგი შეუდგა მშვიდობიანს ცხოვრებას და საქართველოს წარსულის კვლევაში იქცა. აქ მან დაასრულა თვისი დიდი თხზულება, გეოგრაფია და ისტორია საქართველოსი და ბევრი იშრომა ქართული ბიბლიის ბეჭდვის საქმეში (1743 წ.). აქვე გადმოსთარგმნა რუსულიდან „მოკლე სახელმძღვანელო გეოგრაფიისა“*) და შეავსო იგი ცნობებით შესახებ საქართველოსი, ოსმალეთისა და სპარსეთისა. იმავე ენიდან გადმოიღო წიგნი „მოსლვა ანტექრისტესი“, რომელსაც დაურთო საყურადღებო აკროსტიქარონები, უკვე დაბეჭდილი ჩვენს ბიბლიოგრაფიულ წერილებში („ივ“, 1898, № 143). იგივე მონაწილეობას იღებდა რუსულ-ქართულ ლექსიკონის შედგენაშიაც.

სახელოვანი მოღვაწე, საქართველოსა და რუსეთში, სარგებლობდა მრავალ ისტორიულ ნაშთებით, რომელნიც ეკუთვნოდნენ სამეფო გვარს. მათ ხელმძღვანელობით მან შეადგინა ზემორე ხსენებული თვისი დიდი თხზულება, გეოგრაფია და ისტორია.

დედანი ამ შრომისა დღეს ჩვენს ხელშია. იგი გადაწერილია თვით ვახუშტის ხელით, ხოლო მინაწერიდამ (მეორე

*) დედანი ამ წიგნისა სხვა შესანიშნავ ტყავზე ნაწერ წიგნებთან ერთად საეკლესიო მუზეუმს შემოსწირა თ. დ. ყორდანიამ, ეხლახანს.

ფურცლის მეორე გვერდზე) სჩანს, რომ ეს წიგნი ყოფილა კუთვნილება დიმიტრი ბაგრატიონისა („ქნიაზ დიმიტრი ბაგრატიონისა არის ეს ქართლის ცხოვრება. 1789 წელსა“). ეს დიმიტრი ბაგრატიონი, ბროსეს სიტყვით, *) მოკვდა მოსკოვს 1826 წელს. მის მერმეთ ვახუშტის ხელნაწერი ერგო იმერეთის ნადედაფლარს ანას, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვს 1836 წელს და დასაფლავებულ იქმნა დონის მონასტერში. ამ დედოფლის ძემ კოსტანტინემ ვახუშტის ხელნაწერი მიუძღვნა სამეცნიერო აკადემიას 1838 წ.**) და იმავე წელს აკადემიამ შეიძინა აგრეთვე ვახუშტის მიერ შედგენილი რუკები.

ხელნაწერი არის სიგრძით 15 გოჯი, სიგანით 4, გადაწერილია ხელჩართულით სქელს ქალაღდზე. წიგნში სულ 169 ფურცელია, ყოველს კაბადონზე 52 სტრიქონი, სტრიქონში (ვახუშტის თქმით, „შარში“) 14 სიტყვა. სხვა-და-სხვა ადგილას დაუწერავად დატოვებულია 20 კაბადონამდე. მთელს ხელნაწერში დაახლოვებით 237,440 სიტყვაა ($160 \times 2 \times 53 \times 14$).

ვახუშტის შრომა შეიცავს შემდეგს წერილებს:

1. საქაჭოველთა სოფლებას სახელები (მოთავსებულია ორს პირველს ფურცელზე).

2. ძვათხვედითაჲს სიტყვა, თუ რაისათჲს არს შრომა ესე (1—4). აქსონი მოგვითხრობს შესახებ წიგნის კითხვის სარგებლობისა, მეტადრე კი ისტორიისა. ისტორია გვაუწყებს დასაბამს ქმნულებისას, მოგვითხრობს შესახებ დროთა წარსულთა, შესახებ კეთილისა და ბოროტისა, იწონებს კეთილმოქმედებათა და აძაგებს ბოროტისმყოფელთ. მიზანი ისტორიისა მხოლოდ სამართლის მოახრობაჲა. იგი ჩვენ გვამხნე-

*) ეს ცნობები ბროსეს შეაქვს თვით ვახუშტის შრომის დედნის სათაურში, მის მიერვე ფრანგულად მიწერილს შენიშვნაში.

**) ამ ცნობებს იძლევა ბროსე მისგან დაბეჭდრლს ქართულ-ფრანგულად ვახუშტის გეოგრაფიის წინასიტყვაობაში და თან დასძენს, რომ სწორედ ეს დედანი ჰქონდა მას ხელში, როდესაც ბეჭდავდა იგი ამ შრომასა 1842 წ. რედ.

ვებს, გვაგონებს წინაპართა ნამოქმედარს, გვინერგავს სიყვარულს ურთიერთისა და მამულისადმი. ჩვენს ისტორიას შეადგენს ა) ადგილის აღწერა, ბ) ნათესავთმეტყველება, გ) წლის მრიცხველობა და დ) მოქმედების აღწერა, რომელიც არის საეკლესიო და სამოქალაქო. ქართლის ცხოვრება ისტორიას მოგვითხრობს ხან ვრცლად, ხან მოკლედ, ჩვენ კი წარმოვადგინეთ შემოკლებულად, რომ ადვილად იკითხებოდეს და ადვილად შეისწავლებოდეს. რუკები კი, რომელსაც **აქამდე შექოკლებულად ხატავდნენ**, ჩვენ გამოვხატეთ ვრცლად. შემდეგ ავქსონი იძიებს ქართულ ქორონიკონებს და თავის წინასიტყვაობას ამთავრებს სიტყვებით: ვიცოდი რა, რომე უქმად გატარებული დრო დაკარგულია, მივყევ ხელი საქართველოს ისტორიის შესწავლას და აწ უსასყიდლოთ მოგართმევთ ჩემს შრომას. ვისაც არ მოგეწონებათ იგი, ისევ იკითხეთ ქართლის ცხოვრება. „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქენსა წლისასა ჩმე, ქართულსა უღგ*)
ოკდონბერსა კ, მეფისშვილის ვახუშტის მიერ, სამეფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნაზ“.

3. ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი (5—12). ავქსონი წარმოგვიდგენს ეთნოგრაფიულ განხილვას უუძველეს დროიდან მე-XVIII საუკ. პირველ ნახევრამდის.

4) ცხოვრება საქართველოსი (13—92) უუძველეს დროითგან სამეფოს განყოფილებამდე 1469 წელს.

5. უწყება მკითხველთათვის (97—109). სამეფო გაიყო სამად, გარნა მისი მოსახლე ერი დაშთა ძველებურადვე ქართული, მოუბარი ერთს ქართულს ენაზე, შწერავი ქართულადვე, ამბორისყოფელი ხატებისა და ჯვრებისა ქართულის ზედწარწერით, დამცველი ერთგვარ გადმოცემათა შესახებ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა და სხ. მიუხედავად ამ გვარ შკიდრო კავშირისა, ქართველნი მაინც გაიყვნენ, განცალკევდნენ, შინაუჭ და გარეშე მიხეზთა გამო. ამის შემ-

*) 1745 წ.

დღე (1469 წლითგან) წერა მატინისა შეფერხდა; ცნობანი შესახებ მეფეთა, მთავართა და წმიდათა იწერებოდნენ მოკლედ სიგლებსა, გუჯრებსა და მეტაფრასებში, ანუ ზეპირ სიტყვით გადმოიციმოდნენ. ყველა ამის გარკვევას უნდებოდა დიდი მუშაობა, გარნა მუშაკნიც გამოჩნდნენ, რომელთაც მამისჩვენის ვახტანგის სახელით შეადგინეს ისტორია, ხოლო ეს ისტორია სავსე იყო წინააღმდეგობითა და უსწორ-მასწორობით, რამაც გვაიძულა შეგვედგინა ახალი შრომა და შეგვემუშავებინა ისტორიაცა და ქორონიკონიც.

6. **აღწერა აწინდელის ქართლისა** (101—120).

7. **ცხოვრება და მოქმედება ქართლის მეფეთა** 1469 წლითგან 1745 წლამდე (121—160).

8. **აღწერა და ცხოვრება ჭკეთისა, კახეთისა, კუხეთისა, თუშეთისა და დიდეთისა** (160—190).

9. **აღწერა აწინდელის ოგსეთისა** (209—214).

10. **აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი** (221—229).

11. **ცხოვრება სამცხე-საათაბაგოსი** (229—247).

12. **აღწერა ეგრისისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა** (253—265).

13. **ცხოვრება ეგრისისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა** (265—293).

15. **ქრანოლოგიური** ცნობები შესახებ ქართველთ, ევროპიელთ და აზიელთ მეფეებისა,*) კათალიკოზებისა ან პაპებისა. 302 წლითგან ქრ. წ.

16. **მაჩვენებელი** სახელთა და სახელწოდებათა. ავქსონი უჩვენებს არა თუ კაბადონს, არამედ სტრიქონსაც, რომელშიაც

*) რომისა, კონსტანტინოპოლისა, ლიშპანიისა, ლაღისა, ბრიტანიისა, დანიისა, შვეთისა, პოლონიისა, ბოლემიისა, ვენგრიისა, რუსისა, ფორთულაღისა, პრუსიისა, სპარსისა, ოსმალეთისა, საქართველოსი. პაპნი რომისა, კათალიკოზნი საქართველოსი.

მოხსენებულია ესა თუ ის სახელი (ნახეო „ამდენს ფურცელში, ამდენს შარში“).

ამ წეჩილს ვახუშტი ასრულებს სიტყვებით: „აღსრულდა ჩვენ მიერ დიდებად ღისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა უკე ან. თუმცა აღუსრულებელ არს დასასრულადმდე, არამედ თვთვეულად და მიზეზნი ბოროტებისა და კეთილობისად წარმოჩინებისად ესევე ვაკპარენით, ვინადგან ამითიც იცნობებიან სრულიადი ქმნულებანი მეფეთა, მთავართა და მცირეთამდე. ხოლო ქკნი ქსნი და ქართულნი, რომელი არს ხუთასიანი, ამისთვის დავსხენით, რამეთუ, ვინადგან საქართველოსა შინა უმეტესად ხმარობენ ხუთასიანს ქკნსა, რათა ურწმუნებელმან ამას წიგნსა შინა წერილნი, თუცა იხილონ სხვათა შინა რაიმენი ქსნი და მოიძიონ აქა, არღარა საჭიროდ ექმნათ და არცა უკმდეთ გამორიცხვანი და სცნან ჭეშმარიტი და სიცბილნი ტყულისა“.

17. მიჰყვება თვით შედარება ქართულ ქორონიკონისა ბერძულ თვლასთან და შიგა-და-შიგ ნაჩვენებია, რომელს ქორონიკონს რა შესანიშნავი შემთხვევა იყო.

18. ქართული კვინკლოსი და ხელთა (ჰ5ჰ-ჰ7ჰ). აქ ავტორ, მრავალი უშრომია, უთვლია და უანგარიშნია არაბულ ციფირებით. ეს ვრცელი და შესანიშნავი შრომა ავქსონს დაუსრულები 1755 წელს, როგორც სჩანს შემდეგის მისის აკროსტიქარონიდან (დედნის გვ. მეოთხე, ბოლოთგან):

ჰქმენ საუკუნო კვინკლოსი,
 აწ ჯდება კარ სან აე ბენი,
 ხუთასის უნ მან და ბანი,
 უფლისა ჩინ ღან ნარ მნი;
 შიგ კელთა მზისა მოქცევით
 ტო მთვარის ცხრამეტს მიმდენი.

(და) ინდიკტით ათცამეტურით,
 მეზედნად კლიტის მაჩვენი.

პირველი ასოები სტიქარონისა გამოსთქვამენ აექსონის სახელს: **ვახუშტი** და ყველა ნაჩვენები ქორონიკონები კი უდრიან 1755 წელს.

კვინკლოსში აღნიშნულია **კლიტი**, რომლის შემწეობით ყველას შეუძლია შეიტყოს აღდგომისა და სხვა დღესასწაულების დღე ქრისტეს დაბადებიდან თუნდა სოფლის დასასრულამდე.

თავის გეოგრაფიისთვის ვახუშტს დაუმატებია 22 რუკა (მასშტაბი 10 ვერსამდე გოჯად), რომლებზედაც აღუნიშნავს სოფლები, ქალაქები, ციხეები, მონასტრები, კოშკები, მთები და სხვ.

თავის შრომის აღწერის დროს ვახუშტი, გზა-და-გზა, უჩვენებს იმ წყაროებსაც, რომლებითაც უსარგებლნია. ესენი არიან: **ა.** იმერული ძველი გარიგების წიგნი, **ბ.** დავითნი მესხური, **გ.** წიგნად განყოფილი, **დ.** იმერული ძლისპირი ეტრატისა, **ე.** ტლაშაძის ამოწერილი ქორონიკონები, **ვ.** გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხ., **ზ.** ქართლის-ცხოვრებანი, ძველნი და ახალნი, **ი.** ჟამნ-კანონთა, სახარებათა, საეკლესიო წიგნებთა და სპარსულ ქორონიკონებთაგან ამოწერილნი ცნობანი, **კ.** მეტაფრასნი, **ლ.** უცხოელ მწერალთა თხზულებანი.

ამას გარდა, რუკების შედგენის დროს ვახუშტს ხელში ჰქონია, როგორც თვითონვე ამბობს, **შემკვლევადი** რუკები საქართველოსი. მასვე, რაღა თქმა უნდა, ხელში ექნებოდა აგრეთვე დასტურლამალი, სახასო, სადედოფლო და საეკლესიო მამულების სიები და აღწერანი. ერთი ამგვარი სია შესახებ მროველის მამულებისა უკვე დაიბეჭდა „მოამბეში*“). ე. თაყაიშვილმა იპოვნა აგრეთვე სიები სომხეთის მამულებისა და ცალკე წიგნად ისტამბება. ხოლო ივ. ა. ჯავახიშვილმა უკვე გამოიძია და დაამტკიცა, რომ ამგვარი სიები, ხალხის აღწერა და დავთრებში ჩანუსხვა, საქართველოში იცოდნენ ვახუშტის

*) „მოამბე“, 1901 წ., № IX

უწინარეს დროსაც, ხოლო სომხით-საბარათიანოს დავთარი უწარმოებია თვით ბატონიშვილს ვახუშტს *).

ამ სახით, შრომა ვახუშტისა შესდგება ორ დიდ განყოფილებისაგან. ამათგან ერთია **საქართველოს ისტორია** სამეფოს განხეთქილებამდე და მეორეა **ისტორია და გეოგრაფია საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა განხეთქილებიდან (1469 წლიდან) მე XVIII საუკ.** პირველ ნახევრის დასასრულამდე.

ვახუშტის შრომას მეცნიერნი ყოველთვის დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ. ბროსეს სიტყვით, ვახუშტის გეოგრაფიას იგეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ვითარცა ჰომიროსის ტოპოგრაფიულ შენიშვნებს საბერძნეთისთვის. მისს რუკებს დიდ ფასს სდებს, შედარებით ამგვარსავე შტაბის რუკებთან, ცნობილი ი. ო. სტებნიცკი, იგი ამბობს: „თუმცა ვახუშტის რუკები შედგენილია მიწების გაუზომლად, გარნა მათი სისწორე საკმაოდ გვაკმაყოფილებს.“ ვახუშტისავე რუკებით სარგებლობდა სწავლული ფრანგი დელილი, რომელმაც 1766 წელს გამოსცა საქართველოს რუკები. უეჭველია, უქართულწყაროებოდ ვერ გამოსცემდენ თვის რუკებს აგრეთვე გენერალი სუხოტინი, ბურნაშოვი და სხ.

ვახუშტის გეოგრაფიას, გარდა საზოგადო მნიშვნელობისა, ის ღირსებაც აქვს, რომ მასში ყველგან ნაჩვენებია საღლითონი ითხრებოდა ანუ ითხრება. ამ მხრივ მისი წიგნი დიდს სამსახურს გაუწევს იმათ, რომელთაც სურთ მოძებნონ ჩვენს სამშობლოში სხვა და სხვა ლითონი.

მიუხედავად ვახუშტის თხზულების ამგვარ უეჭველ ღირსებისა, ზოგიერთნი თანამედროვენი მტრულად მოეპყრნენ მისს შრომას. დედნის აშიებზე სხვა და სხვა პირნი შენიშვნებს უწერენ ვახუშტს და ჰკიცხავენ ამა თუ იმ ცნობის გამოცხადები-

*) „მოამბე“, 1991 წ., № IV: „ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში“.

სათვის. ანტონი კათოლიკოზი კი (+ 1788 წ.) თავის „წყობილ-სიტყვაობაში“ სწერს:

ვახუშტის უქებ ლეოლრაფიის ცნობასა,
ისტორიათ თქმას, ვრცელ-ბრძნად გამოცემას.
ამან დაწყებით ქართველთა ისტორია—
კახთ—მესხთ—აფხაზთა—მეგრელთ—სვანთ, კავკაზთა—
აღწერა, დაშურა, შეეწია ქართველთა.

დავითიანთა მეფეთა ცე გვარისა
შექმნა ვახუშტი წესიერ და კეთილად,
თუმცა ლა ძღურგა მიაღო სამართლადრე:
რამეთუ ვითმე მტერობითნიცა თქმანი
მისთა გამოჩნდეს წერილთა შინა მრავლად.

ვახუშტი, როგორც წარმომადგენელი ვახტანგის რუსეთში გარდახვეწილ სახლისა, შეიძლება, წინააღმდეგი ყოფილიყო თეიმურაზისა და ერეკლესი, გარნა ამათ ისტორიას იგი ოდნავ ეხება, რადგან ვახუშტის ისტორია სრულდება 1745 წლით და თეიმურაზ-ერეკლე კი გამეფდნენ ქართლ-კახეთში მხოლოდ 1744 წელს. არა, „მღურვის“ მიზეზი ეს არ არის.

თავის შრომის 153 გვერდზე იესე მეფეს ასრე ახასიათებს ვახუშტი: „იყო ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა, მქცევი მათებრ, მდიდარი, ამაყი, მშვებელი და გამცხრომელი უწესოებითა ყრმათა თანა და უგვანთა მღერათა. ამან წაგვარა ცოლი დედის ბიძასა თვისსა ქაიხოსრო ამირეჯიბს, ბებიის ძმის წული თვისი, ასული ერასტისა, და შეირთო თვთ ცოლად. ამხილეს კათალიკოზ-ეპისკოპოზთა და უმეტეს იოვანე სააკაძემ ბერთუბნის მამამან, კაცმან ლირსმან, არამედ მან (იესემ) არა უსმინა, მეტყველმან: „ვარ მოჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა“. შემდგომად მოიყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად და იქორწინა დიდებით, გარნა არა კმა-საყოფელ!“

ამ ადგილის პირდაპირ, დედნის აშიაზე, ვილაც უცნობი ავქსონი, რომელიც ჩუბინაშვილს დიმიტრი ბაგრატიონად მიაჩნია, სწერს: „მიკვირს შენის გონიერებისაგან ამ ამბის მწერალო და უსამართლოთ მაყივნებლო ბიძისაო! შენვე იტყვი, ფრიად მიქცეულიყო მაჰმადიანთ რჯულზედაო, და რომელს თათარს უნათესაებია ბების ძმისწული და დედის ბიძის ცოლი და 90 წლის ამირეჯიბის ნაცოლარი 14 წლის ქალი, წარმოკითხველთ განსაჯეთ! მერმე მაშინ მარია...“ (წარწერა დაუსრულებელია).

ეს იესე იყო მამა ანტონი კათალიკოზისა და, ალბად, მისს დაცვის სურვილმა აიძულა ანტონი დამდურებოდა ვახუშტს „ზოგიერთ პირთა მოყივნებისათვის“.

მომდურავენს უნდა სკოდნოდათ; რომ მემატიანისთვის მეყვისი და უცხო სულ ერთია, მოსაყივნებელს იგი ყოველთვის გაჰკიცხავს, მოსაწონებელს სიყვარულით მოიხსენებს.

თუ ჯერაარს განკიცხვა ვახუშტისა, არა იმიტომ, რომ იგი დასაგმობს ჰგმობდა, უზნეოს არცხვენდა, არამედ უსწორმასწორო ფილოლოგიურ შედარებათათვის. მისი აზრით მხარეს რანს-ს ეს სახელი ეწოდა იმიტომ, რომ აქ ბევრს კაცს ხოცავდნენ, სჭრიდენ; ранили (რანი—рана, ранишь!), დვალეთს კიდევ იმიტომ, რომ აქ ორწლოვანნი (два—лѣтъ) მოხარკენი სცხოვრობდნენ! გარნა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი ფილოლოგიური ახსნა სიტყვებისა ვახუშტის დროისთვის საკვირვლოდ არ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ჰემმარტი ენათმეცნიერება მაშინ ჯერ არ იყო შობილი, და ჩვენი ბატონიშვილის თანამედროვენი სიტყვების ასახსნელად ხშირად კმაყოფილდებოდნენ უბრალო შემთხვევით და ლექსთა გარეგან მსგავსებით.

დავვთა მოლაპარაკება ვახუშტის შრომის გამომცემელთა შესახებ.

მთლიანი გამოცემა ვახუშტის თხზულებას არ ღირსებია, გარნა ნაწილ-ნაწილად, კვინკლოსს გარდა, იგი დასტამბულა

თითქმის სრულად. მისი შრომის გამომცემლები იყვნენ ბროსე, ჩუბინაშვილი და ბაქრაძე.

ბროსემ ფრანგულ თარგმანით დაბეჭდა ვახუშტის გეოგრაფია, გარნა ვახუშტის ისტორიის წინასიტყვაობა ჩაურთო (!!) წინასიტყვაობად ქართლის ცხოვრებისა.

პირველი ნაწილი ვახუშტის ისტორიისა დაბეჭდა ბაქრაძემ ზედწარწერით: „ვახუშტი. საქართველას ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი“. ამ წიგნში ბაქრაძეს დაუბეჭდია ვახუშტის წინასიტყვაობაც, გარნა, ვინ იცის რად, პირველი მეოთხედის გამოტოვებით!

მეორე ნაწილი ამავე ბატონიშვილის ისტორიისა ქორონიკონებითურთ ჩუბინაშვილს მოუთავსებია ქართლისცხოვრების მეორე ნაწილის დასაწყისს.

როდენად საქებურია და სახერხო ასრეთი დანაწილება და დაქუცმაცება სახელოვანის მწერლის ვრცელად თხზულებებისა, ჩვენ ამას ვერ განვსჯით. Description-ში ბროსეს შეუცვლია თვით გეგმა ჩვენის ავქსონისა! როგორც ზევით ვუჩვენეთ, „ზნეთა და ჩვეულებათა“ წარმოდგენის შემდეგ ვახუშტი აღწერს ქართლს, როგორც უმთავრესს შუაგულს და დედაბუდეს ქართველ ერისას, შემდეგ ამისა ასწერს კახეთს, ოსეთს (როგორც ნაწილს ქართლ-კახეთისას), მესხეთს და იმერეთს. Description-ში კი „ზნენის“ შემდეგ დაბეჭდილია „მესხეთი“, მერე „ქართლი“, „კახეთი“, „იმერეთი“ და „ოსეთი“. ჩვენ გვგონია, გამომცემელი ვალდებული იყო შეგვცვლიდა დაეცვა გეგმა და წესი ავქსონისა.

აღნიშნულ გამოცემებში შედარებით მათს დედანთან აღმოჩნდა იმდენი შეცდომა და უსწორ-მასწორობა, რომ ამან ჩვენ არამცირედ დაგვაჭმუნა.

ზოგი შეცდომა ყველა ამ გამოცემებში საერთოა, სახელდობრ, ა. გარყვნა სიტყვისა მარცვლმზის ჩამატებით ანუ გამოტოვებით, ბ. გარყვნა ტექსტისა სიტყვების ჩამატებით ანუ

გამოტოვებით, **მ.** უმართლო წაკითხვა, **დ.** სიტყვის ანუ სიტყვების გადასხმ-გადმოსხმა წინადადებაში. **მ.** დაყოფა სიტყვებისა და ხმარება **ჟ.** ბრჯგუსი, **პ.** გამოტოვება მთელის სიტყვებისა და წინადადებათა, და **მრ.** სხ.

რომ უსამართლობა არ შემოგვწამონ, აქ აღვნიშნავთ **ზოგიერთ შემთავრებს** ნაკლს ყველა ზემორე ხსენებულ გამოცემებისას ცალკეცალკე.

ნაკლი ბროსეს-მიერ გამოცემულ გეოგრაფიისა.

წაკითხუდა:

მენტერეო (გვ. 48)
 თმას-ქვეშ (64)
 მინდორის (264)
 მალალი (222)
 კეთილითა (210)
 კუხეთი (304)
 თალარნი (34)

უნდა იყოს:

მესტუმრეო
 ყბას ქვეშ
 მდინარის
 მაგარი
 კერილითა
 წუქეთი
 ლარნი

მდინარენი არიან მრავალნი (340) მდინარენი არა მრავალნი და სხვა.

ვახუშტი არსად არა სწერს ლევან **ლეკანის** მაგიერ. ბროსეს კი წაუკითხავს **ლეკან** ლევანის მაგიერ და შენიშნავს (422): *Ilya évidemment ici une faute, et il faut lire... ლევან et non ლევან, répété deux fois par l'auteur.*

გამოტოვებულია სიტყვები და ფრაზები:

მიუწლომელი (38), ბალახიანი ჩალიანი (136), არაგვი (226), ხერკის მთას და (294), ამ კევსა და როკითს ზეით მიერთვის რიონს სამხრიდან ამალღების ხევი, გამოსდის ფერსათსა (354) და სხ.

უმართლოდ თარგმნილი ადგილები:

1. არს ღვინო და მბალი მუნებური კეთილი. ეს ფრაზა ბროსეს წაუკითხავს ასრე: „არს ღვინო დამბალი მუნემური კეთილი, და უთარგმნია ამ სიტყვებით: *Le vin de ce lieu est*

excellent trempé d'eau, ესე იგი: ღვინო ამ ადგილისა არს შევნიერი, შერეული წყლით. ბროსეს კავშირი „და“ შეუერთებია სიტყვასთან **მხაღა** და გამოსულა დამბალი, იგივე ფრანგული **tremper**.

2. არს უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. ბროსეს თარგმნით: **Il ne produit ni raisins, ni fruits, ni autre chose**.

იგივე უკანობლივ თარგმანით: არ მოჰყავს არც ყურძენი, არც ხილი, არც არა სხვა რამ (!).

3. ხოლო კვალად ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოსდის თვალივს ქვეით (ხერკის მთას და აწ) *) თიანეთისას.

ამის თარგმანი: **Encore au-dessus de Jaleth l'yor recoit la rivière de Thianeth, sortant de la montagne le Kherc, au-dessous de Thwaliw et de Thianeth**. ე. ი. კიდევ ჟალეთს ზეით, იორი მიიღებს თიანეთის მდინარეს, რომელი გამოსდის ხერკის მთას, ქვემო თვალივისა და თიანეთისა (!).

ბროსეს შივრ დაბეჭდილს ქართულ ტექსტს აკლავ შემდეგა შენიშვნას **გახუმტისა** (იხ. გვ. 406): „ბარონია სწერს: კეისარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესია აფხაზეთს წელსა ქრისტესსა 529. ეს არს ბიჭვინტა ღვთის მშობელისა, რომელი იქმნა განყოფასა ხოსროვანთასა, რაჟამს ფარსმან ერჩდა სპარსთა და ძენი მირდატისნი ბერძენთა. ამით ჩანს, ვინადგან მირდატის ძეთა აღარ ეპყრათ, ფარსმანს მიუღეს კვალად ეგრისის მდინარის იქითი ბერძენთა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტესი ნაწილი ამ გამოტოვებულ სიტყვებისა და ფრაზებისა ფრანგულ თარგმანში დაცულია და, პირიქით, ზოგი ადგილები დედნისა ფრანგულში

*) ფრჩხილებში ჩასმული გამოტოვებულია ბროსეს მიერ დაბეჭდილ გეოგრაფიაში (გვ. 294).

არ არის, მაგალ. ფრასი: „ხოლო როსტომისამდე ესენი ესრეთ იყუნენ“ (გვ. 35).

ახლა განვიხილოთ **საქართველს ისტორია** ვახუშტისა, გამოცემული ბაქრაძის რედაქციით და მის ძვირფას შენიშვნებით.

ამ წიგნში, შედარებით მისს დედანთან, აღმოჩნდა იმდენი შეცთომა და უსწორ-მასწორობა, რომ ყველა ამის აღნუსხვას მთელი მოზრდილი წიგნაკი მოუნდება! მასში ალაგ-ალაგ გადასხვაფერებულია ქრონოლოგია, აქა-იქ დაკლებულია ვახუშტის შენიშვნები, ფრასები კი ათობით, ოცობით, შემოკლებულია ავქსონის მიერ **ახსად** არ ხმარებული ფორმა **მეფა** მეფის მაგიერ, და სხ.

მაგალითები:

„ეტყოდა თამარ: „ვარ მეფე“ (საქართვ. ისტ., გვ. 198, დედნ. გვ. 58).

„დართო წება მეფემანცა თამარ (დედნ. გვ. 63).. „იყო მეფე გეგუს“ (იქვე).

„იქმნა მეფედ ლაშა გიორგი, ძე თამარ მეფისა (დედნ. გვ. 64). „მდ მეფე რუსუდან“ (დედნ. გვ. 64).

ბაქრაძე კი ბექდავს „მეფა“ და ამას 22 სტრიქონიდან შენიშვნას უკეთებს და, სხვათა შორის, სწერს: „ასე უწოდს (მეფა თამარს) ვახუშტი და ჩვენც ვტოვებთ ამ ფორმას,“ (გვ. 196).

ვახუშტი სწერს (იხ. საქართ. ისტორ. გვ. 241): „ამასვე წელსა (1254 წ.) მოვიდა აღმწერელი ქვეყნისა არღუნ... ამან აღწერა ...ათს კვამლს გლეხზედ მეთე მოლაშქრედ წამსლველად, და გამოხდა დავითის სამეფოსაგან (=ამერეთისაგან) **ჟრ** წამსლველი ლაშქარსაშინა.“ ბაქრაძის გამოცემულში (გვ. 241) **ჟრ** (90,000) გადაკეთებულია **400,000!**

საქართველს ისტორია გვ. 58: ნათელ*) ილო (ნათელი-ილო) რიფსიმამ (რიფსიმემ) და გაიანამ (გაიანემ)... რიცხვით 50 (5) ხელთა (სულთა კელთა) შინა წმინდისა (წმიდის) ნინასთა (ნინოსთა)... მათ დედათა (დღეთა) შორის (შინა)... **ჰპოვონ** (პოვონ) მისთვის (მისთვის) საცოლოდ (საცოლედ).

*) ფრჩხილებში ჩასმული დედნისაა.

საქართველოს ისტორია გვ. 66: მთავარი ხვარასნელი (ხვარა, სნეული) მენათესავე (მონათესავე) მეფისა, სულითა უკეთური (უკეთურითა), იგვემებოდა ფიცხელად (ფიცხელათ მოსიკუდიდ), ამისთვის...

საქართველო ისტორია გვ. 72: აქვნდა (აქუნდა) წიგნი წმინდისა (წმინდისა) პატრიარხისა (პატრიარქისა) რომისა^{*)} მეფისა და ყოვლისა (საქართველოს) ქებისა (ქებისად).

ქქ, გვ. 75: ვინაჲდგან (ვინადგან) მომკვდარ (მომკუ-
დარ) იყო რევ უხუცესი ძმა (ძე) მისი... ურმწესსა (უმრწე-
მესსა).

ბაქრაძისავე გამოცემულში არ არის შემდეგი ადგილი (გვ. 37, მეათე სტრიქონი ბოლოდგან); „შემოიკრიბნა საქარ-
თველოსანი და მოირთო ერისთავნი სომხითისანიცა, ეწყო
აზონს ნაქალაქევსა ერუშეთისასა, არამედ ძლიერისა ბრძოლისა
შემდგომად ივლტოდა აზონისა და მოიკლა აზონცა და მოს-
წყდა სპანი მისი. მაშინ ფარნაო?“

ამისთანა ადგილები ამ გამოცემას აკლია ბეგრჯან, პირ-
იქით, ჩამატებულებიც ცოტა არ არის აქა-იქ, მაგალ. ლექსე-
ბი თამარ მეფის ისტორიაში და სხ.

ბაქრაძე იყო კეთილსინილისერი, პატიოსანი მშრომელი
და შვენიერი მცოდნე ქართულის პალეოგრაფიისა. იგი კარ-
გად არკვევდა არათუ ისეთ ხელს, როგორითაც დაწერილია
ვახუშტის შრომა, არამედ ფრიად ძნელსაც. უეჭველია, თუ
მას ჰქონოდა ვახუშტის შრომის დედანი, **საქართველოს ის-
ტორიას** 1-ლი ნაწილიც ფაქიზად და სათუთად დაიბეჭდე-
ბოდა. მისი გამოცემის ზოგიერთ შენიშვნებიდამ გამოსკვირს,
რომ იგი მას დაუბეჭდია არა დედნიდამ, არამედ ვარიანტე-
ბიდამ, რომელთაგან ერთიქობულოვის კუთვნილება ყოფილა
(იხ. გვ. 209 და 266). და ეს ვარიანტები კი გაჩნდებოდნენ
იმ პირთა წყალობით, რომელნიც მტრულად ეპყრობოდნენ

^{*)} პატრიარხი (პატრიარქი) ესე იყო (წმიდა) სილივისტრო (სილი-
ბისტრო).

ვახუშტს და მის შრომას ასწორებდნენ. ერთი ამგვარ პირთაგანი ვახუშტის დედნის აშიაზე შენიშნავს: „ამას ზეით კიდევ უნდა გასწორდეს“ (დედნ. გვ. 64).

ამგვარი „გასწორებულები“ გარყვნიდნენ ვახუშტის საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილს, *) რომლის გამოცემის დროს, თვით პატივცემულ ე. თაყაიშვილის მოწმობით, დ. ბაქრაძეს „პეტერბურგის ხელნაწერი არ ჰქონია ხელში“ („მაძმე“, 1901, № IV, გვ. 63)

დ. ი. ჩუბინაშვილს, პეტერბურღში მცხოვრებს, შეძლება ჰქონდა ვახუშტის ისტორიის მეორე ნაწილი დაებეჭდა იმ სახით, როგორც იგი თვით დედანშია. გარნა, როგორც ზემოთაც ითქვა, მისი გამოცემაც არ არის უნაკლოდ დაბეჭდილი, თუმცა ამავე დედნით უხელმძღვანელებია *).

ჩუბინაშვილის გამოცემაშიაც არა თუ მცირეა გამოტოვებული და უმართლოდ წაკითხული ადგილები, არამედ ბევ-

*) ვახუშტის შრომა დიდი თხზულებაა და, რასაკვირველია, აქსონი მან ერთს წელიწადს ვერ შეადგენდა, ზოგიერთ ნაწილებს ადრე დაასრულებდა და ზოგიერთს გვიან, თვით ადრე დაწერილებსაც მერმე შეიმუშავებდა, შეავსებდა აქა-იქ ანუ შეამოკლებდა. „და ამის გამო გაჩნდებოდა მრავალი ვარიანტი“, ჰეიქრობენ რომელნიმე მკვლევარნი. დედანში მართლაც არის ქაღალდ გადაკრული ადგილები, გარნა ეს ადგილები იმავე დედნის ხელითა და მელნით დაწერილია და ორიოდ ადგილას განაზუღლია დაწერილი და იგივე ახალის. რედაქციით ჩაწერილია. გარდა ამისა, დედნის ენა და მართლწერა უფრო სუფთაა, ადვილი გასაგები, ვითარცა ენა და მართლწერა კლასიკურ თხზულებათა, ხოლო ვარიანტების ენა და მართლწერა ანტონი კათოლიკოზის მომდევნო დროისაა, დამახინჯებული, გარყვნილი. ამისთვის, არ არის დასაჯერებელი, რომ ვახუშტს მიეცა ვისთვისმე ნაწილები თვისის შრომისა 1745 წლამდე, ესე იგი ვიდრე მან საბოლოოდ არ დაასრულა და არ შეიმუშავა თვისი მრავალ ნაპირნახულევი თხზულება. ყოველ შემთხვევაში, თუ არის სადმე 1745 წლის წინადროის ვარიანტი, იგი შესამჩნევად არ უნდა იყოს განსხვავებული დედნისაგან.

**) ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭდილ ქართლის ცხოვრების კაბადონები არაბულის ციფირებით დანიშნულია ვახუშტის დედნის მეორე ნაწილში.

როა ისეთებიც, საცა გამომცემელს თვითონაც ჩაუმატებია სხვა და სხვა სიტყვები.

მაგალითები:

1. განუტევა ოთარი ტფილისს (ქართლ. ცხ., ტ. 2, გვ. 86). იგივე ვახუშტის დედანში (გვ. 157): განუტევა ოთარი და თვით მივიდა ტფილისს.

2. (მეფემან ლევან) დაადგინნა ციხეთა კახეთისათა რუსნი (გვ. 107). იგივე დედანში (გვ. 185): (მეფემან ლევან) დაადგინნა რუსნი.

„ციხეთა კახეთისათა“ ჩამატებულია გამომცემლის მიერ!

3. წარმოავლინეს ფ რჩეული მხედარნი (გვ. 15). დედანში ფ-ს მაგიერ ჩვ სწერია, ე. ი. 1500.

4. წარიყვანა ისპაჰს ქრისტესით ჩდბ (1702) სეკდემბერს კვ (გვ. 37). დედანში (გვ. 149); წარიყვანა და წარვიდა ისპაჰს ქრისტესა ჩდდ (=1704), ქართულსა ტუბ, სეკდენბერს კვ.

5. შევიწრებული მწუხარებითა მლუდელი (124). იგივე ვახუშტით (192): შევიწრებული მღვდელი.

6. მან შეჰკრიბა ხუთიათასი დრაჰკანი (გვ. 111). დედანში (187): მან შეკრიბა ჯ (=8,000) დრაჰკანი.

ქართლ. ცხ გვ. 256: 1744—უღბ... მოჰკლა (მოჰკლა) კათალიკოზი (ნიკოლოზ)*) თაზი-შვილმან (თაზიშვილმან).

აქვე, გვ. 257: 1753—უმა მეფე სოლომონ ვანაძეს მთავართა იმერეთისათა. მან ფაშა ჩამოიყვანა და დაიპყრო კვალად იმერეთი.—იგივე დედანში: მეფე სოლომონ ვანაძეს იმერთა. მან ფაშა ჩამოიყვანა, დაიპყრა იმერეთი:

აქვე, გვ. 248: 1666—ტნდ... დაჯდა საყუარელიძე ვედემოზ.—დედანში: დაჯდა საყვარელიძე ვედემოზ აფხაზთა.

აქვე, გვ. 243: 1553... ათაბაგი (ქაიხოსრო) მიეგება.

აქვე, გვ. 229 მე 12 სტრიქ.: დაიპყრა იმერეთი მშვიდობით.—დედანში: დაიპყრა იმერეთი, მერმე განუტევა ოსმალნი და იყოფოდა მშვიდობით.

*) ფრჩხილებში ჩასმულნი ყველგან დედნიდამ ამოღებულია.

იქვე, გვ. 196: რაჲ არს ჩარუხი დაჰრაიანითა. — დედანში: რაჲ არს ჩარუხი და დაჰრა.

იქვე, გვ. 174: ისაყ: ფაშა მესამედ თ წელი ფაშა. დედანში: ის. ისაყ ფაშა ით წელი ფაშა.

იქვე, გვ. 170; სტრიქ. 16: და მისცეს ჩკ (=1020) მარჩის. დედანში: და მოსცეს კჩ (=20,000) მარჩილის.

ამგვარ მაგალითებით აღარ დავამძიმებ მკითხველთა ყურადღებას, გარნა ვიტყვი კიდევ, რომ ჩუბინაშვილს შეუცვლია ავქსონის მართლ წერაც (მლუდელი, თთუტ, მიენდუნენ და არა მღვდელი, თვე (ანუ თთვე), მიენდვენენ, როგორც ავქსონის დედანშია), მეფეთა აღრიცხვა დაუწყვია არა **მთ**-გან, არამედ **ოე-დგან**, ბევრგან შეუცვლია ანუ შეუმოკლებია სათაურები და სხ.

დასასრულ ვიტყვით, რომ ამ სამ გამოცემათაგან უფრო რიგიანად დაბეჭდილია გამოცემა აკადემიკოსის ბროსესი, საზოგადოთ კი ყველა იგინი მოითხოვენ ხელახალს დაბეჭდვას ვახუშტის დედნით, რომლის თანახმად უკვე შევასწორეთ გეოგრაფია და ისტორია, დასტამბული ბროსესი, ბაქრაძისა და ჩუბინაშვილის მიერ და აგრეთვე გადმოვსწერეთ კვინკვლოსი და სხ. თუ აღმოჩნდა სახსარი, ჩვენ არ დავიშურებთ დანარჩენ შრომასაც სახელოვან მწერლის თხზულების გამოსაცემად იმ სახით და წეს-რიგით, როგორც იგი დაწერილი და დალაგებული აქვს თვით ავქსონს.

მ. ჯანაშვილი.

დიდებული მესხეთი

Sic transit gloria mundi.

ლათინური ანდაზა.

I

ვინ გაკადნიერდება და იტყვის, რომ მესხეთი ძველად დიდებული არ იყო? ისტორიაში ჩახედებული ამას არ იტყვის, ხოლო უვიცი და რეგვენი, ან განძრახ თვალეზ ამბული ამას არ შეიწყნარებს და არა მკითხვე მოამბესავით ბევრს უკადრისს შეჰკადრებს რუსთველის სამშობლოს, მაგრამ რეგვენთა და ბრმათათვის არა ვსწერთ ამ წერილს. ჩვენ კარგად გვახსოვს სიბრძნე ანდაზისა: მგლის თავზე სახარების კითხვა ცუდა შრომაა.

ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია და საეკლესიო არქიტექტურა ცხადადა ჰყოფს მესხეთის დიდებას. ¹⁾ აწყურიდან მოყოლებული მესხეთის კალთა შავ ზღვასა სცემდა, ფრთანი კი არზრუმსა, ტრაპიზონსა და იმერეთსა. ზეკარიდან იმერეთს ისე დაინახავდა მესხი, თითქოს ეს ტურთა ბუნებიანი ქვეყანა ხელის გულზე აქვს გადაშლილიო.

ასე მოხაზული და მოფარგლული მესხეთი ისტორიულ ქართლ-კახეთის სივრცესა სჭარბობდა. ამ ღონიერ მანძილზე წარსულში სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა. პოლიტი-

¹⁾ ისტორიული მესხეთის ნაწილები: ახლციხე, ჯავახეთი, აპარა, ქობულეთი, შავშეთი, ერუშეთი, ლივანა და ჭანეთი, ანუ ლაზისტანი და კლარჯეთი. ცოტაოდენი ქართველობა საქრისტიანო სარწმუნოებისა შერჩა მხოლოდ ახლციხესა და ჯავახეთსა. დანარჩენი გამაჰმადიანებულია.

კური ცხოვრება იმ ზომამდე განვითარდა, რომ პირველად იურისპრუდენციამ მესხეთში იჩინა თავი. ბექა და აღბუღას კანონები მესხეთის ნიადაგზე აღმოცენდა, გაბრწყინდა და მიეცა ერს სახმარად და სასარგებლოდ.²⁾ საქართველოს ისტორიის მშვენიერება, მზე და მთვარე ქართველის ერისა, მეფე თამარი, აქ, მესხეთის ნიადაგზე ხშირად ატარებდა დროსა, ვარძიის მონასტრის გამოქვაბულ კლდეთა შორის ბჭობდა სახელმწიფო კაცთან ერთად, ვინ იცის, ეგება ისეთ დიდებულ საქმეზედაც, როგორც იყო ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და იქ საქართველოს ერთგულის კაცის გამეფება. აქ, მესხეთში, ღვთისმეტყველება ისე აღყვავდა და გაძლიერდა, რომ თითქმის გაუთანასწორდა მაშინდელ დასავლეთ ევროპის, ანუ ბიზანტიის ღვთისმეტყველებას. მარტო ხახულისა და ფარხალის მონასტერთა ხსენებაც საკმარისია ამ აზრის შესაწყნარებლად. წმიდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, ეს უდიდესი ღვთისმეტყველნი საშუალო საუკუნოთა, ამ ქვეყნის ღვიძლი შვილნი არიან. მაგრამ ყველა ეს მკრთალი ნათელია იმ სავსე მთვარისა, რომელიც გამოსცა მესხეთმა პოეზიის სახით. ბედმა წილად მესხეთს არგუნა ერთი უდიდებულესთაგანი მსოფლიო პოეტთა შორის, შეუდარებელი და სხივოსანი, შოთა რუსთაველი, რომლის წყალობით ქართული პოეზია აყვავდა და გაიფურჩქნა ვით მაისის ვარდი, რომლის მეოხებით ქართული პოეზია გაბრწყინდა ვით ვარსკვლავი და რომლის პოეზიამ „დილის ნიავსავით“ დაჰბერა ქართულ ტლანქს და უგემურს შაირ-ლექსობას.

ერიც პურადი, მხნე, გულადი და დარბაისელი ჰყავდა მესხეთსა. ვის არ გაუგონია მშვენიერი თქმულება ხალხისა: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისაო“.

²⁾ ბექასა და აღბუღას კანონებამდე დაიწერა „ძეგლის—წერა“ და „ძეგლის—ღება“. პირველი სასულიერო კანონმდებლობაა და მეორე მხოლოდ მთიულთათვისაა დადგენილი, მაშასადამე ორთავეს განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა.

დღეს მესხეთს ვეღარ იცნობთ, აჩრდილი და ნატამალია წარსულისა. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია რუსთველის, ბექასი და აღბუღას სამშობლო, ისე დაკნინდა ეს მშვენიერი და სიცოცხლით სავსე მხარე ძველის ერთიანის საქართველოსი. დღევანდელი მესხეთი ერთი რაღაც შემზარავი, თვალ-გაღუწვდენელი და უსამზღვრო სასაფლაოა. ქართველი მოგზაური, ქართულის ისტორიის ცოდნით შეიარაღებული, სწორედ დასწვდებოდა აუარებელი ნანგრევების ხილვით. დღევანდელ თითოეულ სოფელს სამი-ოთხი ნასოფლარის ადგილ-მამული უჭირავს. ნასოფლარს რუსები „пущоимს“-ს ეძახიან. ყურთა სმენა წაიღო სწორედ ამ „პუსტოშმა“, რომელიც მხოლოდ, ძალაუნებურად, სიკვდილსა და უბედურებას მოგაგონებს. მერე ნეტა თითო-ოროლას ლამაზი სახელები მაინც არ ერქვას, მაგალითებრ: ვარდის-უბანი, თიფთიკი, მეშურნეთი, ტბასაწოლი და სხვა. აფსუსია ასეთი სოფლების გაქრობა და დედამიწის პირიდგან აგვა-აწმენდა. ზოგი ნასოფლარის, ანუ ვერანას სახელი ისეა გადამახინჯებული, რომ დიდი მეცადინეობა დაგჭირდება, ვიდრე მიხვდები პირვანდელ სახელწოდებას. აი ორიოდე მაგალითი: ირმის-ჭალა ასე მოუნათლავთ: „კრიჩალა“; საწერეთლო, „საცერეტ“; ბრალი, „ბრალ“; ყანის-უბანი, „კანუბალ“. ერთის სიტყვით, მოგზაური აქ თვალს წყალს ვერ დააღვინებს.

ბორჯომის ხეობას გამოსცდები თუ არა, თვალწინ აგეყუდება ოდესმე ძლიერი აწყურის ციხე, რომელიც საუკუნოებით დარაჯობდა ვიწრო ხეობას. ციხის გვერდით, შიგ შუაგულ გამაჰმადიანებულ სოფელში, კიდევ სდგას უზარ-მაზარი ტაძარი, ხოლო სახურავ გადახდილი და ალაგ-ალაგ კედლებ ჩამოქცეული. ახალციხეს რომ უახლოვდები, ასე შვიდი-რვა ვერსიდგან, ს. წნისიდგან, დაინახავ საფარის მონასტერს, სადაც კაი ხანია რუსის ბერები დაბინადრდნენ, რადგან ქართველებმა მონასტრის მოვლა-პატრონობა ვეღარ შესძლეს. სიღატაკის გამო. მონასტრის ზღუდეთა შორის მოსჩანს ერთად ერთი კედელი, თლილის ქვით ნაშენი, ათაბაგების სამთავრო საზაფხულო

პალატისა. ვინ იცის, იქმნება ამ ხავს-მოკიდებულ და დაბზარულ კედლის სიახლოვეს იწერებოდა ბექასა და აღბუღას მიერ სამცხე-საათაბაგოს უკვდავი კანონები! ევროპაში დიდებულ კაცთა ფეხსაცმელსაც მოწიწებით ინახავენ მუზეუმებში, მტვერი რა არის, იმასაც არ აკარებენ, ჩვენ-კი ჩვენი კანონმდებლების მიერ აგებული პალატნი მორეულ-მონგრეული გვაქვს და, საუბედუროდ, ძალაც აღარ შეგვწევს პატრონობა გაუწიოთ. ბექასა და აღბუღას სურათნიც ვერ შევინახეთ. ჯერ იყო და ახალციხის ბიჭ-ბუჭებმა თვალები ამოსჩიჩქნეს და შემდეგ, მგონი, ბერებმა კირით შელესეს „ბლაგოლეპის“ გული-სათვის.

საფარისა და ათაბაგთა პალატის ნანგრევთა ხილვით გულ ნატკენი მგზავრი დარდის გადაყრას ვერ მოასწრობს, რომ უფრო სამწუხარო, გულ სატკენს და სამგლოვიარო სურათსა ნახავს. ესაა სოფელი რუსთავი, ათასგვარი სიბინძურითა და სისაძაგლით სავსე. ერი ამბობს, რომ აქ დაიბადა შოთა რუსთველი, ესაა მისი სამშობლო სოფელიო. გული ნაღველით აგვესება, როდესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსი პოეტის სამშობლოს არე-მარე ასეთ ენით გამოუთქმელ სიბინძურეს შეუპყრია. დღევანდელი რუსთავი ერთი უხეირო, ოთხ-ხუთ კომლიანი სოფელია, რომელსაც ამშვენებს მხოლოდ სასუქის უშველებელი ზვინები. რუსთავში ბინადრობენ ქურთნი, თუ თარაქამანი, ადამიანი ვერას გაიგებს მათსას. მიწური სახლები ამ ყოველ კულტურას მოკლებულ ველური ტომისა სულ მთლად ასახიჩრებს სოფლის სურათსა. ქალნი და კაცნიც სოფლის შესაფერისნი არიან. იმდენი ჭუჭყი დასდებიათ ჰირსა და სახეზე, რომ თითქოს დაწყვი-დაბადებიდგან იქვე ახლოს მოდუღუნე მტკვრის წყალი მათ არ მიჰკარებიათო. ასეთია მათი სამოსელიც, დასტამალად ქცეული. დღეს შოთა რუსთველის მომხსენებელნი ეს ჭუჭყიანი და პირუბანელი თარაქამა, თუ ქურთინები არიან!. უბედურებთ, სიზმრადაც არ მოვლანდებათ, თუ რა კაცის ნასახლარზე ბინადრობენ...

რუსთავი ტიტველა, ხრიოკი მთის კალთაზეა შეფენილი. წინ მშვენიერი, პოხიერი ველია დაცემული. პატარაა, მაგრამ ლამაზი. ორი არ მეგუღება ამისთანა მომცემი და ნაყოფიანი ველი მთელს ამ მხარეს. მახსოვს, ერთხელ როგორღაც ქრისტიან მუსხელებს გამოველაპარაკე რუსთავის ველის შესახებ. ³⁾

— კაცო, რა ღმერთი გავიწყრათ, ძილი რომ ღმერთს გაუჩენია, განა მარტო ქართველებისათვის? რატომ თავისს დროზე თვალი არ გაახილეთ და ეს ნაღებივით სუქანი ველი არ დაიჭირეთ? რუსთავის ველზე არ გერჩინათ დასახლება, ვიდრე აქ, მთასა და კლდეზე! განა რა ნახეთ სახარბიელო, რომ ცხვრის ფარასავით შეფენილხართ მწირსა და გატრუსულ გოხებსა და ხრიაკებზედ?

— ბატონო, ბარემ თვალი ჩვენც გვეჭირა რუსთავის ველზედ, მაგრამ ვინ გვადარსა! ჩვენი თავ-გადასავალი რომ იცოდეთ, მაგ საყვედურს აღარა ბძანებთ. წინად, თათარი რომ გვეძალებოდა, თხუნელასავით სოროებში ვძვრებოდით, მზეზე გამოსვლა უბედურებას გვაყენებდა. ცოლშვილს ისე გვტაცებდნენ, როგორც ქორი წიწილებსა. იმ უბედურ დროს ქრისტიან ქართველს მხოლოდ კლდესა და ღრეში თუ შეეძლო სულის მობრუნება, თორემ შარა გზის პირას როგორ გაბედავდა ბინა გაეჩინა. რუსობა რომ შემოვიდა და აშკარად ქრისტიანობა დავიწყეთ, ვითხოვეთ რუსთავის ველი, მაგრამ ჩინონიკებმა უარი გვითხრეს.

რუსთავის პატარა ველზე ერთად ერთი პატარა გორაკია ამართული, თითქოს განგებ აქ ვილასაც მიწა დაუყრია. სიმალლით ორი-სამი საყენია, სიგანეც სულ ათიოდესაყენი ექნება. სწორედ ზედ გამოჭრილი ბექია ძეგლისათვის. აქ რომ შოთა რუსთაველს ძეგლი, ან ობელისკი დაედგას, მშვენიერება იქნება. ბექი მტკვარს ზედ თავზე დასცქერის, იქვე შარა

³⁾ თუმცა კარგი ხანია, რაც მუსხში სკოლა არსებობს, მაგრამ არც ამათ იციან, ვინ იყო რუსთაველი. რა მუსხი, განა სხვა ქართველმა სოფელმა კი იცის, ვინც იყო შოთა!.

გზაა, შოსსე, გამვლელ-გამომვლელი თვალს ვერ აარბებს ძეგლსა, ისიამოვნებს იმ ფიქრით, რომ შვილნი უმადურად არ მოჰქცევიან საწლოვანს მამას და იმასჯერ ხომ გაივლებს გულში, რომ გავერანებული მესხეთი ოდესმე ბედნიერი ყოფილაო.

ნუ თუ დღევანდელი ქართველი ისე დაკნინდა, ისე დაძაბუნდა, რომ მცირედი ფასის ძეგლიც ვერ მოუხერხებია შესანიშნავი პოეტისათვის? ერთმანეთის ძიძგნამ და ჭორიკანობა სული ამოგვართვა და განა დრო არ დადგა ერთსულად მოქმედებისათვის? იცოცხლეთ რომ დროა ზურგი შევაქციოთ ჩვენს დამლუპველს საეროვნო სენს, მაგრამ სადაა!..

ბოროტი დედი-ნაცვალივით ისტორიამ დიდად გვაწამა, მაგრამ რა უყოთ! ამბობენ, მშობელ დედას ყველაზე ძრიელ შვილებში მახინჯი და საზოგადოდ ჭირსა, წვალეზა და ტანჯვას გამოვლილი შვილი უყვარსო. ბრძენთა ნათქვამი მოვაზრუნოთ, ჩვენ დედად გადვიქცეთ და შევიყვაროთ ისტორია, როგორც მახინჯი შვილი. სიყვარული კიდევ როგორიც უნდა იყვეს, მსხვერპლს მოითხოვს. უამისოდ სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის. მაშ შეეწიროთ ისტორიის სიყვარულს მცირედი მსხვერპლი და აუგოთ შოთას რუსთავის ლამაზ ველზე პატარა ობელისკი მაინც!

რუსთავიდან ჯავახეთის შარა-გზას რომ გაჰყვები, რუსთავისს ახვალ. ხერთვისიღხ ასე 18 — 20 ვერსის მანძილზე ვარძიაა. ამ დიდებულ მონასტერს წარსულისა ნასახიც აღარ ეტყობა. ლდეებში გამოქვაბულ მღვიმე-მალაროებს დღეს სამი, თუ ოთხი ქართველი ბერ-მონაზონი შეჰხიზვნია და შიმშილით იხოცებიან. ესეც საკმარისია იმის სათქმელად, თუ რა იწროებასა და გაჭირვებაშია ვარძიის მონასტერი. ასე გასინჯეთ მტკვარზე ხიდიც ვერ გაუღდვიათ,*) რომ მომსვლელი უვნებლად წყალში გავიდეს, მო-

*) მახსოვს, ამ ათიოდე წლის წინად ტფილისის განსვენებულმა ვაჰარმა მიქელაძემ ხუთასი მანეთი უანდერძა ვარძიას ხიდის გასაკეთებლად. მაშინდელი ტფილისის ინტელიგენცია გაცოცდა ამ შეწირულობით. ვგონებთ, ეს პირველი მაგალითი იყო, რომ ქართველმა წაწილი თვისის

ნასტერი ნახოს და ორიოდე გროში გაიღოს თვისის სიუხვი-დან მონასტრის სასარგებლოდ „სულის საოხად და მოსახსენებ-ლად“.

ან კი ვინ უნდა მოვიდეს უარძიას, როდესაც გარს ქარ-თველი არ არტყია. სალტასავით, ვინ უნდა ჩაჰბეროს მონას-ტრის გაყინულ კედლებს მხურვალე ლოცვასთან ერთად ცეცხლსავით აღგზნებული სული, ვინ მოიტანს სანთელ-საკ-მელს და საწირავს, რომ გავერანებულ მონასტერში ძველებუ-რად სიცოცხლე აღუდღეს? ორ-სამ დაჩაგრულ ქართველთა სოფელს გარდა მონასტერს გარს შემორტყმია: თათარი, გა-მაჰმადიანებული და გაფანატოებული ქართველი; არზრუმელი სომეხი, ქურთი, თარაქამა, ბოშა, ეზიდი, ანუ ეშმაკის თაყვა-ნისმცემელი და სხვა ათასი მილეთის ხალხი. ამბობენ, სამა-რიამობოდ, შორიდან ბერძნები რომ არ მოდიოდნენ საუ-ო-ცავად, მონასტერს კარები გამოეკეტებო.

გავკადნიერდები და ვიამბობთ ერთს შინაურს ამბავს. შარ-შან, შემოდგომის პირზე, რუსეთიდან ორი განათლებული მოგზაური: ჟუკოვსკი და მარკევიჩი ეწვია მესხეთს. ბარათი მომიტანეს ტფილისიდან თ. დ. ზ. მელიქიშვილისა, რომელიც მწერდა, ჟუკოვსკი ჩემი კარგი მეგობარია და გთხოვ არ დაი-ზარო და მესხეთი აჩვენეო. დიდ მწუხარებაში ჩამავლო ამ თხოვნამ. რა უნდა ვაჩვენო-მეთქი, ვფიქრობდი. რაც დარჩა მესხეთში, ან ჩვენი აღარაა, ან თუა ჩვენი, სულ მინგრეულ-მონგრეულია. ერი მაინც რომ დარჩენილიყო ჩვენი, კიდევ ჰო; მაგრამ, საუბედუროდ, ქართველობაც აღარაა. გზაში, რასაკვირ-ველია, შეგვხვდებოდნენ ჩალმოსანნი მაჰმადიანნი, ან ბოხობ-ქულიანი თარაქამები. ხომ ვერ ვეტყვოდი ცნობის მოყვარე ტურის-ტებს, (მერე რა უღმერთონი არიან! ყველაფერს გაფაციცებით

ქონებისა საერთო, საზოგადო საქმეს შესწირა და არა თავის ნათესავებს, რომელნიც, ჩვეულებრივ, ნაანდერძევს ორ-სამ წელიწადს მტვრად აქე-ვენ ხოლმე. მაშინ გვეგოწა, ახლა-კი ღმერთმა მოგვხედა და სომხებისაგან ბკუა ვისწავლეთო... ნეტა სადაა განსვენებული მიქელაძის 500 მანათი?!

ადევნებენ თვალსა, ყველაფრის ძიება-კვლევაში არიან, ყველაფრის გაგება და შეტყობა ჰსურთ ხოლმე!) აი ესენი არიან თქვენი კარგი ნაცნობის, ტფილისის მარშლის, თ. მელიქი-შვილის, თანამემამულენი-მეთქი!

ტურისტებმა მთხოვეს—ვარძიაში წაგვიყვანე, ბევრი რამ გაგვიგონია ამ შესანიშნავი გამოქვაბულ მონასტრისა და იმის ნახვა გესურსო. გვიბრალო ღმერთმა და კოკის პირული წვიმა წამოვიდა, ორ დღეს აღარ გადაიღო. ვარძიას ვერ წავალთ, გადაჭრით გამოფუცხადე დაღონებულ ტურისტებს, მტკვარზე ხიდი არაა, წვიმისაგან მტკვარი აღიდებულია და ფონშიაც ვერ მოვახერხებთ გასვლას. დაკმაყოფილდნენ ამ პასუხით, საფარა მოიარეს და ტფილისს დაბრუნდნენ. რომ მიმეყვანა ვარძიაში, სწორედ სირცხვილით დავიწვოდი—ისეთს სიღარიბესა, სილატაკესა და აოხრებასა ჰნახავდნენ მოგზაურნი. მე კი ამგვარად გადავრჩი ეროვნულ მწვავე სირცხვილსა და თუ, მაინცა და მაინც, თავიდან ვერ ავიცილებთ ჩვენი სიბეჩავის და აოხრების გამოაშკარავებას, დეე სხვამ, ჩემზე ბედნიერმა, და, შეიძლება, ნაკლების ეროვნულის გრძნობით გამსჭვალულმა ქართველმა იკისროს სამწუხარო მოვალეობა და უმბოს უცხო ტომის კაცსა—თუ რანი ვიყავით გუშინ და რანი-ლა ვართ ამ უამად.

ჯერ-ჯერობით მესხეთის დანარჩენ ნანგრევებს თავი დავანებოთ და სხვა საგანზე ვიბაასოთ.

II

ვინც კი ღრმად ჩაუკვირდება ირაკლი მეორის ცხოვრებასა და მეფობას, უეჭველად, შეამჩნევს, რომ სახელოვანი მეფე დაადგა დაფლეთილ და დაწიწკნილ საქართველოს შეკრებასა და შეერთებას სწორედ იმ სახით, რა სახითაც მოქმედობდნენ რუსეთის დიდნი მთავარნი ესრედ წოდებულნი „რუსეთის შემკრებელნი“. განსხვავება მხოლოდ ხერხსა და სახსარშია. დიდნი მთავარნი მოქმედობდნენ თვისის ძალ-ღონით, ნელ-ნელა, მა-

გრამ მედგრად მიდიოდნენ წინ და გზას არ უხვევდნენ. ირაკლის კი ჰსურდა სხვისი დახმარებით გაეკეთებინა ერთბაშად ისა, რაც საკუთარის ძალ-ლონით უნდა გაეკეთებულიყო ნელ-ნელა, აუჩქარებლივ.

ამ გვარად პოლიტიკური იდეალი ირაკლისა საქართველოს შეკრება იყო. მისი მეფობა მალე ქართლ-კახეთის შეერთებით გაბრწყინდა, მაგრამ ქართლ-კახეთს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა. კახეთს მტერმა მოსწყვიტა კახი, საინგილო, ქართლს კიდევ მთელი მესხეთი. ეგები ქართლ-კახეთს ეს ვარამი დროებით მოენელეზინა, მაგრამ არა ხერხდებოდა, რადგან, საუბედუროდ, მტერი სწორედ ამ ორი კუთხიდან ასმევდა საქართველოს სამსალას და შხამსა. ამისათვის ერეკლეს მუდმივი ფიქრი და საზრუნავიამ, მტრისგან გატაცული, საქართველოს სამკვიდროს დაბრუნება შეიქმნა. სამწუხაროდ, ირაკლის პოლიტიკური იდეალი ლიხის ქედს ვერ გადასცდა და კორტოხზე გაჩერდა. მისი ფიქრი ვერ შესწვდა დავით-აღმაშენებელის დროის გაერთიანებულ საქართველოს და როცა მარჯვე დრო მიეცა— იმერეთიც შემოეერთებინა და მთელი მაშინდელი საქართველო თვის სკიპტრას ქვეშ შეეკრიბა, ყოყმანი დაიწყო და უკან დაიხია. ამგვარად ირაკლის დარჩა მხოლოდ მცირედი პოლიტიკური იდეალი— გაერთიანება აღმოსავლეთის საქართველოსი და არა სრულიად საქართველოსი, რაც დღე და ღამ განუყრელ პოლიტიკურ ფიქრად და მისწრაფებად უნდა ყოფილიყო მაშინდელ საქართველოს გვირგვინოსანისათვის.⁵⁾

რაკი ირაკლიმ ვერ მიაღწია თვისი ძალღონით ვიწროდ შემოფარგლულ პოლიტიკური იდეალის განხორციელებას, ჩრდილოეთის ბუმბერაზს დაუწყო ცქერა. რუსეთის დახმარებით ჰფიქრობდა ირაკლიმ განეხორციელებინა თვისი ვიწრო, მაგრამ მაინც საქართველოსთინ სახეირო იდეალი. ესაა უმთავ-

⁵⁾ Въ словахъ Ираклія, ამბობს ზ. ავალიშვილი ახალციხის დაბრუნების გამო, звучить надежда на исполненіе завѣтной національной идеи. იხ. Присоединеніе... გვ. 123.

ქცეული, ვერ მოისვენებს სიცოცხლის დასასრულამდე და სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაში იქნება, თუ როდის მიაღწევს საყვარელი აზრის განხორციელებას. ასე დაემართა ირაკლისაც, რომელსაც მესხეთის დაბრუნება, ანუ მისი ერთი ნაწილისა, სახელდობრ ახალციხის, იდეა-ფიქრად გადაექცა.

სხვას ვერავის ანდო და „პირობანი“ ირაკლიმ გაუგზავნა იმპერატორიკას ბატონიშვილი ლევანის და კათოლიკოზი ანტონის ხელითა. ⁷⁾ ეს საპატიო ელჩები დიდხანს გააჩერეს ქ. ასტრახანში, არც პეტერბურგში წასვლის ნებას აძლევდნენ და არც მიზეზს ეუბნებოდნენ, თუ რატომ არ უხსნიან პეტერბურგის გზას. უფრო დიდ გაჭირებაში იყო ირაკლი. შვილისა და ძმისაგან არაფერი ამბავი მოსდიოდა, არც არაფერს მთავრობა სწერდა ირაკლის კარზე მყოფ მინისტრ-რეზიდენტს ი. ლ. ლვოვს. მეფეს მოთმინება გამოეღია და 16 მარტს 1773 წ. წერილი მისწერა გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ ნ. ი. პანინს. წერილი ფრიად საინტერესო და საყურადღებოა. უმეტესმა მწუხარებამ გამაბედვინა თქვენი შეწუხებო, ბოდის იხდის ირაკლი პანინის წინაშე. ამოდენა ხანია ვახელ იმპერატორიკას ძმა, კათოლიკოსი ანტონი და ძე ჩემი, ბატონიშვილი ლევანი და „აქამოდესაც ვერ მივემთხვივე მოწყალების რეზოლუციასაო.“ ამის გამო ევედრება პანინს, დახმარება გაგვიწიე, რომ საქმე კეთილად დაგვირგვინდესო. ირაკლი იმასაც ატყობინებს პანინს, შვილისა და ძმის ამბავი არაფერი ვიცი, რადგან ასტრახანიდან გამოგზავნილი ლევანისა და ანტონის მიერ კაცი დაეჭირათ ახალციხიდან დაღესტანს მიმავალ „ქურდ ლეკებს.“

⁷⁾ უდროოდ გარდაცვალებული ბატონიშვილი ლევანი მშვენება იყო ირაკლის ოჯახისა. დიდი იმედი ჰქონდა ირაკლის ლევანისა და მისმა უდროოდ გარდაცვალებამ მეტის-მეტად მოუკლა გული ათას ჭირსა და ვარამში მყოფ მეფესა. საქართველოს მზე ეხლა დაუბნელდაო, ამბობდნენ მახლობელნი მეფისა ლევანის გარდაცვალების გამო. კათოლიკოსი ანტონი I, ძმა ირაკლისა, შესანიშნავი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი იყო.

საქმის დასაჩქარებლად ასეთ ამბავსაც ატყობინებს ირაკლი პანინსა: „ვგონებო, არა უმეცნიერნი იქმნებით, ვითარ ჟამითი-ჟამად გვემატებიან ბარბაროზთა თესლთაგანნი, ქრისტიანობის ნათესაობის მტერნი და მარადის გვაყვედრებენ უგუნურობითა თვისითა წარმართნი, მეზობელნი ჩვენნი, რომ დაგდებული ვიქმნებით, რომელი ანათებს ყოველსა ქვეყანასა, რუსეთის ტახტისაგან, და წარმოგზავნილნი ჩემგან ძმა და ძე ჩემი იმყოფება აქამომდე ასტრახანს და შეწყნარებულიცა არ იქმნებიანო — ეთბამათ ხედვენ ვითომ ეგ იყოს მის ნიშანი.“⁸⁾

ეტყობა, მეზობელ მაჰმადიანთა ხანები ნიშნს უგებდნენ ირაკლის, რომ რუსეთმა ჯერ ჩაითრია საქართველო თვის პოლიტიკის სფერაში და რაკი-ლა უკან დახევა აგრე ადვილი აღარ იყო, საქმეს აჭიანურებდა და ელჩებს განზრახ ასტრახანში აჩერებდა. ასეთი მითქმა-მოთქმა მეზობელ ხანებისა, რომელთაც აგრე რიგად არ ეპიტნაევბოდათ რუსების გაბატონება საქართველოში, დიდად აშფოთებდა ირაკლის და სწორედ ამ მწუხარებისა და შიშის გამომხატველია წერილის უკანასკნელი სიტყვები, დიპლომატიის პილპილით შეზავებული.

ბოლოს, როგორც იყო, ელჩებმა მიალწიეს „უმადლეს კარსა“. 27 აპრილს 1773 წ. მიართვეს პანინს მოხსენება, თუ რა პირობითა ჰსურს საქართველოს რუსეთის მფარველობა (покровительство). დედანში ამ სიტყვებითაა გამოხატული ირაკლის ოცნება-იდეალი მესხეთისა და საინგილოს დაბრუნების შესახებ: „თუ კახეთის მამულები, რომელიცა წართმეული აქვს, დაიპყრობს, იმათგანაც თვითოს გლეხის სახლითგან ათოთხმეტი შაური სახელმწიფოდ მიერთმეოდეს ყოველს წელიწადს, და კვალად ორასი ფუთი აბრეშუმი.... დიდის უქვემოვის ვედრებით ითხოვს (ირაკლი), რომ არ დაშთეს ამის უფრო გრძლად დაუპერობელად ქვეყანად ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადვილი იყო, და თუ შერიგება იქნება, (ამ დროს

⁸⁾ იხ. Грамоты. т. II. в. I, გვ. 89—90

რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა), მაშინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა, და ყოველს წელიწადს მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ.“

ეს მუხლი „პირობისა“ ნათლად გვაჩვენებს, რა სანატრელ საგნად გადაქცეოდა ირაკლის ახალციხის დაბრუნება.

ან-კი ვინ დაუწუნებს ირაკლის ამ ოცნებას? რომელ ქართველს არ აუკნესდება გული ირაკლისავეთ დღესაც? ხუმრობა ხომ არ არის, ჰხედავდე, თუ როგორ „ყოველს წელიწადს მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ“ და შეველა კი არ შეგეძლოს? ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ღვიძლი შვილის მოკვება ადვილი ასატანი ყოფილიყოს რომელიმე დედისათვის. ირაკლის-კი დედაზე მეტად უყვარდა თვისი პატარა საქართველო. ვისაც გამაჰმადიანებულ საქართველოში არ უცხოვრია, ის ვერ წარმოიდგენს იმ სევდასა და გულის კვნესას, რასაც ახლად, შუაგულ საქართველოდან მოსული გრძნობს მაჰმადიან ქართველის მაყურალი. პანტა რა ხილია, მაგრამ მისი მოჭრაც და წახდენაც სევდასა ჰგვრის ბუნების მოყვარე კაცსა და აქ-კი მთელი მესხეთი, საქართველოს საუკეთესო ნახევარი, მაჰმადიანობამ სამუდამოდ მოჰკვება და მოსწყვიტა. სარწმუნოებასთან ერთად მაჰმადიანობამ სული და გულიც ისე შეუცვალა, რომ დღევანდელ მაჰმადიან ქართველს ვძულვართ ჩვენ, მისი სისხლ-ხორცი და სულ იმის ნატვრაშია, როდის იქნება მოგვშორდეს, გაგვეცალოს და გაღიხვეწოს შორს, ასმალეთს, სადაც მხოლოდ ცივ სამარესა პოულობს, მაგრამ მაინც სამოთხედ მიაჩნია ერთმორწმუნე ოსმალეთი. ირაკლის დროს მრავლად მაჰმადიანდებოდნენ ქართველნი. სულ რაღაც ასმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ. მაჰმადიანდებოდნენ ქართველნი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც. თითო-ოროლას შერჩათ ნიშანი ქართველობისა—ენა. ამასაც ჰკარგავენ ჩვენ თვალ-წინა. მოხუცებუ-

ლებს თუ ახსოვთ რამე კიდევ ქართულისა, თორემ ყმაწვილ-კაცობამ სიტყვა აღარ იცის. მიუწლომელი სიმძლავრე გამოიჩინა ჩვენზე უცხო რელიგიამ, ამ მასხარად აგდებულმა თანა მედროვე მწერალთაგან ისტორიულმა ფაქტორმა.

ჰუნგართა ცხოვრებაში იყო ერთი ხანა, როდესაც კაცის მკვლელს სიკვდილით არა ჰსჯიდნენ, თუმცა ასეთი სასჯელი იყო დაწესებული, —საეროვნო ბრძოლაში ეგეც გამოგვადგებაო, ამბობდნენ ჰუნგარნი, რიცხვით ცოტანი ვართ და ყოველ მარჯვენა, თუნდა შებლალული კაცის მკვლელივით, ჩვენთვის საჭირო იქნება განსაცდელის დღესაო. თუ ჰუნგარნი ასე უფრთხილდებოდნენ ავაზაკსაკ-კი, ირაკლის როგორ აეტანა და მოეთმინა მაშინდელი ქართლ-კახეთის ოდენა საქართველოს გამაჰმადიანება და სამუდამოდ დაკარგვა მესხეთისა? ეს ხომ კიდევ იმის მომასწავებელი იყო, რომ საქართველო თავის დღეში პოლიტიკურად ვერ მოლონიერდებოდა და სხვის ხელში ბურთივით სათამაშო უნდა ყოფილიყო. მშრალ და უგემურის ენით დაწერილ დოკუმენტებიდგან ნათლად იხატება მწვაფი ფიქრი და აზრი ირაკლისა მესხეთის შესახებ; ეგ სულის ვითარებაა სწორედ მიზეზი, რომ ირაკლი დაჟინებით თხოულობდა—შეეტანათ უსათუოდ ტრაქტატში პირობა მესხეთის დაბრუნებისა.

ზურაბ ავალიშვილი საყვედურით ავსებს ირაკლისა და რუსეთსაც, —დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინეს, რომ მოკავშირეთ ეს მუხლი ტრაქტატისა საქვეყნოდ გამოაცხადეს, რადგან ამის შემდეგ საყიზილბაშო და საოსმალო აშკარად გადაეკიდა ირაკლისაო.⁹⁾ მართალია, გამოცხადებით არ უნდა გამოეცხადებინათ მოკავშირეთ დასახელებული მუხლი ხელშეკრულობისა, მაგრამ ჩაწერით კი უსათუოდ უნდა ჩაეწერათ

⁹⁾ იხ. ზ. ავალიშვილი, „Присоединение Грузии къ Россіи“ стр. 147. „Объявлять о такихъ замыслахъ предъ „лицомъ всего свѣта“ было грубой ашибкой сосстороны заключавшихъ трактатъ“.

მფარველობის პირობაში. უამისოდ რა ბედენა იყო ირაკლის-თვის 1783 წლის ტრაქტატი? ტოტლებენის მოსვლამდე ირაკლი მშვიდობიანად სცხოვრებდა სპარსეთთან და ოსმალეთთან. აღამაჰმადის დროს სპარსეთი. ცოტა მოცოცხლდა, ნაპერწყალ-სავით იფეთქა, მაგრამ ეს აფეთქება წუთიერი იყო; როგორც ბურბუშელასავით აპრიალდა, ისევე მალე ჩანელდებოდა. სუსტ-დებოდა აგრეთვე ოსმალეთი. როგორც თავდაღმართზე დაგორებული ქვა, ისე მიდიოდა უკან-უკან ოსმალეთი მას შემდეგ, რაც რუსეთმა ომიანობა დაუწყო. მაშასადამე, ირაკლი ავად თუ კარგად, ორთავე მეზობელ მაჰმადიანთა სახელმწიფოსთვის იძალღონით გაუძლებდა და თუ მაინცა და მაინც რუსეთს ხელშეკრულობით შეეკრა, მხოლოდ იმისთვის, რომ მტრისგან მოწყვეტილი საქართველოს მამულ-დედული დაებრუნებინა.

„უმთავრესი აზრი 1783 წ. ტრაქტატისა ისაა, — ამბობს ზ. ავალიშვილი, რომ საქართველოს მოეპოვებინა საშუალება და საღსარი სპარსეთის მოსალოდნელი შემოსევის წინააღმდეგ, შემოსევისა, რომელიც უსათუოდ მოხდებოდა, რაკი სპარსეთი სულს მოითქვამდა და იზოვიდა იმისთანა ბატონსა და მბრძანებელსა, ვისაც ძალა შესწვდებოდა აღედგინა სიძლიერე ირანისა და განეგრცლებინა სფერა წარსული გავლენისა“. ეს აზრი პატივცემული ავტორისა არ ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნულ მოსაზრებას, რომ ირაკლის ტრაქტატისა და რუსების შემწეობით ჰსურდა დაებრუნებინა საქართველოსთვის მისი სამკვიდრო. ირაკლისთვის იდეალი რომ განეხორციელებინა, „სპარსეთის მოსალოდნელი შემოსევა“ კი არა, თვით ნამდვილი თავდასხმაც არ შეაძრწუნებდა. შეკრფილი საქართველოს ძალ-ღონით მოსეულ მტერს ადვილად მოიგერიებდა და ექვს გარეშეა, რომ ირაკლი **არეზამდასინაც** მივიდოდა. საქმე სანახევროდ გაკეთებული იყო, ერევანი და განჯა ხარკს აძლევდა საქართველოსა და მხოლოდ დაგვირგვინება აკლდა, მაგრამ ჩარხი სხვა ნაირად დატრიალდა.

ათ წელიწადზე მეტმა გაიარა „პირობათა“ დაწერის შემდეგ და მხოლოდ 24 ივლისს 1783 წ. დადებულ ტრაქტატში

ამ სახით აღიბეჭდა სურვილი მეფე ირაკლისა: „არტიკული მეოთხე სეპარატისა. დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქვამს, რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძღებელობაჲ მეცადინობისა ღონითა საქურთქლოსათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქუტყაყანისა და ადგილითა მტერთაგან ქონებულთა და ძუტლადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა ესენი უკუტ დაჰშთებთან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძუტლსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუტლობისათვს და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოველისა რუსეთის იმპერატორთა.“¹⁰⁾

აზრი ამ უცნაურის ენით დაწერილი არტიკულის (მუხლი) მეოთხე სეპარატისა (კერძო) ისაა, რაზედაც ზემოდა გვქონდა საუბარი. რუსეთის თვითმპყრობელი აღთქმასა სდებს, რომ ბრძოლის დროს ყოველ ღონესა და მეცადინეობას იხმარს იარაღის შემწეობით დაუბრუნოს საქართველოს მისივე სამკვიდრონი, ე. ი. სამცხე-საათაბაგო და სხვანი. მშვიდობისა და ზავის შეკვრის დროს კიდევ მოვალეა დიდად ეცადოს და დაუბრუნოს საქართველოს მტრისგან მოტაცებული ქვეყნები.¹¹⁾

ანკარა წყაროსავით სუფთა ქართული ენა შოთასი და ვისრამიანისა, მეთვრამეტე საუკუნეში, სხოლასტიკის გავლენის წყალობით, ისე შეირიალა, რომ ყოველი ლაზათი და სიკეთე დაჰკარგა, ტრაქტატის ენა იმდენადაა ტლანქი და ბუნდოვანი, რომ უბრალო მომაკვდავი ვერას გაიგებს, ძალიანაც რომ უნდოდეს. კათოლიკოზ ანტონი ჰირველმა საქართველოს

¹⁰⁾ იხ. Грамоты... т. II, в. I, გვ. 109.

¹¹⁾ 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატში ირაკლის ტიტული ასეა მოყვანილი: „მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე წყალობითა ღვთისათა და თქუტნს იმპერატორების დიდებულების კეთილ-ნებობითა მეფე ქართლისა, კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი გახჯისა და ერევნისა. *ibid* გვ. 100.

თავზე მოახვია რუსეთში გაბატონებული სქოლასტიკა და ამით მეტის-მეტად გააუგემურა ტკბილი, მოხდენილი, ძალოვანი და თასმასავით მოქნილი ქართული სამწიგნობრო ენა. ნიმუში გადამახინჯებული და შებღალული ქართული ენისა ზემოდ მოყვანილი ტრაქტატის ნაწყვეტია. პროფესორი ა. ცაგარელი ჰფიქრობს, რომ ტექსტი ტრაქტატისა დაწერილია რუსულად და შემდეგ ნათარგმნი.

III

ირაკლის ნატვრა აუსრულდა. ტრაქტატში ჩასწერეს— რუსეთი პირობასა სდებს, რომ საქართველოს დაკარგულ ქვეყნებს დაუბრუნებს, მაგრამ ქალაქებზე აღნიშვნა საქმისა სხვაა და მისი განხორციელება კიდევ სხვა— შუა დიდი ზღვარი უზის. ზურაბ ავალიშვილს რომ ჰკითხოთ, 1783 წლის ტრაქტატი დაწვრილებითი განხილვის ღირსიც არ არის, რადგან უმთავრესის თავის ნაწილებით ტრაქტატი ცარიელ სურვილთა და სიტყვათა რახა-რუხი აღმოჩნდა, რომელთაც განხორციელება არ ეღირსათო. ¹²⁾ ირაკლი სიცოცხლეში ტფილისის აოხრებას კი მოესწრო, მაგრამ მტრისაგან მოწყვეტილ საქართველოს მამულის დაბრუნებას ვეღარა. მისი ნატვრა ასრულდა სიკვდილის შემდეგ, როდესაც საქართველომ თვისი დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა დაასრულა და რუსეთს შეუერთდა.

ირაკლის ღალადისი და გოდება, რომ ახალციხის ქრისტიანებს ყოველს წელიწადს „მძლავრებით მაჰმადიანად მრავლად გარდააქცევნო“, სრული ჭეშმარიტება იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებელნი ხილულად და აშკარად აღარ მოიპოვებოდნენ.

12) რუსულად: „...болѣе подробно разсмотрѣнїя трактатъ этотъ не заслуживаетъ, такъ какъ, въ самыхъ главныхъ своихъ частяхъ оказался сочетанїемъ словъ и желанїй, не увидѣвшихъ своего осуществленїя“. იხ. „присоединенїе“... გვ. 139.

აქა-იქა ძლივასლა კივკივებდა თითო-ორილა მართლმადიდებელი, რომელნიც მალულად წმინდა საიდუმლოებას ღამ-ღამობით იღებდნენ ერის-კაცის ტანისამოსში გამოწყობილ მღვდელთაგან, ან კიდევ ქრისტეს შობას დღესასწაულობდნენ ღორის ხორცის ნაჭრის მიღებით, რომელიც იმავე ერის ტანისამოსიან მღვდლებს სოფლიდან სოფლად ხურჯინებით დაჰქონდათ თავიანთი მრევლისათვის. ვინ მოიფიქრებს, რომ ასეთი დაჩაგვრა ქართველისა სულ რაღაც სამოცდა ათის წლის წინად ხდებოდა! ბევრს სიზმრად, ზღაპრად მოეჩვენება, მაგრამ სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე კია.

ლხენასა და ფუფუნებაში არც ქართველი კათოლიკენი ბრძანდებოდნენ. მეთვრამეტე საუკუნეში ამათ წირვა ლათინურად ჰქონდათ, რომის ეკლესიის წესსა და რიგს მისდევდნენ. ჭკვიანი და განათლებულნი რომის მისიონერნი და პატრები თავის დროზე შეეცადნენ და ქართველ მრევლისათვის ნება-რთვა აიღეს ჯერ ისევ 1757 წელს წმინდა კონგრეგაციისაგან, რომ სახარება და სამოციქულო წაეკითხათ „სამშობლო ქართულ ენაზედაც“. რაღა თქმა უნდა, რომ შორს გამჟვრეტელმა კონგრეგაციამ კაპუცინის ორდენის მისიონერებს ხელი არ შეუშალა ამ სასარგებლო სურვილის განსახორციელებლად. სახარებისა და სამოციქულოს გარდა ეკლესიაში ჰსუფევდა აგრეთვე ქართული გალობა. ოსმალოს მთავრობა მტრის თვლით უყურებდა ლათინურსა და ქართულს წირვა-ლოცვასა. ლათინური ევროპას აგონებდა, რომელმაც არა ერთხელ კისერში მოღუნა ოდესმე ქედ-მაღალი ოსმალეთი, ქართული კიდევ შეუპოვარ გურჯისტანს, რომლის სრულიად დამხობა შეადგენდა მაჰმადიან ოსმალეთის პოლიტიკას და დიპლომატიის ანა-ბანას. ამისათვის გააფთრებულმა და გააღმასებულმა ოსმალეთმა სასტიკად დაუწყო დევნა ლათინურ და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას და ღვთის მსახურებას. სომხური ენა კი მიჩნეული ჰქონდათ მაშინდელ ოსმალოებს, სომხებისა არ ერიდებოდათ და დიდის თავაზიანობით ეკიდებოდნენ თვით სომხე-

თის ერსა.)* წყვეტა, ჟღერტა და აოხრება სომხეთის ერისა დაიწყო მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდგან, როდესაც სომხობამ გამოიღვიძა, მოითხოვა ეროვნული უფლებანი და ევროპას შეატყობინა—დიდ გაქირვებაში ვართ და პატრონობა გაგვიწიეო. ოსმალეთმა თვალები გააჭყიტა, ეს რა უღმობელი მტერი მყოლია შინაო, ევროპას პირობა მისცა—რეფორმებს შემოვიღებ სომხეთშიო და ამავე დროს თავისებურად დაიწყო პოლიტიკური საგნის გადაწყვეტა. „თავისებურობა“ ოსმალეთისა ყველას მოეხსენება, რაშიც მდგომარეობს. ოსმალეთმა სომხებს გააგებინა, აუტკივარ თავს არ ავიტკივებ, ან მაჰმადიანობა მიიღეთ, ან დედა-ბუდიანად გაგაქრობო, ესე იგი ფიზიკურად არსებობას მოგისპობო, სწორედ ისე, როგორც ქართველობას ეპყრობოდა მესხეთში. სომხობამ ზოგმა მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ უფრო ბევრმა არ უღალატა მამაპაპის სარწმუნოებას. უარის თქმას ენით გამოუთქმელი ამბები მოჰყვა: სომხობა ანატოლიისა წიწილებივით ისრისება, ვინც მახვილს გადურჩა, გულგახეთქილი სამშობლოდგან სხვაგან გარბის. ამ ჟამად ანატოლიაში ისე მცირეა სომეხთა რიცხვი, რომ მათი ბედის საქმე პოლიტიკის საგნად ველარც-კი გახდება. ისტორიული სომხეთი დღეს თითქმის გეოგრაფიულ ტერმინად გარდაიქცა. ბედის სიმუხთლე და ცვალებადობა სომხებმაც გამოსცადეს.

ასე არ იყო მეთვრამეტე საუკუნეში. მესხეთში რომ კოკისპირულად ქართველთა სისხლი იღვრებოდა და ქართველთა სახელიც-კი ზიზღსა და ბოროტებას უსახავდა გულში ოსმალოს, სომხობა განცხრომითა სცხოვრობდა და მოქალაქეობდა. პატივს არც მესხეთში იყვნენ მოკლებულნი სომხები. თავისუფლად სწირავდნენ და ლოცულობდნენ სამშობლო ენაზე, დამშლელი არავინა ჰყავდათ.

*) მწარე დღენი სომხებს წინადაც ბევრი უნახავთ, მაგრამ ეს ხდებოდა ხანდახანობით და არა სისტემატიურათ, როგორც მე-XIX საუკუნეში.

ოსმალოს თვალის ასაბმელად და ქრისტიანობის დასაცველად ქართველ-კათოლიკეთ განიძრახეს შემოეღოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე. სომხურად მლოცველი ქართველი-კათოლიკე თამამად ეტყოდა ამზვინვარებულ ოსმალოს—რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ჰხედავ, აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო. მართლაც ამ დიპლომატიურმა ხერხმა გასჭრა, ქართველ-კათოლიკეთ შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ დღეს ლამის ეროვნობა და ქართული ხალხოსნობა დაჰკარგონ. თუ სკოდნოდათ მაშინ, რომ გულუბრყვილო დიპლომატიური ხერხი მატლად გადაექცეოდათ, რომ პავლე და იაკოფი პოლოსად და აკოფად გადინათლებოდა, შესაძლებელია, რომ მაჰმადიანობაზე უარი არ ეთქვათ და სახიფათო, კისერ-მოსატეხ დიპლომატიისთვის არ მიემართნათ. ერთმა არღერმა ქართველ-კათოლიკე „ტეტია“ მალვენ თათეოზოვმა (იგივე თომაშვილი) ასეთის მარლიანი ქართულით დაასურათა ზემოდ მოხსენებული ისტორიული მომენტი: „თათარი სომეხს არ ერჩოდა“ და ჩვენ-მამაპათ იმისათვის მიიღეს სამეხ-კათოლიკეთა აღსარებაო.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც ქართლ-კახეთს რუსის მთავრობა დამკვიდრდა, მესხეთს ქართველობისა აღარა ეტყობოდა-რა. მაჰმადიანობამ სავსებით თვისი სუდარა გადააფარა, მამა-კაცს ქუდი ჩალმით შეუცვალა და დედა-კაცი ბოსლებში ცხრა-კლიტით დაჰკეტა, ქ. ახალციხე კიდევ მხევალთა და მონათა უმთავრეს ბაზრად გახადა. იგივე მეცხრამეტე საუკუნე ცუდ ვარსკვლავზე დაებადათ ოსმალებს. წინათ თუ ევროპიელნი დასავლეთიდგან ნაფლეთ-ნაფლეთად სტაცებდნენ ოსმალეთს დიდების დროს დაჰყრობილ ქვეყნებს, ამ საუკუნის დასაწყისში რუსეთმა აღმოსავლეთით მიჰყო ხელი და ხანდახანობით ლუკმა-ლუკმა სტაცებს ჯერ ძველ საქართველოს ნაწილებს და შემდეგ ვინ იცის რომელ ისტორიულ ერის სამკვიდროს დაიპყრობს. ეს პროცესი ჯერაც არ შეჩერებულა.

15 აგვისტოს 1828 წელს გრაფმა პასკევიჩმა შემუსრა ოსმალთს ჯარი ახალციხისა და სოფელ კლდეს შუა. ღორის ზორცის ქაშია რუსების გაბატონება არ ეპრიანათ ოსმალთს მოხელეებს და გამაჰმადიანებულ ქართველობას მოღების, ამ ყოვლად უფიცი და განუფითარებული სამღვდლოების, პირით შეუთვალეს: ავიყარნეთ და ფადი შაჰის სამფლობელოში გადავიდეთო. ორი წლის განმავლობაში მრავალი გამაჰმადიანებული ქართველი გადინვეწა მცირე აზიას. ეხლანდელი ჯავახეთი და ახალციხის მაზრა მთლად გატიალდა და გავერანდა. უგლენ-კაცოდ დარჩენილ ქვეყანას პასკევიჩმა მალე უშოვნა მუშანი. არზრუმიდგან 100,000 სომეხი გადმოასახლა კარაპეტა ებისკოპოზის წინამძღოლობით. სახლკარის მოსაწყობად და ბინის მოსაკიდებლად პასკევიჩმა იმპერატორ ნიკოლოზს ერთი მილიონი მანეთი გამოსთხოვა გადმოსახლებულთა შესაწყევად. ¹³⁾ გამაჰმადიანებულ ქართველთაგანი, ჯერ ისევ წმინდათ ქართულად მოლაპარაკენი, ვინც დარჩა, ისინიც მთავრობამ შეცდომით „თათრებად“ აღიარა. ¹⁴⁾ ასე ნელ-ნელა ისპობოდა დიდებულ მესხეთში ქართველის სახსენებელი.

ყირიმის ომის დროს (1853—1854 წ.) ოსმალეთმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი და მოადგა ახალციხეს, მაგრამ თანდრონიკაშვილმა სასტიკად დაამარცხა ოსმალთს ჯარი სხვილისთან (ეხლა დაუმახინჯებიათ სუფლისად). ამის შემდეგ, ვგონებთ, სამუდამოდ დაეკარგა ოსმალეთს იმედი ახალციხის დაბრუნებისა. სამწუხაროდ, მცირედათ დარჩენილ გამაჰმადიანებულ ქართველებმაც სამუდამოთ ამოირეცხეს გულიდგან სამშობლოს სიყვარული და ბაწარ-აღებით გარბიან ოსმალეთისკენ.

ოსმალეთის ორი საუკუნის ბატონობამ (1626 წლიდან 1828 წლამდე) წარუხოცველი დაღი და ბეჭედი დაასვა მეს-

13) იხ. Е. Г. Эзова, Снашенія Петра Великаго съ Арм. ия⁴ родомъ, გვ. СXXXVIII და СXXXIX. ამდროს გადმ. სახლდა 14,000 სახლობა, სადაც ითვლებოდა 90,000 სული და ორი სომხის არქიელი. ესენი დამკვიდრდნენ ჯავახეთსა და ახალციხეს.

14) იხ. Г. А. Вейденбаума, кавказскіе Этюды, I, გვ. 121.

ხეთს. მკვიდრთაგანი ვინც-კი დარჩენილა, ისე დაბეჩავებულა, რომ მომეტებული სიბეჩავე ისტორიული ერისა ძნელი წარმოსადგენელი-დაა. სად აქარელი, თამამი, გამბედავი, მკვირცხლი, როგორც გურული და სად აქაური, დაფლეთილ-დაბრანძული სამცხე-საათაბაგოელი მკვიდრი! ¹⁵⁾ როგორც მესხმა ოსმალოს გავლენის წყალობით ფერი და იერი იცვალა, ისევე შეიცვალა გარეგანი სახე ქვეყნისა. სანაქებო ვენახები სულ ამოვარდნილა და გადაშენებულა. მიწაში ჩაფლული ქვევრები და ქვითკირის საწნახლენი-ლა მოწმობენ, რომ აქაურ ქართველობასაც ძველად დანარჩენ ქართველებსავეთ კამკამმა „უნუათი“ ჰყვარებით გულის გაგრილება. ძველი ჯავახეთი ტყით ყოფილა დაბურული, დღეს კი ისეა მოტრუსული, რომ ჩირგვი, ან ფშატი რა არის, ისიც-კი არსად მოიპოვება, რომ ზაფხულის სიცხეში კაცმა თავი შეაფაროს და მოიხრდილოს. ძველად ტყე ისეთი ხშირი ყოფილა, რომ მალალი ტანის ეკლესიებს ჰფარავდაო, რასაც მოწმობს სამსარის გადმობრუნებული ქვის წარწერა. ¹⁶⁾ ჯავახეთის დაბურული ტყეები არზრუმიდან მოსულ სომხებს გაუკაფავთ. არზრუმში შეშას დახამებულნი ონავარ ფუტკარსავეთ მისევიან ტყეს და მცირეს ხანს სულ ძირს დაუციათ და როცა სულ გაანადგურეს, პურის გამოსაცხობად და საჭმლის მოსახარმად ისევ მამა-პაპეულ ჩვეულებას მიჰმართეს, ესე იგი წივას.

მესხეთს დაძაბუნება ჯერ ისევ ირაკლის დროს შემჩნევია. მეფე ერეკლეს ბრძანებით აუწერიათ მოკლედ 14 ივნისს 1796 წელს ქვეყნები, რომელიც ქართლ-კახეთს გარს ეკრა. აღბადეს აღწერილობა რუსის მთავრობას თუ მიართვეს. აღწერილობაში ახალციხე ასეა დახატული: „ახალციხის ქვეყანა, რო-

¹⁵⁾ აქარა შინაურ გამგეობაში თითქმის დამოუკიდებელი იყო. მამაცი აქარელი ქედს არ იხრიდა ოსმალოს წინაშე და იარაღით იცვავდა თავისუფლებას. ესაა მიზეზი, რომ ენაც წმინდათ შეინახა და ქართული ზნე-ჩვეულებაცა, ხოლო სარწმუნოება დაჰკარგა.

¹⁶⁾ იხ. И. П. Ростовова, Ахалкалакский уездъ. გვ. 99

მელიც არის ქართლის ერთი ნაწილი, უჭირავს ახლა ხვანთ-ქარსა ძალითა და არიან გამაჰმადიანებულნი და ადგილ-ადგილ მჭიჭედნი ქრისტიანნიც იბოვებიან, და ჰქვიან ადგილსა ამას საათაბაგო; აქა ზის ვეზირი სამ თულიანი და არს შემძლებელთა ვისავე ადგილში ხუთის ათასის მეომრის კაცის გამოყვანისა, მაგრა ჯაბანნი და შეუბეჯანნი არიან ომსა შინა“: 17) ეტყობა, მე-თვრამეტე საუკუნეშივე გამქრალა ძველებური ვაჟკაცობა და სიღარბისლე მესხისა. ოსმალეთის სტიქიონურმა ძალმომრეობამ მოსპო და გაანადგურა ერთიცა და მეორეცა. პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული მესხი და ბოროტი ბატონის ხელშემაკერალი დაბეჩავდა, დაგლახაკდა, ზოგი არსებობისათვის ბრძოლაში გაწყდა და ვინც გადარჩა, გახდა „მონა მზაკვარი“, როგორც იტყოდა ხოლმე ნეტარ ხსენებული „ვიცეკანცლერი“ საქართველოს მეფეთა: ირაკლისა და სოლომონისა, სოლომონ ლეონიძე.

დიდებულ მესხეთის ნასუფრალს რომ თავი ერთად მოვეუყაროთ, ხელს ეს-ლა შეგვრჩება. ეხლანდელ ჯავახეთსა და ახალციხის მაზრაში სულ ქართველ-კათოლიკეთა რიცხვი იყო 1901 წელს 6408 სული ორთავე სქესისა. ქართველ კათოლიკენი, რაღა თქმა უნდა, წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობენ, მხოლოდ საშინლად შეუბღალავთ-წმინდა ქართული სახელები და გვარები სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის აღსარების ზედ გაფლენით. ზოგ ქართველ-კათოლიკეთა სამრევლოს მოძღვარი ჰყავს მკვიდრი სომეხი, რომელთაც ჩიქორთული ქართული მრევლში შეუსწავლიათ. წირვა-ლოცვა და დანარჩენი ღვთისმსახურება სომხურადაა. ოფიციალურად და სხვა საბუთის ქალაქებში იწერებიან ასე: სომეხ-კათოლიკე. ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა, ანუ აღსარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების

17) იხ. Грамоты... А. Цагарели, т. II, в. I, გვ. 8. ეს საყურადღებო მოკლე აღწერა საქართველოს მეზობელ ქვეყნებისა ქართულადაცაა და რუსულადაც. რუსული გრამოტების პირველ ტომშია.

აღმნიშვნელი ტერმინი ეროვნობისა და ხალხობისა აღმნიშვნელად გარდაიქმნა. მდაბიო ქართველ-კათოლიკს რომ ჰკითხავ, ვინა ხარ? გიპასუხებთ—სომეხ-კათოლიკო. თუ წყრომისა, ან გაჯავრების კილოთი ჰკითხე, რას მიედ-მოედები, მამა-პაპით ქართველი იყავ და სომხად როგორ გადაკეთდიო, მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიალ, ამბობენ, რომ წინად ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო. ქართველ-კათოლიკეთა მოძღვართა სახელებს წინ უძღვის სიტყვა „ტერ“ და მათი სახელები ასე გამოითქმის: ტერ-პოლოსი, ტერ-პეტროსი და სხვა.

ქართველ-კათოლიკენი დასახლებულნი არიან შემდეგ ადგილებში: ქ. ახალციხის ძველ ნაწილში, რომელსაც ძველადგანვე „რაბათს“ ეძახიან. რაბათის ზემო ეკლესიის მრევლი 529, სულია, რაბათისავე ქვემო ეკლესიისა—665, ივლიტისა—306. არის კიდევ რაბათს რომის კათოლიკეთა ეკლესია, რომელსაც განაგებდნენ პატრები და დღესაც ამ ეკლესიას განაგებს ქართველი პატრი მამა ლაზარე გოზალაშვილი.¹⁸) მრევლი მცირე ჰყავს პატრების ეკლესიას. ახალციხის მაზრაში ამ სოფლებში ბინადრობენ ქართველ-კათოლიკენი: 1) ვალე—750 სული. აქ სცხოვრობენ აგრეთვე მართლმადიდებელნი და ქართველი მაჰმადიანნი. 2) უდე—1562 სული; 3) არალი—657; 4) ბოლაჯური—58, უმრავლესობა ამ სოფლისა ქართველი—მაჰმადიანია; 5) ბნელა—42 სული. ჯავახეთში, ანუ ახალქალაქის მაზრაში სულ ორი სოფელია, სადაც ქართველ-კათოლიკეთ ბინა აქვთ: 1) ხიზაბაგრა—1698 სული და 2) ვარგავი—141, სულ მაშასადამე 6408.

მრავალი ქართველ-კათოლიკე ჩანთქა უღმობელმა ისტორიამ, ბევრიც წარსულს საუკუნეს წავიდა სტამბოლს, ტფი-

¹⁸) ქართველ-კათოლიკეთა რაოდენობის ცნობა გადმოგვცა მამა ლაზარე გოზალაშვილმა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში არიან კიდევ კათოლიკენი, ზოგი ტომით სომეხი, ზოგი კიდევ ქართველი ჩამომავლობისა, უკანასკნელთ არც სომხური იციან, არც ქართული, ლაპარაკობენ ოსმალურად.

ლისს, ქუთაისს და ბათუმს. ასე რომ ნაშთი ქართველ-კათო-
ლიკეთა სულ ეგ 6408 სული ორთავე სქესისა გახლავთ. ამ
მცირე ნაშთსაც ბ-ნი სარუხანა გვედავება—ეგენი მულამ გვარ-
ტომობით სომხები ყოფილანო და დღესაც სომხები არიანო.
თვით ბ-ნი სარუხანი ერის კაცია, ტომით სომეხი, სარ-
წმუნოებით სომეხ-გრიგორიანი, ხელობით, კარგად არ
ვიცი, ვაჭარია თუ პრიკაზჩიკი. საოცარი აქ ისაა, რომ თით-
ქოს არც ხელობა და არც წოდება ხელს არ უწყობს ბ-ნ
სარუხანას ლიტერატურაში საეროვნო კითხვების ძიება-
გამოკვლევას მისდევდეს, მაგრამ რას იზამ. უჯობს და ლაპა-
რაკობს. ბევრს ედავა თამაშ პუბლიცისტს ა. ხახანაშვილი,
დაუმტკიცა სიყალბე საბუთებისა, ისიც-კი გამოუძებნა ხახანა-
შვილმა ბ-ნ სარუხანას, რომ ისტორიული დოკუმენტების
წაკითხვის შნო და უნარი არა გქონიაო, მაგრამ რა, ხახანა-
შვილის დავას პრაქტიკული ნაყოფი არა მოაქვს-რა. ბატონი
სარუხანი მეტის-მეტი გულქვაფი და მკაცრი ადამიანი ყოფილა.
მისი საქციელი ასეთ სურათს მაგონებს: იყო მეფე სვიანი, მძლავ-
რი და კეთილი, პორფირითა, ძვირფასი სამკაულით და გვირ-
გვინით მოსილი. უკეთურთ შეიშურეს მისი დიდება-სვიანო-
ბა და გაძარცვეს, დაშთა მხოლოდ მცირე რამ სამაჯური, ან
მკერდს ნაკიდი ძეწკვი, აღმნიშვნელი ძველის დიდებისა. ერთს
უკეთურთა უკეთურთაგანს, ყმასა მზაკვარსა ესეც შეშურდა.
მეფისათვის და უკანასკნელი სამკაულიც მოსტაცა. სარუხანა-
სთანა პუბლიცისტები სხვისაგან კაცთმოყვარეობასა და ღმო-
ბიერებას თხოულობენ, თვითონ-კი ისეთი მადიანები ბძანდე-
ბიან, რომ წარბ შეუხრელად კაცს გადაჰყლაპავენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რამდენი დარჩა დიდებულ მესხე-
თის ბეთალმანზე ქართველი მართლმადიდებელი. მართლ-
მადიდებელმა ქართველობამ თავი იჩინა მხოლოდ მესხეთის ორ
ნაწილში: ჯავახეთსა და ახალციხეს (იგულისხმე ახალციხის მხა-
რე, ოლქი) რუსობის დამკვიდრების შემდეგ. მესხეთის სხვა
ნაწილებში მართლმადიდებელი ქართველის სინსილა და სახ-
სენებელი კარგა ხანია გასწყდა. ჯავახეთი საციციანო შთას

აკრავს, ახალციხე-კი გურია-იმერეთს და დღევანდელ ზემოქართლს. ალბად, ამსიახლოვემ შეუწყო ხელი, რომ ქრისტიანობა სრულიად არ ამოვარდა და ნაცრის ქვეშ ჰლუოდა ქრისტეს სიყვარული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართლ-იმერეთიდან ხშირად გადმოცვინდებოდნენ ხოლმე ქრისტიანენი სხვა და სხვა მიზეზისა გამო. ს. კოთელიასა, ხიზაბავრას და სხვაგან დღესაც არიან ისეთნი, რომელთაც კარგათ ახსოვთ, თუ რამ აიძულა მათი მამა-პაპანი აყრილიყვნენ და აქეთ გადმოხვეწილიყვნენ. ერთმა კოთელიელმა მთელი ისტორია მიაშბო მის მამა-პაპის აყრა-გადმოსახლებისა სოფ. ქარელიდან.

1900 წ. ჯავახეთსა და ახალციხეს ითვლებოდა მართლმადიდებელნი ორისავე სქესისა სულ 10,088 სული.¹⁹⁾ ამ რიცხვში ნაანგარიშეგია მცირეოდენი რუსობა და ბერძენნი ს. მიქელ-წმინდისა და ახალციხისა. მართლმადიდებელნი ბინადრობენ 1281 კომლად და შეადგენენ 13 სამრევლოს: 1) ახალციხისა, 2) წმ. მარინესი, 3) ახალქალაქისა, 4) აწყურისა, 5) ბარალეთისა, 6) ვალესი, 7) გოგაშენისა, 8) ზედათმოგვისა, 9) ქილდისა, 10) მუსხისა, 11) საროსი, 12) ტოლომისა და 13) ერკოტასი.

აი სოფლებიც, სადაც ბინადრობენ მართლმადიდებელი ქართველნი: ახალციხის მაზრისა—1) ვალე, 2) ტატანისი, 3) კობარეთი, 4) ღრელი, 5) ანდრია-წმინდა, 6) მუსხი, 7) ქუნცა, 8) ერკოტა, 9) ტობა, 10) როკეთი, 11) დადეში, 12) ძველი, 13) ტოლომი, 14) ზედათმოგვი, 15) აგარა, 16) აწყური, 17) ტყემლანა და 18) ქვაბის-ხევი. ახალქალაქის მაზრისა—1) ბარალეთი, 2) სარო, 3) ვარევანი, 4) ვარგავი, 5)

19) მართლმადიდებელთა შესახებ ცნობა გადმოგვცა დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა. დღევანდელ ახალციხის მაზრაში ზუთი სოფელია, რომელთა მკვიდრი ბორჯომის ხეობიდან ამოვიდა მე-XIX საუკუნეს. ამ ზუთ სოფელში მხოლოდ ქვაბის-ხევი ეკუთვნის ახალციხის საბლალაჩინოს, დანარჩენნი: დვირი, ტაძრისი, დგვარი და საკირე ბორჯომისას. ბერძენები და რუსები რომ გამოვაკლოთ, ქართველ მართლმადიდებელთა რაოდენობა დაახლოვებით შეიძლება მივიღოთ 10,000.

თოკი, 6) კოთელია, 7) აზავრეთი, 8) ბალანთა, 9) კიხარულა, 10) ფრთენა, 11) მურჯახეთი, 12) ჩუნჩხა, 13) ქილდა, 14) გოგაშენი და 15) აფნია.

როგორც ყველგან საქართველოში, იმერეთს გარდა ქალაქად მკვიდრი ქართველი ძალიან ცოტაა. ახალციხეს კანტიკუნტად კიდევ მოიპოვებიან, მაგრამ ახალქალაქი წმინდა სომხების ქალაქია. მახსოვს, აქ ერთი მოხუცებული მეწისქვილე იყო მართლ-მადიდებელი ქართველი და ვგონებ უძეოდ ესეც ამოწყდა. არის კიდევ ერთი ქართველი და, როგორც მითხრეს, იმერეთიდან გადმოსახლებულა. ასეთი ქართველი კი ანგარიშში არ არის მისაღები, როგორც მოსული დროებით ქართველი მოხელეობა.

ზემოდ დასახლებულ რიცხვში (10,088) სასულიერო წოდებისა 193 სულია, სამხედრო 102; ვაჭარი, ხელოსანი და მოქალაქე 201, გლეხი 9170.

მთლად მართლ-მადიდებელთა სამრევლოებში 1900 წელს დაბადებულა: 240 მამრი, 294 მდედრი, სულ 534. ქორწილი ყოფილა 109. გარდაცვლილა: 144 მამრი, 149 მდედრი, სულ 293. მაშასადამე „დიდებული მესხეთის“ ნატამალს 1900 წელს უმატნია 241 სულით.²⁰⁾

„დიდებული მესხეთის“ მთელი ავლა-დიდება დღეს სულ ეს არის. რაღაც 10,000 სული, ათას ორას ოთხმოცდა ერთ კომლად გაბნეული ორ მაზრაში. ამოდენა ხალხი ხომ სოფელ საგარეჯოშიაც იქნება და თუ ცოტა რამ დააკლდება, მიუმატეთ მეზობელი სოფელი პატარძეული, ან ნინო-წმინდა და მიიღებთ 1281 კომლ ქართველს. გარე-კახეთის ორისა,

20) ვერ გამოვარკვიეთ, რა მიზეზია, რომ ქალები ასე სჭარბობენ მამა-კაცებს. დაბადებითაც მეტი დაბადებულან, სიკვდილითაც მამა-კაცზე მეტი მომკვდარან. ყველგან მამა-კაცი სჭარბობენ, აქ-კი ქალებს გაუმარჯვენიათ. ეს ხომ არ არის მიზეზი მესხეთის დაკნინებისა? ხუმრობის გუნებაზე რომ ვიყოთ, სწორეთ ამ მიზეზით ავხსნიდით მესხეთის ამოფარდნას...

თუ სამი სოფლის ქართველობა რაოდენობით უდრის მთელი მესხეთის ქართველობას... დაცინვაა ბედისა, მაშ რა არის...

1897 წელს იანვრის თვეში ერთის დღის განმავლობაში აიწერა რაოდენობა ხალხისა რუსეთის იმპერიაში. ამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ ახალქალაქის მაზრაში ითვლებოდა 67,919 სული ორისავე სქესისა, ახალციხის მაზრაში 53,757, სულ ორთავე მაზრაში 121,276 ადამიანი.²¹⁾ ქართველები: კათოლიკენი და მართ-მადიდებელნი რომ ერთად შეევერთოთ, მივიღებთ 16408. მაშასადამე ქართველობა ორი მაზრის მკვიდრის საერთო რიცხვისას შეადგენს მეშვიდე ნაწილზე ცოტა მეტს და მერვეზე ცოტა ნაკლებს; ანუ აქაურ ყოველ ას კაცზე ქართველი მართო თოთხმეტ კაცამდე იქნება.

თუ მოისურვებთ და მეცნიერულ ელფერს მისცემთ ციფირებს, დავინახავთ, რომ ქართველები შეადგენენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მკვიდრთა საერთო რაოდენობისას 13,48⁰/₀.

ეს ყველა კარგი, მაგრამ საქმე ისაა, რომ მეზობლები გვედავებიან 6408 კათოლიკეთა და ჯერ დავა საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ჩვენ რომ ჩვენი ვთქვათ და იმათ თავიანთი, ამითი საქმეს არა ეშველება-რა, ვიდრე ავტორიტეტის მექონე დაწესებულება არ გადასწყვეტს დავასა. სანამდე კი, მეტი რა ჩარაა, სათვალავში უნდა ვიქიონიოთ მხოლოდ მართლმადიდებლობის აღმსარებელი ქართველობა. ესენი, როგორც მოვიხსენიეთ, არიან 10,000, ესე იგი 8,21⁰/₀ ორის მაზრის მკვიდრთა საერთო რიცხვისა, ანუ ყოველ ას კაცზე რვა მრთელი და ერთი მეხუთედი მართლმადიდებელი ქართველისა მოვა.


ყველა ნათქვამის შემდეგ ნუ თუ სრული, კანონიერი საბუთი არა მქონდა ამ წერილების ეპიგრაფად მეხმარნა ანდაზად მიჩნეული ბრძნული ლათინური თქმულება: sic transit.

²¹⁾ იხ. კავკასიის კალენდარი 1901 წ. გვ. 23 მესამე განყოფილება.

gloria mundi.²²⁾ ვფიქრობ, რომ არც ერთ ქვეყანას ისმ ზედგამოჭრით არ მიუდგება ეს ანდაზა, როგორც მესხეთს. განა გაგონილა სხვაგან სადმე ასეთი უკუღმართობა, ცვალებადობა და სიფუქსავატე ბედისა? განა შესაძლებელია, ძველი დიდება ისე გაჰქრეს, რომ მისი ერთი სხივიც აღარ გვინათებდეს და გვათბობდეს? განა გონებით მისაწვდენელია, რომ სამშობლო რუსთაველისა, გიორგისა და ექვთიმე მთაწმინდელისა, ბექასი და აღბუღასი ისე აოხრდეს, რომ კაცმა ვეღარ იცნოს? ას კაცზე რვაღა დარჩენილა ქართველი, თუ გნებავთ თოთხმეტი იანგარიშეთ. ცხადია, რომ ჩვენ უფრო სტუმრის სახელი შეგვშვენის, ვიდრე მასპინძლისა. ვაგლახი მაშინ იქნება, მასპინძელს თუ სტუმრიანობა მოსწყინდა ანდაზისაებრ: დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძათ გადაიქცევი.

ა. ფრონელი.

ქ. ახალციხე
14 მარტი 1902 წ.



22) ქართულად ასე ითქმის. „ასე წარმავალია დიდება ქვეყნისა.“

უცხოეთის მიმოხ ლვა

1. კიდევ საერთაშორისო კითხვებზე: ორთა კავშირი და სამთა-
კავშირი:—2. ამერიკელი მრეწველი.

ინგლის-იაპონიის კავშირის გამოქვეყნებას, რომელზედაც „მოამბის“ მეორე ნომერში გვექონდა ლაპარაკი, მოჰყვა საბა-
სუხო დეკლარაცია რუსეთ-საფრანგეთისა. არსებითად ამ დეკლარაცია
შინაარსი იგივეა, რაც ინგლის-იაპონიის ხელშეკრუ-
ლებისა: ჩინეთის ტერიტორია ხელ-უხლებელი უნდა დარჩეს
(მანჩურია), ორივე მოკავშირეს დიდი ინტერესები აქვს ჩი-
ნეთში და ამიტომ, თუ ამ ინტერესებს საშიშროება რამე მოე-
ლის, ისინი მზად არიან შესაფერისი ღონისძიება მიიღონ
საშიშროების თავიდან ასაცილებლად და სხვა. ზოგიერთ გაზე-
თებს თუ დავუჯერეთ, რუსეთისა და საფრანგეთის ასეთმა
დეკლარაციამ ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და
ინგლისლებისა და იაპონელების გატაცებას ფრთები შეაკვეცა.
არ ვიცი, რამდენათ მოულოდნელი იყო შორ-აღმოსავლე-
თის „ორთა კავშირისათვის“ ევროპის ორთა კავშირის ასეთი
ქცევა. მაგრამ ერთი რამ კია საყურადღებო ამ დეკლარაციაში.

ყველამ იცის, რომ რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი
შეიქმნა ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებათა ნია-
დაგზე. სამთა კავშირის დაარსებამ და გერმანიის იმპერიის
გაძლიერებამ მიაცემინეს ხელი ერთმანერთისათვის საფრანგეთსა
და რუსეთს. გერმანიისა და სამთა კავშირის წინააღმდეგ იყო
მიმართული ამ ორ სახელმწიფოს დაახლოება და შეკავშირება.
ევროპის სახელმწიფოებს არ გასცილებია და არ უნდა გასცი-
ლებოდა ორთა კავშირის მოქმედება. ეხლა კი, როგორც ვხე-
დავთ, რუსეთი და საფრანგეთი არსებულ კავშირის ნიადაგზე

შორ-აღმოსავლეთშიაც აპირებენ ერთად მოქმედებას; კავშირის სფერო გაგანიერდა.

გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ მაისში საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე პეტერბურღში მოდის. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორეც ხომ ყოველ წელს ნახულობს თავის მოკავშირეებს. . . .

გაზეთის მკითხველს ეცოდინება, რომ გერმანიამ შეიძინა ოსმალეთის სულთანისაგან ბალდაღის რკინის გზის კონცესია. ვისაც კი გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საქმის შესახებ, ყველა იმ აზრისაა, რომ ამ კონცესიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ბალდაღის რკინის გზის პატრონი ბატონი იქნება მთელის მცირე აზრისა, რომელსაც ასეთი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და რომელსაც დიდი ეკონომიური მომავალიც ექნება. მცირე აზიაში უდიდესი ინტერესი საფრანგეთსა და რუსეთს აქვს. როგორ უნდა მოქცეულიყო ეს ორი სახელმწიფო ბალდაღის რკინის გზის კონცესიის მოწყობის დროს? რასაკვირველია, წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ გერმანიისათვის, მაგრამ საქმე ის არის, რომ მცირე აზიაში ორთა კავშირის წევრების ინტერესი ერთმანეთს ეწინააღმდეგება: რუსეთი მთავრეელია მართლ-მადიდებლობისა, რომელიც რამდენიმე საუკუნეა ებრძვის (მეტ წილად უნაყოფოდ) მცირე აზიაში კათოლიციზმს, რომლის ოფიციალური და ფაქტიური ქომაგი საფრანგეთია. საფრანგეთს დიდ-ძალი ეკონომიური და კულტურული ინტერესები აქვს მცირე აზიაში და-ეს ინტერესები დიდ საფრთხეში ჩაყარდება იმ დღეს, როცა რუსეთი ამიერ-კავკასიიდან სამხრეთისაკენ გაიწევეს. მართალია, არც გერმანიის გავლენის გაძლიერებაა საფრანგეთისათვის სასურველი, მაგრამ გერმანიის მხრივ მატერიალური „გაწევა“ მცირე აზიისაკენ, ჯერ-ჯერობით მაინც, ყოველად შეუძლებელია და ამიტომაც არც საფრანგეთის ინტერესები იქნება ზემო-აღნიშნულ საფრთხეში. ამიტომაც მოხდა, რომ საფრანგეთის ეხლანდელმა მთავრობამ არჩია სხვა გზას დამდგარიყო.

ბალდაღის რკინის გზას დიდ-ძალი ფული სჭირდება. თავისუფალი ფული-კი იმდენი არსად არ მოიძებნება, რამდენიც

ყოვლად მდიდარ საფრანგეთში. გერმანია, შედარებით, უფრო ლარიზია და ამიტომ მარტო მას ძალიან გაუჭირდებოდა ხსენებულ რკინის გზის გაყვანა. ამიტომაც მოხდა, რომ გერმანელებმა საფრანგეთის კაპიტალისტებს მიჰმართეს. საფრანგეთის მთავრობამაც ამით ისარგებლა და ურჩია კაპიტალისტებს დიდი ეკონომიური მონაწილეობა მიეღოთ ბალდადის რკინის გზის საქმეში, რომ ამ მონაწილეობის შესაფერი გავლენა მოეპოვა საფრანგეთს ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან საქმეში. რჩევა დაიჯერეს და, თუ მეტი არა, ნახევარი მილიონი ფუნტი ფრანგულ ფრანკად იკისრეს.

ამ აქბავმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის პრესაზე. უკმაყოფილება გამოთქმული იყო ოფიციალურ გაზეთშიაც—„მეტია ამაზედ ლაპარაკიო, ამბობს „ვესტნიკ-ფინანსოვ“-ი, რომ რუსეთი ხელს ვერ შეუწყობს იმ გზის გაყვანას, რომელიც გააძლიერებს უცხოელების გავლენას მცირე აზიაში, და მით უმეტეს მავნებელია ჩვენის ინტერესებისათვის იმ გზის გაყვანის დაჩქარება, რომელიც კონკურენციას გაუწევს ჩვენს პურს გერმანიის ბაზარზეო“.

როგორც ვხედავთ, ფრანგების მონაწილეობა ბალდადის რკინის გზის საქმეში, მონაწილეობა, რომელიც „ხელს უწყობს ამ გზის გაყვანას და აჩქარებს ამ საქმეს“, რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. . . .

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვით; ანატოლიის კამპანია; რომელმაც მიიღო ბალდადის რკინის გზის კონცესია, გამოიცვლება და მის მაგიერ ჯერ შესდგება ამ გზის „პროექტის შესწავლის საზოგადოება“; შემდეგ ეს საზოგადოება დაუთმობს ადგილს ახალ კომიტეტს, რომელსაც ერთად აირჩივენ დაინტერესებული მხარეები და რომელშიაც საფრანგეთს როგორც აშენებისა და ექსპლოატაციის მხრივ, ისე გამგეობის მხრივაც ისეთივე მონაწილეობა ექნება, როგორც გერმანიას. დელკასემ ისიც დაუმატა, რომ რუსეთსაც შეეძლება ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოსო, მაგრამ, ჯერ ერთი, ფული ძვირობს და მეორე, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ მიიღებს მონა-

წილებას ამ საქმეში, ალბად, საფრანგეთის გასაფრთხილებლად.

„ნოვოე ვრემია“ შემდეგ აზრს გამოთქვამს დელკასეს პოლიტიკის შესახებ: „დელკასე ჰფიქრობს, რომ საფრანგეთის მონაწილეობა ბალდადის რკინის გზის—ან როგორც ინგლისელები ამბობენ—„გერმანიის სუეცის არხის“ გაყვანაში გაავრცელებს საფრანგეთის გავლენას აღმოსავლეთზე. ეგ შემცდარი აზრია: საფრანგეთის გავლენა შემცირდება. ბალდადის გზა პოლიტიკური საქმეა, გერმანელებმა გადასწყვიტეს ეს საქმე, სანამ გამომანგარიშებული იყო მისი ეკონომიური მხარე. მისი მფლობელი (გერმანია და საფრანგეთი, დელკასეს აზრით, და მარტო გერმანია, რუსულ გაზეთის აზრით) უთუოდ პრეტენზიას აცხადებს მცირე აზიაში პოლიტიკურ ბატონობის გავრცელებაზე, რასაც რუსეთი თავის დღეში არ დასთმობს. ეს ყველასათვის (დელკასესათვისაც) ცხადი უნდა ყოფილიყო. აქამდე საფრანგეთს არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთი მცირე აზიაში (იყო რამდენიმე შემთხვევა, განსაკუთრებით პალესტინაში), პირიქით, ეხმარებოდა კიდევ (კათოლიკების და მართლ-მადიდებლების მორიგება ყოველად შეუძლებელია და ამიტომ რუსეთი ვერ მისცემდა მხარს საფრანგეთს, რომელიც კათოლიკებს მფარველობს)... ჩვენ არ გვშურს საფრანგეთის დაწინაურება, პირიქით მხარს ვაძლევთ მას, მაგრამ მანამდე, სანამ საფრანგეთი ფრანგულია (ესე იგი სანამ საფრანგეთი არ იზრუნებს თავის ინტერესებზე მცირე აზიაში, როგორც ეს ჰანოტოს დროს იყო) და არა გერმანულ-ფრანგული. ამ შემთხვევაში ჩვენ ძველებურად ვერ მოვეპყრობით საფრანგეთს, რადგან სხვაფრივ მოქცევა ჩვენის ინტერესების უარყოფა იქნებოდა, რასაც ვერავინ ვერ მოგვთხოვს (საფრანგეთს კი თვითონ სთხოვს თავის ინტერესების უარყოფას)... დელკასე წინადადებას გვაძლევს ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა ბალდადის რკინის გზის საქმეში, მაგრამ ეს განადაცინვა არ არის? ალზას-ლორენში რომ გერმანამ რამე დიდი პოლიტიკურ-ვაჭრული საქმე დაიწყოს, განა მეტად თავი-

სებური არ იქნებოდა, რომ რუსეთს თვითონაც მონაწილეობა მიეღო და საფრანგეთისათვისაც წინადადება მიეცა საქმის მონაწილე გამხდარიყო? ბალდადის რკინის გზაც იგივე აღზასლორენია, მხოლოდ მცირე აზიაში და ასეთი ელემენტალური ქვეშაირიტება უფრო გავრცელებული უნდა იყოს, ვიდრე ეს ნამდვილად არის“

შორე აღმოსავლეთი ისეთი სფერაა, სადაც რუსეთსა და საფრანგეთს ერთად და თანხმობით შეუძლიანთ მოქმედება. აქ მათ კავშირს ნამდვილი რეალური საფუძველი უძევს, რადგან ორივეს ინტერესებს, რომელიც აქ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან (რუსეთი მანჩურიაში, საფრანგეთი ინდო-ჩინეთში), ინგლის-იაპონიის გაერთიანებული მოქმედება საფრთხეს უმზადებს (კორეაში, მანჯურიაში, სამხრეთ-ჩინეთში და სიამში).

მეთვრამეტე საუკუნეში, პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის დროს მეტად გამწვავებული იყო ავსტრიის იმპერიისა და პრუსიის სამეფოს დამოკიდებულება; ავსტრია მაშინაც მიმხვდარიყო, თუ რა საშინელი მტერი იყო პრუსია თავის ტენდენციებით ავსტრიის პოლიტიკისა და მის ბატონობისა გერმანულ სახელმწიფოებსა და სამთავროებში; ავსტრიასა და პრუსიას შორის განუწყვეტელი ბრძოლა იყო (ხან ფარული და ხან იარაღით ხელში) შინ, გერმანელების ტერიტორიაზე. რადგან მაშინ ჯერ კიდევ დრო არ იყო მათ შორის ანგარიშების სრულ გაწმენდისა (პანგერმანისტების აზრით ჯერაც არ არის ეს ანგარიში გათავებული — ყველა გერმანელი არ არის ჰოპენცოლერნის სკიპტრის ქვეშევრდომი), ამიტომ *modus vivendi*-ს შესაქნელად და საქმის უკიდურესობამდე არ მისაყვანად, ორმა მეტოქემ კავშირი შეპკრეს გარედ, ესე იგი არა გერმანულ ტერიტორიაზე, ერთად სამოქმედოთ, რასაც შედეგად, სხვათა შორის, პოლონეთის ისეთი განაწილება მოჰყვა, რომელიც ეკატერინე მეორეს მაინც და მაინც არ მოსწონდა (ნაწილს მთელი ერჩია). . . .

გარეგანის ნიშნებით, სამთა კავშირის მდგომარეობაც მეტად მტკიცეა. გერმანიის კანცლერი ბიულოვი ვენეციაში იყო და იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ჰქონდა თათბირი;

რომელიც ძალიან კარგად დამთავრდაო, როგორც ევროპიული გაზეთები იტყობინებიან,; შემდეგ ბიულოვმა ინახულა ავსტრო-ჰუნგრეთის მინისტრი გოლუხოვსკი და მასთანაც ითათბირა. ერთის სიტყვით, ორთა-კავშირის არ იყოს, სამთა-კავშირიც მეტად მტკიცე საფუძვლიანი უნდა იყოს. მაგრამ არც ეს არის სინამდვილე.

ავსტრიის ქალაქ ტრიესტში ამას წინედ დიდი არეულობა იყო დიდ ძალ მუშების გაფიცვის გამო. მოძრაობა არა მარტო სოციალური ხასიათისა იყო: ტრიესტში დიდ ძალი იტალიელები სცხოვრობს. დიდი ხანია აქ იტალიელი მამულის შვილები, ეგრედ წოდებულ ირენდენტისტები, მუშაობენ. ტრიესტის მოძრაობის გამწვავება მიეწერება ამ ირენდენტისტების მონაწილეობას, რომელმაც ეროვნული ხასიათიც მისცა მას; ეს მოძრაობა მიმართული იყო ერთის მხრივ სოციალურ შევიწროების წინააღმდეგ, მეორეს მხრივ ავსტრიელების ბატონობისა ტრიესტისა და საზოგადოთ დაღმაცის იტალიელებზე. ეს ერთი. მეორე: კლერიკალები საზოგადოთ და იტალიისა განსაკუთრებით საშინელის მტრობითა და მძულვარებით უცქერიან იტალიის ეხლანდელ ეროვნულ მთავრობას; მათ თვალში, ეს მთავრობა უზურპატორია წმ. პაპის ღვთაებრივ უფლებებისა. ამიტომაც სასტიკი ბრძოლაა კლერიკალებსა და იტალიის ეროვნულ მთავრობას შორის. იტალიელი კლერიკალი არსად ისე თამამად და გაბედულად არ მოქმედებს, როგორც ავსტრიის იტალიელ პროვინციებში და არც გასაკვირველია: ავსტრიის მთავრობა მოწყალეს თვალით უცქერის კლერიკალების ასეთ მოქმედებას, რადგან იგი უადვილებს მას იტალიელ პატრიოტებთან ბრძოლას. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ერთი მღვდელი ეკლესიაში სიხარულს აცხადებდა იტალიის მეფის ჰუმბერტოს მოკვლის გამო: იგი კანონიერად დაისაჯა თავის უღმერთო პოლიტიკის გამო (იტალიის გაერთიანებისა და პაპის უფლებების შეკვეცა). სამკვდელო პირის ასეთმა უდიერმა საქციელმა მეტად ააშფოთა ეკლესიაში მყოფი იტალიე-

ლები, ქალებიც კი, რომელნიც ასე მოაჩილი არიან თავიანთ მღვდლებისა, და სასტიკი წინააღმდეგობა გამოუცხადეს თავიანთ მოძღვარს.

თუ ავსტრიის მთავრობა მფარველობას უწყევს იტალიის წინააღმდეგ მიმართულ კლერიკალურ მოქმედებას, სამაგიეროდ იტალიის მთავრობა და საზოგადოება იმის ცდაში არიან გააძლიერონ ეროვნული მოძრაობა ავსტრიის იტალიელებ შორის.

მესამე: ოსმალეთის პროვინცია-ალბანიაში დიდის ენერგიით მოქმედებენ ავსტრიაცა და იტალიაც, ავსტრია კლერიკალებისა და მონასტრების საშუალებით, იტალია სკოლებით. ეხლა იტალია უფრო წინ არის ალბანიაში—მას მეტი მომხრეები ჰყავს, ვიდრე ავსტრიას. ალბანელ პარტიათა შორის უძლიერესი ორი არის: პარტია ეროვნულ დამოუკიდებლობისა და პარტია იტალიასთან შეერთების მომხრე. იტალიაში ეხლა დიდძალი ალბანელი რევოლიუციონერები სცხოვრებენ. ამათ ბევრჯელ მიუმართავთ იტალიისათვის—დაგვეხმარეთ ოსმალეთის უღლიდან განთავისუფლებაში და იტალიის სამეფოს შეგვიერთეთო. იტალიის მთავრობამ ჯერ ყური ვერ ათხოვა ასეთ წინადადებას, ამიტომ ალბანელებმა საზოგადოებას მიჰმართეს. ეხლახან ტრიესტში კრება ჰქონდათ ალბანელ პატრიოტებს და სხვათა შორის გენერალ რიჩიოტი გარიბალდის მიჰმართეს—დაგვეხმარე ალბანიის განთავისუფლების საქმეშიო. გარიბალდიმ სრული თანხმობა გამოაცხადა—დაგეხმარებით, დიდძალ „გარიბალდიელებსაც“ ვიშოვი, რადგან ყოველ დღე მომდის წინადადება იტალიელებისაგან ალბანიაში წავიდეთო, მხოლოდ მატერიალური საშუალება არის საჭიროო.

რაც დრო მიდის, ზემოხსენებული მოვლენები თან და თან უფრო ვითარდებიან და ამწვავებენ ავსტრიაშენგრეთისა და იტალიის ურთიერთობას. ამიტომ შეუძლებელია, რომ მათი „კავშირი“ ხანგრძლივი იქნეს.

შეუძლებელია ხანგრძლივი კავშირი ავსტრიისა და გერმანიის შუაგ. პანგერმანული მოძრაობა უკიდურესობამდე მივიდა: ავსტრიის პარლამენტში ავსტრიელი დეპუტატი ჰოპენცოლერნს „Heil und Hoch“ს ეუბნება. თუ ავსტრიის სხვა

ერები უფლებით ჩვენი სწორი გახდნენ, los von Wien შორს ვენიდან და გაუმარჯოს გერმანიის იმპერიასო, პირდაპირ ამბობენ გერმანელები. ავსტრიის ერების სრული განთავისუფლება, მათი ავტონომია და გერმანელებთან სრული გათანასწოლება ექვს გარეშეა—დღეს არა ხვალ. სინამდვილე იქნება. მაშინ რიცხვით მცირე ავსტრიელი გერმანელები პირდაპირ გერმანიის იმპერიას მიმართვენ. სწორედ ამ მომენტზე ამბობს ბერლინელი მწერალი კირხბახი თავის წერილში— „ეთნოლოგია და პოლიტიკა ავსტრ-ჰუნგრეთში“: „ეხლანდელი ნეიტრალური პოლიტიკა გერმანიის მთავრობისა დამყარებულია იმაზე, რომ იგი ნდობით უცქერის ჩეხებსა და ჰუნგრელებს, მაგრამ ავსტრიის შინაგან საქმეთა განვითარებაში დადგება მომენტი, როცა მდგომარეობა სულ სხვა იქნება. ორმოცდა თექვსმეტი მილიონი გერმანელი მთელ თავის მატერიალურსა და მორალურ ძალას მოიხმარს, რომ ბოჰემიელი გერმანელები დაიცვას. და როგორც ვიცით, რაინენბერგამდე და სააცამდე, პილზენამდეც კი (ქალაქებია ბოჰემიაში) ისე შორს არ არის, როგორც ბურებამდე სამხრეთ-აფრიკაში“. რომ რუსეთის შიში არა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, გერმანიის იმპერიისა და ავსტრ-ჰუნგრეთის კავშირი ევროპაში ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიის დაახლოვება. იტალიური გაზეთები პირდაპირ ამბობენ, რომ იტალიას მხოლოდ მაშინ შეუძლია. სამთა-კავშირში მონაწილეობა, თუ ამ კავშირის პირობებში აღარ იქნება საფრანგეთის წინააღმდეგი მუხლიო. და თუ ეს არ იქნება, რა აზრი აქვს მაშინ იტალიისა და გერმანიის კავშირს—იტალია მხოლოდ საფრანგეთის წინააღმდეგ სჭირია გერმანიას.

ერთის სიტყვით სამთა კავშირიც ვერ დაიკვებნის სიმტკიცესა და ხანგრძლივობის იმედს.

„თანამედროე ამერიკულ მრეწველობაშიო, *) ამბობს ერთი მკვლევარი, არსებობს ორი ხანა; პირველ ხანაში მთელი

*) Мирт. Вожий, 1902, 3.

მაცადინობა და ფიქრი იმაზედ იყო მიმართული, რომ გაეუმჯობესებიათ მაშინა, მეორეში აგრეთვე სცდილობენ და ჰფიქრობენ წარმოების ცოცხალ იარაღის—მუშის—გაუმჯობესობაზე. ამიტომ ეხლა ამერიკელი მექარხნე ისეთისავე სიამოვნებით ლაპარაკობს სოციალურ პროგრესზე, რომელიც მას განუხორციელებია თავის ფაბრიკაში, როგორც თავის წარმოების ტექნიურ გაუმჯობესობაზე. ორივე პროგრესით იგი თანა-ბრად ამაცობს“.

ამერიკელი მრეწველი თავისებურად მსჯელობს ამ საქმის შესახებ: საქმის მეპატრონის სულგრძელება სასარგებლოა თვით მეპატრონისათვის, მაშასადამე „ფილანტროპია“ (ქველ-მოქმედება) მომგებიანი საქმე არისო.

ამერიკელის სიტყვასა და საქმეს შორის არა თუ დიდი, სულ პატარა „ზღვარიც“ არ არის; ამიტომ დარწმუნდა თუ არა იგი ზემოდ მოყვანილ აზრის სიმართლეში, მაშინვე შეუდგა მის განხორციელებას ცხოვრებაში. პირველად ყოვლისა თვით ფაბრიკის შენობას მიაქციეს ყურადღება—„ფაბრიკა რაც შეიძლება უფრო მიმზიდველი უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც მუშა იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა სახლში მუშაობისათვის, ფაბრიკა გადაიქცა მისთვის სამრეწველო სახლად (სადგომად); ამიტომაც იგი უფრო სასიამოვნო სამყოფი უნდა გახდეს მუშისათვისო“ ამბობენ ამერიკელები. მართლაც ამ მხრივ ძალიან ბევრია გაკეთებული ამერიკაში. მაგ. ნიუიორკში კორსეტების დიდ ფაბრიკის პატრონმა ფერისმა ბევრი ძალ-ღონე და ხარჯი მოახმარა თავის საფაბრიკო შენობის გამშვენებას. შენობის ფასადი სუროთია შემოსილი, ასე რომ აგური სრულებით არ სჩანს, ფანჯრებიც ფოთლებით ორის შემოვლებული, როგორც რომელიმე მდიდარ საზაფხულო სადგომში. თვითონ ფაბრიკაში ყველაფერი თეთრად არის შეღებილი; შენობას ჯვარედინი ფორმა აქვს და ამიტომ სინათლე ზაღებში სამის მხრიდან შემოდის. ფანჯრებს თეთრი ფარდები აქვს, რაც სასიამოვნო სამყოფად ხდის ზაღებს. ამ ფაბრიკის სახელოსნოებს არა აქვთ რა საერთო იმ ქუჩყიან და ბნელ კაზარმებთან, რომლებშიაც ჩვეულებრივ ატარებენ მთელ დღეს მუშები. ჰაინცეს კონსერვების ფაბრიკაში ფანჯრის მინები სულ დახატულია და ისე, რომ სახელოსნოები უფრო სადღესასწაულოდ მორთულ ზალას მიემგზავსებიან, ვიდრე ჩვეულებრივ სახელოსნოებს.

იქ, სადაც შენობის გალამაზებას ადგილი არა აქვს, სხვა ზომებს ხმარობენ, რომ გაუადვილონ მშრომელს ფაბრიკაში ყოფნა. პირველი ადგილი ამ ზომებში ჰიგიენურ ღონისძიებათ უკავიათ. ქ. ბრუკლინის ერთ დიდ სამქედლოში გამართულია საგანგებო მოწყობილობა, რომელიც სპობს მტვერს, ასე მანებელს მუშის ჯანმრთელობისათვის; გარდა ამისა სახელოსნოებთან მოწყობილია ეგრე ვსთქვათ სატულეტო ოთახები, სადაც „ღუშებია“ გამართული, რომ მუშებს შეეძლოთ ტანის დაბანა ჭუჭყიან მუშაობის შემდეგ. იქვე წყლის აუზია, სადაც მუშა რეცხს გაჭუჭყიანებულ ტანისამოსს, რომელსაც გამოსწურავს მექანიურ პრესით და იქვე ორთქლის საშრობში შედებს: მეორე დღეს მუშას შეუძლია ჩაიცვას სუფთა და მშრალი ტანისამოსი და დატოვოს ძველი, რომელშიც იგი მუშაობდა. ბევრ ფაბრიკებში გაკეთებულია მუშებისათვის აბანოები და ყოველ მუშას შეუძლია კვრაში ერთხელ უფასოდ დაიბანოს ტანი. დიდ ქარხნების უმრავლესობამ საუზმეებიც შემოიღო მუშებისათვის: „კარგად გამოკვებული მუშები ბევრად უკედ მუშაობენო, უთქვამს ერთ სამზრუნველო დაწესებულების პატრონს; თითოეულ მუშის საუზმე ორშაურამდე მიჰდება, მაგრამ არას ვკარგავ, რადგან უკეთ მუშაობენო“.

ბევრ ქარხანაში კლუბებია გამართული მუშებისათვის. ზემოხსენებულ ჰაინცეს კონსერვების ფაბრიკაში შენობის ბანზე ბალია გამართული და ქარხნების ზემოთ დიდი ზალა (2500 კაცი ეტევა), რომელშიაც იმართება მუშების დღესასწაული, კონცერტები და ლექციები. ბრიჯპორტში მუშების კლუბისთვის ცალკე შენობაა აგებული; ეს კლუბი ნამდვილი სასახლეა: დიდი საკონცერტო ზალა, დიდი ბიბლიოთეკა, საცეკვაო და სათეატრო ზალა, რესტორანი, საპროფესიონალო კლასები და ლექციების საკითხავი ზალა.

რასაკვირველია, ყველგან ასეთი სასახლეები არ არის. ზოგ ქარხანაში ამგვარი საქმე მხოლოდ დაწყებულია და ამიტომ არც ისე კარგად მოწყობილი. შესანიშნავი კლუბია გამართული ოგიოს ერთ ქარხანაში. აქ არის კლასები ყოველ ასაკის მუშისათვის, პატარა ბავშვების თავშესაფარი, სადაც დედები სტოვებენ თავიანთ შვილებს, როცა თვითონ სამუშა-

ოდ მიდიან. ლექციებისათვის, რომელიც ამ კლუბში იკითხება, ქარხნის ადმინისტრაციას დამზადებული აქვს ხუთი-ათასზე მეტი სურათი ეგრედ წოდებულ ჯადოსნურ ფარანისათვის.

მუშა რომ მეტის ინტერესით ეკიდებოდეს წარმოების გაუმჯობესობის საქმეს, მექარხნებმა შემოიღეს ჯილდოები ყოველ მუშისათვის, რომელიც კი რამე სასარგებლო აზრს წარმოადგენს წარმოებაში რეფორმის მოხდენის შესახებ.

საზოგადოთ ამერიკელები სცდილობენ უფრო ნორმა-ლური დამოკიდებულება შექმნან შრომასა და კაპიტალს შუა. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ნიუიორკის „მშვიდობიანობის კონფერენცია“, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა უმდიდრეს-მა კაპიტალისტებმა, მუშების მეთაურებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა (ნეიტრალებმა). კონფერენციის მიზანი იყო მუშისა და საქმის მენეჯერის დამოკიდებულების მოწესრიგე-ბა. კონფერენციამ ერთხმად დაადგინა საგანგებო კომისიის დაარსება. კომისიაში თანასწორი წარმომადგენლობა ექნება საქმის მენეჯერებს, მუშებსა და ნეიტრალებს; კომისია იქნება უმაღლესი ინსტანცია, სადაც უნდა გადაწყდეს ისეთი კითხვები, რომელნიც მრეწველურ მშვიდობიანობას დარღვე-ვას ემუქრებიან; იგი სამედიატორო სამართლის მზგავსი დაწე-სებულებაა, რომელმაც უნდა განიხილოს ყოველი უთანხმოება მუშასა და საქმის პატრონს შუა. კომისიაში 36 წევრია, თორ-მეტ-თორმეტი ხსენებულ სამ წრიდან.

იმას ვერავინ იტყვის, რომ ყველა ზემოხსენებულ მოვლენათა გამო ამერიკაში დადგება ხანა სამრეწველო მშვიდობიანობისა; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ასეთ კომისიის დაარსება დიდი ნაბიჯია წინ: ამერიკაში მართლაც სერიოზული მოძრაობა არსებობს შრომისა და კაპიტალის დამოკიდებულების მოწესრიგებისაკენ მიმართული, და იმედია, მას მოჰყვება ისეთი შედეგი, რომელიც საგულისხმიერო და ჭკუის მასწავლებელი იქნება სხვებისთვის.

8. მცირე აზიის ბერძნების გაგლეხა ვერძის საბერძნეთის ცივილიზაციაზე; მეფე მინოსის ლეგენდა. მიუხედავად ამ ლეგენდებისა, ეგვიპტის პირდაპირი გავლენა საბერძნეთზე საეჭვოა. კეკროპსი, უფრო ძველის ვერსიით, ადგილობრივი მეფე უნდა ყოფილიყოს და არა მოსული, უცხოელი. რაც შეეხება დანაოსს, ეს სახელი გვაგონებს დანეელებს—ხალხს, რომელიც ბერძენთა ტომის იყო და რომელსაც ხშირად ჰქონია ომი ეგვიპტელებთან. გარდა ამისა იგი იყო ინაქის ქალის, იოს, ჩამომავალი და ამიტომ მისი არგოლიდაში გაქცევა წინაპრების ქვეყანაში დაბრუნებაა. ესხილოსის ერთ დრამაში დანაიდების ხორო ამბობს: „შებრალებით შეხედე იმ ქალებს, რომელთა წინაპარი შენტვის ერთ დროს ძვირფასი ქალი იყო... ჩვენ მივდივართ იმ აყვავებულ მდებლოებისაკენ და ნაყოფიერ მინდვრებისაკენ, სადაც ჩვენ დედას თავის ფეხის კვალი დაუტოვებია“. მართლაც, უმრავლესობა იმ პირებისა, რომლებმაც საბერძნეთში ცივილიზაცია შემოიტანეს, თვითონ ბერძენი იყვნენ, ის ბერძენი, რომლებთაც უცხოვრიათ აღმოსავლეთის ხალხებ შორის. ამ გვარი ბერძნები უნდა იყვნენ ის იავანელები (უთუოდ იონიელები), რომელთაც დაბადება იხსენიებს. ამ იავანელებმა გადენეს ფინიკიელები ეგეის ზღვიდან და გაავრცელეს უფრო წინ წასულ აღმოსავლეთის ზოგიერთი კულტი (ღვთის თაყვანის-ცემა) და ხელობანი. ამ გვარივე იყვნენ უთუოთ ლეღეგები ლიკიაში და ტროადაში და კარიელები მდ. მენდრის ქალაში. ეს უკანასკნელები ლაპარაკობდნენ შერეულ ბერძნულს და განთქმული იყვნენ როგორც მეკობრენი: ისინი იმოსებოდნენ რკინის იარაღით და არბევდნენ ზღვის პირა ქვეყნებს ან მიდიოდნენ უცხოელ მეფეების სამსახურში. ამათის, შემწეობით დაიპყრო ფსამეტიქმა დელტა და მასთან სამეფო ტახტიც. ამითი ვსრულდა **ბუტოს** მისნის წინასწარმეტყველება; მან უთხრა ფსამეტიქს, რომ შურის-ძიება მოვა ზღვით იმ დღეს, როცა რკინის კაცები გამოვლენ იქიდანაო.

აღმოსავლეთელ ბერძნების გავლენას ევროპის ელადაზე შეესაბამება მინოსის ლეგენდა, რომელიც ეკუთვნის იმ დროს, როცა ეგეის ზღვის კუნძულები, ეს ორის კანტინენტის შემერთებელი ხიდი, აყვავებულ მდგომარეობაში იყვნენ. მინოსი, ძვესისა და ევროპას შვილი, იყო კრეტის მეფე: „იგი იყო მეფე მეფეთა შორის, ამბობს ჰეზიოდოსი, ბევრი კაცი და ხალხი დაუმორჩილა მან თავის სკიპტრას, რომელიც იყო სკიპტრა ძვესისა“. შემდეგ, ჩამომავლობისა და სამართლიანობის მადლობით, მინოსი შეიქმნა ჯოჯოხეთის მოსამართლე.

ამავე მინოსთან აქვს კავშირი შესანიშნავ ხელოვანის დედალოსის ლეგენდას. ამ დედალოსმა აუშენა მინოსს ლაბირინტი, სადაც თვითონვე იქმნა დამწყვდეული. ხელოვნურ ფრთების საშუალებით იგი და მისი შვილი იკარი გამოფრინდნენ სატუსალოდან და მშვიდობიანად მიფრინდნენ სიცილიაში, მაგრამ იკარი აქ დაიღუპა, რადგანაც იგი, მამის რჩევის წინააღმდეგ, ფრენის დროს მზეს მიუახლოვდა, რის გამოც თავლის სანთლის ფრთები გალღვა და იკარი ჩავარდა ზღვაში, რომელსაც იკარის ზღვა დაარქვეს.

ისტორიკოსი თუკიდიდე მოგვითხრობს კიდევ ერთ მეფე მინოსზე, რომელსაც პირველს უნდა ჰყოლოდეს ეგეის ზღვაში სამხედრო ფლოტი. ყველა ეს კრეტის ტრადიციები ამტკიცებენ მას, რომ ეს კუნძული რამოდენიმე ხანი იყო ისეთი ადგილი, სადაც ბერძნები ეცნობოდნენ და ითვისებდნენ უფრო წინ წასულ აღმოსავლეთის ცივილიზაციას.

თ ა ვ ი III

მკვლე საბეკმნეთის მითოლოგია *)


ს ა რ ჩ ე ვ ი.—1. ბერძნულ მითოლოგიის მნიშვნელობა და სიმ-
დიდრე; მბთების და ლეგენდების**) კავშირი.—2. როგორ გაჩნდა
ქვეყანა ბერძნების წარმოდგენით.—3. ძვესის ატრიბუტები და
ძლიერება.—4. ჰერა, ძვესის მეუღლე. 5. ათინა—პალადა.—6.
არტემიდა.—7. აფროდიტა.—8. დემეტრა.—9.—ფები—აპოლო-
ნი,—10. ჰერმესი.—11. არესი.—12. ჰეფესტოსი.—13. პოსეი-
დონი.—14. ჰადესი.—15. ოლიმპის მეორე ხარისხის ღმერთები:
ჰესტია და დიონისოსი.—16. ღმერთების მსახურნი და მუზეი.—17.
ცის მნათობთა და მოვლენათა ღმერთები.—18. ზღვის ღმერთები.—
19. მდინარეების, მიწის და ყანების ღმერთები.—20. ადამიანის
ცხოვრების სხვა-და-სხვა გარემოებათა ღმერთები.—21. ჯოჯოხეთის
ღმერთები.

I. ბერძნულ მითოლოგიის საძიადრე და მნიშვნელობა;
მითებისა და ლეგენდების კავშირი. მიუხედავად დიდის ნიჭისა
და უცხოეთის გავლენისა ბევრი დრო დასჭირდათ ბერძნებს
განვითარებისა და საიმედო ნაყოფის შექმნისათვის; სახელ-
დობრ რამდენი დრო—ჩვენ ეს არ ვიცით; არ ვიცით აგრეთვე
ამ ხანის არც ერთი ფაქტი, არც ერთი დატა. მაგრამ ეს არც
სიჭიროა მაინცა და მაინც: თუ მთელის პროცესის ისტორია არ
ვიცით, მისი საუკეთესო ნაყოფი ზომ ხელთ გვაქვს და არც
დაგვეკარგება არასოდეს. ეს ხანა მეტად საინტერესო მომენ-
ტია კაცობრიობის ისტორიაში და, შეიძლება, არც მოიპოვე-
ბოდეს მზგავსი. ხალხი, საკვირველ ნიჭის პატრონი, მაგრამ
ჯერ კიდევ სრულებით ნორჩი და გულუბრყვილო, ნორჩ
ყმაწვილსავით გრძნობიერი, მოძრავი, ენა-ჭარტალა, შთაბეჭ-
დილებიანი, მეტად ცნობის-მოყვარე, რომელსაც კითხვა—რა-

*) ღმერთებზე მოთხრობა.

**) გმირებზე მოთხრობა.

ტომ, რისთვის—სულ ენის წვერზე აზის, და ამასთან ყოველივე არა ჩვეულებრივის და სასწაულებრივის დიდი მოტრფიალე—აი პირვანდელ ხანის ბერძენი, და რა საკვირველია, რომ ამ ერს შეექმნას უმაგალითო, შეუდარებელი მითოლოგია და ლეგენდები, რომლებითაც ამდენი ხანი მოუყუჩებლად სტკბება კაცობრიობა. რა არის ჩვენი ფერიებისა და კუდიანების უფერული მოთხრობები ბერძენთა მითებისა და ზღაპრების დაუშრობელ წყაროსთან შედარებით? ეს მითები და ზღაპრები გადმოგვცეს ჩვენ ბერძენთა პოეტებმა, რომელნიც მხოლოდ თარჯიმანები იყვნენ ბერძენთა ერის მეტად მდიდარ და მრავალფეროვან გამოხატულებისა და წარმოდგენისა. ეს სიმდიდრე და მრავალფეროვნება გვაკვირვებს და გვემძიმება კიდევ. როგორ მოახერხეს ამდენ დიად სურათების, მოხერხებულ შედარებების, ტიპების, ამდენ გულში-მოსახვედრ ან დრამატულ შემთხვევების მოთხრობა? ბერძენების მითოლოგიაში მთელი ბუნება თავის მრავალფეროვან მოვლენებით ერთად სულიერდება და ცხოვრობს. მიწა, წყალი, ცა, ზღვა, მთები და უმცირესი მცენარეც კი მონაწილეობას იღებს ადამიანის ცხოვრებაში; ყველა ესენი —ის ჯადოქსური (*magique*) ჩარჩოა, სადაც კაცი მოქმედებს, შეყვარებულია, იტანჯება და კვდება მომხიბლველ საიდუმლოებათა შორის. მიუხედავად ბერძენების მეტად ორიგინალურ ნიჭისა, მთელი ბერძნული მითოლოგია მარტო მისი შექმნილი არ არის; აქ საჭიროა ვიცოდეთ მითებისა და ლეგენდების ერთმანეთისაგან გარჩევა: მითები, რომელნიც ბუნების ძალთა პოეტური გამოთქმაა (*expression*), ბერძენებმა თან მოიტანეს აზიიდან—არიელების საერთო აკენიდან ან, შეიძლება, სემიტელებისაგან ისესხეს ის თესლი, რომლისაგანაც შემდეგ აღმოცენდა მდიდარი და ბრწყინვალე მითოლოგია; ლეგენდები კი, რომლებშიაც მოთხრობილია არა ჩვეულებრივ ძალისა და გონების პატრონ გმირთა თავგადასავალი, ბერძენთა ერის შექმნილი უნდა იყოს. მიუხედავად ამ გარჩევისა, მითებისა და ლეგენდების სრული განცალკევება ერთმანეთისაგან შეუძლებელია: ლეგენდების მეტ წილის ახსნა მითოლოგიაში უნდა ვეძებოთ.



მე ვ ს ო

2. როგორ გაჩნდა ქვეყანა ბერძნის წარმოდგენით? აუწინარეს ყოვლისა, ამბობს პოეტი ჰესიოდოსი, არსებობდა ხალხი;

შემდეგ შეიქნა განიერ-წიალიანი (მკერდიანი) გეა (მიწა), მუდმივი და დაურღვეველი ბოძი ყველაფრისა; შემდეგ „**რასი**“ (სიყვარული), უმშვენიერესი უკვდავთა შორის, რომლის ტკბილ და მომქანცველ ძალას ემორჩილებიან როგორც უკვდავი ღმერთები, ისე სიკვდილის შვილნიც, რომელიც ფლობს გულებს და განიერების მუდამ მჩაგვრელი მოქიშპეა“. ხაოსი—ცალიერი, ყველაფრის მოსათავსებელი ღია სივრცეა, რომელიც უწინარეს ყოვლისა იყო; გეა—მიწა არის და ეროსი სიყვარული, ღმერთი, რომლის გავლენით ელემენტები უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან სიცოცხლეს. ჩნდებიან თან-და-თან—**ღამე** და **დღე**, **ურანოსი** ანუ ცა, **ჰონტოსი** ანუ ზღვა, **კრონოსი** ანუ დრო. ეს უკანასკნელი ჩამოაგდებს ტახტიდან თავის მამას ურანოსს; თვითონ კრონოსსაც იგივე ემართება: მას წაართვა სამეფო ტახტი მისმავე შვილმა **ძევსმა** და შეიქნა უაღრესი ღმერთი, მამა ღმერთებისა და ადამიანებისა. ძევსსაც დიდი შრომა დასჭირდა სამეფო ტახტზე დამკვიდრებისათვის. ბრძოლა აუტეხეს ტიტანებმა, ურანოსის საზარელმა შვილებმა, რომლებმაც ოლიმპზე ძევსთან ასასვლელად ორი მთა—პელიონი და ოსსა—ერთმანერთს შეადგეს. შრომამ სრულებით ფუჭად ჩაუარათ: ძევსმა, რომელსაც სამი ორმოცდა-ათ თავიანი და ას-ხელიანი დევები ეხმარებოდა, დასწვა მემამბოხენი მებით და დაამტვრია კლდეებით; ეგრე დაღეწილი ტიტანები ჩაგდებულ იქმნენ ტარტარის უსაზარლესს უფსკრულში, რომელსაც ირგვლივ რკინის კედელი არტყია და რომელიც ჯოჯოხეთის ქვემოთ მდებარეობს. ამ გვარად გამარჯვებული ძევსი მარტო მეფობს და განაგებს მსოფლიოს.

3. ძევსის ძალა და ატრიბუტები (ნიშნობლივი თვისებები). ძევსი უდიდესი და უძლიერესია ყველა ღმერთებ შორის. იგი ვერ მოითმენს, როცა არ უნდათ იცნონ მისი მეუფება. იგი შემდეგ წინადადებას აძლევს „ილიადაში“ ღმერთებს, რომელნიც ხან და ხან ფიქრობდნენ აჯანყებას მის წინააღმდეგ: „ჩამოჰკიდეთ ცაზე ოქროს ჯაჭვი; დაეკიდეთ ყველანი ჯაჭვის წვერს; რაც უნდა ეცადოთ, თქვენ ვერ ჩაათრევთ

ქვეით დედამიწაზე ძევს, უაღრესს მბრძანებელს. და თუ მე მოვზიდავ ჯაჭვს ჩემკენ, თქვენთან ერთად ამოვზიდავ დედამიწას და ზღვას, მივამაგრებ ოლიმპის მწვერვალს და მთელი მსოფლიო ჯაჭვზე დაკიდებული დარჩებოდა, იმდენათ ძლიერი ვარ ყველა ღმერთებზე და ადამიანებზე“. მიუხედავათ ამ ძლიერებისა, ძევს არა შეუძლია-რა **ბედისწერის (moira)** წინააღმდეგ; ბუნების მუდმივ კანონებს იგი ვერ შეეხება: „თვით ღმერთებიო, ამბობს ჰომიროსი, ვერ დაიხსნიან სიკვდილისაგან თავის უსაყვარლესს გმირსაც, თუ კი მას ხელი მოჰკიდა დამლუპველმა ბედის-წერამ“. მამა ღმერთებისა ძევსი არის აგრეთვე მამა ადამიანებისა; იგი მათ მფარველობს, აჯილდოვებს, სჯის; მისმა გულმა სიბრალული იცის, თუ დამნაშავე ნანობს დანაშაულს და მას პატივებას სთხოვს: „ლოცვები“ ჰომიროსის შეხედულებით, ძევსის ქალებია; ეს კოჭლი, დანაოჭებულ სახის პატრონი ქალები უკან მისდევენ ატეს—ღმერთს, რომელიც ავკაცობის მფარველია, და ასწორებენ ამ ღმერთისაგან გამრუდებულ საქმეს. ძევსის უშესანიშნავესი ტაძრები იყვნენ: ჩრდილოეთ საბერძნეთში დოდონისა, პელოპონეზში—ლიკაიონისა, და კრეტაში—ილის მთაზედ, სადაც, გადმოცემით, ძევსი დაიბადა და აღიზარდა. რაც შეეხება მის ძეგლებს, ყოველთვის ერთნაირად არ აკეთებდნენ: პირველათ მასჯლა ქანდაკებისა ხე იყო და ძეგლს სამი თვალი ჰქონდა ნიშნად ღმერთის შორ-მხედველობისა, შემდეგ კი ქანდაკებას ჩვეულებრივ ელვა ეჭირა ხელში. უშესანიშნავესი ძევსის ძეგლები შორის იყო ფიდიასის „ოლიმპიელი ძევსი“ (ელიდაში), სპილოს ძვლისა და ოქროსაგან გაკეთებული; იმდენად მშვენიერი და ჰარმონიით სავსე იყო ეს ხელოვნების ნაწარმოები, რომ ბერძნების აზრით, ყოველ ადამიანს უნდა ენახა იგი სიკვდილის წინ.

4. ჭკრა, ბედის მკუდლე. „თეთრ-მკლავებიანი“ ჰერა (ჰომიროსი) ზის ოქროს ტახტზე; იგი ყველა ღმერთებისაგან პატივცემულია და დედამიწაზე მფარველობას უწევს კანონიერ ქორწინებას.

შემდეგ შეიქნა განიერ-წიალიანი (მკერდიანი) გეა (მიწა), მუღ-
მივი და დაურღვეველი ბოძი ყველაფრისა; შემდეგ **რასი**
(სიყვარული), უმშვენიერესი უკვდავთა შორის, რომლის ტკბილ
და მომქანცველ ძალას ემორჩილებიან როგორც უკვდავი ღმერ-
თები, ისე სიკვდილის შეილნიც, რომელიც ფლობს გულებს
და განიერების მუდამ მჩაგვრელი მოქიშპეა“. ხაოსი—ცალიერი,
ყველაფრის მოსათავსებელი ღია სივრცეა, რომელიც უწინა-
რეს ყოვლისა იყო; გეა—მიწა არის და ეროსი სიყვარული,
ღმერთი, რომლის გავლენით ელემენტები უკავშირდებიან
ერთმანეთს და ქმნიან სიციცხლეს. ჩნდებიან თან-და-თან—
ღამე და დღე, ურანოსი ანუ ცა, **ჰანტოსი** ანუ ზღვა, **კრო-
ნოსი** ანუ დრო. ეს უკანასკნელი ჩამოაგდებს ტახტიდან თა-
ვის მამას ურანოსს; თვითონ კრონოსსაც იგივე ემართება: მას
წაართვა სამეფო ტახტი მისმავე შეილმა **ძევსმა** და შეიქნა
უაღრესი ღმერთი, მამა ღმერთებისა და ადამიანებისა. ძევსაც
დიდი შრომა დასჭირდა სამეფო ტახტზე დამკვიდრებისათვის.
ბრძოლა აუტეხეს ტიტანებმა, ურანოსის საზარელმა შვილებმა,
რომლებმაც ოლიმპზე ძევსთან ასასვლელად ორი მთა—პელი-
ონი და ოსსა—ერთმანერთს შეადგეს. შრომამ სრულებით
ფუჭად ჩაუარათ: ძევსმა, რომელსაც სამი ორმოცდა-ათ თა-
ვიანი და ას-ხელიანი დევები ეხმარებოდა, დასწვა მემამოხენი
მეხით და დაამტვრია კლდეებით; ეგრე დაღეწილი ტიტანები
ჩაგდებულ იქმნენ ტარტარის უსაზარლესს უფსკრულში, რო-
მელსაც ირგვლივ რკინის კედელი არტყია და რომელიც
ჯოჯოხეთის ქვემოთ მდებარეობს. ამ გვარად გამარჯვებული
ძევსი მარტო მეფობს და განაგებს მსოფლიოს.

3. ძევსის ძალა და ატრიბუტები (ნიშნობლივი თვისე-
ბები). ძევსი უდიდესი და უძლიერესია ყველა ღმერთებ შო-
რის. იგი ვერ მოითმენს, როცა არ უნდათ იცნონ მისი მეუ-
ფება. იგი შემდეგ წინადადებას აძლევს „ილიადაში“ ღმერთებს,
რომელნიც ხან და ხან ფიქრობდნენ აჯანყებას მის წინაა-
ღმდეგ: „ჩამოჰკიდეთ ცაზე ოქროს ჯაჭვი; დაეკიდეთ ყველანი
ჯაჭვის წვერს; რაც უნდა ეცადოთ, თქვენ ვერ ჩაათრევთ

ქვეით დედამიწაზე ძევს, უარესს მბრძანებელს და თუ მე მოვზიდავ ჯაჭვს ჩემკენ, თქვენთან ერთად ამოვზიდავ დედამიწას და ზღვას, მივამაგრებ ოლიმპის მწვერვალს და მთელი მსოფლიო ჯაჭვზე დაკიდებული დარჩებოდა, იმდენათ ძლიერი ვარ ყველა ღმერთებზე და ადამიანებზე“. მიუხედავად ამ ძლიერებისა, ძევს არა შეუძლია-რა ბედისწერას (moira) წინააღმდეგ; ბუნების მუდმივ კანონებს იგი ვერ შეეხება: „თვით ღმერთებიო, ამბობს ჰომიროსი, ვერ დაიხსნიან სიკვდილისაგან თავის უსაყვარლესს გმირსაც, თუ კი მას ხელი მოჰკიდა დამლუპველმა ბედის-წერამ“. მამა ღმერთებისა ძევსი არის აგრეთვე მამა ადამიანებისა; იგი მათ მფარველობს, აჯილდოვებს, სჯის; მისმა გულმა სიბრალული იცის, თუ დამნაშავე ნანობს დანაშაულს და მას პატივებას სთხოვს: „ლოცვები“ ჰომიროსის შეხედულებით, ძევსის ქალებია; ეს კოჭლი, დანაოჭებულ სახის პატრონი ქალები უკან მისდევენ ატეს—ღმერთს, რომელიც ავკაცობის მფარველია, და ასწორებენ ამ ღმერთისაგან გამრუდებულ საქმეს. ძევსის უშესანიშნავესი ტაძრები იყვნენ: ჩრდილოეთ საბერძნეთში დოდონისა, პელოპონეზში—ლიკაიონისა, და კრეტაში—იდის მთაზედ, სადაც, გადმოცემით, ძევსი დაიბადა და აღიზარდა. რაც შეეხება მის ძეგლებს, ყოველთვის ერთნაირად არ აკეთებდნენ: პირველათ მასჯლა ქანდაკებისა ხე იყო და ძეგლს სამი თვალი ჰქონდა და ნიშნად ღმერთის შორ-მხედველობისა, შემდეგ კი ქანდაკებას ჩვეულებრივ ელვა ეჭირა ხელში. უშესანიშნავესი ძევსის ძეგლებ შორის იყო ფიდიასის „ოლიმპიელი ძევსი“ (ელიდაში), სპილოს ძვლისა და ოქროსაგან გაკეთებული; იმდენად შშვენიერი და ჰარმონიით სავსე იყო ეს ხელოვნების ნაწარმოები, რომ ბერძნების აზრით, ყოველ ადამიანს უნდა ენახა იგი სიკვდილის წინ.

4. ჭკრა, მკესის მკუდლე. „თეთრ-მკლავებიანი“ ჰერა (ჰომიროსი) ზის ოქროს ტახტზე; იგი ყველა ღმერთებისაგან პატივცემულია და დედამიწაზე მფარველობას უწევს კანონიერ ქორწინებას.

ბევრი კარგი თვისებები ჰქონდა ამ დიდ ქალ-ღმერთს, მაგრამ ამასთან იგი მწარე ენის პატრონიც იყო; ამის გამო ცთლ-ქმარს



ჭერა

ხშირად მოდიოდათ ხოლმე ჩხუბი, და ძვესი, რომელიც სამაგალითო ქმრად ვერ ჩაითვლებოდა, ხშირად გამოდიოდა ხოლმე მოთმინებიდან. „გაიხსენე ის დღეო, — ეუბნება იგი ჰერას ილიადაში, როცა შენ ხელებ და ფეხებ შებორკილი ეთერზე, ღრუბლებ შორის, ჩამოგკიდე“.

ყველაზე უფრო პატივცემული ჰერა იყო არგოსში; აქ იყო მშვენიერი ტაძარი, სადაც იდგა ჰერას ძეგლი, დიდებულ სკულპტორის პოლიკლეტის ნაწარმოები.

ნ. ათინა-პალადა. ათინა ძეგლის უსაყვარლესი ქალი იყო „ვადიდებ ათინა პალადას, ამბობს ჰომეროსის ერთი ჰიმნი (შესხმა), დიდებულ ქალ-ღმერთს, ცისფერ თვალებიანს, გონიერს და შეუდრეკელს, პატივცემულ ქალწულს, ქალაქების მფარველს, რომელიც ბრწყინვალე ოქროს იარაღით შემოსილი დაიბადა ძეგლის თავიდან; მის დანახვაზედ ყველა ღმერთები გაკვირდნენ. იგი გამოვიდა ძეგლის თავიდან ფარით და ბასრის შუბით ხელში. ქალ-ღმერთის დაბადებაზე ვრცელი ოლიმპი შეირყა და დედამიწამ საზარელი ხმა გამოსცა“. ათინა—მეომარი ქალ-ღმერთი იყო, ბრწყინვალე იარაღში ჩასმული; მას ხელთ ეპყრა გრძელი შუბი და შესანიშნავი ეგოდა (ფარი), რომელზედაც გველები ჭგორგონას საზარელი თავი იყო. გადმოცემით, ამ ღმერთმა დაიფარა ბერძნები სპარსელების შემოსევისაგან. გარდა ამისა ათინა ქალაქების მშვიდობიან ცხოვრების და ყოველ გვარ ხელოვნების (არტისტების) მფარველიც იყო; ამასთან იგი იყო გონების გამპიროვნებელი ღმერთიც. ერ-



ათინა

თის სიტყვით ათინა-პალადა სავსე იყო იმ თვისებებით, რომლითაც თავი მოჰქონდათ ათინელებს და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ეს ღმერთი ყველაზე პატივცემული ამ ქალაქში იყო. აკროპოლისის მთაზე პალადას ორი დიდი ტაძარი იყო აგებული—პართენონი, ქალწულ ღმერთის ტაძარი და ერესტეიონი. ბევრი დღესასწაულები იყო დაწესებული ათინას პატივსაცემლად; უმთავრესი მათგანი **ჰანაინელი** დღესასწაული იყო. ამ ღმერთის ძეგლები ხისა და მარმარილოსაგან ძალიან ბევრი იყო. საუკეთესო მათგანი—ფიდიასის მიერ გაკეთებული ძეგლი იყო, რომელიც პართენონს ამშვენებდა.



არტემიდა

6. არტემიდა. — არტემიდაც ძვესის ქალია და მეტ სახელად ფებე — ბრწყინვალე ერქვა. იგი მთვარის წარმომადგენელია, ისე

როგორც მისი ძმა მზისა. არტემიდა უბიწოდ ამაყი ქალ-ღმერთია. იგი შეიარაღებულია მშვილდ-ისრით, ყოველთვის თან ახლავს ცქრიალა ნიმფების (ფერიების) ამაღა და მთებში ნადირობს. საბერძნეთის სხვა კუთხეებზე უფრო არკადია უყვარს, ამიტომაც იგი აქ ეროვნული ღმერთი იყო და ითვლებოდა არკადიელთა დედად. მცირე აზიაში ქ. ეფესი იყო არტემიდის კულტის ცენტრო; აქ მის სახელობაზე მგებული იყო მშვენიერი ტაძარი, სადაც ყოველ წელს მლოცველები ათასობით თავს იყრიდნენ. ეს შესანიშნავი ტაძარი დასწვა ჰეროსტრატესმა. არტემიდის საუკეთესო ძეგლია ის ქანდაკება, რომელიც წარმოადგენს ღმერთს მონადირედ და ხელში შველის რქები უჭირავს.



აფროდიტა (ვენერა)

7. აფროდიტა. აფროდიტა ანუ რომალების ვენერა ფინიკიელი ღმერთია; ფინიკიაში მას ასტარტა ერქვა. იგი დაიბადა

სღვის ტალღების ქაფისაგან. აფროდიტა-ასტარტა სიყვარულის ღმერთია. მთელი ბუნება ემორჩილება მის ძალას, რომელიც განსაკუთრებით გაზაფხულობით იჩენს ხოლმე თავს ვარდ-ყვავილებთან ერთად. განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ამ ღმერთს კორინთში, კითერაზე და კიპრზე. საბერძნეთში და აზიაში დაარსებული იყო მის სადიდებლად ადონისის დღესასწაულები. ადონისი—გაზაფხულის გაპიროვნებაა: იგი, მოკლე მაგრამ ბრწყინვალე სიცოცხლის შემდეგ კვდება ზაფხულის ცეცხლით დამწვარი. როგორც სიყვარულის ღმერთი, აფროდიტა მიმზიდველის გრაციით აღსავსე მშვენიერება იყო. ძველად ამ ქალ-ღმერთის საუკეთესო ქანდაკებად ითვლებოდა პრაკსიტელის ნაწარმოები, რომელიც არტისტმა კნიდიელებისათვის გააკეთა; უმშვენიერესია ეხლა ეგრედ წოდებული ვენერა მილოსელი, რომელიც ლუერში ინახება.

8. დემეტრა. დემეტრა, სიტყვა სიტყვით. რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს დედა-მიწას და არის პურის მომცემ მიწის სიმბოლო. ეს ქალ-ღმერთი ერთი უძველესთაგანია და მისი დღესასწაულები მიწის მუშაობის უმთავრესს ხანებში ხდებოდა. მისი ატრიბუტია—თავ-თავი და ყაყაჩო; გადმოცემით, მას უნდა ესწავლებინოს ადამიანისათვის მიწის სამუშაო იარაღების ხმარება. იმავე გადმოცემის სიტყვით, დემეტრას ქალი პერსეფონა მოიტაცა შავზნელ ჯოჯოხეთის მეფემ ჰადესმა: ეს ამბავი ალევგორია უნდა იყოს: პერსეფონა ბრწყინვალე გაზაფხულია და მისი მომტაცებელი ჰადესი კი აქ ცივი ზამთარი უნდა იყოს. ელევზინის მისტერიების*) შინაარსი იყო პერსეფონას მოტაცების ლეგენდა.

9. ფება-აპოლონი ანუ ბრწყინვალე აპოლონი, შვილო ძევსისა და ლატონისა, მზის ღმერთია. იგი დაიბადა დელოსის კუნძულზე, და ჯერ კიდევ პატარა იყო, რომ მოჰკლა გველი პითონი; ესეც ალევგორიაა და ნიშნავს მზის გამარ-

*) რელიგიურ ხასიათის წარმოდგენა, რომელიც ძველად იგივე ღვთის-მსახურება იყო.

ჯვებას ბნელ ღრუბლებზე. აპოლონი—ციური მეშვილდ-
ისრეა, მისი ისარი მიზანს არ ასცდება. ილიადის დასაწყის-
ში იგი ესერის მომწყველ ისრებს ბერძნებს, რადგანაც



აპოლონი

ესენი არ უბრუნებდნენ მშვენიერ ხრიზეიდას მის მამას—ხრი-
ზესს, ამ ღმერთის ტაძრის ქურუმს. გარდა ამისა აპოლონი

ჰარმონიის ღმერთიც არის, მისი ემბლემა—ციტრაა, რომლის სიმები ღმერთის ქამანჩის შეხებით მელოდიურ ხმებს სცემენ. ყველა მუზები უერთებენ საკრავს თავიანთ მშვენიერ ხმებს, აღიდებენ უკვდავ ღმერთების ბედნიერ ცხოვრებას, აღარებენ მას სიკვდილის შვილების სისაწყლეს. ამავე დროს მშვენიერ თმიანი გრაციები, მხიარული „სათები“ და ჰარმონია, ჰებე და აფროდიტა, ძევსის ქალი, ფერხულს უვლიან ხელი-ხელ ჩაკიდებულად. ამასთანავე მისნობის, წინასწარმეტყველების ღმერთიც იყო აპოლონი. მისი უმთავრესი ტაძრები დელფში და დელოსსზე იყო. თუმცა აპოლონის ტიპი სხვა-და-სხვაობდა, მაგრამ უფრო ხშირად იგი ჰყავდათ წარმოდგენილი, როგორც ახალგაზდა, მხრებზე თმებ დაყრილი ვაჟი, კეთილშობილის და ამაყის სახისა. ლუერის მუზეუმში ორი ქანდაკებაა ამ ღმერთისა: აპოლონ სავროკტონისა—დამშვიდებული და წყნარი, და აპოლონ ბელვედერისა—მომქმედი და გამარჯვებული.

10. ჭკამესა. ჰერმესი, ძევსისა და მათას შვილი, მეტად ხერხიანი ჭკუის პატრონი იყო. მან მოჰკლა ასთვალა არგუსი და მოჰპარა ხბორები აპოლონს. პირველად ყოვლისა ჰერმესი იყო ღმერთი ბინდისა (მწუხრისა), მაშასადამე დღისა და ღამის ღმერთების წინამორბედი. თან და თან წინამორბედიდან იგი გახდა ტრადიციის თვალში ციური დესპანი და გარდაცვლილთა სულების იმ ქვეყნად წამყვანი. იგი მოგზაურების მფარველია, ამასთანავე სიმდიდრის დამრიგებელი და ღმერთი ვაჭრობისა და აგრეთვე მჭერმეტყველებისა. ჰერმესს ხელთ ეპყრა სადესპანო კვერთხი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა ორი გველი. შესანიშნავის თვისების იყო ეს კვერთხი: რასაც კი შეეხებოდა, ოქროდ აქცევდა. მისი ფეხ-საცმელი—ფრთიანი ოქროს სანდალიები (ქალამნები) იყო ბერძნების წარ-

მოდგენით, ჰერმესი—ტანადი და თავისუფალ და სწრაფ მიმო-
ხვრის მექონე ახალგაზდა კაცი იყო.



ჰერმესი.

11. არესი—ომიანობის ღმერთია. იგი ძევის და ჰერას კანონიერი შვილია. ეს ღმერთი—მეტად ბრაზიანი და მძაფრი ხასიათის პატრონია. ჰომეროსი ადარებს არესს საშინელ ქარიშხლის მომასწავებელ ღრუბელს, რომელიც ქარის ამოვარდნისათანავე უცბად ჩამოაბნელებს ცას. მისი ხმა ათიათას მეომრის ღრიალს უდრის. ტანითაც ერთი. ახმახი რამ იყო— დაწოლილი იგი იჭერდა ჩვიდმეტ დღიურს. არესი—მოუხეშავ.

და შეუბრალებელ მეომარის ტიპია. სხვა ღმერთებთან შედარებით საბერძნეთში მას ნაკლებ პატივს სცემდნენ.



არესი (მარსი)

12 **ჰეფესტოსი**—ცეცხლის ღმერთია; ესეც ძვესის და ჰერას კანონიერი შვილია. ბერძნების წარმოდგენით, ღმერთები ფიზიკურად უნაკლონი იყვნენ; ჰეფესტოსი კი კოჭლი გამოიყვანეს; მისი სიკოჭლის მიზეზი ძვესი იყო: ერთხელ გულ-მოსულობის დროს ღმერთების მეფემ დაავლო ხელი თავის შვილს და დედამიწისაკენ გადმოისროლა. ჰეფესტოსი ლემნოსის ვოლკანიურ კუნძულზე დაეცა და ფეხი მოიტეხა. აქ მან სამკედლო გაიკეთა. მეორე სამკედლო ეტნის მთის ქვეშ

ჰქონდა; აქ მას ეხმარებოდნენ მუშაობაში ცალთვალა კიკლოპები, ელვისა და მეხის „სულელები“; მადნების დამუშავება ჰეტესტოსმა ასწავლა ადამიანებს. ეს ღმერთი მეტად ხელოვანი მჭედელი იყო და რაც კი მისი ხელიდან გამოდიოდა, მაგ. აქილესის ფარი, შესანიშნავი იყო როგორც მასალით, ისე ფორმითაც.

13. ჰოსეიდონი—ძევსის ძმა იყო; იგი თეთრ-ქათვან ზღვის მეფეა; მისი საცხოვრებელი ადგილი წყალის წიაღია; მოგზაურობს ეტლით, რომელშიაც გაბმულია სპილენძ-ფეხებიანი და ოქროს ფაფრიანი მარდი ცხენები. ხასიათით ზღვის მეფე ზღვასა ჰგავს: ხან მშვიდი და წყნარია, ხან მრისხანე და ავი. ვაი იმას, ვინც მას გააბრაზებს! ულისმა გამოსცადა, თუ რას ნიშნავს ზღვის მეფის გარისხება. ჰოსეიდონის საყვარელი იარაღი სამ კაპიანი კვერთხი იყო. ამ კვერთხით არყევდა იგი ბარსა და მთის მწვერვალებს. ბერძნების წარმოდგენით, ჰოსეიდონი მომწიფებული ვაჟაკი იყო, სქელ-წვერა და განიერ მკერდიანი. მისი ცოლი ამფიტრიტა, ლაჟვარდ თვალებიანი ქალ-ღმერთი, ხშირად დაჰყვებოდა ხოლმე თავის ქმარს.

14. ჰადესი.—მიწის-ქვეშეთის ძევსია, მეფე და ღმერთი ჯოჯოხეთისა. იგი მძაფრი და მიუკარებელია, თხოვნა მასთან არ გადის; მისგან ერთხელ დადგენილი გადაწყვეტილება შეუწყვეელი და საბოლოოა. მისი ნოტიო და ბნელი საცხოვრებელი მიწის-ქვეშეთშია. სადგომის კარები მომსვლელთათვის ღიაა, წამსვლელთათვის დაკეტილი; კარებთან დარაჯად არის დაყენებული საზარელი სამთავიანი ძაღლი ცერბერი. აქ მოდიან შავ და პირქუშ მდინარე სტიქსით ხარონის ნავში. ჰადესი ზის ტახტზე თავის ცოლის პერსეფონას გვერდით; იქვე სხედან მისი თანაშემწე მსაჯულები—მინოსი, ეპქი და რადამანტი. „ჰადესი თხოვს მოსულებს მათი ცხოვრების ანგარიშს, ამბობს ესხილოსი, მას ყველაფერი ახსოვს; მისი გონება ყველაფერს იკვლევს“.



პოსეიდონი

15. ადამის მეორე ხარისხის ღმერთები: ჰესტია და დიონისოსი. ესენი იყვნენ 12 უმთავრესი ღმერთები; ამათ



დიონისოსი

ზოსდევს მეორე ხარისხის უამრავი ღმერთები. უმთავრესნი მათ შორის იყვნენ: ჰესტია—ცეცხლის ძველი ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ყოველ სახლში და ყოველ ტაძარში; დელფში ამ ღმერთის საკურთხეველი ბერძენთა საერთო კერა იყო; თუ ჯაღმე ტაძარში ცეცხლი ჩაჭკრებოდა, აქედან მიჰქონდათ დიონისოსი—ყველა ღმერთებზე ახალი იყო; ჰომიროსი ოლიმპზე მას ადგილს არ აძლევს. შემდეგ კი მისი კულტი, უთუოდ ბეოტიიდან გადმოტანილი, გავრცელდა მთელ საბერძნეთში. დიონისოსი იყო ძველისა და სემელას შვილი. პირველად ყოვლისა იგი არის ღმერთი ღვინისა, რომლის ხმარება და სასიამოვნო თვისებანი მან თვითონ ასწავლა ადამიანებს. მას ყო-

ველთვის თან ახლავს ტყე-ველის ღმერთების ამაღლა. ამის დღეობებს ყოველთვის დიდის მხიარულებით და ხმაურობით დღესასწაულობდნენ, განსაკუთრებით ათინაში. მაგრამ ამ დღესასწაულებზე პირველში გადამეტებული სმა-ჭამის მეტი თითქმის არა იყო რა; შემდეგ კი თან-და-თან მათ მეტი კეთილშობილება და ინტერესი დაეტყოთ და ბოლოს, როგორც ამას ჩვენ შემდეგ დავინახავთ, ამ დღესასწაულებიდან დაიბადა ტრაგედია და კომედია, რომელთა შინაარსს თავდაპირველად მხოლოდ დიონისოსის შესხმა შეადგენდა. აზიაში დიონისოსის კულტი სხვა ხასიათისა იყო. აქაურების წარმოდგენით იგი სათუთი უწევრულვაშო ახალგაზდა იყო. აქ ის შეიქმნა საგანი გულის თქმითა და ვნებათა ღელვით აღსავსე კულტისა; მისი ქურუმი ქალები—ბაქხანტები—გაიკეთებდნენ სუროს ფოთლების გვირგვინს, დარბოდნენ მთებში საშინელის ჟივილხივილით და ეძახოდნენ დიონისოსს. ბოლოს ეს ბაქხანალიები აქაც და რომშიაც სამარცხვინო გარყვნილებად გარდაიქცა.

16. ღმერთების მსახურება და მუზება. თემიდა იყო ჯერ მხოლოდ წეს-რიგის მიმცემი ოლიმპზე; შემდეგ მან მიიღო ზნეობრივი მვიშენელობა, გახდა მართლ-მსაჯულების წარმომადგენელი ქალ-ღმერთი; „საათები“—რიცხვით სამნი თემიდის ქალიშვილები და ცისკარების დარაჯნი; ხარიტები ანუ გრაეციები, რიცხვით ესენიც სამნი იყვნენ; ირისი—ღმერთების დესპანი, რომელიც ცისარტყელას ნიშნავს; განიმედი, რომელიც ძევისს არწივმა აიტაცა ოლიმპზე და ღმერთების მერიქიფე გახდა; ჰება განიმედის თანაშემწე—სიმბოლო ქორთა ახალგაზდობისა, ცხრა მუზა, ძევისისა და მნემოზინის, მახსოვრობის ქალ-ღმერთის, ქალები: კლიო-მუზა ისტორიისა, ეფთერპა—მუსიკისა, თალია—კომედიისა, მელპომენა—ტრაგედიისა, ტერფსიხორა—ცეკვა—თამაშისა, ერატო-ქორწინებისა და საარშიყო პოეზიისა, პოლიმნია—ღირიკისა, ურანია ასტრონომიისა და კალიოპა, ყველაზე უადრესი და ძლიერი, მუზა—ეპიურ პოეზიისა, მჭევრმეტყველებისა და მეცნიერებისა.

17. წის მნათობთა და მოვლენათა ღმერთებია. ჰელიოსი ანუ მზე, რომლის ახალგაზრდა გაუფრთხილებელმა შვილმა ფაეტონმა მოინდომა ერთ ღღეს მამის ეტლის მართვა, რისთვისაც ძვესმა სტყორცნა მას მეხი და ერიდანში (ეხლა მდ. პო ან პალუსი) ჩააგდო; ეოსი ანუ ვარდისფერ თითებიანი განთიადი; სელენა ანუ ვეცხლისფრად მოელვარე მთვარე, რომელსაც ახალგაზდა მწყემსი ენდიმიონი უყვარდა. ცეცხლის ღმერთები: პრომეთეოსი; ხელოვანი მჭედელნი — კაბირები, რომელნიც ჰეფესტოსსავით ლემნოსის კუნძულზე სცხოვრობენ. ქარიშხალთა და ქართა ღმერთები: ტიფონი—ღმერთი საშინელი, რომელსაც ასი გველის თავი აქვს: ეს თავები ხან ხარებასავით ბღაღიან, ხან ლომოვით ბრღღვინავენ, ხან ძაღლსავით ჰყეფენ; ტიფონი ქარიშხალის მამაა; ბორეოსი — ჩრდილოეთის მრისხანე ქარი, რომელმაც ილისის ნაპირებიდან მსუბუქი ორითია მოიტაცა, ნოტოს—სამხრეთის ქარი, ევროს-აღმოსავლეთის და ძეფიროს—დასავლეთის.

18. ზღვის ღმერთებია. პოსეიდონის ამაღლს შეადგენენ: მოხუცი ნერეოსი, სიმბოლო ოკეანის სიმშვიდისა; ამას ჰყავს ორმოცდაათი ქალი—ნერეიდები—წყნარ ტალღათა მშვენიერების წარმომადგენელნი; პროტეოსი—პოსეიდონის ჯოგების მწყემსი, ღმერთი მისანი; გლავკოსი—ავი და ბუზლოუნა მოხუცი; ტრიტონი—პოსეიდონისა და ამფიტრიტას შვილი, მრისხანე ზღვის ემბლემა.

19. მდინარეებს, დედა-მაწას და მიანდრას ღმერთებია. მდინარეების ღმერთები: თეტიდა, რომლის კავშირმა ოკეანთან დაბადა, ჰეზიოდოსის სტყევით, სამიათასი მდინარე და სამი ათასი ნიმფა (წყლის ფერია). ნიმფები სცხოვრობენ ან ტყეებში ან მდინარის სათავეებში ან ამწვანებულ მინდვრებში. წვიმისა და წყაროების წარმომადგენელ ნიმფებს ნაიადებს ეძახოდნენ; ორეადები იყვნენ მთის ნიმფები, დრიადები — მუხნარისა. დედამიწის ღმერთები: უმთავრესი—რეა კიბელა ქალ-ღმერთი მთის მწვერვალებისა და განმარტოებულ ტყეებისა; ამ ღმერთის კულტი ფრიგიიდან უნდა იყოს გადმოტანილი; ბერძნების წარმოდგენით

კიბელა გვირგვინით თავზე იჯდა ეტლში, რომელშიაც ორი ლომი იყო გაბმული. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კიბელას ტაძრები იყვნენ საბერძნეთში, ბერძნები უყურებდნენ მას, როგორც უცხოეთის ღმერთს. დიონისოსის ამალას შეადგენდნენ: ბანჯგვლიანი და თხის ფეხებიანი სატირები, მეტად ზარმაცნი და მხდალნი; სილენი სანხო-პანსოსებური ყოველთვის მთვრალი არსებაა; იგი ვირზე ზის და რომ არ გადმოვარდეს, იქეთ-აქეთ სატირები მოჰყვებიან; პრიაპი—ბუნების ნაყოფიერების გაპროვინება; ამ ღმერთის კულტიც უცხოეთიდან უნდა იყოს გადმოტანილი; პანი-არკადიის ეროვნული ღმერთი, რომელსაც შუბლზე რქები ჰქონდა და ფეხები თხისა; პანმა ასწავლა ადამიანს სალამურის დაკვრა; იგი ჯოგების და საბალახოების მფარველია. ამასთან მას ეშმაკობაც უყვარს: ხშირად აშინებს დაგვიანებულ მგზავრებს.

20. ადამიანის ცხოვრებას სხვა და სხვა გარემოებათა დემკრება არიან: ილითია-ღმერთა მშობიარობისა, ასკლეპიოსი—ჯანმრთელობის ღმერთი, აპოლონის შვილი; მისი ატრიბუტები იყო—გველი ცხოველი, რომელსაც მისანის ნიჭი აქვს, სამგზავრო კომბალი და ფიალა; მსხვერპლად სწირავდნენ მას ძამალს, სოკრატესმა სიკვდილის წინეთ თავის მოწაფეებს დაუბარა რომ მათ არ დაევიწყებოდათ ასკლეპიოსისათვის მამლის შეწირვა. სამი პარკები—ლამის ქალიშვილები: კლოთო, ლახეზის და ატროპოს; ამათ სისრულეში მოჰყავთ ბედისწერის გადაწყვეტილებანი და სწყვეტენ თავის დროზე ადამიანის სიცოცხლის ძაფს. ნემეზიდა—ღმერთების შურისმაძიებელი: ღმერთებს შურთ ადამიანის მეტი ბედი და სასტიკად სჯიან მას ნემეზიდის საშუალებით.

21. ჯოჯოხეთის დემკრება. დავერჩა ჰადესის ხელქვეითი ღმერთები. ამათგან უმთავრესნი იყვნენ: თანატოსი—სიკვდილი და ჰიპნოსი—ძილი, ჰეზიოდის სიტყვით. „ბნელი ღმერთები რომელთაც არასოდეს არ მოხვედრიათ მზის ბრწყინვალე სხივები; ჰიპნოსი მშვიდი და წყნარი, ადამიანთათვის სასიამოვნო; თანატოსი კი რკინის გულის პატრონი და შეუ-

ბრალდებული; ერთხელ მის ხელში ჩაეპარდნილო მას თავს ვერ დააღწევს“. ერინიები—შურისძიების ღმერთები, ესენი შეუბრალებლად დევნიან ადამიანთა კანონის ყოველ დამრღვეველს. მათი თვალები ცეცხლს: აფრქვევდნენ და ხელთ გველები ეპყრათ. ეს ერინიები იყვნენ, რომ ორესტს ქ. ათინამდე მისდიეს და მხოლოდ ათინა—პალადას შუამდგომლობამ იხსნა იგი ამათგან. ამის შემდეგ ისინი ატიკაში დარჩნენ და ერინიების შაგიერ ევმენიდები (კეთილად განწყობილნი) დაირქვეს.

თავი IV.

ძველი საბერძნეთის მითოლოგია.

ს ა რ ჩ ე ვ ი.—1. ვის ეძახოდნენ ბერძნები გმირს?—2. ჰერკულესის ლეგენდა.—3. თეზეოსის ლეგენდა,—4. სხვა გმირები: პერსეოსი და ბელეროფონტი.—5. მეფე ედიპოსი.—6. გადამტერებული ძმები და შვიდნი ქ. თებასთან.—7. ბერძენთა საერთო ექსპედიციები (ლაშქრობანი). არგონავტების მოგზაურობა: ოქროს მატყლოსანი ცხვარი. იაზონი და მედეა.—8. ბერძენ-ტროანელთა ომის ლეგენდა. ლიტერატურული და არტისტიული მნიშვნელობა ამ ლეგენდისა.

1. ვის ეძახოდნენ ბერძნები გმირს. ბერძენთა გმირების ისტორია—იგივე მითოლოგიაა: თითქმის ყველა ქვემოთ მოყვანილ ლეგენდებს ალევგორიული ხასიათი ჰქონდათ და ის რიცხვით ერთობ მცირე ლეგენდები კი, რომელნიც ნამდვილ ისტორიულ ამბებს შეეხებიან, ისე ფანტასტიურად არიან შეთხზული, რომ შეუძლებელია ნამდვილი გამოგონილისაგან გაირჩეს. ჰომიროსის შეხედულებით, გმირი არის ი ისთანა კაცი, რომელიც სხვებზე მაღლა დგას ან ღონით და ან სიმარადით, როგორც მაგალითად აქილესი, ან ცბიერებით და ხერხიანობით, როგორც ულისი; ან საექიმო ნიჭით, როგორც მაქაონი. ჰეზიოდოსის წარმოდგენით, გმირი უფრო ნახევარი ღმერთია. მაგრამ ეს წარმოდგენა წმინდა პოეტურია. თვი-

თან ბერძნებისათვის კი გმირები იყვნენ სახელოვანი წინაპრები, რომელთა შოვალეობა იყო ჩამომავლობისათვის მფარველობის გაწევა და რომლებს სამაგიეროდ რეგულიარულად მსხვერპლებს სწირავდნენ. გმირების კულტი წმინდა ადგილობრივი იყო; გმირი თან მიჰყვებოდა ახალშენელებს ახალ ადგილებისაკენ. როდესაც ეპამინონდამ განაახლა ქ. მესენა, მცხოვრებლებმა თან მოიყვანეს არისტომენი, მესენიელთა თავისუფლების ძველი დამცველი. ხშირად გმირი ღმერთად გადაქცეულა: მაგ. დიოსკურები — კასტორი და პოლუქსი, კლიტემნესტრას და ელენეს ძმები, ღმერთები გახდნენ და მათ თაყვანს სცემდნენ ისე, როგორც ნამდვილ ღმერთებს; ისინი ადამიანთა სიცოცხლის მფარველი და ქარიშხალთა დამწყნარებელი იყვნენ.

2. ჰერკულესის ან ჰერაკლას ლეგენდას აქვს დამოკიდებულება ორ ქალაქთან — თებასთან და არგოსთან, და არა ერთთან, როგორც სხვა გმირების ლეგენდებს. ჰერკულესი იყო და არის ტიპი მეტად ღონიერ კაცისა. მოსვენების დროსაც კი, ამგვარ მდგომარეობაში წარმოგვიდგენს ჩვენ მას ფარნეზის ცნობილი ძეგლი, მისი ფიგურა საშინელ ძალის გამომეტყველია: სახის ქვემო ნაწილი სქელის წვერით არის დაფარული, მკერდი განიერი და მაღალი აქვს, ხელები და თეძოები საშინელის სიდიდისანი არიან, გვერდით უძევს უშველებელი კომბალი და ლომის ტყავი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ ატარებდა; აი ამ სახით ჰყავდათ წარმოდგენილი პირვანდელ ბერძნებს ჩაგრულთა დიდებული მფარველი, რომელიც ქალებისათვის, პატარა ბავშვებისათვის და საზოგადოთ სუსტ და დაჩაგრულ არსებათათვის მშვიდი და გულკეთილი იყო და მჩაგვრელთა და დამნაშავეთათვის შიშის ზარის დამცემი საშინელება. ჰერკულესის ყველა ლეგენდები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გმირის მოღვაწეობის ამ ხასიათს, მაგრამ თანაც, როგორც ყოველთვის ეს ძველ ბერძნებს სჩვევიათ, მთელ მის მოღვაწეობას უყურებდნენ, როგორც აუცილებელ შედეგს ბედის-წერისას. ადამიანთა შორის უძლიერესი გმირი

მთელი თავისი სიცოცხლე ემორჩილება ბედის-წერის გადუვალ
ნებას. ჯერ ჰერკულესი დაბადებულიც არ იყო, რომ მისი



ჰერკულესი

უბედურება დაიწყო. იმ დღეს, როცა დედა მისი აღკმენა, თე-
ბის მეფის ამფიტრიონის ცოლი, სალოგინოდ დაწვა და მორ-

ჩენას ჰფიქრობდა, შვილის ნამდვილი მამა ძვესი ღმერთების კრებულში კვებნით ამბობდა, რომ ადამიანთა შორის დაიბადება მის სისხლის ბავშვი, რომელიც ყველა თავის მეზობლების ბატონი შეიქნებაო. ეს უადგილო და მსოფლიოს მეუფის სრულებით არასაკადრისი კვებნა მალე ღირსეულად იქმნა დასჯილი. ჰერამ, რომელიც ყოველთვის იმის მაცადინი იყო, რამე ეწყენინებინა თავის ქმრისათვის, დააგვიანა ჰერკულესის დაბადება და დააჩქარა ევრისთესის დედის მორჩენა. ეს ევრისთესი არგოსის მეფის შვილი იყო და თანაც ძვესის მონათესავე, რადგანაც იგი პერსეოსის ჩამომავალი იყო. ამ გვარად ძვესის წინასწარმეტყველება მისდა უნებურად უნდა ასრულებულიყო ევრისთესზე: იგი შეიქნა ჰერკულესის ბედის მეუფე და ბევრი მეტად ძნელი საქმე დაავალა მას. მიღებულია, ვითომც ჰერკულესის საგმირო საქმეთა რიცხვი თორმეტი იყო, მაგრამ თუ საბერძნეთის ადგილობრივ ლეგენდებს ვათხოვებთ ყურს, ეს რიცხვი რატომ ასამდე არ ავა. ევრიპიდესის დრამაში—სახელდობრ „ხელი ჰერკულესი“—ამგვარად არის აწერილი ეს საგმირო საქმენი.

„პირველად მან მოჰკლა ნემესის ლომი და ამგვარად განათავისუფლა ძვესის ტყე საშინელ მხეცისაგან; ლომის ტყავი ტანთ ჩაიცვა და მისი საზარელი თავი ქუდათ გაიკეთა. შემდეგ ეომა მთაში მცხოვრებ კენტავრებს და ბევრი მათგანი გასწყვიტა. ოქროს რქიანი და აჭრელებულ გვერდებიანი ფურიემი, რომელიც მიწის მუშაკთათვის ღვთის რისხვა იყო, შეიქნა აგრეთვე ჰერკულესის მსხვერპლი. შემდეგ გმირმა გახედნა დიომედის ბედაურები, რომელთა მიკარება ვერავინ შეიძლო და რომელნიც ადამიანის ხორცს ქერსავით სჭამდნენ. ჰესპერიდების ბაღში მან მოჰკრიფა ოქროს ვაშლები და მოჰკლა მათი მცველი გველ-ვეშაპი (დრაკონი). შემდეგ ჩავიდა ზღვის უფსკრულში და ამით უშიშარ ჰყო ზღვაზე მოგზაურობა. შემდეგ წავიდა ატლანტთან, მოჰკიდა ხელი ცის თაღს და რამდენიმე ხანი იმაგრებდა, ატლანტის მაგიერ, ღმერთების ვარსკვლავებიან სადგომს. შავი ზღვით იგი მეოტიდის

ტბასთან (აზოვის ზღვა) მოვიდა, დაამარცხა აქ ამაზონელთა ჯარი და ამაზონელთა დედოფალს მარსის ქალს ჰიპალიტას ოქროთ ნაკერი კაბა წაართვა. ეს ძვირფასი ნამარცვი მიკენაში უნდა იყოს შენახული. ცეცხლით ხელში მოსპო გმირ მალერნის ზარის დამცემი ათასთავიანი ჰიდრა (გველვეშაპი); ამ ჰიდრას ნალველში ამოსვარა თავის ისრები და მოშხამულის ისრებით განგმირა ერთიის სამ ტანიანი მწყემსი (გერიონი).

როგორც ვხედავთ, ევრიპიდესს არ სცოდნია ან განგებ იგიწყებს ჰერკულესის ბრძოლას ერიმანტის ტახთან, კრეტის ხართან, რომელიც მან ზურგით არგოლიდამდე მოიტანა, და სტიმფალის ტბის საზარელ ფრინველებთან, აგრეთვე იმ წარმოუდგენელ შრომას, რომელიც მან გადაიტანა ავგიასის თავლის გაწმენდის დროს: ამ საქმისათვის გმირმა მთელი მდ. ალფეოსი კალაპოტიდან ამოიყვანა და თავლას მიუშვა. ჰერკულესის გმირულ საქმეთა რიცხვი ამით არ გათავებულა: იგი ორჯელ ყოფილა ჯოჯოხეთში: ერთხელ მან ამოათრია აქედან ჯოჯოხეთის საშინელი მეკარე—ცერბერი, მეორეჯერ ამოიყვანა ნაზი ალცესტა, რომელმაც ქმრის გულისათვის თავი გაიწირა. ზოგიერთ ლეგენდით, ჰერკულესი დიდი მოგზაური და მკვლევარი იყო; სად არ ყოფილა იგი! კავკასიის ყინულიან მწვერვალზე, სადაც პრომეთეოსი განათავისუფლდა, ხმელთა შუა ზღვის ბოლოს, სადაც თავის ძლიერის ხელით დაღეწა ის ზღუდე, რომელიც ამ ზღვას ოკეანესაგან ჰყოფდა, ლიბიაში, სადაც დაახრჩო „მიწის შვილი“ ანტეოსი, რომელსაც, როგორც კი მიწას ფეხს მიაკარებდა, ძალა ემატებოდა; იტალიაში ავენტინის მთაზე იგი ჰკლავს საშინელს პირიდან ცეცხლის მფრქვეველ კაკუსს; ლიბიაში ამაყი გმირი, ყველგან და ყველასთან გამარჯვებული, სუსტ ქალის მონახდება და მთელის წლის განმავლობაში ომფალას ფერხთ მჯდომარე ძაფს ართავდა.

ასეთის გმირის სიცოცხლე, რასაკვირველია, ჩვეულებრივად არ გათავდებოდა. ჰერკულესმა შეირთო ეტოლიის მეფის ქალი დეიანირა, რომელიც წაართვა თავის მეტოქეს


აქელოოსს. მათი ცოლქმრობა ბედნიერი იქნებოდა, რომ დეი-
ანირა მეტად იქვიანი არ ყოფილიყო. ყველაზე უფრო მას
მშვენიერ იოლას ეშინოდა; ამ შიშით დაბრმავებულმა დაიჯერა
სხვისი მზაკვრული რჩევა და ქმრის სიყვარულის შესარჩენად
მიმართა ერთ ჯადოსნურ საშუალებას, რომელმაც გმირს საში-
ნელი ბოლო მოუმზადა: დეიანირამ დაასველა ქმრის პერანგი
კენტავრნესოსის სისხლში და როცა ჰერკულესმა იგი ჩაიცვა,
პერანგი ტანს მიეკრა და წვა დაუწყო; მალე შხამი ძარღვებში
გადავიდა და აუტანელი ტანჯვა აგრძობინა გმირს. იგი მიხვ-
და, რომ ბოლო მისი მოახლოვებული იყო, ავიდა ეტის მწვერ-
ვალზე, გააწყო იქ კოცონი მუხისა და ნაძვის შეშისაგან, თვი-
თონ ზედ ავიდა და მეგობრებს სთხოვა კოცონისათვის ცეცხლი
შეეკეთებინათ. თხოვნა აუსრულა ფილოკტეტის მამამ პენამა,
რისთვისაც საჩუქრად მიიღო გმირის შვილდ-ისარო. მალე
კვამლმა და აღმა დაჰფარა კოცონი; დაიწყო ელვა და ქექა-
ქუხილი, და ძვესის შვილი, ღრუბლებით დაფარული, აყვა-
ნილ იქმნა ღმერთების სადგომ ოლიმპზე.

ასეთია ლეგენდალური ჰერკულესი: დიდი მოგზაური, სა-
შინელ მხეცთა და გველ-დევეთა მომსპობი, მტარვალთა შიშის
ზარი, ჩაგრულთა და უბედურთა მფარველი, ერთის სიტყვით
საშუალო საუკუნოების მწირ რაინდისებური ტიპი; იგი შე-
ქმნილია სამართლიანობის მწყურვალე ხალხის ოცნების მიერ.
შემდეგ ბერძნულ ფილოსოფიამაც ჩაჰკიდა ხელი ამ ტიპს,
გასწმინდა იგი და ამტკიცებდა, რომ ჰერკულესის გმირული
მოღვაწეობა ბედის-წერის, გარეგან აუცილებლობის შედეგი
კი არა, თვით გმირის თავისუფალ ნების შედეგი იყოვო. ეს
აზრია გატარებული კეოსელ პროდიკას სახელგანთქმულ
აპოლოგში (იგაე-არაკი): როგორც კი გმირი ბავშვობის ასაკი-
დან გამოვიდა, განმარტოვდა და იმაზედ ფიქრობდა, თუ რა
გზა აერჩია. გზა-ჯვარედინზე გავვირვებულ ჰერაკლესს თვალ-
წინ წარმოუდგა ორი ქალი, ერთი მათგანი ხორციელობის
გამომხატველი, მომჯადოებელ თვალებისა და გულის-წარმტაც
ლიმილის პატრონი, ჰპირდებოდა გმირს, მას გაჰყვებოდა, ფუფუ-

ნებას და განცხრომას; მეორე, ზნეობა, რომელსაც სასტიკი სახის გამომეტყველება და ენა ჰქონდა, ბრძოლაში და სხვებისთვის თავგანწირვაში უჩვენებდა ბედნიერებას. ჰერკულესმა ზნეობა ირჩია და ამიტომაც ცა დაიმსახურა.

3. თეზეოსის ლეგენდა. ჰერკულესი ბერძენთა გმირის უაღრესი ტიპია. სხვა გმირები—დაპატარავებული ჰერკულესებია, რომელნიც შექმნა ან შეთხზა საბერძენეთის მეტად თავმოყვარე ქალაქებმა, რათა ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ წარსულის დიდებაში. როგორც ჰერკულესი, ისე ეს გმირებიც ღონიერები, ენერჯის პატრონები, უსამართლობისა და ჩაგვრის მტრები საკუთარ ცხოვრებაში უბედურნი იყვნენ, მაგრამ ყველა ეს თვისებები რაოდენობით ჩამოუვარდებოდნენ ჰერკულესის თვისებებს. ქ. ათინას თავი მოსწონდა მეფე ეგეის შვილით თეზეოსით. ჯერ თექვსმეტის წლის არც კი იყო თეზეოსი, რომ უზარმაზარი კლდე ასწია ზევით, რათა მამისაგან დატოვებული ქალამანი და ხმალი გამოეღო იქიდან. მისი იარაღი, როგორც ჰერკულესისაც, იყო დიდი კომბალი, რომელიც წაართვა ეპიდავრის გოლიათს პერიფეთესს. ძლიერ ცუდი საქმე დამართა თეზეოსმა ყაჩაღებს, რომელთა რიცხვი მაშინდელ საბერძენეთში, როგორც ყოველ გაუნათლებელ და მოუწყობელ ქვეყანაში, ერთობ დიდი იყო. მაგრამ ის ყაჩაღები, რომლებთანაც თეზეოს ჰქონდა საქმე, ცოტა თავისებური იყვნენ. მაგ. ყაჩაღი სინნისი, რომელიც კორინთის ყელზე დათარეშობდა, თავის მძლავრ ხელებით ნაძვის ხეებს ხრიდა და ძალას ატანდა გამვლელ-გამომვლელს იგივე ექნა. რა მისი ბრალი იყო, თუ გამართული ხე ჰაერში ისროდა ყაჩაღის სუსტ მსხვერპლს. სკირონს სარონიკის უბის ნაპირები ეჭირა და ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ზღვაში აბანებდა, მაგრამ ძვირათ თუ ვინმე გადარჩენიან ამ უნებურ ბანაობას. ელევზისში გერიონი ჭიდაობას მართავდა თავის მსხვერპლებთან და ჰკლავდა ყველას, ვინც მაზედ სუსტი გამოჩნდებოდა. ატიკაში, კეპისის ნაპირებზე დაბინავებული იყო—პროკუსტი, რომელიც მეტად თავისებურ სტუმართ-მოყვარეობას იჩენდა:

მასპინძელი სტუმარს საწოლს მიუჩენდა დასასვენებლად; თუ სტუმარი მაღალი იყო და ფეხები გადასცილდებოდა საწოლს,



თეზეოსი ჭკდავს მინოტავრს

პროკუსტი ფეხებს წააჭრიდა, და თუ ლოგინზე უფრო მოკლე იყო, ღვედებით გასჭიმავდა, სანამ უბედურ მსხვერპლს თავისი არ დაემარფებოდა, თეზეოსმა განათავისულა საბერ-

ქნეთი ამ ყაჩაღებისაგან და შემდეგ შეასრულა უმთავრესი თავისი საქმე: ათინელებს ხარკად ეღვათ, ეგზავნათ ყოველ წელს კრეტის მეფის მინოსისათვის თოთხმეტი ყმაწვილი ქალ-ვაჟი; ამ ქალვაჟებით კვებავდნენ საზარელ ხართავიან დევს, რომელიც ლაბირანტში იყო დამწყვდეული...

თეზეოსმა თავი გადასდო თანამემამულეთათვის, შევიდა ლაბირანტში მინოსის ქალის არიადნას დახმარებით და მოჰკლა მინოტავრი. ღბრუნებისას იგი მეტად უმადურად მოექცა თავის დამხმარე ქალს და მიატოვა საბრალო ნაქსოსის კუნძულზე; მაგრამ ღმერთებმა სამგიერო გადაუხადეს: თეზეოსი თუ გამარჯვებული დაბრუნდებოდა კრეტიდან, შავ აფრების მაგიერ თეთრები უნდა გაეკეთებია თავის გემზე. შავი აფრები მის დაღუპვის ნიშანი იქნებოდა. ღმერთებმა დაავიწყეს თეზეოსს შავი აფრების გამოცვლა, და როცა მისმა მამამ ეგვიმ შავ-აფრებიანი გემი დაინახა, ზღვაში გადავარდა, რადგანაც ეგონა, რომ მისი შვილი დაიღუპა.

აი ესენი არიან თეზეოსის უმთავრესი გმირობანი, რომელიც მან მარტო მოიქმედა. ბევრი სხვა საქმე შეუსრულებია კიდევ ამ გმირს, მაგრამ თავის მეგობარ პირითოესთან ერთად; მიიღო მონაწილეობა ლაპითების და კენტავრების წინააღმდეგ ბრძოლაში, გაიმარჯვა ამაზონელებზე, რომელთაც მან ანტიოპა მოსტაცა; ჯოჯოხეთშიც კი ჩავიდნენ ეს გმირები, მაგრამ ცერბერი ფრთხილად იყო: შესქამა პირითოესი და თეზეოსი კი ტყვედ დარჩა, სანამ ჰერკულესმა არ განათავისუფლა. თეზეოსის ამ სახელოვან სიცოცხლეს ცუდი ბოლო ჰქონდა: იგი ვანდუნილ იქმნა ათინიდან და თავს იფარავდა სკიროსში; ერთ დღეს სკიროსის მუფე ლიკომედი და თეზეოსი ერთად დასეირნობდნენ; შეუმჩნევლად ლიკომედმა ერთ კლდის წვერზე აიყვანა გმირი, ჰკრა ხელი და ზღვაში გადააფდო.

4. სხვა გმირები: პერსეოსი და ბელეროფონტი. თუ ატიკას თეზეოსი ჰყავდა, არგოსს პერსეოსი ჰყავდა და კორინთს ბელეროფონტი. პერსეოსი ძვესისა და დანაიას შვილი

იყო. დაიბადა თუ არა, ჩადევს ხის ყუთში და ზღვაში გადაი-
სროლეს. აქ იგი იპოვეს სეროფოსის მცხოვრებლებმა და აი-
ყვანეს. პერსეოსი ერთობ მალე იზრდებოდა და დლითი-დღე-
ძალა და მამცობა ემატებოდა. ენომაოსის ქალის ჰიპპოდამიის
შერთვის უფლების შეძენისათვის იგი შეუდგა გორგონების
ძებნას. ამ ძებნაში მას ეხმარებოდა სამი მოხუცი ქალი, რომელ-
თაც, ერთად სამივეს, ერთი თვალი და ერთი კბილი ჰქონდათ.
ფრთიან ქალამნებისა და უჩინ-მაჩინის ქუდის შემწეობით პერ-
სეოსმა მალე იპოვა გორგონები—სახარელი დები, რომლებ-
საც თმის მაგიერ თავზე გველები ესხათ, კბილები ველოურ-
ტახის ქილის (ეშვის) ოდენა და ხელები რკინისა და ოქროს
ფრთიანი ჰქონდათ; მათი ერთი შეხედვა ქვად აქცევდა ყვე-
ლას, ვინც კი მათ თვალის გამართვას გაბედავდა. მაგრამ პერ-
სეოსმა ისინი დაძინებული ნახა და ათინის შემწეობით თავი
მოსჭრა იმ გორგონას, რომელსაც სახელად მედუზა ერქვა,
რადგანაც მხოლოდ ეს ერთი იყო სიკვდილის შვილი. ამის
შემდეგ პერსეოსი ფრენით ჩავიდა ეთიოპიაში, სადაც მე-
ფის ქალი მშვენიერი ანდრომედა კლდეზე მიკრული ნახა;
იგი უნდა შეექამა ზღვის ერთ საშინელი ვეშაპს. გმირი ჰკლავს
ვეშაპს, ირთავს ცოლად განთავისუფლებულ ქალს და სახლში
დაბრუნების შემდეგ ზღვა ტირინთისა და მიკენის მეფედ.

პერსეოსის ლეგენდას ცოტათი აღმოსავლეთის ელფერი
აქვს; ეს ელფერი კიდევ უფრო ეტყობა ბელეროფონტის
ლეგენდას. ეს ლეგენდა ბევრით არაბების „ათას ერთ ლამეს“
ჩამოჰგავს. ბელეროფონტს ჰყავს საკვირველი რაში მძლავრ-
ფრთებიანი პეგასი რომელიც მედუზის სისხლისაგან დაიბადა,
ამ ცხენის დახმარებით მოიქმედა ბელეროფონტმა ყველა ის
გმირული საქმენი, რომელთა შესრულება მას ლიკიის მეფემ
იოზატესმა დაავალა. გმირი ჰკლავს უძლეველ ქიმერას, რო-
მელიც ღმერთების გვარისა იყო. ამ ქიმერას თავი ლომისა
ჰქონდა, ტანი თხისა და გული გველისა; პირიდან იგი საში-
ნელ ცეცხლს და ალს აფრქვევდა; შემდეგ ბელეროფონტი ებ-
რძოდა მამაც ამძონელებს.

თურიდან ბევრი მარგანეცი გაიტანეს და ცოტა, თუ წარმოება შემცირდა. მკითხველებს ეცოდინება, რომ მარგანეცის გაზიდვამ შესამჩნევად იმატა ამ უკანასკნელ ორ წელს. ეს იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მთავრობამ ყური ათხოვა დიდი ხნის ხეწნასა და მუდარას მარგანეცის მწარმოებელთა და დასწია ტარიფი მარგანეცის გადაზიდვაზე რკინის გზით. უწინ ეს ტარიფი ძალიან დიდი იყო და ამიტომაც შორაპნის მაზრის მარგანეცის წარმოება ძლივს ღაფავდა სულს; ჩვენებური მწარმოებელნი ვეღარ უწევდნენ კონკურენციას უცხოელ მარგანეცს და წარმოება მცირდებოდა. წარმოების შემცირებამ ენება მოუტანა როგორც მწარმოებელთ, ისე მრავალ მუშათაც, რომელთ საგრძნობლად შეუმცირდათ მოგება; ასე რომ წარმოების გაჭირვებული მდგომარეობა მავნებელი შეიქმნა მთელი მხარისათვის. ხოლო როდესაც ტარიფი დაკლებულ იქნა, სურათი შეიცვალა...

სამწუხაროდ, მაისის უკანასკნელ რიცხვებში ხმა გაჟრცელდა, რომ რკინის გზებისა და ფანანების უმთავრესს უწყებას გარდაუწყვეტია კვლავ ასწიოს მარგანეცის გადასახადკად დაწესებული ტარიფი. ჩვენ არ ვიცით ჯერ, რამდენაღ სამართლიანია ეს ხმა, მაგრამ, თუ ის გამართლდა, მარგანეცის წარმოება ისევ შეფერხდება და იმ მხარეს დიდი ვნება მოუჯა. ამიტომაც ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებათ და მწერლობასაც ჰმართებს დახმარება აღმოუჩინოს მწარმოებელთ, როდესაც ისინი დაიწყებენ ტარიფის დაკლებისათვის ცდას...

A propos. ბ-ნ ნ. ჟორდანიას შემთხვევა ეძლევა კიდევ ერთხელ გამოვაცხადოს რეაქციონერად და კაპიტალისტების მომხრედ, რადგანაც ჩვენ კვლავ ტარიფის დაკლების შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი. ჩვენ აფუხსენით მას „მოაპის“ მარტის წიგნში, თუ რა მიზეზთა გამო შეიძლება ტარიფის შემცირების შესახებ ლაპარაკი; მაგრამ ბ. ნ. ჟორდანიამ ყური არ ათხოვა იმ ახსნას და კვლავ განიმეორა თავის ბრალდება, რომ ლალმა კაპიტალისტებს მისცა მხარეო და უღალატა პროგრესიულ მწერლის მოვალეობასაო. რადგანაც საბუთებს არავითარი გავ-

ლენა არ ჰქონია ბ. ჟორდანიას და ის თუთიყუშით იმეორებს სხვის ნათქვამ სიტყვებს, ჩვენ ახლა თავს დაფანტებთ საბუთების მოყვანას და მიფუთითებთ ბ. ჟორდანიას მის ავტორიტეტზე, რომელმაც, როგორც საფიქრებელია, უნდა ჩააგონოს რამ ბ. ჟორდანიას. „კვალის“ 1897 წლის მეოთხე ნომერში დასტამბულია პირველს ადგილას გ. ე. წერეთლის მოხსენება ამ სათაურით: „მოხსენება ფინანსისა და რკინის გზის სამინისტროთა დეპარტამენტების დირექტორისადმი“. განსვენებული პუბლიცისტი ამ თავის მოხსენებაში ხსნის, თუ რა მნიშვნელობა აქვს დიდს ტარიფს წარმოებაში და რა ვნება მოაქვს ეს ჩვენის მხარისათვის; ბოლოს იმედს აცხადებს, რომ მთავრობა დასწევს ტარიფს როგორც მარგანეცზე, ისე სხვა საქონელზედაც. „კვალის“ რედაქცია თავის მხრით შემდეგს დასძენს გ. წერეთლის წერილს: „ჩვენდა სასიხარულოდ ტარიფის კომიტეტს ფინანსის სამინისტროისას, როგორც გავიგეთ, კრდვც დაუკლია სხვა საქონელზე გადასატანი ფასი, ქვა-გუნდის გარდა შორაპნიდან ქიათურამდე. ახლა იმედი გვაქვს, რომ მალე ქიათურიდან შორაპნამდისაც გაიაფდება საქონლის და მრავალგვარ ნაწარმოების გადატანა“ *).

„ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“: 1897 წელს „კვალი“ პროგრესიული ორგანოა და მისი მწერლები დემოკრატიის მომხრენი არიან მაშინაც კი, როდესაც ტარიფის შემცირების შესახებ სიხარულს აცხადებენ; 1898 წელს კი ლაღობურჯუა და კაპიტალისტების მომხრე, როდესაც იმასვე ამბობს ტარიფის სიდიდის შესახებ, რასაც „კვალის“ რედაქცია! მახლას, ბ-ნო ჟორდანიავ!!

ღაღი



*) „კვალი“ 1897 წ. № 4.

უცხოეთის მიმოხილვა

ინგლის-ტრანსვაალის ომი.—აჯანყება ესპანიაში.—საფრანგეთის საქალაქო არჩევნები.—მოძრაობა ჩინეთში.

ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ ჩვენის უკანასკნელის ბაასის შემდეგ („მოამბე“, 1900 წ., III) საქმეთა მდგომარეობა სამხრეთ-აფრიკაში შესაზნუნევად შეიცვალა. თუ ომის პირველ ხანაში ინგლისელებს გამარჯვება არ უნახავთ, თუ შემდეგ მათ რამდენჯერმე საშინლად დაამარცხეს ბურები, მაგრამ წინ მაინც ნელა მიდიოდნენ, რადგანაც ბურები მხნე წინააღმდეგობას უწევდნენ, ეხლა მათ ძლივამოსილს წინსვლელობას აღარაფერი აბრკოლებს. შეისვენა თუ არა ბლუმფონტენში და შეაგროვა თუ არა იქ ჯარები, რობერტსი დაიძრა ადგილიდან. ეს იყო აპრილის შუა რიცხვებში და იქიდან დაწყებული, მთელის მაისის განმავლობაში, ინგლისის მხედრობამ შესანიშნავის სისწრაფით დაიპყრო მთელი ორანჟეს რესპუბლიკა და უმეტესი ნაწილი ტრანსვაალისა. პირველად რობერტსი გაეშურა კრონშტადტისაკენ, რომელიც გამოცხადებულ იყო დროებით სატახტო ქალაქად ორანჟეს რესპუბლიკისა. ბურებს თითქმის არც უცდიათ ქალაქის დაცვა, თავი მიანებეს მას და გაჩერდნენ ორანჟესა და ტრანსვაალის საზღვარზე, მდინარე ვაალის ნაპირას. ინგლისელებსა და მათთან ერთად ყველას ეგონათ, რომ ბურები გაამაგრებენ საზღვარს და ეცდებიან შეაჩერონ მტერი მდინარე ვაალზე. მაგრამ ბურებმა არ უღალატეს ტაქტიკას: აქა-იქ თავდასხმით შეაწუხეს ინგლისის ჯარი; ხოლო

როდესაც იგი მივიდა მდინარესთან, თითქმის უბრძოლველად გაუშვეს წინ და გენერალი ფრენჩი, 14 მაისს, თავის მსწრაფლ-მავალი ცხენოსანი ჯარით, შეესია ტრანსვაალს. 16 მაისს ოფიციალურად გამოცხადდა ორანჟეს რესპუბლიკის შეერთება ინგლისთან.

ტრანსვაალის რესპუბლიკაში ინგლისელები უფრო ადვილად და მსწრაფლად წავიდნენ წინ. საქმე გაუჭირდათ მათ მხოლოდ ქალაქ გერმისტონის აღების დროს. ეს ქალაქი უკანასკნელი სიმაგრეა იოჰანესბურგამდის და გარდა ამისა შესანიშნავი პოზიციაა, საიდანაც მიდის ერთად-ერთი გზა ნატალის ახალშენისაკენ. ბურებმა განიზრახეს ქალაქის დაცვა და ერთი დღის განმავლობაში მამაცურად ებრძოდნენ უთვალავს ჯარს რობერტსასას. დაღამებისას რობერტსმა აიღო ქალაქი. ამით მან ხელში ჩაიგდო პრეტორიისაკენ მიმავალი გზა და ამასთანა-ნავე გზა მოუჭრა ბურების იმ დიდ ჯარს, რომელიც ნატალის საზღვარს იცავდა ბულლერის ჯარებისაგან. გერმისტონიდან რობერტსი დაიძრა იოჰანესბურგისაკენ. ყვილა, ვინც კი ყურადღებით თვალი-ყურს ადევნებდა ომის მსვლელობას, აღელდა იმ მომენტს, როდესაც ცნობა მოვიდა, — ინგლისელები მიუახლოვდნენ იოჰანესბურგსაო. კარგა ხანია ხმები გავრცელდა, რომ ბურებს გარდაწყვეტილი აქვთ — ყოველი ღონე ილონონ და ეს შესანიშნავი ქალაქი არ დაანებონ ინგლისელთაო. ამბობდნენ აგრეთვე, რომ ბურები, თუმცა დასტოვებენ ქალაქს, მაგრამ წინედ ააფეთქებენ მას, რათა უფარვისად ჰყონ მასი მდიდარი ოქროს მადნებიაო. ზოგიც იმას ამბობდა, რომ ბურებს შეტყუებილება უნდათ ინგლისელებისა იოჰანესბურგშიო, იქ კი ყოველივე მზადა აქვთ ასაფეთქებლად და სრულიად აშოსწყეტენ რობერტსის მხედრობასაო. აღელვებული ამგვარის ხმებით მთელი ევროპა სულგანაბული მოელოდა ამბებს. მაგრას ყოველივე ტყუილი გამოდგა: ყველასათვის მოულოდნელად 18 მაისს ამბავი მოვიდა, — გენერალი ფრენჩი შევიდა იოჰანესბურგში და ბურებმა საჩქაროდ დაიწიეს უკანო.

მიუვიდა თუ არა პრეზიდენტს კრიუგერს იოჰანნესბურგის აღების ამბავი, ის მაშინვე წავიდა რესპუბლიკის მოხელეებითურთ ლეიდენბურგს, რომელიც აღიარებულ იქმნა ტრანსვაალის მეორე სატახტო ქალაქად. მაშინვე დაიწყო ბურების გახიზვნა ამ ქალაქისაკენ, სადაც, როგორც ჰფიქრობენ, ბურებე უკანასკნელად სცდიან ინგლისელების შეჭრებას... დამცველთაგან მიტოვებული პრეტორია მაისის უკანასკნელ რიცხვებში გადავიდა ინგლისელთ ხელში და კრიუგერის სასახლეზე დიდის ამბით აღიმართა და აფრიალდა ძლიერ-მოსილი ინგლისის დროშა...

ამგვარად ორივე მებრძოლ რესპუბლიკების სატახტო ქალაქები ინგლისელების ხელშია; ორანჟეს რესპუბლიკა ოფიციალურად შეუერთდა ინგლისს, ხოლო ტრანსვაალის უმეტესი ნაწილი დაპყრობილია. მიუხედავად ყოვლის ამის, ინგლისელების საქმე ვერ არის მათთვის სასურველ მდგომარეობაში. უთვალავი ჯარი დაყოფილია მრავალ ნაწილებად და დასუსტებული. ყველა ეს ნაწილები დგანან ცალკ-ცალკე 600 ვერსის მანძილზე, რათა მშვიდობიანობა დაიცვან ორანჟეს რესპუბლიკაში და დაიფარონ გზები კაპის ახალშენისა და ორანჟეს რესპუბლიკის შუა ერთის მხრით და ორანჟესა და პრეტორიის შუა მეორეს მხრით. თითოეული ნაწილი ჯარისა არ აღემატება 10 ათას კაცს, რომელთაც უძნელდებათ ბურების უეცრავ თავდასხმის მოგერება. როდესაც ინგლისელები ტრანსვაალს იპყრობდნენ, ბურების პატარ-პატარა რაზმებმა თავი ამოჰყვეს ორანჟეს რესპუბლიკაში და რაქდენჯერმე საგრძნობლად დაამარცხეს ინგლისელები. 25 მაისს ბურებმა ქალაქ ლინდლესთან ტყვედ წაიყვანეს მთელი რაზმი იომანრისა; ამათი გამოხსნა მოინდომა გენ. მეტუენმა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. წინედ ბურებმა წაართვეს ინგლისელთ ქალაქი ჰეილობორნი. 28 მაისს როდევალთან ბურებს დანებდა ერთი ბატალიონი ინგლისის რაზმი, რომელიც იცავდა რკინის გზის ხიდს... მეორეს მხრით, ინგლისს ძალიან უჭარვებს საქმეს აშანთიების აჯანყე-

ბა, რომლის მოსასპობლად დიდი ხანია გაიგზავნა დიდი ჯარი; მაგრამ დღემდის მას ვერაფერი გაუწყვია.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ, თუმცა ერთ მუჟა ბურების დამარცხება დიდმა ინგლისმა ადვილად შეძლო, მაგრამ მათი დამორჩილება და დაპყრობა მეტად ძნელი ყოფილა...

უცხოელთა დახმარების იმედმა სრულიად უმტყუნა ბურებს. ევროპაში მათ დესპანთ ისე ცივად დახვდნენ, რომ საგანგებო მისიამ ამჯობინა თავი დაენებებინა ევროპისათვის და ამერიკაში წასულიყო. ამერიკის საზოგადოება უფრო მეტის თანაგრძნობით იყო აღსავსე ბურებისადმი და ამიტომაც ყველას იმედი ჰქონდა—განათლებული დემოკრატია შეიბრალებსო საცოდავ ერს, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის ისე, როგორც ერთ საუკუნის წინ თვით ამერიკელნი ებრძოდნენ იმავე ინგლისელებს. მაგრამ მოლოდინი არც აქ გამართლდა: ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკამ მიიღო ბურების დესპანნი, ხოლო მათ სასარგებლოდ საქმეში ჩარევაზე უარი განაცხადა. ასე რომ ევროპამ და ამერიკის შტატებმაც არ ინებეს ჩელის განძრევა მრავალტანჯულ ბურების დასაცველად.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რასაკვირველია. სახელმწიფოთა ახლანდელი წყობილობა იმნაირია, რომ ყოველი მათგანი იძულებულია მტაცებლობის პოლიტიკას მისდოს. კაპიტალისტური მეხანიზმი დღევანდელ სახელმწიფოსი მოიშლებს, თუ მან ეგოისტური პოლიტიკა არ აწარმოვა და იდეალისტურ მისწრაფებათ აჰყვა. მარულაც, ყველანი ამ ჟამად ცდილობენ ჩაიგდონ ხელში ახალი ტერრიტორია და ვისღა შეუძლია დასძრახოს ინგლისელებს ან წინააღმდეგს მის ძალმომრეობას? „ყოველ სახელმწიფოსა ჰყავს თავისი ბურებიო“, — იოხუნჯა კრებაზე ერთმა სოციალისტმა ბელგიაში და მშენიერადაც დაახსიათა ამ ერთის ფრაზით საქმეთა ვითარება: რომელი სახელმწიფო გაბედავს მრავალტანჯულის ერის გამოსარჩლებას, როდესაც თითოეული მათგანი სიამოვნებით ჩაიდენს იმასვე, რასაც ინგლისელები შვებიან ბურების შესახებ.

თვით უდიდესი დემოკრატიული რესპუბლიკა, თავისუფლების და ერთობის დიდი მოყვარული, ჩრდილოეთ ამერიკის შტატები ებრძვიან დღეს ფილიპინელთ, რომელთაც ამერიკელთა წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და რომელთა „განთავისუფლებისათვის“ ამერიკამ სისხლიც დაღვარა. საქმე სხვაა — ინგლისი ისეთივე სუსტი სახელმწიფო იყოს, როგორც, მაგალითად, ესპანია არ ის. მაშინ, შეიძლება, სახელმწიფოებს გაებედნათ საქმეში ჩარევა იმ იმედით, რასაკვირველია, რომ შემდეგ რამეს დაინარჩუნებდნენ თავისავე სასარგებლოდ. მაშინ ნეიტრალიტეტის დაცვის საჭიროება არავის გაახსენდებოდა, როგორც არ გაახსენებია იგი ამერიკას, როდესაც ესპანიასა და კუბის შუა არსებულ ომში ჩაერია...

საკლდავი ესპანია ამ ომის შემდეგ სულ შფოთვაშია და ტანჯვა-წვალებაში. ვერ იქმნა და ვერ მოაწყო თავისი საქმეები. ჯერ კუბასთან რამდენიმე წლის ბრძოლამ, შემდეგ ამერიკასთან ომმა ისეთნაირად დაასუსტეს ეს ისედაც უძლური სახელმწიფო, რომ ლამის სულ მოიშალოს. საფინანსო და საეკონომიო კრიზისს ზედ დაერთო მეტად საშიში ბრძოლა სამხედრო და სამოქალაქო წოდებათა შორის, რომელიც ყოველთვის იყო ესპანიაში და რომელიც ეხლა ძალიან გამწვავდა. სახელმწიფოს მართვა, საფინანსო კრიზისის გამო, მეტად გაჭირდა. მრავალი მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი ჩჩება. საჰინისტრომ, ბევრის ყოყმანის შემდეგ, გაბედა და გადასწყვიტა ფინანსების გაუმჯობესებისათვის შემოიღოს ახალი გადასახადები და მოუმატოს ზოგიერთ ძველს. შეიტყო თუ არა ერმა ამგვარი გადაწყვეტილება, მაშინვე აღელდა. მადრიდში, სევილიაში, სარაგოსაში, ვალენციაში ნამდვილი აჯანყება მოხდა. პოლიცია და ჯარი ძლივს ამარცხებდნენ გაშმაგებულს ხალხს. ბოლოს, როგორც იქმნა წესიერება აღდგენილ იქმნა, მაგრამ საჰინისტრო იძულებული გახდა უკან წაეღო თავისი პროექტები. მხოლოდ რადიკალური ეკონომიურ-პოლიტიკური რეფორმები უშველიან ამ დაუძლურებულს ქვეყანას, მაგრამ ჯერჯერობით არ აღმოჩნდა ესპანიაში პარტია, რომელსაც შეეძლოს განხორციელება რეფორმებისა...

საყურადღებო ამბავი მოხდა საანგარიშო თვეს საფრანგეთშიაც. ეს იყო — საქალაქო არჩევნები. დასავლეთ ევროპაში საქალაქო არჩევნებს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც მაჩვენებელი არიან ერის მიმართულებისა, — იმისა, თუ რასა ჰგრძნობს და საითკენ უფრო მიილტვის ამ ეამად ერი... საფრანგეთის უკანასკნელმა საქალაქო არჩევნებმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა განათლებული ევროპა. პროვინციაში იქ ისევ რესპუბლიკანელებმა გაიმარჯვეს: დიდ პროვინციალურ ქალაქებში მუშების წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს, პატარებში — ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საფრანგეთის უკანასკნელ წლების ცხოვრებაში; რესპუბლიკამ მაგრად გაიდგა ფესვები ერის ცხოვრებაში და მონარქიელთა გამარჯვების შიში აღარაღივსა აქვს. ეხლა რესპუბლიკელთა და მონარქიელთა შორის კი არ არის უმთავრესი ბრძოლა, არამედ დემოკრატიისა და ბურჟუაზიის შორის; ეს ბრძოლა თან-დათან ძლიერდება და არღვევს წინანდელ განაწილებას პარტიებისას. ეხლა ბურჟუაზია (წვრილ ბურჟუას გარდა) ხშირად აძლევს ძმურად ხელს არისტოკრატისა, რათა შეერთებულის ძალით შეებრძოლოს მუშათა პარტიას. ამიტომაც დასავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან, ამგვარ ამბებსა ვხედავთ: იმარჯვებენ უკიდურესი პარტიები ორივე მხრით — უკიდურესი პარტია რევოლუციებისა და უკიდურესი პარტია statu quo'-ს დასცველად: ხოლო რადიკალურ-ლიბერალური პარტიები დღათი-დღე უძლურდებიან და იშლებიან. საფრანგეთის პროვინციალურ ქალაქებშიაც ასე მოხდა ეხლა: გაიმარჯვეს სოციალისტებმა ერთის მხრით და კონსერვატიულ რესპუბლიკელებმა მეორე მხრით, ხოლო რადიკალები დამარცხდნენ. გასაკვირველი, ისიც ერთას შეხედვით, წრევანდელს არჩევნებში იყო მხოლოდ — პარიზის საქალაქო არჩევნები.

პარიზის მუნიციპალიტეტში დღემდის ბატონობდნენ სოციალისტები, რადგანაც უმრავლესობას ისინი შეადგენდნენ. სულ მუნიციპალიტეტში 80 წევრია. ესენი განაწილებული იყვნენ უკანასკნელ არჩევნებამდე ასე:

მ ღ ა მ ბ ე

წელიწადი მეცხრე

გამოდის ყოველ თვემ

ფასი ჟურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:	სახლვარ-გარედ:
ერთის წლით 10 მან.	ერთის წლით 13 მან.
ექვსი თვით 6 მან.	ექვსის თვიო 7 მან.
სამი თვით 4 მან.	სამი თვით 5 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწვას, „ცნობის უზრცველი“ ზღაპრით მთავარი დამატება უფასოდ დაეთმობა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: ჰირველად 5 მან. 1-ლ ანრილამდე — 3 მან, და 1-ლ ოქტომბრამდე — 2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა ადრესის გამოკვლისათვის **პრტი** მანეთი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлис, Редакция „Моамбе“**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უქვეყნლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ, ჟურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღეის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტარისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტარას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
აღ. ჭყონია.

გამომცემელი
აღ. კანადაძე.